ვალერიან ხუხბაია
გიორგი შახია

თამარიანი
ТАГИЛОНИ

ისტორიული რომანი



ისტორია
ИСТОРИЯ

თბილისი • 2004 • ТБИЛИСИ

რედაქტორები: რამინ აბლოთია
ილია შარია

რედაქტორ-გამომცემელი მურმან ზაქარაია

სტილისტი ომარ შარია

რეცენზენტები: ეკატერინე ძაძუა,
შალვა ჯოლოგუა,
კარლო შარია,
ომარ ხუბულავა,
რევაზ გეგიძე

მხატვარი ვლადიმერ გამსახურდია

გარეკანზე: თაგილონელი უხუცესი, 130 წლის ლუკა შარია.
თავფურცელზე: თაგილონელი თამურია გიმატია (XVII ს., ნახატი შესრულებულია უცნობი იტალიელი მხატვრის მიერ)

ISBN 99928-57-76-5

წინათქმა

ძვირფასო თანამემამულენო!

ჩემო კეთილო თანასოფლელნო!

უპირველეს ყოვლისა, მინდა გულთბილად მოგესალმოთ, ადამიანურად მოგეფეროთ, ჭირთათმენა და გამძლეობა გისურვოთ, უკეთესი მომავლის დადგომაში დაგაიმედოთ და მუხლმოდრეკით ერთი რამ გთხოვოთ: სადაც არ უნდა იყოთ, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, რანაირადაც არ უნდა გიჭირდეთ, პირველ რიგში, საკუთარ თავსა და ოჯახს ნუ უღალატებთ, ნუ უღალატებთ იმ მიწას, სადაც დაბადებულხართ, გაზრდილხართ, ფეხშიშველებს გივლიათ, დაგითესიათ და მოგიმკიათ, ნუ უღალატებთ „ავადმყოფ" ქვეყანას, რომელიც ისევ ჩვენგან ითხოვს შველას, ჩვენგან ელის, ჩვენში ეძებს მკურნალს...

რაც შეეხება წინამდებარე, კოხტა, პატიოსნებითა და სიყვარულით გამოცემულ წიგნს, მართალი გითხრათ, უჩვეულო სიამაყით აღვივსე, როცა გავეცანი წიგნის გამოსაცემად საჭირო მასალებს, თან შემრცხვა, შემრცხვა იმიტომ, რომ, თურმე, ცოტა რამ მცოდნია ჩემს სოფელზე, ცოტა რამ მცოდნია იმ უნიჭიერეს სახელმწიფო მოღვაწეებსა და კოლორიტულ ადამიანებზე, რომლებიც წარსულში ამშვენებდნენ და ამშვენებენ დღეს იმ ისტორიულ კუთხეს, სადაც მე-17 საუკუნეში უმოღვაწიათ იტალიელ მისიონერებს: ჯუზეპე მილანელს, ქრისტეფორე კასტელს, არქანჯელო ლამბერტს, ჟაკ ფრანსუა გამბას, კუთხეს, სადაც იწერებოდა საელჩო წერილები, ეპისტოლეები, იყო წიგნთსაცავი, ბიბლიოთეკა, მხატვრობის კერა, სამკურნალო ცენტრი, გადიოდა რომსა და კონსტანტინეპოლს მიმავალი გზები...

მჯერა, ვინც ამ წიგნს ბოლომდე ყურადღებით წაიკითხავს, ყველა დამეთანხმება, რომ თაგილონის ისტორია, ეს არის განსაკუთრებული განძი, რომელიც მეტ ყურადღებას, პატივისცემას და გაფრთხილებას იმსახურებს არა მარტო ჩვენგან, რიგითი ადამიანებისაგან, არამედ ქვეყნის პრეზიდენტისა და ხელისუფლებისაგან, მეცნიერ- მუშაკებისა და გეოლოგ-მკვლევარებისაგან.

რა თქმა უნდა, ვერ იქნება სრულყოფილი წიგნი, რომელიც დევნილობის ჟამს იწერება და გამოიცემა. ძალიან ძნელია ყველა საჭირო წერილობითი და ფოტომასალის ისეთ პირობებში მოპოვება და თავმოყრა, როცა შვილი ვერ ნახულობს წლების განმავლობაში მშობლებს, ძმა ვერ ხვდება ძმას, და - დას, ნათესავი - ნათესავს, მაშინ როცა არ

არის სახსრები მიმოსვლისათვის, მიმოფანტულნი ვართ არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ ახლო და შორეულ უცხოეთშიც.

ამიტომაც, გთხოვთ, ყოველივე ზემოთ აღნიშნული გაითვალისწინოთ და ეს წიგნი სიყვარულით მიიღოთ, მიიღოთ ისეთი როგორიც არის, ჩათვალეთ, რომ იგი მხოლოდ ერთი ნაწილია იმ დიდი ისტორიისა, რომელიც აქვს ჩვენს კოხტა, კოლორიტულ, უჩვეულოდ თბილ, სტუმართმოყვარე და დიდი ტრადიციების მქონე სოფელს.

პირობას გაძლევთ, რომ ამ წიგნს აუცილებლად ექნება გაგრძელება, ექნება, რადგანაც თაგილონის ისტორია აისბერგს ჰგავს, რომლის მხოლოდ ზედა ნაწილი ჩანს, მას ღირსეული ადამიანები, როგორც წარსულში, ასევე დღეს, სხვაც ბევრი ჰყავს. მოდის თაობა, რომელიც, მჯერა, ახლო ხანებში იტყვის თავის ღირსეულ სიტყვას...

უნიკალური და განუმეორებელია ჩვენი სოფელი, ამიტომაც მოფერება სჭირდება არა მარტო მის ისტორიას, მის აბორიგენ, ძირძველ თუ მკვიდრ მოსახლეს, არამედ თაგილონის წვიმას, თოვლს, ენგურსა და ხაიას, ჩემი სოფლის მორცხვ და ნაზ იებს, ყვავილთა სურნელსაც, რადგანაც ისე ლამაზად, ნაზად, როგორც ჩვენთან, არსად წვიმს და არსად თოვს, სოფელი, სადაც დიდი თუ პატარა თავს კარგად გრძნობს...

და ბოლოს, თქვენი სახელით კიდევ ერთხელ ვუხდი უღრმეს მადლობას წიგნის ავტორებს, გამომცემლებს და მათთან ერთად იმ კეთილ, ალალ, ქველმოქმედ ადამიანებს, რომლებმაც ამ გაჭირვების ჟამს წინამდებარე წიგნის გამოსაცემად საჭირო თანხა გაიღეს.

ნება მომეცით, ძველი თაობისაგან მივიღო ესტაფეტა და სანამ შევუდგებოდე წიგნის მეორე ნაწილზე მუშაობას, დაველოდები თქვენს სურვილებს, მოსაზრებებს, შენიშვნებს და, რაც მთავარია, საჭირო მასალებს. მანამდე კი, ნუ დააყოვნებთ, ეს წიგნი შეიძინეთ და გულდასმით წაიკითხეთ. სტუმრად რომ წაბრძანდებით, ეს განძი ოჯახს საჩუქრად მიუტანეთ, დამიჯერეთ, ამით თქვენს მასპძინელს ძალიან გაახარებთ და აამებთ. თუ საქართველოდან უცხოეთში სამუშაოდ მიდიხართ ან წასვლას აპირებთ, მით უმეტეს, თან გაიყოლეთ, მონატრებასთან ერთად იგი ყრუ ტკივილსაც და ნოსტალგიასაც გაგინელებთ.

ერთი სიტყვით, ამ წიგნთან ერთად ყველა მიმართულებით კეთილ მგზავრობას, წარმატებულ საქმიანობას, ბოლოს კი მშობლიურ აფხაზეთში მშვიდობით დაბრუნებას გისურვებთ!

ომარ შარია,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი

სოფელზე უთქვამთ...

* * *

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი, ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!

რუსთაველი

რა კარგია ჩემი სოფელი

ყანა ქალებს ველარ იტევს
ვარდებივით მოფენილს
სილამაზით თვალს მოგტაცებს
ეს პატარა სოფელი.
რა კარგია ჩვენი სოფელი
და
რა კარგია ეს გოგონები?!

მზის ამოსვლას არ აცლიან,
მზეს ყანაში ხვდებიან
თვალუუუნა გოგონები
ბიჭებს ეჯიბრებიან,

რა კარგია ჩვენი სოფელი
და
რა კარგია ეს გოგონები?

ხალხური

* * *

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივდიოთ მას გვესმას მშობლისა,
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს
იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს.

ნიკოლოზ გარათაშვილი

* * *

ქალაქი? მჭამელი და მაინც
მშიერი,
დალოცა სოფელი...

გალაკტიონ ტაბიძე

წუთისოფელი

ქალაქს ნასული ცოტა ხნის უკან,
დავბრუნდი სოფლად მხიარული
და მიხარია.
ვუხმობ მეზობლებს: -
ივანე,
ლუკა,
ძიკა,
გიგია და კესარია
სად ხართ!...
?!...
ქვითინებს უპატრონო ეზო და შუკა
აქ იყვნენ
ახლა აღარ არიან...

ვაჟა ეგრისელი

„ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა,
ნურცა ძველსა მეგობარსა...“

წიფურია

(წარსულის ექო)

დროს ვერაფერი აჩერებს, წარსულს უკან მხოლოდ სამატიანო და ისტორიული წყაროები „აბრუნებს“, წარსულის ხილვა და შეგრძნება მხოლოდ „დროის მანქანას“ ძალუძს...

მოდით მივმართოთ აქედან ორივეს და ჩვენი გონითა და ცნობიერებით ოთხი საუკუნის უკან გადავინაცვლოთ, ცოტა ხნით ვესტუმროთ მე-17 საუკუნის კოლხეთის ერთ-ერთ ისტორიულ სოფელს, ცივილიზაციისა და კულტურის უძველეს ცენტრს, დღევანდელი თაგილონის წინამორბედს, დავიწყების ბალახით დაფარულ წიფურიას, რომელსაც ბევრმა ცნობილმა პიროვნებამ საინტერესო წერილები უძღვნა. გთავაზობთ მათგან ზოგიერთს, მათ გარეშე ჩვენ ვერაფერს გავხდებით, წიფურიაში მათთან ერთად „წავიდეთ“...

ლადო ალფენიძე:

ერთხელ ცნობილი იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერას“ რომ ვკითხულობდი, ჩემი ყურადღება მიიპყრო სხვა იტალიელი მისიონერის ქრისტეფორე კასტელის მიერ მე-17 საუკუნეში შედგენილმა კოლხეთის რუკამ, რომელიც ლამბერტის წიგნს ერთვოდა. ამ რუკაზე ენგურის მარჯვენა ნაპირას აღნიშნულია ლათინურ ენაზე სოფელი „ციპურია“, დაახლოებით თანამედროვე ნაბაკევსა და თაგილონს შორის, უფრო სწორედ წამხარის ახლოს, თაგილონის შემოგარენში.

ლამბერტის წიგნის ქართულად მთარგმნელი ალ. ჭყონია შენიშნავდა: „წიფურიას სახელით დღეს სამეგრელოში არ იცნობენ არც ადგილს და არც ეკლესიას“ (გვ. 199).

ეს კომენტარი გულისტკივილს და სინანულს იწვევდა, მით უმ-

ეტეს, რომ წიფურია იყო ისტორიული სოფელი, რომლის სახელი შორს იყო ცნობილი მე-17 საუკუნის რომსა თუ კონსანტინეპოლში, უფრო გვიან მთელს ევროპაში, მისიონერთა და მოგზაურთა ეპისტოლეებისა და წიგნების წყალობით.

მაინც რას წარმოადგენდა წიფურია? რით არის ის საინტერესო, როგორც ისტორიული სოფელი?

წიფურია იყო ქართული და ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა მე-17 საუკუნის ენგურისპირეთში. (ტერმინი „სამურზაყანო" ჯერ კიდევ არ არსებობდა ამ დროს).

კულტურის კერად წიფურია გადააქცია საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურის, მე-17 საუკუნის ცნობილი კულტურტრეგერის, მწიგნობარის, დიპლომატის, მოგზაურის, პოლიგლოტის, საელჩო მჭევრმეტყველების დიდოსტატის, ლექსიკოგრაფის ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) ღვაწლმა.

1627-1628 წლებში ნ. ირბახი მეფემ და პოეტმა თეიმურაზ პირველმა ელჩად გააგზავნა იტალიაში. რომში ირბახმა, როგორც ერთ-ერთი ბიოგრაფი და მკვლევარი აღნიშნავს, „ჩამოასხმევინა ქართული მხედრული შრიფტი, ხელი შეუწყო ქართული სტამბის დაარსებას და მონაწილეობა მიიღო ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში. როგორც ცნობილია, ეს ლექსიკონი, პირველად ქართული წიგნის ისტორიაში, დაიბეჭდა ქ. რომში 1629 წელს სტეფანე პაოლინის მიერ".

ცნობილია ისიც, რომ მე-17 საუკუნეში, რომის ქართულ სტამბაში, რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ნიკიფორე ირბახი, სულ ხუთი წიგნი დაიბეჭდა ქართული შრიფტის გამოყენებით.

დაუფასებელია მათი ისტორიული მნიშვნელობა. როგორც აღნიშნულია „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში", „დასავლეთ ევროპამ, კაცობრიობის ამ ახალმა კულტურულმა ცენტრმა, მათი წყალობით პირველად გაიცნო ქართული ენა" (გვ. 8, ტ. 1, 1629-1920 წწ.).

ამ კოლოსალური ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მამამთავრის ნიკიფორე ირბახის წყალობით გაითქვა სახელი პატარა კოლხურმა ისტორიულმა სოფელმა წიფურიამაც.

რომში ქართული წიგნები გამოდიოდა უპირატესად იმ მისიონერებისათვის, რომლებსაც საქართველოში უნდა დაეარსებინათ კათოლიკური მოძღვრების გავრცელების კერები. ასეთი მისიონი რამდენიმე არსებობდა საქართველოში: ქართლში, კერძოდ, გორში; გურიაში და ა. შ. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისიონი, იყო წიფურიაში. აქ მოღვაწეობდნენ არქანჯელო ლამბერტი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, უფრო გვიან ქრისტეფორე კასტელი, დონ მარი ჟოზეფ ზამპი და

სხვ., თავისი დროის ევროპულად განათლებულ ადამიანთა მთელი პლეადა, რომლებმაც დაგვიტოვეს მე-17 ს-ის საქართველოს ისტორიისათვის ფასდაუდებელი პირველხარისხოვანი სამატიანო წყაროები. ჩვენთვის სწორედ ამით არიან ისინი ღირსშესანიშნავი, და არა კათოლიკობის პროპაგანდით, ნიფურიაც სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო.

იტალიელი მისიონერები სრულყოფილად ფლობდნენ არა მარტო ლიტერატურულ ქართულს, არამედ დიალექტებსა და ქართველურ ენებსაც.

ამას მოითხოვდა მათი მისიის მიზნები. ამ ფაქტს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იტალიელ მისიონერებს საშუალება ეძლეოდათ უფრო ღრმად გაცნობოდნენ მე-17 ს-ის დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიას, ქართველურ ტომთა ყოფა-ცხოვრებას.

ნიფურია იყო ადგილი, სადაც ცხოვრებოდნენ და მოღვაწეობდნენ საქართველოს ისტორიის უცხოელი მემატიანეები. მხედველობაში გვაქვს ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორიცაა არქანჯელო ლამბერტის **„სამეგრელოს აღწერა“**(1664 წ.), **„წმინდა კოლხიდა“ („კოლხიდა საკრა“)** (1657 წ.) და სხვ.

მართალია, ეს წყაროები დაიწერა იტალიაში, კერძოდ, ლამბერტის სამშობლო ქალაქ ნეაპოლში, მაგრამ ამ წიგნებში გადმოცემულია ნიფურიას მისიონში ათეული წლების მანძილზე დაგროვილი შთაბეჭდილებები. ბუნებრივია, ნიფურიაში უნდა დაწერილიყო ამ წიგნის ცალკეული ფრაგმენტებიც.

„სამეგრელოს აღწერა“ თარგმნა ალ. ჭყონიამ, ხოლო „წმინდა კოლხიდა“ ჯერაც არ არის ქართულად თარგმნილი.

ნიფურიას მისიონში მოღვაწეობდა იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელიც, ავტორი შესანიშნავი წიგნისა **„წერილები საქართველოზე“**, რომელიც იტალურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ და გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“ (1964 წ.).

ამ წიგნში დიდი ადგილი უჭირავს ნიფურიას მისიონის აღწერას.

აღსანიშნავია, რომ მისიონერები დონ არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ნიფურიას რომში, 1631 წელს ჩამოვიდნენ საქართველოში და ერთხანს გორში მოღვაწეობდნენ. 1633 წელს ახალციხე -გურიის გავლით (ქართლის გზები შეკრული ჰქონდა თეიმურაზ პირველს) ჩამოდიან სამეგრელოში ლევან დადიანთან, ნიკიფორე ირბახის რჩევითა და ხელშეწყობით. სწორედ ირბახის რჩევით გადასცა დადიანმა ნიფურიას

მისიონი იტალიელებს.

წიფურიას ეკლესიის იტალიელ მისიონერებისათვის გადაცემას თავის დროზე საერთაშორისო რეზონანსი და სკანდალი მოჰყვა. განსაკუთრებით განრისხდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი, იგი ლევან მეორეს მთელი სამეგრელოს შეჩვენებით, ანათემაზე გადაცემით ემუქრებოდა. იყო შინაგანი ოპოზიციაც, მაგრამ მთავარმა მეტი პატივი ირბახის თხოვნას დასდო და ყურადღება არავის მიაქცია.

ამგვარად, წიფურიაში შეიქმნა ეროვნული ცივილიზაციის კოლხური კერა ნიკიფორე ირბახის წყალობით. ლევან დადიანმა თავი მოვალედ ჩათვალა ირბახისათვის ეცნობებინა, რომ თხოვნა შეუსრულა და წიფურია რომაელ მისიონერებს გადასცა რეზიდენციად.

წიფურიას მისიონში ლამბერტისა და ჯუდიჩე მილანელის გარდა, მოღვაწეობდა ცნობილი იტალიელი მისიონერი, მხატვარი და კარტოგრაფი ქრისტეფორე კასტელი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ზოგიერთი ცნობებით სწორედ მან შექმნა მე-17 საუკუნეში კოლხეთის რუკა, რომელიც ერთვის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერას".

დონ მარი ზოჟეფ ძამპა, რომელიც წიფურიას მისიონის პრეფექტი იყო ნლების მანძილზე, დაწერა წიგნი „**სამეგრელოს აღწერილობა**". რომელიც თარგმნა და ჯერ კიდევ 1887 წელს „მწყემსში" დასტამბა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა ვასილ ბარნოვმა.

წიფურიას მისიონის დაწვრილებითი აღწერა დაგვიტოვა მე-17 საუკუნის ცნობილმა მოგზაურმა და გეოგრაფმა **ჟან-შარდენმა**, რომელმაც ინგლისიდან სპარსეთს, შაჰ-აბაზ მეორის კარზე მიმავალმა, თავი შეაფარა წიფურიას რამდენიმე კვირით. ამის შესახებ ის დაწვრილებით მოგვითხრობს თავის წიგნში „**მოგზაურობა საქართველოში**", რომელიც პროფ. ა. გაწერელიას საინტერესო წინასიტყვაობით გამოიცა თბილისში.

წიფურიას შესახებ მეტად მდიდარი საინტერესო წყაროები მოჰყავს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს **მიხ. თამარაშვილს** თავის წიგნში **„ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის"**. შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი წიფურიას მისიონის ყველაზე სრული მატიანეა.

როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, წიფურიას შესახებ უამრავი გამოქვეყნებული ცნობა მოიპოვება რომის, ვატიკანის, კონსტანტინეპოლის მუზეუმებში ლათინურ და სხვა ევროპულ ენებზე. მათი მიკვლევა, შესწავლა და გამოქვეყნება მომავლის საქმეა.

ჟამთასვლას გადაურჩა ქრისტეფორე კასტელის სურათი, რომელსაც „ოდისევსი და მისი ისტორია" ეწოდება. ეს სცენა ასახულია იმავე ტილოზე, სადაც წიფურიას ორივე ეკლესია ხატია. ამრიგად, მე-17 საუ-

კუნის ენგურისპირეთში, დღევანდელი თაგილონის შემოგარენში ისმოდა ჰომეროსის ღვთაებრივი პოეტური სიტყვა.

წიფურია მხატვრობის კერაც იყო. მაგალითად, მისიონერი ქრისტეფორე კასტელი მხატვრის შესანიშნავი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ცნობილია მის მიერ შესრულებული უნიკალური ნახატების დიდი სერია, რომელიც მე-17 საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრების ამსახველი იშვიათი და უძვირფასესი განძია. კასტელის კალამს ეკუთვნის წიფურიას ხედების უნიკალური ჩანახატები და აქ მათი მოღვაწეობის ამსახველი სხვადასხვა სცენების შექმნა.

წიფურიაში არსებობდა სკოლაც, სადაც თეატინელი პატრები ქართველ ყმანვილებს ასწავლიდნენ ლათინურს, ქართულს, თეოლოგიას, საღვთო წიგნებს და ა. შ. შესაძლოა ხატვას და მუსიკასაც. მ. თამარაშვილს თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" მოჰყავს ერთი დოკუმენტი 1655 წლის 16 სექტემბრით დათარიღებული, რომელშიც პატრები აცნობებდნენ რომს: „ახლა გვყავს 10 წლის ბავშვი, რომელმაც ძალიან კარგად იცის... კითხვა და ზეპირად ლოცვა ქართულად და ლათინურად; საუცხოო საყურებელია, როცა ამბობს".

ან კიდევ:

„დიდის გულმოდგინებით ვწვრთნით იმ ბავშვებს, რომლებიც ჩვენს ხელთ არიან... მათი ნიჭიერების გვარად ვასწავლით".

საინტერესოა ის პედაგოგიური ალღო, რომლითაც წიფურიელი პატრები ასწავლიდნენ ყრმებს, თითოეულის ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით.

წიფურია იყო ცენტრი, საიდანაც კოლხ ბავშვებს აგზავნიდნენ სასწავლებლად იტალიაში. პაპმა რომში დაარსა პროპაგანდის კოლეგია, სადაც კათოლიკურ აღზრდა-განათლებას ღებულობდნენ სხვადასხვა ეროვნების ყმაწვილები. ამ კოლეგიის დაარსებაში აქტიური როლი ითამაშეს წიფურიაში მოღვაწე მისიონერებმა. არსებობს უტყუარი ისტორიული ცნობა, რომ **ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელმა** პირველად წაიყვანა სასწავლებლად რომში ორი ქართველი ყმაწვილი **ანტონი და ანდრია.**

ეს ცნობები პირველად გამოამზეურა ისტორიკოსმა მიხ. თამარაშვილმა, უნდა ვიფიქროთ, რომ რომს გაგზავნილი ყმაწვილები თავდაპირველად წიფურიაში გადიოდნენ სათანადო მომზადებას.

წიფურია ცნობილი იყო აგრეთვე როგორც **სამედიცინო ცენტრი.**

მატიანემ შემოგვინახა რომაელი პატრების ავადმყოფების და ავადმყოფობის ისტორიებიც კი. „მისიონერებს სახლთან ერთად თავშესაფარი საგლახაკოც ჰქონდათ, სადაც უმწეოდ დარჩენილებს ინახავდნენ", - წერს მ. თამარაშვილი. ეს არის ერთდროულად მიხრწნილთა სა-

ხლი, საავადმყოფო, სასტუმრო, დევნილთა თავშესაფარიც.

წიფურიაში ყოფილა **აფთიაქიც**. მიხ. თამარაშვილი აქვეყნებს პატრების მიერ რომში გაგზავნილ ერთ დოკუმენტს, რომელშიც ნათქვამია: „ყველას უსასყიდლოდ ვაძლევთ ყველანაირ წამალს, როდესაც კი მოგვმართავენ, რაც თითქმის ყოველდღიურად ხდება". მაშასადამე, პატრები დახელოვნებული ფარმაცევტებიც ყოფილან.

როგორც ვთქვით, წიფურიაში ვითარდებოდა გეოგრაფიული მეცნიერებაც, **კარტოგრაფია**. ამის ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს ზოგიერთი ცნობით, კასტელის მიერ შედგენილი **სამეგრელოს რუკა**. („მთელი კოლხეთის, ანუ დღევანდელი სამეგრელოს აღწერილობა მდინარე კორაქსიდან (კოდორიდან) მოკიდებული ფაზისამდე (რიონამდე)". (იხ. ჯ. მილანელის „წერილები საქართველოზე", თბილისი 1964 წ). ეს რუკა რამდენჯერმე დაიბეჭდა ლათინურად და ქართულად. ამ რუკაზე აღნიშნულია წიფურია თავისი ეკლესიებითა და გალავნით. მართალია, პირდაპირ მითითება იმის შესახებ,რომ ეს რუკა წიფურიაში შეიქმნა, არსად ჩანს, მაგრამ ცნობილია, რომ ქრისტეფორე კასტელი ძირითადად მოღვაწეობა წიფურიაში, ხოლო რუკის შედგენა ისეთი რთული საქმეა, რომ ის დიდ დროს მოითხოვს. ამიტომ მის ავტორს ის მხოლოდ წიფურიაში შეეძლო შეედგინა კოლხეთის ყველა კუთხეში მოგზაურობის შედეგად.

ცნობილია, რომ **კასტელმა საქართაელოში 20 წელი დაჰყო.**

გასაგებია, რომ წიფურიაში ვითარდებოდა **მჭევრმეტყველების,** ქადაგების ხელოვნებაც.

წიფურიაში იყო წიგნთსაცავი - ბიბლიოთეკა, აქ ინახებოდა საღვთო წიგნები, რომში გამოცემული ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული „ანბანი-ლოცვანი". ჰომეროსის პოემები და აშ. სწორედ წიფურიას ტიპის მისიონების მოსამარაგებლად გამოიცა რომში პირველი ქართული წიგნები.

წიფურია გვიან შუა საუკუნეების კოლხეთის უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრი ყოფილა.

წიფურიაში პალეოგრაფიული მუშაობაც წარმოებდა თურმე. ამ მხრივ საინტერესოა ქრ. კასტელის ეპისტოლე, რომელიც მან რომს გაუგზავნა წიფურიას მისიონში წინამძღვრად ყოფნის დროს: „კავკასიის მთებსა და მის ფერდობებზე მცხოვრებ ერებს (რომელიც აღურიცხველია) არა აქვთ არც წიგნი, არც საკუთარი ანბანი და არც ქართულ ანბანს ხმარობენ"... „... ამ უბედურების მოსასპობად ახალი (გამოგონილის) ასოებით დავუწერე წიგნები, ძლიერ მოეწონათ, ამიტომ, იმედია, მალე შეისწავლონ ეს მეცნიერება. შეიძლება თქვენც გამოგიგზავნოთ ამ წი-

გნის ერთი ეგზემპლარი. მათ დავუწერე ახალი ანბანი, მხედრული და ხუცური ასოები ბევრნაირი დავუწერე". (მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 198).

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქრ. კასტელს ქართული (ხუცური და მხედრული) ანბანის საფუძველზე, რომელიღაც კავკასიური ტომისათვის შეუდგენია ახალი ანბანი მე-17 საუკუნეში, ჯერჯერობით ეს ანბანი დაკარგულად ითვლება.

წიფურია სამთავროს ერთ-ერთი განვითარებული **სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრიც** ყოფილა. არქანჯელო ლამბერტი წერს: „ბაზრობა იმართება სამეგრელოში სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს. უმთავრესი ბაზრობა იმართება სექტემბრის პირველ კვირაში წიფურიას ეკლესიასთან, რომელიც ჩვენების ხელშია (ე. ი. რომაელი მისიონერების - ვ. ა.). ამ ბაზრობაზე ძალიან ბევრი ხალხი იკრიბება; ზოგჯერ შეიყრება ოცი ათას კაცამდე". „... მოაქვთ აქ ნაირნაირი შეღებილი და სახეებიანი ტილოები და ირანულ-თურქული შალები". „აქვე იყიდება მარილი, ღომი, თაფლი, ცვილი, ძაფი, ადგილობრივი ტილოები, ქვაბები, თითბერი, მატყლი, ხარები, ძროხები, ცხვრები, თხები"... „ყველა ამაებს სცვლიან ერთმანეთში, ისე რომ ფული არ ჩანს", - დასძენს ლამბერტი.

წიფურიასთან ვაჭრობა შუასაუკუნეობრივი „იარმარკის" (გერმ.) ტიპისა ყოფილა.

წიფურია **საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრადაც** ჩანს. აქ ჩამოდიოდნენ თურქი ვაჭრები.

წიფურიაში **ტექნიკურ სიახლეებსაც** ქმნიდნენ. პატრებმა ასე შექმნეს **წისქვილი, რომელსაც ცხენი ატრიალებდა.**

წიფურია - **ჰუმანიზმის ცენტრი** იყო. ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა მოსთხოვეს პატრებმა სამეგრელოს მთავარს. დევნილ ბერძენთა და გასაყიდად განწირულ ტყვეთა თავშესაფარიც იყო წიფურია თურმე.

ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვის მოთხოვნა იმავე დროს მე-17 ს. კოლხეთში იურიდიულ შეხედულებათა და სამართლებრივი ინსტიტუტების რეფორმასაც მოასწავებდა. მართალია, მიზანს ვერ მიაღწიეს წიფურიელმა პატრებმა, მაგრამ მათი ბრძოლა, რომელსაც მხარს უჭერდა კოლხეთის მკვიდრი ღარიბი მოსახლეობა, ძირითადად გლეხობა, უდაოდ პროგრესულ ხასიათს ატარებდა.

წიფურია ძველი ოდიშის თავისებური და დიპლომატიური რეზიდენციაა. იგი ლეევან მეორის საგარეო საქმეთა კანცელარიას მოგაგონებდათ. აქ იწერებოდა საელჩო წერილები, ეპისტოლეები რომის პაპთან. წიფურია იყო სამეგრელოს სამთავროს ევროპასთან ურთიერთობის კერა. ოსმალეთისაგან შევიწროებული სამეგრელოს მთავრის ევროპულ

ორიენტაციას პოლიტიკაში უმთავრესად წიფურიაში მოღვაწე მისიონერების მეშვეობით ეცნობოდა რომი. მისიონერები რეგულარულად აგზავნიდნენ წერილებს რომში საქართველოდან.

ეს წერილები უმთავრესად წიფურიაში უნდა დაწერილიყო.

აქ მოღვაწე პატრები ხშირად ასრულებდნენ სამეგრელოს მთავრის ელჩის როლს რომში. ასე, მაგალითად 1643 წელს პაპ ინოკენტ მეათესთან ელჩად გაგზავნა დადიანმა დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, რომელიც რომიდან უკან მომავალი, კონსტანტინეპოლში შეიპყრეს თურქებმა, ჯაშუშობა დასწამეს, ჩასვეს ციხეში და სამწუხაროდ დაიღუპა 1646 წელს. სწორედ ეს ელჩი გახლავთ ზემოთ ხსენებული წიგნის „წერილები საქართველოზე" ავტორი.

რას წარმოადგენდა სოფელი წიფურია?

ლამბერტი წერს: „წიფურია აშენებულია ვაკეზე, ენგურის ნაპირად. ეს მონასტერი ახლა ჩვენების ხელშია. (ე. ი. თეატინელების, რომაელი მისიონერების) აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთგან ერთი ღვთისმშობლის სახელობაზეა და მეორე წმინდა გიორგისაზე".

აი როგორ აღწერს წიფურიას ცნობილი ევროპელი მოგზაური **ჟან შარდენი**: „სიპია ორი პატარა ეკლესიის სახელია, ერთი მათგანი მეგრელებისაა და მეორე თეატინელებს ეკუთვნის: თეატინელების ეკლესიას დიდი გალავანი აქვს და ამ გალავანში დგას ორივე ეკლესია. გალავანში რამდენიმე ხის სახლია აშენებული, იმგვარი, როგორსაც აქ აშენებენ: ზოგი ორსართულიანი, ზოგი ერთსართულიანი, თითო ბერს თითო ამისთანა სახლი აქვს სადგომად. ასე რომ ისინი (ალბათ ფაცხები -ვ. ა.) სავსეა მათი მონებით და ორი კომლი გლეხით, რომელნიც მათი ყმანი არიან" („მოგზაურობა საქართველოში", გვ. 18).

შარდენის სიპია და ლამბერტის წიფურია ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტია, სხვათა შორის შარდენის აღნიშნული ნაწარმოების რუსულ გამოცემაში ნახსენებია „სიპურიას" და არა სიპია. ეს ქართული თარგმანის დეფექტია...

წიგნის ავტორები მადლიერების გრძნობით მოიხსენებენ ან გარდაცვლილ ბ-ნ ლადო ალფენიძეს არა მარტო ამ წერილისათვის, არამედ იმ ღვაწლისათვის, რომელიც მან უჩვეულო ერთგულებით გასწია ჩვენი ქვეყნისა და მშობლიური კუთხის კეთილდღეობისათვის.

სხვა წერილები წიფურიაზე წიგნის ავტორთა კომენტარებით:

XVII საუკუნეში სამეგრელოში კათოლიკე მისიონერთა საქმიანობის ცენტრის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **მამანტი პაჭკორიამ** 1973 წლის 4-9 ოქტომბერს გალის რაიონულ გაზეთში გამოაქვეყნა სტატია „წიფურიას ლოკალიზაციისათვის". სტატიაში საინტერესო ცნობებია მოცემული წიფურიას შესახებ. აღნიშნული აქვს, რომ XVII საუკუნეში წიფურია წარმოადგენდა სამეგრელოში მოღვაწე ბერების საქმიანობის ცენტრს, მათ რეზიდენციას. მისიონერების განკარგულებაში აქ იყო ეკლესიები, საცხოვრებელი სახლები, გარშემო მინები ყმებით", რომ „კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებით, საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მესვეურები, ევროპასთან დაახლოებას ცდილობდნენ, რათა თავი დაეღწიათ ირან-თურქეთის ძალმომრეობისაგან". რომის პაპი კი „დაინტერესებული იყო, რაც შეიძლება მეტი ქვეყნები მოექცია თავის გავლენაში".

სტატიის ძირითადი მიზანია გაარკვიოს „სად მდებარეობდა წიფურია". კასტელის რუკაზე წიფურია მდებარეობს ენგურის მარჯვენა მხარეს ანაკლიასა და რუხს შორის (დაახლოებით შუა მანძილზე); ასეა შარდენის რუკაზედაც. შარდენი წიფურიას წიფიას, სიპიას უწოდებს. მისი გამოანგარიშებით ანაკლიიდან წიფურიამდე 20 მილი ანუ 29, 5 კილომეტრია. „მაინც სად უნდა ვიგულისხმოთ წიფურიას ადგილსამყოფელი?" – კითხვას სვამს სტატიის ავტორი და ბოლოს ასკვნის: „უსაფუძვლოდ არ მიგვაჩნია იმათი აზრი (მხედველობაში ჰყავს წიფურიათი დაინტერესებული მწერალი ვლ. ალფენიძე და ისტორიკოსი თ. ბერაძე – ავტ.), ვინც წიფურიას ადგილსამყოფელს თაგილონის ტერიტორიაზე ვარაუდობს. ნამხარის ეკლესია კასტელის რუკაზე წიფურიას გვერდით, მის მარჯვნივ, ოდნავ ზემოთ, წიფურიას ახლოს მდებარეობს. ეს კარგად ჩანს ამჟამადაც. ავტორი აღნიშნავს სოფელ შამგონაში არსებულ წიფიას, შამგონის კუნძულის არსებობას და წერს, რომ: „ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, წიფურიას ლოკალიზაციისათვის თაგილონის ტერიტორიას უნდა მიენიჭოს უპირატესობა შემდეგ გარემოებათა გამო:

1) წიფურიას ადგილსამყოფელი ფიქსირებულია ერთნაირად სხვადასხვა ავტორის მიერ შარდენისა და ლამბერტის წიგნებზე დართულ რუკებზე;

2) რუკების მონაცემებს ეფარდება შარდენის სადისტანციო პარამეტრები;

3) ამ საბუთებით წიფურია ხვდება ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარე დღევანდელი თაგილონის ტერიტორიას;

4) თაგილონში დღესაც არის უბანი წამხარი, რომელიც უდავო ორიენტირია წიფურიას ლოკალიზაციისათვის;

5) წიფურიას სავარაუდებელ ტერიტორიაზე (ადამიას სახლთან) არის ძველ ნაგებობათა ნაშთები;

6) მოგვეპოვება წინაპართა ზეპირგადმოცემები ამ ტერიტორიაზე მისიონერთა რეზიდენციის შესახებ".

ავტორებს წიფურიას ლოკალიზაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ ლამბერტი, შარდენი და სხვა ავტორები წიფურიაში ასახელებენ ქვით ნაგებ ორ ეკლესიას. ასეთი ეკლესიების ნაშთები მხოლოდ თაგილონშია.

სტატიაში მ.პაჭკორია ეხება წიფურიას სახელწოდებასაც: „ზეპირგადმოცემები წიფურიას ეტიმოლოგიასაც ეხებიან: ერთნი ფიქრობენ, რომ ეს სახელი ეკლესიებთან ახლოს წიფლის დიდი ხეებისაგან მომდინარეობს; მეორენი ამ სახელს ვინმე ვაჭარ წიფურიას უკავშირებენ, რომელსაც აქ პირველად სავაჭრო გაუხსნია, ხოლო შემდეგ მისი შთამომავლობა მარტვილში გადასახლებულა.

წიფურია მეგრულად ნიშნავს წიფლნარს. არის გვარი წიფურიაც. ქართულში არის ხე-მცენარეებთან დაკავშირებული გვარები (ჭყონია, ბულია, ლიფონავა, თელია და სხვ.). **სახალხო არტისტი ბორის წიფურია დაინტერესებულა წიფურიას ეკლესიის ნანგრევებით, სახელწოდებით და სპეციალურად ჩასულა სოფელ თაგილონში, რათა დაეთვალიერებინა წიფურიას ეკლესიების ნანგრევები. ეს განაცხადა ბორის წიფურიამ 2001 წლის 18 მარტს ტელევიზიაში „ფორტუნას" გადაცემისას, როდესაც ესაუბრებოდა ახალდაქორწინებულ ცოლ-ქმარს თეა ადამიას და მის მეუღლეს შეროზიას, რომ სწორედ ადამიას ეზოშია მოქცეული წიფურიას ეკლესიის ნანგრევები.** ჩვენ იმის უარყოფა არ შეგვიძლია, რომ სახელწოდება ხე-მცენარე წიფურთან, წიფელთან არის დაკავშირებული. გვარი წიფურია ამჟამად თაგილონში და არც მეზობელ სოფლებში არ ცხოვრობს.

არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერა"-ში ჩამოთვლის XVII საუკუნეში სამეგრელოს მონასტრებს და წერს, რომ არსებობდა „საეპისკოპოსო ეკლესიები, რომელთაც წინათ ჰყავდა თავისი ეპისკოპოსები, ახლა გადაკეთებულნი არიან მონასტრებად. პირველია ქიაჩის

მონასტერი მთაზე აშენებული, წმინდა მიქელის სახელობაზე" (ქიაჩი ოჩამჩირის რაიონშია სოფელ ჯგერდეს ჩრდილოეთით, შემორჩენილია ტაძრის ნანგრევები, უსახურავოდ. აფხაზებმა სოფელ ქიაჩს ახუწა უწოდეს – ავტ.). „მეორეა ნიფურიას (cippurias) მონასტერი, რომელიც აშენებულია ვაკეზე, ენგურის ნაპირად. ეს მონასტერი ახლა ჩვენების ხელშია. აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღვთისმშობლის სახელობისაა, მეორე წმინდა – გიორგისა" (გვ. 121).

ამგვარად, კათოლიკე მისიონერების მოსვლამდე ნიფურიაში ყოფილა საეპისკოპოსო ეკლესია, რომელსაც ჰყოლია თავისი ეპისკოპოსი. თაგილონი ყოფილა ეპარქიის ცენტრი.

ქიაჩსა და ნიფურიას გარდა, სამეგრელოში დასახელებულია ხობის, ობუჯის, ჭყონდიდის, წალენჯიხის, სებასტოპოლის (სოხუმის, რომელიც იმ დროს უკვე მთლიანად ზღვაში ყოფილა ჩასული) ეკლესიები.

კათოლიკე მისიონერები საქართველოში 1626 წელს ჩამოვიდნენ ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში, შემდეგ გადავიდნენ დასავლეთ საქართველოში.

ცნობილი ფაქტია: 1633 წელს როსტომ მეფემ ლევან II დადიანთან დამოყვრება – მისი დის მარიამის ცოლად შერთვა გადაწყვიტა, რასაც ლევან დადიანი კმაყოფილებით შეხვდა და ქართლში – თბილისში საპასუხოდ თავისი მოციქულები მიავლინა, რომელთაც ხელმძღვანელობდა გამოცდილი დიპლომატი ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. გზაზე მას გორში დახვედრიან კათოლიკე მისიონერები ჟოზეფ ჯუდიჩე მილანელი და არქანჯელო ლამბერტი. მათ სამოღვაწეოდ სამეგრელოში გადასვლის სურვილი გამოუთქვამთ ირუბაქიძესთან. მან კი დაარმწუნა ისინი, რომ ლევან II დადიანი კეთილგანწყობით მიიღებდა მათ.

მიქელ თამარაშვილი წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" (1902წ.) წერს: ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილმა „ძლიერ ურჩია მისიონერებს სამეგრელოში წასვლა. წინდაწინვე დაარწმუნა, რომ დადიანი კარგად მიგიღებდათო და მეც ჩემის მხრივ დაგეხმარებით იმასთანო. ესრეთ გამხნევებული ორი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი და იოსებ ჯუდიჩი (მ. თამარაშვილი ჯუზეპეს ქართულად იოსებს უწოდებს –ავტ.) 23 სექტემბერს 1633 წელს დაადგნენ სამეგრელოს გზას".

მისიონერები დადიანთან შესახვედრად ჯერ ჩავიდნენ ილორში, შემდეგ მერკულაში (სადაც სასახლე ჰქონდა ლევან დადიანს) მ. თამარაშვილი აგრძელებს: „ვიდრე დადიანი იმათ ინახულებდა, ნიკიფორემ მოახსენა ყოველი მათი გარემოება. სხვათა შორის უთხრა: ეს ევროპელები მოსულან აქ მარტო ხალხში ღვთის სიტყვის საქადაგებლად და

სარწმუნოების გასავრცელებლად, ყოველნაირი სათნოებით შემკულნი არიან, იციან ხელოვნება, მეტადრე სულიერ საგნებში დიდად განვრთნილნი არინ და არც ფულს და არც სხვა რამ დიდებას ეძებენო. სურთ აქ დაბინავდნენ რათა ერი გაწვრთნან და განასწავლონ კეთილ ზნე-ჩვეულებასა და ღვთის სამსახურშიო. უეჭველად დიდ სიკეთეს მოუტანენ ერსა და თვით მთავრისთვისაც მათი აქ ყოფნა მეტად სასიქადულო იქნება". დადიანს მოართვეს საჩუქრები. „დადიანმა ძლიერ კარგად მიიღო იგინი და დაჰპირდა რომ დიდის პატივით შეინახავდა თავის სამთავროში და აღმოუჩენდა ყოველნაირ შემწეობას" (გვ. 172). მისიონერები დროებით დააბინავეს სოფელ კორცხელში.

ენგურის პირას, მდინარიდან დაახლოებით კილომეტრზე, სოფელ თაგილონის ტერიტორიაზე, ნაბაკევის საზღვართან, ვაკეზე აღმართულ ბორცვზე (რომლის ძირიდან გამოდის წყარო უცნაური სახელწოდებით – ერგუჯარუ) დღემდე მოღწეული არის რიყის ქვით ნაგები გალავანი, კედლის სისქე ერთი მეტრია, დარჩენილა გალავნის ნაშთი 1-1,5 მეტრის სიმაღლემდე. გალავნის შიგნით ჩანს ნაგებობათა ნაშთები. მოსახლეობა ამ ადგილს დღესაც წიფურიას ეძახის. როგორც მ. თამარაშვილი წერს: მისიონერებმა „... ჰპოვეს ჭიპურიაში ორი მშვენიერი თლილი ქვით ნაშენი ეკლესია". ჟ. შარდენი წერს: „სიპია (სიპურია) ორი პატარა ეკლესიის სახელია. ეკლესიას დიდი გალავანი აქვს და ამ გალავანში დგას ორი ეკლესია".

1634 წლის ოქტომბერში სამეგრელოს მთავარმა **ლევან დადიანმა** კათოლიკე-მისიონერებს გადასცა წიფურიას ეკლესიები, იქვე ახლოს საცხოვრებელი სახლები, მამულები და ყმები.

„1635 წლის აპრილში, დადიანი თავისი ჯარით წავიდა იმერეთს საომრად. ლ. დადიანი ერთ დღეს ცხენზე გადავარდა და დასნეულდა... მაშინვე პატრი ლამბერტი მოაყვანინა და დაჰპირდა დიდ პატივსა და საჩუქარს თუ განჰკურნავდა...

პატრმა უნამლა და რამდენსამე დღის შემდეგ დადიანი განიკურნა." მინისტრმა პაატა წულუკიამ ლამბერტს უთხრა: თქვენთვის საუკეთესო საჩუქარი ის იქნება, რომ ჭიპურიას წმინდა გიორგის ეკლესიას მოგცეთ. პაატამ მოახსენა მეფეს (იგულისხმება დადიანი – ავტ.), რომელიც სიამოვნებით დათანხმდა და მისცა მაშინვე ეკლესია, რამდენიმე ყმა და უამრავი სხვა საჩუქრებიც". ამ ამბავს ლამბერტის გარდა, მისი ამხანაგი იოსებ ჯუდიჩიც რომს ასე წერს: „ამ დღეებში მთავართან ვიყავი და თავისი პირით მითხრა: შენმა ამხანაგმა განმკურნა; ამისათვის და თუ სხვა მიზეზების გამო, ხსენებული მინისტრები ჩაგაბარებენ ეკლესიის კლიტეებს". ახლა ის ეკლესია გვაქვს, მოვაწყეთ და შიგ ვასრ-

ულებთ ყოველ ღვთისმსახურებას რომას ტიპიკონისამებრ, თუმცა კი ბერძნებმა არაფერი დაზოგეს და დიდად ეცადნენ, მთავარს ხელმეორედ წაერთმია ჩვენთვის ის ეკლესია".

მ. თამარაშვილი წერს: „ეკლესიის მიცემისათვიის კონსტანტინეპოლის პატრიარქი ძლიერ განურისხდა დადიანს და სამეგრელო ერთიან უნდა შეეჩვენებინა თურმე, ხოლო დადიანმა ყურადღება აღარავის მიაქცია.

რა დაბინავდნენ მისიონერები ასეთ მშვენიერ და მზა მამულში, შეუდგნენ მეგრულის შესწავლას და მალეც შეისწავლეს. მაშინვე დაიწყეს ქადაგება და ხალხის მოვლა, რაოდენადაც კი შეეძლოთ. უნდა ვსთქვათ, რომ განუსაზღვრელი და გამოუთქმელია ყოველი ის სიკეთე, რაც ამათ მიაგეს ქართველ ერს, მეტადრე სამეგრელოში".

მ. თამარაშვილი წერს, რომ იმ დროს (ე.ი. XVII საუკუნეში) სამეგრელოში (და მაშასადამე წიფურიაში) „ორი დიდი სენი იყო მოდებული, რაიცა მთელ ერს სულიერად ღუპავდა. ეს ორი სენი შემდეგი იყო: ნათლისღებისა წესის ნაკლუვანება და ყმების გაყიდვა მაჰმადიანებზე.

მოთხრობილია, თავადმა ჭილაძემ მოტყუებით თორმეტი მღვდელი რომ დაიჭირა, გაპარსა და თათრებზე გაყიდა. ხშირად მამა ყიდდა შვილს, ან შვილები – მშობლებს. პატრების ზეგავლენით დადიანმა აკრძალა ყმების გაყიდვა. მისიონერებმა სულ ვერ აღმოფხვრეს ყმების გაყიდვა, მაგარმ მის ასაკრძალად ბევრი რამ გააკეთეს. ასევე მიიღეს ზომები მისიონერებმა ნათლისღებაზე და ბავშვების მონათვლაზე.

კათალიკოსს შემდეგ პირველ პირს – ალავერდელს, რომელიც ძლიერ ემტერებოდა მისიონერებს, „ერთ დღეს თურმე გზა დაეკარგა ტყეში და თავისი მხლებლებითურთ დაღამებულზე მიაწყდა მისიონერების სახლს ჭიპურიაში, სადაც დიდი პატივით მიიღეს და მოეპყრნენ გამოუთქმელის სიყვარულით. ალავერდელმა რა ნახა მათი ზომიერი, მწირი და კეთილი ცხოვრება, ძლიერ მოეწონა და იმ დღითგან ძლიერ შეიყვარა პატრები. ისე, რომ იგინი ხშირად თავის სუფრაზედაც ჰყავდა და აღარ უნდოდა მათი მოშორება. ხშირად ესაუბრებოდა მათ სარწმუნოებაზე, და გაიხადა ისინი თავის ერთგულ მოყვარედ და მრჩევლებად. პირველად ძალიან გაუჭირდა მათთან შეერთება, მაგრამ ბოლოს კი შეუერთდა და მიიღო კათოლიკობა. როდესაც დასნეულდა, დაიბარა პატრები. მათგან მიიღო წმინდა საიდუმლო და ყველას წინაშე აღიარა, რომ მას ნებავდა სიკვდილი იმ სარწმუნოებაში, რომელიც იქადაგეს წმ. პეტრე და პავლემ. ესრეთ დაასრულა თავისი სიცოცხლე" (გვ. 184).

როგორც მურმან პაპაშვილი წერს: „თეატინელი კათოლიკე მოძღვრები აღჭურვილნი იყვნენ არა მხოლოდ და მხოლოდ თეოლოგიური

ფრაზებითა და ლიტურგიული დოგმებით, არამედ მათ ჰქონდათ დიდი სიყვარული ადამიანების მიმართ. პატრებს ებრალებოდათ ღარიბები და შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდნენ მათი მდგომარეობის შემსუბუქებას. მოსახლეობა კათოლიკეთა ეკლესიაში პოულობდა თავშესაფარს, განათლებას, კათოლიკე მისიონერების სახით მფარველებს".

აკადემიკოს **ნიკო ბერძენიშვილს** აღნიშნული აქვს: „რომის პაპის ამ აგენტების საქმიანობა მხოლოდ კათოლიკური სარწმუნოებით, ქადაგებით როდი ამოიწურებოდა. მისიონერებს შორის არა ერთი იყო ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფი, ატსრონომი და სხვა საერო ცოდნით აღჭურვილი. კათოლიკე მისიონერების საქმიანობას საქართველოში განსაკუთრებული წარმატება ხვდა... ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ."

იმ დროინდელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა **ნიკიფორე ირუბაქიძემ, მეფე თეიმურაზმა**, პირველ რიგში სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა კარგად იცოდნენ თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მათი ქვეყნისათვის ევროპასთან კავშირს. ლევან დადიანს იტალიელი მისიონერის ჯოვანი ლუკასათვის მიუმართავს სიტყვებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა იტალიელი მღვდლის ნახვა, რომელი ეროვნებაც მიმაჩნია ყველაზე უფრო ნიჭიერად და განათლებულად მსოფლიოში. ჩემს წინაპრებს ყოველთვის სურდათ ენახათ და თავის გვერდზე ჰყოლოდათ ამ ეროვნების წარმომადგენლები".

კათოლიკე მისიონერების მიერ საქართველოს შესახებ დაწერილ შრომებში პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ არჯანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა". ჩვენ რამდენიმე ციტატას მოვიტანთ ამ წიგნიდან, თუნდაც მდინარე ენგურზე და სხვა მდინარეებზე: „ენგური ჩამოდის დიდის სისწრაფით სვანეთის მთებიდან. ზაფხულის სიცხეებში თოვლის დნობის დროს იგი ხშირად საშინლად მატულობს და უნავოლ გასვლა მასში შეუძლებლია. რამდენადაც უფრო სიცხეა ჰაერში, იმდენად მისი წყალი უფრო გრილია. წყალი რიყის ქვებს შორის იწმინდება და მეტად მშვენიერია. ამ მდინარეში მრავალნაირი თევზებია, რომელსაც მკვიდრნი იჭერენ ბადითაც და ხის კავებითაც. როცა ზაფხულობით წყალი მატულობს, ამ მდინარის ზღვასთან შესართავში ძალიან ბევრს ზუთხს იჭერენ" (გვ. 175).

„ენგურს იქით არის პატარა წყალი, რომელსაც სიპატარავის გამო რუკებზე არ აღნიშნავენ, თუმცა ღირშესანიშნავია თევზის სიუხვით". ეს მდინარე ჩვენთვის ცნობილი ერისწყალია, რომელმაც მრავალჯერ შეიცვალა სახელწოდება: არიანე (II ს.) მდინარეს სინგამეს უწოდებს, ლამბერტი ჰეტიწყალს, ვახუშტი ბაგრატიონი – დადის წყალს, ა.ლეო-

ნიდი – დადისს. იგი კარსტული მდინარეა. გამოდის ერთიში ბთის მღვიმიდან. დროთა ვითარებში ერთიში წყალიდან მივიღეთ ერისწყალი. იგი ნამდვილად ამართლებს თავის სახელწოდებას – ერს ემსახურება. ლამბერტს ყველაფერი სწორად აქვს მოცემული – ჰეტიწყალს იქით მდინარე ოქუმია, ოქუმს იქით – ეგრისი (ღალიძგა), ეგრის იქით – მოქვი და კოდორი.

წიფურიას მისიონში მოღვაწე იტალიელი მისიონერის დონ ჯუზეპე მილანელის წიგნი „წერილები საქართველოზე", იტალიურიდან თარგმნა ბ. გიორგაძემ, გამოსცა „საბჭოთა საქართველომ" 1964 წელს.

მილანელს აღნიშნული აქვს: „თუმცა მეგრული ენა ცალკე ენას წარმოადგენს და ყველა დანარჩენისაგან განსხვავდება, მაგრამ ადრმრთო და საერო წიგნებს ქართულად კითხულობენ და წირვაც ქართულ ენაზე სრულდება. ამასთანავე მთავრის კარზე და დიდებულნიც ქართულ ენას ხმარობენ, როგორც უფრო ლამაზს და პატივდებულს". „მთავრის მიერ მოცემულ ეკლესიასთან ერთად, უფალმა ინება რომ მას ჩვენთვის კვლავ ყურადღება მოექცია და რამდენიმე კომლი მშრომელი გლეხი ებოძა. ჩვენთვის ეს მეტად ძვირფასი საჩუქარი იყო, რომ უფრო ადვილად შეგვძლებოდა კათოლიკურ წესზე მათი მოქცევა".

„სამეგრელო მშვენიერი ქვეყანაა, მაგრამ რადგან მაცხოვრებელი ხალხი მცირე რიცხოვანია, თითქმის მთლად ტყედაა გადაქცეული. ქალაქი არა აქვთ და სახლები ტყეშია გაფანტული, ერთი აქაა, მეორე იქ, ზოგი ერთ მხარეს, ზოგი მეორეს, მეტად ღარიბად ცხოვრობენ". სიყვარულით, პატივისცემით იხსენებს თავად როსტომ ჩქოტუას.

ავტორის მიერ მოხსენებული გვარ-სახელები დღეს არარის თაგილონში. მაგალითად სკინია, მიქეია, აზნაური დაგურია, თავადი ჩერტუა, გიორგი მიქელეია. აღნიშნული აქვს, რომ „მთავარი ინიშნება მეშკვიდრეობით. იგი ყოველთვის დადიანად იწოდება, რომელიც ამავე დროს გვარიცაა" (გვ. 87) ისიც კი შეუნიშნია, რომ „სამეგრელოში ეპისკოპოსები და ბერები ძალიან კარგად არიან მოწყობილნი". მათ მოსამსახურე ბევრი რაითა ყმა ჰყავთ" (გვ. 94). ჩვეულებრივი ვარაჯიშობანი როგორც მთავრისა, ისევე ამ ქვეყნის მცხოვრებთათვის ნადირობაა... ძალიან გაწვრთნილნი არიან ისრის ტყორცნასა და შუბის ხმარებაში" (გვ. 88).

მგლოვიარე ადამიანის ცხოვრება ასე აქვთ აღწერილი: „ვინმეს გარდაცვალების შემდეგ ნათესავები და ყმები მგლოვიარობის აღსანიშნავად თავსა, წვერ-ულვაშს და წარბებს იპარსავენ, რამდენიმე თვის განმავლობაში თავზე ჭედილას ტყავის ფაფახს იხურავენ და ამისავე ქალამანი აცვიათ. ძირს მიწაზე გაშლილ ჭილობზე იძინებენ. მთელი წლის მანძილზე არ ჭამენ ხორცს, თევზს, კვერცხს და რძის ნაწარმს. ამ

ხნის განმავლობაში წვერსა და თმას აღარ იპარსავენ". „გაჭირვებისა და მწუხარების შემთხვევაში უმალვე ეკლესიას მიაშურებენ... და ლოცულობენ". „ცხენით მგზავრობის დროს ეკლესიასთან ისე არ გაივლიან, რომ რამდენჯერმე გარშემო არ შემოუაროონ".

ავტორი მეგრელების ოთხ დღესასწაულს აღნიშნავს: „აღდგომის მეორე დღე გარდაცვლილთათვის განკუთვნილი; დადიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დღე; აგვისტოში მარაშინა – მარიამის მარხვა (მარიამობა) და წმინდა გიორგის დღე – გიორგობა (ილორი). დადიანის დღის გარდა სამმა დღესასწაულმა ჩვენს დრომდე მოაღწია...

ისიც შეუნიშნავს, რომ „სამეგრელოში ღვინის შესანახად დიდ კასრებს კი არ ხმარობენ, არამედ მიწაში ჩაფლულ დიდ ქვევრებს".

გზებს არც ისე დადებით დახასიათებას აძლევს: „სამეგრელო მთლიანად დაფარულია ტყით, მეტად ძნელი გასასვლელებით, ატალახებული გზებით, მრისხანე და ღრმა მდინარეებით, პირქუში მთებით".

აღწერს ამბებს წიფურიაში:

დადიანმა „გვიბოძა ქვითნაშენი მშვენიერი ორი ეკლესია ყმებით, რომ ჩვენ მოგვემსახურებოდნენ" ბერძნების რჩევით დადიანმა პატრებს წაართვა ეკლესია, მაგრამ დადიანი ავად გახდა და მოარჩინა არქანჯელო ლამბერტმა და ისევ დაუბრუნა ეკლესია მისიონერებს. მილანელი წერს: „ახლა ეს ეკლესია ჩვენს ხელშია. ის ჩვენ მოვაწყვეთ და რომაული ღვთისმსახურების წესზე ცერემონიას ვასრულებთ". 300 წლის წინათ თაგილონში ღვთისმსახურება რომაულ წესზე სრულდებოდა.

აი, როგორია ავტორის დასკვნა სამეგრელოზე: „სამეგრელო სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით თავისებური ქვეყანაა. ფულით არ იყიდება სანოვაგე და ტანსაცმელი, რომ საკუთარი საჭიროებისათვის მოიხმარო, არამედ აქ აუცილებლია შენვე დათესო, ბაღი გააშენო, შეშა მოიტანო, გყავდეს დამხმარე ღვინის დასაყენებლად. – ყველა ეს სამუშაო რომ შეასრულოს კაცმა, ბევრი უნდა იტანჯოს".

შემდეგ საუბრობს, რომ მთავარმა ოქროს თასი აჩუქა, მაგრამ ქურდებმა მოპარეს. ასევე საუბრობს მისიონერების მიერ გადატანილ გაჭირვებაზე.

აღნიშნული აქვს, რომ „სამეგრელოში ჩვეულებად აქვთ, როდესაც რაიმე საჩუქარს უგზანვიან ვიმნეს, საჩუქრის წამღებიც უნდა დაასაჩუქრონ". ბოლოს აღნიშნული აქვს, რომ „კვირაობით ქრისტიანულ მოძღვრებას ვასწავლით, საზეიმო უქმეებში წირვა დგება ზარის რეკვით".

გვინდა აღვნიშნოთ მილანელის „წერილები საქართველოზე"-თი ვგებულოთ, რომ ამ დროის სამეგრელოში ნავთი ცნობილი ყოფილა.

ყველაფერი წიფურიას მაგალითიდან არის აღებული.

„ჩვენი ქადაგება, – წერდა ჟოზეფ ჯუდიჩე მილანელი, – განსაკუთრებით ტყვის სყიდვის წინააღმდეგ იმდენად კარგად იქნა მიღებული მთელს საქართველოში, რომ წელს სულთანისათვის ყმაწვილების გაგზავნის დრო როცა დადგა, ჩვენი სახლი თავშესაფარი გახდა მათიევე მშობლების მიერ გამოგზავნილი და გამოქცეული ყმანვილებისათვის, რათა მფარველობა გაგვეწია მათთვის. ვინაიდან მათ იციან, რომ ჩვენ დიდ პატივს გვცემენ მთავარი და ქვეყნის დიდებულნი. ჩვენ ყველას მიღებასა და დაცვაზე დავთანხმდით, მოვიმარაგეთ რა სურსათი რამდენიმე დღისათვის". „მისიონერების ასეთმა კაცთმოყვარეობამ, – როგორც წერს მურმან პაპაშვილი, – მაღალზნეობრივმა საქციელმა ნუგეშითა და სიხარულით აღავსო განამებული ხალხი". „ერმა დაიწყო მათი ლოცვა-კურთხევა იმ ზომამდე, რომ მათ ღვთისკაცებს – „ღორონთიში კოჩი" უწოდეს. „ჩვენი სახლი კი წიფურიაში იყო".

1640 წელს ქრისტეფორე კასტელმა დატოვა გურია და გადავიდა წიფურიაში. 14 წლის განმავლობაში წიფურიას მისიონში მოღვაწეობდა ქრისტეფორე კასტელი კარტოგრაფი და მხატვარი. კასტელის „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ" 1977 წელს ბეჟან გიორგაძის თარგმნით, კომენტარებით გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებამ". აქვე გვინდა მივუთითოთ, რომ კოლხეთის (სამეგრელოს) რუკა, რომელიც ერთვის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერას" ეკუთვნის ქრ. კასტელს. კასტელის მიერ შედგენილი სამეგრელოს რუკა ბევრჯერ დაიბეჭდა ლათინურად და ქართულად. ამ რუკაზე აღნიშნულია წიფურია თავისი ეკლესიებითა და გალავნით, აღნიშნულია ამჟამად სოფელ თაგილონის უბანი წამხარი „მართალია პირდაპირი მითითება არ არსებობს, რომ ეს რუკა წიფურიაში იქნა შედგენილი, მაგრამ ცნობილია, რომ კასტელი ძირითადად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა წიფურიაში. ხოლო რუკის შედგენას დიდი დრო სჭირდებოდა". კასტელი წერს: „ადგილობრივი მცხოვრებნი წლის სეზონის მიხედვით მკიან ქერს, ფეტვს, ღომს... კრეფენ ყურძენს, კაკალს". კასტელს მრავალ სურათს შორის არის ჩანახატები წიფურიას ცხოვრებიდან. კასტელი 20 წელი ცხოვრობდა საქართველოში, ძირითადად წიფურიაში. დაგვიტოვა ჩანაწერები და სურათები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან.

კასტელი ლამბერტზე და წიფურიაზე წერს (გვ. 62): „ეს იყო პატრი ლამბერტი, კაცი აღიარებული სათნოებით, კარგად მიღებული, რომელსაც მუდამ კარგი თვალით უყურებდა მეფე და მისი მეუღლე (მთავარი დადიანი და მისი მეუღლე – ავტ.). მოსვლისთანავე ზემოთ ხსენებულთაგან წყალობად მიიღო ოდესღაც მღვდლებისაგან მიტოვებული

საწირავი და მუდმივი სამოსახლო ადგილი. ეს იყო მხარე, რომელსაც მიწათმოქმედნი წიფურიას უწოდებენ. აქ იყო ძველი და ვიწროდ აშენებული ტაძარი, რომლის სიგრძე ძლივს თუ შეადგენდა ათ წყრთას. სადაც წირვას ესწრებოდნენ მოხუცი და ცრუმორწმუნე მღვდელი, რომელსაც უვლიდა დადიანი. მან ჩვენი ძმები თავისთან წაიყვანა და კვლავ მისცა ოუგარია (მეზობელი სოფელი – ავტ.), მის მორჩილებაში მყოფ მღვდელთან ერთად; ამასთან აქ მაცხოვრებელი ორი კოლხი ოჯახიც... ზემოთ ხსენებულ ტაძარში წმინდა საკრამენტებს განაგებდნენ და ტყიან ადგილებში მცხოვრებ კეთილ ადამიანებს კატეხიზმოს ასწავლიდნენ, ბევრი პატარა ბიჭი და გოგო ითვისებდა წმინდა სწავლებას". მეორე გვერდზე (გვ. 63) წერს: „წიფურიას ცოტა ზემოთ, ოუგარიაში ჩვენები ეკლესიას რთავდნენ, რომელიც დადიანმა გადმოგვცა, სადაც ჩვენი ოჯახი შეჩერდა". სოფელი ოუგარია უნდა იყოს თანამდეროვე სოფელ ჭუბურხინჯის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი, სადაც ენგურის პირას დღემდე მოღწეულია ეკლესია.

კასტელის მინაწერი სურათზე: „ოსკამაჯა სეპიას (წიფურიას – ავტ.) მღვდლის შვილი და ჩვენი პატრების მსაბური. ეს ყმაწვილი ბევრს მემსახურებოდა ჩემი მოგზაურობის დროს მისიონის სხვადასხვა ადგილებში, სადაც სამკურნალოდ ვიყავი გამოძახებული" (გვ. 83). „სოფელ სეპიაში ჩვენი პატრების ცხვრის ფარა მოწყალებითაა მიღებული. მას გაკრეჭენ ხოლმე და ჩვენი ქალი ფილომენი ლელენა თავისთვის, სხვა ხალხისა და ჩვენი პატრებისათვის ტანსაცმელს ამზადებს" (გვ. 181).

კასტელი გვამცნობს პატრების ცხოვრებას: „პატრები ზამთრისათვის იმარაგებენ შეშას, რომელსაც კი არ ყიდულობენ, არამედ მოაქვთ... მდინარე ენგურს (დიდი რაოდენობით ჩამოაქვს მთიდან). ინახავენ აგრეთვე ღომს, ღვინოს, თივას და ხმელ ბალახს საქონლისათვის" (გვ. 181). პატრებს ჰქონიათ ურემი...

წიფურიას მეზობელ სოფელზე გენათზე წერს: „გენათი ისეთი სოფელთაგანია, სადაც ძალინ ბევრ ღვინოს აყენებენ... ჩვენი რეზიდენციისაგან სეპიასაგან ოთხ მილზე მეტადაა დაცილებული. ხშირად მივდივართ ამ მხარეში სამკურნალოდ და ბავშვების მოსანათლავად". გენათი თანამედროვე ჭუბურხინჯია. ვინც ამ სოფელს იცნობს დაგვეთანხმება თუ რამდენად მართალია კასტელი „აქ ბევრ ღვინოს აყენებენ"-ო.

მდინარე ენგურზე კასტელი წერს: „ხელით გასროლილი ქვის მანძილზე, ჩვენი რეზიდენციის ახლოს ჩამოდის და სწრაფად მიჩხრიალებს შავი ზღვისკენ".

კასტელის სურათებს შორის არიან პატრების მსახური ქალები: ოსკამაჯა, კატერინა, ჯოვანა, კანუა, ლაბაკია, პრუჩელისუა, ჩირკასია,

წავიჩელა, ვომინიჯა, კოგავა, პისკო, კოზერტია, თანუსია, თვალიკავა, გიმეტია, თეთრუა ქორთუა, გურიიდან—ულამაზესი ქალი ელუკა ბერია, აფხაზი ქალი ორადა; მსახური მამაკაცები: პრელურ ნავანელი, ოლოსია, პისკო ლაბაკია, ჯოჯოკი გიმეტია, პატრების გაზრდილი ყმაწვილი კოჩა გიმეტია.

არის ასეთი სურათებიც: პაპი ურბანო VIII საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობისათვის კასტელს გზას ულოცავს და მისიონერების საქმიანობა სამეგრელოს რეზიდენციაში.

გვ. 173. „ნაბაკია ერთი სოფელია... სადაც გამოძახებული ვიყავი მკურნალობის ჩასატარებლად. იქ მოვნათლე რამდენიმე ბავშვი... დავბრუნდით სახლში, რომელიც უფალმა მოგვცა მკურნალობაში ჩვენი ოჯახისათვის".

აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: ნაბაკია თაგილონის სამხრეთით მდებარე დღევანდელი სოფელი ნაბაკევია.

კასტელს აღნიშნული აქვს, ზიარებას რომ ღებულობენ სეპიას ეკლესიაში. წლების მანძილზე წიფურიას მისიონის პრეფექტი იყო მარი ჟოზეფ ძამპი. ძამპის შრომა „მოგზაურობა საქართველოში" თარგმნა და „მწყემსში" დაბეჭდა 1887 წელს ვასილ ბარნოვმა. ძამპიმ 23 წელი გაატარა წიფურიაში. XVII საუკუნის 70-იან წლებში აფხაზების შემოტევას სამგერლოზე გამოეხმაურა წიფურიას მისიონის პრეფექტი ძამპი. იგი წერს: „სამეგრელო არ ჰგავს სამეგრელოს, ომმა დაანგრია ყველაფერი, ხალხი გააღარიბა, საქონელი არა ჰყავთ, ხალხს არა აქვს სარჩო, აფხაზების მხრივ იმყოფებიან საშიშროების, მუქარის, თავდასხმის ქვეშ. ტყეში იმალებიან. სავაჭრო გემები ანაკლიაში მიდიან. ეხ, როგორ ვტირი მე, ჩემი უბედურების გამო". თითქოს დღევანდელი სურათია აღწერილი, 300 წლის წინანდელ ამბებს იმეორებენ თანამედროვე აფხაზები...

პატრმა ძამპიმ რომში პროპაგანდის დასამშვიდებლად 1666 წელს გაუგზავნა ვრცელი მოხსენება. აუწყა ყველას თავისი მეცადინეობა და ნაყოფიერი შრომა.

რომიდან გამოგზავნილმა მისიონერებმა შეიტყვეს რა სამეგრელოში მომხდარი ომის ამბავი, 1667 წლის 18 ივლისს რომში კარდინალს აცნობეს: „ჩვენი მისიონის ამბავი ძლიერ სამწუხაროა, სამეგრელოს მთავარი მტრისაგან ძლიერ შეწუხებულია. ჩვენი სახლი (ცხადია, წიფურიაში – ავტ.) ერთიან გაუოხრებიათ და ჩვენები აქეთ-იქით გაბნეულან. ინებოს ღმერთმა, როცა იქ მივალთ: ფეხის მოსაკიდი ერთი ადგილი ვიშოვოთ... ეკლესიიდან წაუღიათ წმინდა ჭურჭლი და ეკლესიის სხვა ნივთები" (მ. თამარაშვილი).

მ. თამარაშვილი წერს ლევან დადიანზე შემდეგს: „ერთ დღეს ცხენით მიდიოდა იმ ეკლესიის ახლოს და თან ახლდა ეპისკოპოსები, მათთან ნიკიფორე ირბახიც. დადიანმა ნიკიფორეს უთხრა: „კარგად იცოდე, რომ შენის ფრანგებისათვის ვიზრუნე და მოვუწყვე ეკლესიაც, რადგან გადავწყვიტე მივცე მათ ეს ეკლესია თავისი ყმებით და მამულებით. ეს რა გაიგონა ალავერდელმა, თითქოს თავისი ღმერთი ეგმოს, აღაპყრნა თვალნი ზეცას, დაიწყო გულში ცემა და წამოიძახა: „ღმერთო შეიწყალე, ღმერთო შეიწყალე, ეს რა ამბავია, რა მესმის! ეს ეკლესია გინდათ მისცეთ ლათინებს! ნუთუ ეგენი მწვალებლები და ჩვენი სარწმუნოების მტრები არ არიან! მაგისთანებს განა ეკლესია უნდა მისცეთ! მე მეგონა, რომ მათ განვსდევნიდით სამთავროდან და ამის მაგივრად კი გინდათ ჩვენი მღვდლების თანასწორ შერაცხოთ და ესრეთ პატივი სცეთ!

ეს ალავერდელი, რომელმაც შემდგომ კათოლიკობა მიიღო, თავის მაღალი სწავლით, მჭერმეტყველებით და წმინდა ცხოვრებით, ძლიერ განთქმული იყო მთელ საქართველოში, ამიტომ მისმა იმნაირმა სიტყვებმა დიდი ზეგავლენა იქონიეს დადიანზე, რომელმაც ამ ხელად აღარ მისცა პატრებს ეკლესია" (ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვაქვს, როგორ მიიღო ალავერდელმა კათოლიკობა).

რამდენიმე დღის შემდეგ დადიანმა სთხოვა პატრებს, რათა ენამლათ (ემკურნალათ) მთავრის ქალიშვილისათვის, მაგრამ პატრებმა „უარი უთხრეს და მოახსენეს: „რადგან ეგრეთ ბოროტი ვყოფილვართ, როგორადაც დაგვსახა ალავერდელმა, გვიბოძეთ ნება, თქვენს სამთავროს გავშორდეთ". დადიანმა უთხრა: „თავის დღეში არ ვიქმ თქვენისთანა გულკეთილი კაცები გაშორდნენ ჩემს სამთავროს, ახლავე გაძლევთ ჭიპურიას (წიფურიას) ადგილს, მამულს და ყმებს, გარდა ეკლესიისა, მარტო იმიტომ რომ სამღვდელოება არ ავალაპარაკო, ხოლო გპირდებით აგიშენოთ იქვე ახლოს სხვა ეკლესია. 1634 წელს ჩაიბარეს ჭიპურიას მამულები პატრებმა. მაგრამ კი მუდამ თვალი ეჭირათ და მარჯვე დროს ეძებდნენ, რომ ხელახლა გამოეთხოვათ მთავრისაგან.

1666 წელს იმერლებისაგან სამეგრელოს მოოხროების ამბავი მიუწერია რომში ერთერთ პატრს, საიდანაც ვგებულობთ რომ 1665 წელს სამეგრელოს მთავარს დადიანს დაუწყია ომი იმერეთის მეფესთან, მაგრამ დამარცხებულა.... ჯუკლიათ ერთიანი სამეგრელო, აგრეთვე მისიონერების სახლი და ეკლესიაც, ყველა მათი ავეჯეულობა წაუღიათ, ყმები ტყვედ წაუყვანიათ, საქონელი აღარაფერი გაუშვიათ, ყველა წაუსხამთ, პატრებისათვის ბევრი შეურაცხყოფა (შეწუხება)

მიუყენებიათ. უფროსისათვის ხელები უკან გაუკრავთ და გულზე შუბი დაუბჯენიათ, რათა რაც ფული ჰქონდა ყველა მიეცა. გაუშიშვლებიათ და მარტო პერანგის ამარა დაუტოვებიათ, ასე რომ მშიერ-მწყურვალნი დარჩენილან; ვერც ხალხისაგან რამ შემწეობა მიუღიათ, რადგან ისეე გაშიშვლებული დარჩენილა. ამიტომ პატრები თავის უფროს თხოვს საჩქაროდ შემწეობას, რათა მშიერი არ დაიხოცნენ" (მ. თამარაშვილი, გვ. 202-203).

შემდეგ მ. თამარაშვილი გვაცნობებს, რომ „იმერლებს სამეგრელო ხელმეორედ აუკლიათ. როგორც პატრი ანდრე ნესალი წერს, რომში 15 სექტემბერს, 1667 წელს „ზიანი მიუყენებიათ თეატინელებისთვისაც".

მ. თამარაშვილი აგრძელებს: „რადგან პატრი იოსებ ძამპიმ ათ წელიწადზე მეტი დაჰყო სამეგრელოში (მისიონერები 10 წლის ვადით მოდიოდნენ საქართველოში) რომმა ნება მისცა, უკან დაბრუნებულიყო იტალიაში და კიდევაც წავიდა 1665 წელს, ხოლო ამ მისიონს რა შემოაკლდა კაცი და შესაფერი პირიც ვეღარ იშოვეს გამოსაგზავნად, პროპაგანდამ სთხოვა პატრი ძამპის, რომ ისევ უკან დაბრუნებულიყო, მასვე მისცა უფროსობაც. სამეგრელოს სიყვარულისათვის თავს იდო ხელმეორედ მისიონი და მობრუნდა სამგერელოში 1669 წლის სექტემბერში. რადგან სამეგრელოს საპატრონებლად იტალიაში ადვილად ვეღარავის პოულობდნენ, რომმა 15 დეკემბერს 1670 წელს პატრი ძამპის ნება მისცა, რათა სამეგრელოდან ორი ახალგაზრდა გაეგზავნა პროპაგანდის კოლეგიაში, რომ გაწვრთნილნი მღვდლად კურთხეულიყვნენ და უკან დაბრუნებულიყვნენ თავიანთი მოძმეების მოსავლელად. სამწუხაროდ, არავითარი წერილი არა გვაქვს იმის შესახებ, თუ ვინ გაიგზავნა რომში სამღვდლოდ.

პატრი ძამპი სამეგრელოში დაბრუნებისთანავე გულმოდგინედ შეუდგა შრომას. მალე დააყენა ფეხზე ბევრჯერ განადგურებული მისიონი და ააყვავა უწინდებურად, მაგრამ საუბედუროდ, დიდხანს ვეღარ გასტანა. ლევან დადიანის სიკვდილით სამეგრელოს კეთილდღეობასაც ბოლო მოეღო... თითქმის ისე არ გავიდოდა წელიწადი, სამეგრელო რომელსამე მტერს არ აეკლო. რასაკვირველია, ხშირი ომი და გამუდმებით ქვეყნის მოოხრება მისიონსაც დიდ ზარალს და დაბრკოლებას აძლევდა.

პატრი ძამპის რომში 30 აგვისტოს, 1670 წელს მიუწერია და უცნობებია ახალი ომისა და სამეგრელოს არევ-აკლების ამბავი. პატრი ძამპი 1672 წელსაც წერს, კიდევ ახალი არეულობის შესახებ და აცნობებს, რომ მეფის მინისტრმა კაცია ჩიქოვანმა მთავრობა ხელში ჩაიგდო და ბევრი უსამართლობა ჩაიდინა, რის გამო პატრებმა ბევრი გაჭირვება

გამოვიარეთო.

სამეგრელომ ომისა და მოოხრებისაგან წელში ვერ წამოიწია. გამუდმებით არბევდნენ ხან აფხაზები, ხან ჩერქეზები და სხვა. ერთიანად აოხრებდნენ. აღარც პირუტყვს და აღარც კაცს უშვებდნენ და უბედურებაში აგდებდნენ. პატრი ძამპის 1674 წელს რომისადმი წერილი მიუწერია სწორედ ამ წერილის ნაწყვეტით დავიწყეთ ძამპიზე საუბარი. ახლა მოცემული გვაქვს წერილის სრული ტექსტი: „სამეგრელო, სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებული. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია... ახლა კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშია, თვით ხომალდები, რომლებიც სავაჭროდ მოდიოდნენ კავროს და გორბილაში, ახლა შიშის გამო ანარგიაში მიდიან. ეგრეთვე ხმელეთზეა ვიდრე ოღასკურამდე, აფხაზებისა ეშინიათ, რადგან იქაურობას ხშირად იკლებენ. რის გამოც არკამაში ჩვენი ხალხი ღამით ტყეშია გახიზნული და დღისით დარაჯები ჰყავთ დაყენებული, ისე დაშინებულნი არიან, რომ ჩრდილიც კი აკრთობთ და გაქცევას აწყებინებს. ოჰ, რაოდენად ვტირი ჩემს უბედურებას! წმინდა კრებამ რა მომანდო ეს მისიონი, დიდი ნაყოფის გამოღების იმედი ჰქონდა, მაგრამ ომებმა უსარგებლო გამხადეს"...

გვ. 205: „ამ დროს პატრებს აღარც სახლი ჰქონდათ და აღარც ეკლესია ჰქონდათ. უბინაოდ აქა-იქ დადიოდნენ, საჭმელად ხშირად მსხალის მეტი არა ჰქონდათ რა. ამ დიდი გაჭირვების გამო პატრმა ძამპიმ სთხოვა რომს ნება მიეცათ უკან დაბრუნებისა და მის მაგივრად სხვები გამოეგზავნათ. მისი თხოვნა მაშინვე ვერ შეასრულეს და დააცდევინეს, ვიდრე 1679 წლამდე. ამ წლის 24 აგვისტოს სამი ახალი თეატინელი მღვდელი: პატრი ონორათ დრაგო, პატრი გაეთანო ტურქო და პატრი ფრანჩისკე ბეცი მოვიდნენ და მოიტანეს თან ბევრი საჭირო ნივთეულობა, მასთანვე საკმაო ფულიც. პატრი ძამპი აქ ბევრ ხანს აღარ გაჩერდა. იმავე წლის სექტემბრის 14-ს წავიდა იტალიას. სულ 25 წელიწადი დაჰყო სამეგრელოში, საიდანაც ბევრი წერილი გზავნა რომს სამეგრელოს შესახებ, რომლებშიც მოკლედ აღწერილია მეგრელების ნაკლოვანება სასულიერო საგნებში, მათი სარწმუნოება და ეკლესიის დოგმატები ყველა შეწყნარებული აქვთო. აგრეთვე მოუთხრობს, რას შვრებოდნენ თეატინელები სამეგრელოში... პატრი ძამპის წასვლის შემდგომაც არ შეწყვეტილა ომი. კიდევ შემოსულან აფხაზები და იქაურობა სულ გაუნადგურებიათ. ამ დროს პატრებსაც დიდი შეწუხება გაუვლიათ, რამდენიმე დღეს აქეთა იქით დამალულან და ძლივს გადაურჩენიათ სიკვდილისაგან თავი. სხვები უსახლკაროდ აქეთ-იქით

გაფანტულან.

პატრი გაითანო ტურქო 1681წ. წერს რომში: „გასულ თვეში ამ ქვეყნის მთავარი გარდაიცვალა. ახალი მთავარი ჯერ არ არის არჩეული". პატრი ღმერთს ეხვეწება: „ინებოს ღმერთმა, ის თავადი პატრი დაინიშნოს მთავრად, რადგან ძლიერ ვუყვარვართ და დაგვპირდა, თუ წინანდელ ჭიპურიას სახლში ვეღარ დადგებით, ადგილს და ეკლესიას მოგცემთო, რათა შეიძლოთ თქვენი მოციქულებრივი მსახურება ასრულოთო. სამეგრელოდან 12 ოქტომბერი 1681 წ. პატრი გაეთანო ტურქო". რომმა ნება მისცა მისიონერს დაეტოვებიათ ომის გამო სამეგრელო, მაგრამ პატრებმა სამეგრელოს სიყვარულით არ დატოვეს. მისიონერებმა იქ დარჩენა ირჩიეს" (გვ. 208)... „და მრევლის სიყვარულისათვის, თავს იდვეს განეგრძნოთ შრომა და ღვაწლი და არავითარ ტანჯვა-შეწუხებას არ დარიდებოდნენ".

ტურკომ და პატრმა ტორიჩელიმ სამეგრელოს დატოვებას იქვე სიკვდილი არჩიეს. ერთი გარდაიცვალა 1699 წელს და მეორე 1700 წელს.

„აი, ასე სამწუხაროდ დასრულდა თეატინელების მისიონი სამეგრელოში – ნიფურიაში, სადაც სამოც წელიწადზე მეტი იღვაწეს, ამდენი შრომა და სიკეთე დასდვეს სამეგრელოს ხალხს. თუ მათის ქადაგების და ღვაწლის ნაყოფმა ჩვენს დრომდე ვერ მოაღწია, არც მათი ბრალია და არც ხალხისა, არამედ უნდა მიეწეროს იმ აღურაცხელ ომებს და სხვა გარემოებას, რომლის სამწუხარო თეატრად გადაქცეულიყო სამეგრელო" (გვ. 212).

ასე ამთავრებს მიქელ თამარაშვილი სამეგრელოს კათოლიკობაზე საუბარს.

ბოლოს მოვიტანთ მ. თამარაშვილის წიგნიდან (გვ. 298) ერთ ციტატას: „XVIIსაუკუნე იმითაა ყურადსაღები საქართველოსათვის, რომ მისიონერებმა დაახლოებით და ზედმიწევნით გააცნეს ევროპას ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი. აუწერეს ყოველი ჩვენი ავ-კარგი, გააცნეს თუ რა უსაზღვრო ენერგიით იცავდნენ თვიანთს მიწა-წყალს...

საქართველოსთავის ეს საუკუნე კიდევ იმით არის დიდად შესანიშნავი, რომ სწორედ მის პირველ წლებში, ე.ი. 1629 წელს... რომში პატრებმა დააარსეს პირველად ქართული საბეჭდავი, გამოსცეს ნიგნები" (გვ. 298).

ამასთან დაკავშირებით ახლა უნდა ვისაუბროთ ამ სტამბის დამაარსებელ ნიკიფორე ირბახზე.

ევროპასთან დაახლოების საქმეში ლევან დადიანის მარჯვენა ხელი იყო, მაშინ სამეგრელოში მყოფი ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, როგორც ისტორიკოსი ილია ანთელავა წერს: „სწორედ

მისი მცდელობის შედეგი იყო ოდიშში კათოლიკური მისიის დაფუძნება და უნდა ვიფიქროთ, რომ ევროპული ორიენტაციის სარგებლობაზედაც მან მიუთითა ლევან დადიანს".

ლევან II დადიანმა ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილთან და იტალიელ მისიონერებთან ერთად შეიმუშავა პროექტი ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობისა და განვითარების მიზნით. ცნობილია ლევან დადიანის მიერ რუხის „სავაჭრო ქალაქის" გაშენება და აქ სომეხთა და ებრაელთა გადმოსახლება.

ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) 1627-1628 წლებში კახეთის მეფე თეიმურაზ I ელჩად გააგზავნა რომში. ირბახმა რომში ჩამოასხმევინა ქართული მხედრული შრიფტი და ქართულ სტამბაში 1629 წელს გამოსცა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი – ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

რომის პაპი ურბან VIII თეიმურაზ მეფეს სწერდა: „მამობრივი სიყვარულით მივიღეთ საყვარელი შვილი ნიკიფორე ირბახი".

ნიკიფორე ირბახი იყო XVII საუკუნის ცნობილი მწიგნობარი, საელჩო მჭევრმეტყველების დიდოსტატი, ლექსიკოგრაფი. ლევან დადიანის დროს ნიკიფორე ირბახი -ჩოლოყაშვილი იყო დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი. ლევან დადიანის სიკვდილის შემდეგ (1657 წელი) შემდეგ, სამეგრელოს ახალმა მთავარმა ვამიყ ლიპარტელიანმა, მასთან პირადი უსიამოვნების გამო გადააყენა და ციხე-კოშკში გაგზავნა. ამის შემდეგ ნიკოლოზს, ჩანს დიდხანს არ უცოცხლია. 1658 წლის ივნისში ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი ცოცხალი არ იყო.

1977 წელს გამომცემლობა „მეცნიერება"-მ გამოსცა ისტორიკოსის გულჩინა აკოფაშვილის ნარკვევი „ქართული დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი". წიგნის ანოტაციაში აღნიშნულია: „ნაშრომში განხილულია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის, როგორც დიპლომატის, მოღვაწეობა (განსაკურებული ადგილი უჭირავს მის ელჩობას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში), მისი თანამიმდევრული და მიზანსწრაფული საქმიანობა ქართული სახელმწიფოსა და ქართული უძველესი კულტურის დასაცავად".

გულჩინა აკოფაშვილის წიგნი ასე მთავრდება:

„ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის პიროვნებას და მოღვაწეობას, მაღალ შეფასებას აძლევენ მკვლევარები, რომლებიც იხილავენ მის საქმიანობას ამა თუ იმ დარგში, ქვეყნის პოლიტიკის თუ კულტურის სფეროში.

განათლებული, ფართოდ განსწავლული ადამიანი, ჭკვიანი და გამოცდილი დიპლომატი, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე და ამას-

თანავე მხურვალე მამულიშვილი, რომლის მოღვაწეობის ძირითადი ნიშნებია თანამიმდევრული და მიზანსწრაფული საქმიანობა, მიმართული ქართველი სახელმწიფოსა და მისი უძველესი კულტურის დასაცავად, რომელსაც მუსლიმანური აგრესიის მხრიდან განადგურება რეალურად ემუქრებოდა. ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, მისი მრავალმხრივი და შინაარსიანი მოღვაწეობა და ამ მოღვაწეობის ძირითადი მამოძრავებელი მიზანი".

მისმა თანამედროვემ, იტალიელმა მისიონერმა ქრისტეფორე კასტელმა დაგვიტოვა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის სურათი, სადაც ვხედავთ ლოცვად ხელაპყრობილი მოხუცის ღვთაებრივ სახეს.

ნიკიფორე ირბახი – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოღვაწეობაზე საუბარი გვინდა დავამთავროთ სიტყვებით: „სწორედ ამ დიადი მოღვაწის წყალობით გაითქვა სახელი პატარა მეგრულმა სოფელმა წიფურიამ, რომელიც თაგილონში მდებარეობდა.

წიფურიაზე ცნობები აქვს სხვა კათოლიკე მისიონერებსაც. თეატინელები სამეგრელოში 1627 წელს მოსულან. ისინი აქ მიუღიათ, როგორც ექიმები. კათოლიკე მისიონერი ლუი გრანჟე წერს: „უფრო გვიან, სამგრელოს მთავარს ლევან II დადიანის დაჟინებით მოწვევით სამეგრელოში ჩავიდნენ თეატინელი მისიონერები, რათა შეექმნათ მუდმივი რეზიდენცია ჩიპურიატელში". ასე უწოდებს წიფურიას ლუი გრანჟე.

იტალიელ მისიონერს დონ პიეტრო ავიტაბილეს უცხოვრია წიფურიაში. (იხ. დონ პიეტრო ავიტაბილე „ცნობები საქართველოზე", „მეცნიერება", 1977 წ.). იგი წერს: „პატრები ჯუდიჩე და ლამბერტი მორჩილ ძმებთან ბოვიო და პისტოიასთან ერთად წიფურიაში დავტოვე. აქედან წავედი 23 მარტს" (გურიაში გადასულა). ავიატაბილეს აღნიშნული აქვს, რომ „სამეგრელოში პატრებს ედგათ საცხოვრებლი სახლები, ეკლესია აქვთ წიფურიაში. ამავე დროს გადაწყვეტილი აქვთ გორის რეზიდენცია აქ გადმოიტანონ" (გვ. 88). ძლიერი ყოფილა წიფურიას რეზიდენცია გორის რეზიდენციის, გადმოტანა, რომ სდომებიათ.

1682 წლის 4 იანვარს პატრი გაეთანო რასპონი წიფურიიდან ჟენევას ჩასული, წერილს უგზავნის პროპაგანდას, სადაც წერია: „თქვენვე განსაჯეთ, ნუთუ სასარგებლო იქნება დატოვება ისეთი მისიონისა, რომელშიაც ჩვენმა მამებმა ბევრი ოფლი ჩაღვარეს".

აი, კიდევ რომში გაგზავნილი ერთი წერილიდან: „გამუდმებულმა ომებმა აქაური ქვეყანა ერთიანად მოაოხრა, შვიდი წლის აქეთ-იქით სიარულის შემდგომ მოვბრუნდით ჭიპურიას მისიონში ჩვენს მამებთან, რადგან ცოტა დაწყნარებულა იქაურობა".

აქ, შარდენი 1672 წელს ანაკლიიდან ჩასულა სიპიაში (წიფურიაში). იგი წერს: „სიპია ორი პატარა ეკლესიის სახელია, ერთი მათგანი მეგრელებისაა და მეორე თეატინელებს ეკუთვნის. ეკლესიას დიდი გალავანი აქვს და ამ გალავანში დგას ორივე ეკლესია. გალავანში რამდენიმე ხის სახლია აშენებული. იმგვარი როგორსაც აქ აშენებენ: ზოგი ორსართულიანი, ზოგი ერთსართულიანი. თითო ბერს თითო ამისთანა სახლი აქვს სადგომად, ისე რომ ისინი მთლად განცალკევებულნი არ არიან. სულ პატარა სახლები სავსეა მათი მონებით და ორი კომლი გლეხით".

1910 წელს მ. თამარაშვილმა გამოსცა კაპიტალური შრომა „საქართველოს ეკლესია დასაბამიდან დღემდე". წიგნში მოთავსებულია ლევან დადიანის მიერ რომის პაპისადმი გაგზავნილი წერილის ქართული თარგმანი. წერილი ასეთი შინაარსისაა: „დიდად პატივცემულო მამაო ურბან VIII, მე თქვენი პატივის მორჩილი. უკვე ათი წელი გავიდა, რაც დონ ჯუზეპე და დონ არქანჯელო ჩვენთან ჩამოვიდნენ და გადმოგვცეს თქვენი საპატივცემლო წერილი, მაშინვე გადავწყვიტეთ თქვენთვის გვეპასუხნა და წერილი გამოგვეგზავნა შიკრიკის ხელით, მაგრამ სიძნელეებმა, რომელთა შესახებაც დონ ჯუზეპე დაწვრილებით მოგახსენებთ, არ მოგვცა საშუალება მოგვეხადა ჩვენი ვალი და აი, უზენაესის ღმერთის შემწეობით დავიმორჩილეთ ჩვენი მტრები, აფხაზეთის, იმერეთის და გურიის მთავრები. პატრ დონ ჯუზეპეს ხელით გიძღვნით ორ ბავშვს და გთხოვთ მათ კურთხევას. ჩვენ პატივით მივიღეთ მამები, რომლებიც ინებეთ და გამოგვიგზავნეთ. მათ გადავეცით კარგი ეკლესია და საცხოვრებლი სახლები, მსახურები და საკმაო სურსათი. რადგან ესენი კარგი მღვდლები არიან, ჩვენ განსაკუთრებულად მოვალენი ვართ თქვენი ასეთი ადამიანების გამოგზავნისათვის. გავიგეთ რა, რომ თქვენ მართავთ მთელ ქვეყანას, როგორც მემკვიდრე წმინდა პეტრესი და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, გვსურს იყოთ ჩვენი მმართველი და მფარველი. აქ ჩვენ სამთავროში არ არინ შალისა და აბრეშუმის მქსოველები, რომლებიც დაამზადებდნენ ტანსაცმელს ჩვენი ქვეშევრდომებისათვის და ისინი ხშირად იძულებულნი არიან ამ ნივთების საჭიროებისათვის თურქებს მიჰყიდონ თავიანთი ყმები, რაც მიუღებელია და რომელსაც თვით ადამიანის ბუნებაც ეწინააღმდეგება.

ჩვენ გევედრებით, გამოგვიგზავნოთ დიდი რაოდენობით ამ ხელობის მასწავლებლები, რადგან მათი დახმარებით გადავრჩებით ამგვარ ტანჯვას. ჩვენ პირობას ვდებთ, ღმერთი იყოს ამის მოწმე, რომ მივიღებთ მათ დიდი პატივითა და ხელგაშლილობით, თავიანთი არჩევანის მიხედვით მივცემთ საცხოვრებელს, მოსამსახურეებს, კარმიდ-

ამოს და ყველაფერს იმას, რაც მათ დასჭირდებათ სასურველი და წყნარი ცხოვრებისათვის. კიდევ მეტიც, მოწმედ დავიყენებთ სამებასა და ღმერთის ერთობას, რომ არ ვიქნებით მოძალენი ამ ხელოსნების მიმართ. ჩვენ დავიტოვებთ მხოლოდ იმათ, ვინც თავისი ნება-სურვილით დარჩება. ვისაც შინ დაბრუნება მოუნდება, მისთვის გზა ხსნილი იქნება. დაე, ღმერთის წყალობა და მისი უსაზღვრო ლმობირება იყოს ჩვენთან საყოველთაოდ. დაე, აღსრულდეს ასე". ამ წერილიდან ჩანს, სამეგრელოს მთავარი არა მარტო ღვთის მორწმუნეა, პრაქტიკულად თავისი ხალხისათვის მზრუნველი მთავარი ც არის.

XVII საუკუნეში ბაზრობა იმართებოდა ბედიის მონასტერთან, ილორის ეკლესიასთან და წიფურიაში. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ბაზრობა იმართებოდა სექტემბრის პირველ კვირაში წიფურიას ეკლესიასთან, რომელიც ჩვენების ხელშია. ამ ბაზრობაზე ძალიან ბევრი ხალხი იკრიბება, ზოგჯერ შეიყრება ოცი ათას კაცამდე...

მოაქვთ აქ ნაირნაირი შელებილი და სახეებიანი ტილოები და ირანულ-თურქული შალები"... „აქ იყიდება მარილი, ღომი, თაფლი, ცვილი, ძაფი, ადგილობრივი ტილოები, ქვაბები, თითბერი, რკინა, ჭილოფი, ხის ხონჩები, თიხის ჭურჭელი, თოხები, მატყლი, ხარები, ძროხები, ცხვრები, თხები"... ყველა ამებს ცვლიან ერთმანეთში, ისე რომ ფული არ ჩანს", – დასძენს ლამბერტი. წიფურია საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრადაც ჩანს. აქ ჩამოდიოდნენ თურქი ვაჭრები.

ბაზრობაზე შეყრილი ხალხი მინდვრებში დალაგდებოდა, ხის ძირში და ზოგი დამზადებულ კარავში. მთელი ღამე გაჩაღებული იყო მრავალ ადგილას ცეცხლითა და სანთლებით, როგორ არქანჯელო ლამბერტი წერს: „აქ ყველანი ღამეს ათევენ ქურდების შიშით და მთელ ღამეებს ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს ჭამაში, სმაში და სიმღერებში ატარებენ. აქ არავის ნება არა აქვს არც ყიდვისა და არც გაყიდვისა, სანამ მთავარი არ მოვა. მთავარი იმიტომ არ აძლევს ამის ნებას, სანამ თითონ არ მოვა მრავალი ცხენოსანის ამალით, რომ ჰსურს ხალხი არ დაიშალოს მის მოსვლამდე და მან ისიამოვნოს მრავლის და ნაირ-ნაირის ხალხის ყრილობით. როგორც კი იქნება ნებართვა გამოვა ორი-სამი საათის განმავლობაში ყველაფერი გაიყიდება".

წიფურიაში ტექნიკურ სიახლეებსაც ქმნიდნენ. პატრებმა შექმნეს წისქვილი, რომელსაც ცხენი ატრიალებდა.

აღნიშნული გვაქვს, წიფურია ჰუმანიზმის ცენტრი იყო. ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა მოსთხოვეს პატრებმა სამეგრელოს მთავარს. დევნილ ბერძენთა და გასაყიდად განწირულ ტყვეთა თავშესაფარი იყო წიფურიას მისიონი.

წიფურია ძველი ოდიშის თავისებური დიპლომატიური რეზიდენციაა. იგი ლევან II დადიანის საგარეო საქმეთა კანცელარიას მოგაგონებდათ. აქ ინერებოდა საელჩო წერილები, ეპისტოლეები რომის პაპთან. წიფურია იყო სამეგრელოს სამთავროს ევროპასთან ურთიერთობის კერა. ოსმალებისაგან შევიწროებული სამეგრელოს მთავრის ევროპული ორიენტაციის პოლიტიკაში უმთავრესად წიფურიაში მოღვაწე მისიონერების მეშვეობით ეცნობოდა რომი.

მისიონერები რეგულარულად აგზავნიდნენ წერილებს რომში, უმთავრესად წიფურიიდან.

წიფურიაში მოღვაწე პატრები ხშირად ასრულებდნენ სამეგრელოს მთავრის ელჩის როლს რომში. ასე მაგალითად 1643 წელს პაპ ინოკენტ X-სთან ელჩად გაგზავნა დადიანმა დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, რომელიც უკან მომავალი კონსტანტინეპოლში შეიპყრეს თურქებმა. ჯაშუშობა დასწამეს, ჩასვეს ციხეში და სამწუხაროდ, იქვე დაიღუპა.

წიფურია მხატვრობის კერაც იყო. მისიონერმა ქრ. კასტელმა დაგვიტოვა უნიკალური ნახატების მთელი სერია XVII საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრების ამსახველი უნიკალური ჩანახატები.

წიფურიაში ყოფილა წიგნთსაცავი – ბიბლიოთეკა. აქ ინახებოდა საღვთო წიგნები, რომში გამოცემული ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული ლექსიკონი, ჰომეროსის ნაწერები და სხვ.

წიფურია იყო სამედიცინო ცენტრი, არსებობდა აფთიაქიც, სადაც წამლებს უფასოდ აძლევდნენ ავადმყოფებს. მ.თამარაშვილი აქვეყნებს პატრების მიერ რომში გაგზავნილ ერთ დოკუმენტს, რომელშიც ნათქვამია: „ყველას უსასყიდლოდ ვაძლევთ ყოველნაირ წამალს, როდესაც მოგვმართავენ, რაც თითქმის ყოველდღიურად ხდებოდა". მაშასადამე, პატრებს შორის დახელოვნებული ფარმაცევტებიც ყოფილან. იყო საავადმყოფოც, სასტუმრო საგლახაკო სახლი–დევნილთა თავშესაფარი. მ. თამარაშვილი გვაცნობებს, რომ „წიფურიაში ქრ. კასტელს ქართული (ხუცური და მხედრული) ანბანის საფუძველზე, რომელიღაც კავკასიური ტომისათვის შეუდგენია ახალი ანბანი". XVII საუკუნეში შედგენილი ანბანი ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება.

წიფურიაში არსებობდა სკოლა, სადაც თეატინელი პატრები ქართველ ბავშვებს ასწავლიდნენ ლათინურს, ქართულს, თეოლოგიას, საღვთო წიგნებს, შესაძლოა ხატვასა და მუსიკასაც. ეკლესიაში ბავშვებს „კვირაობით ქრისტიანულ მოძღვრებას ვასწავლით", – წერს ჯუდიჩე.

მართალია მისიონერები მათ მიერ დაარსებულ სკოლაში ზრდიდნენ ერთმორწმუნეებს, მაგრამ ამავე დროს ასწავლიდნენ დურგლობას,

მჭედლობას, ხელოსნობის სხვა დარგებს, უცხო ენებს და სხვ.

მ.თამარაშვილი თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" მოჰყავს დოკუმენტი დათარიღებული 1655 წლის 16 სექტემბრით, რომელშიც პატრები აცნობენ რომს, რომ: „დიდის გულმოდგინებით ვწვრთნით იმ ბავშვებს, რომლებიც ჩვენს ხელთ არიან... მათი ნიჭიერების და გვარად ვასწავლით".

წიფურიელი პატრები ბავშვებს ასწავლიდნენ ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით. წიფურია იყო ცენტრი, საიდანაც ბავშვებს აგზავნიდნენ სასწავლებლად იტალიაში. პაპმა რომში დააარსა პროპაგანდის კოლეგია, სადაც კათოლიკურ აღზრდა-განათლებას ღებულობდნენ სხვადასხვა ეროვნების ყმაწვილები. კოლეგიის დაარსებაში აქტიური როლი ითამაშეს წიფურიაში მოღვაწე მისიონერებმა.

არის ისტორიული ცნობა, რომ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელმა ორი ქართველი ყმაწვილი ანტონი და ანდრია პირადად წაიყვანა რომში სასწავლებლად.

ალბათ, ამის თაობაზე წერს ოდიშის მთავარი ლევან მეორე დადიანი რომის პაპს ურბან VIII-ს: „პატრ ჯუზეპეს ხელით გიძღვნით ორ ბავშვს და გთხოვთ მათ კურთხევას".

წიფურიაში ვითარდებოდა მჭევრმეტყველება, ქადაგების ხელოვნება. ამგვარად, მისიონერები ქართველ ახალგაზრდებს აზიარებდნენ დასავლეთ ევროპის კულტურის მიღწევებს, ეს ალბათ ერთადერთი შემთხვევა იყო XVII საუკუნის საქართველოში.

1659 წელს წიფურიაში მხოლოდ ოთხი თეატინელი მისიონერი იყო, მათ შორის ძამპი და ანდრია ბორომე. ამ წელს მათ მოუნათლავთ 300-ზე მეტი ბავშვი.

წიფურიაში ვითარდებოდა გეოგრაფიული მეცნიერებაც, კარტოგრაფიაც. ამის ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს კასტელის მიერ შედგენილი სამეგრელოს რუკა. ეს რუკა რამდენჯერმე დაიბეჭდა ლათინურად და ქართულად. ამ რუკაზე აღნიშნულია წიფურია თავისი ეკლესიებით და გალავნით. მართალია, პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ ეს რუკა წიფურიაში შეიქმნა, არსად არ ჩანს, მაგრამ ცნობილია რომ ქრ. კასტელი ძირითადად მოღვაწეობდა წიფურიაში, ხოლო რუკის შედგენა ისეთი რთული საქმეა, რომ ის დიდ დროს მოითხოვს, ამიტომ მის ავტორს ის მხოლოდ წიფურიაში შეეძლო შეედგინა, კოლხეთის ყველა კუთხეში მოგზაურობის შედეგად.

წიფურიას მისიონმა აყვავება დაიწყო, მაგრამ დიდ ხანს არ გაგრძელებულა მათი კეთილდღეობა. რადგან 1685 წლის 10 აპრილს სამეგრელოს მთავარსა და აფხაზებს შორის რაღაც უთანხმოების გამო

აფხაზები შემოესივნენ და სამეგრელო აიკლეს. აგრეთვე აიკლეს პატრების საცხოვრებელიც, მაგრამ მალე დაწყნარდა იქაურობა, პატრებმა განაგრძეს შრომა, რაშიც ხელს უწყობდნენ როგორც სამეგრელოს, ისე აფხაზეთის მთავრები. 1694 წლიდან, როდესაც აფხაზები ენგურამდე მივიდნენ, წიფურიაც აფხაზების ხელში იყო. ენგურსა და ღალიძგას შორის პირველი მფლობელი, როგორც მისიონერები უწოდებდნენ ყაფო ხარაზია, იგივე ყვაპუ შარვაშიძე იყო.

კიდევ ერთი ფაქტი: იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ისა და სამეგრელოს მთავარ ლევან მესამეს შორის ატეხილი ომის შედეგად აკლებული იყო ოდიშის სამთავრო. წიფურიაში მისიონერების სახლი და ეკლესია ომის შედეგად განადგურდა, მათი ავეჯი მოძალადეებმა იმერეთში წაიღეს, ერთი პატრი ტყვედ წაიყვანეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს.

პრეფექტმა ძამპიმ დაუღალავი შრომით ფეხზე დააყენა განადგურებული მისიონი, უწინდელი ბრწყინვალება დაუბრუნა.

1670 წელს ძამპის რომიდან შემოუთვალეს პროპაგანდის კოლეგიაში ორი ახალგაზრდა ქართველი კათოლიკეს გაგზავნა, რათა, როგორც მ. პაპაშვილი წერს: „განსწავლულნი კურთხეულიყვნენ მღვდლად და უკან დაბრუნებულიყვნენ სამეგრელოს მრევლში. ძამპის ახალგაზრდები შეურჩევია, მაგრამ მათი რომში გაგზავნისათვის ომს შეუშლია ხელი: 1674 წელს რომში გაგზავნილ წერილში ძამპი წერდა: „დაუსრულებელმა ომებმა, ურთიერთშორის უთანხმოებამ არ მომცა საშუალება ჩემი ყველა კეთილი სურვილი ამესრულებინა“.

1679 წლის 24 აგვისტოს წიფურიაში სამი ახალი თეატინელი მისიონერი ჩამოვიდა.

ცნობილია, რომ წიფურიას ეკლესიები, მამულები თეატინელებს ჩააბარეს 1634 წლის ოქტომბერში.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ან გარდაცვლილ მწერალ ვლ. ალფენიძეს, რომ: „თაგილონის ცენტრში, ან წიფურიას ნაფუძვრებთან შეიძლება აღიმართოს მემორიალური სვეტი, რომელზეც ოქროს ასოებით ამოიჭრას ნიკიფორე ირბახი– ჩოლოყაშვილის–პირველი ქართული წიგნის რომში დამბეჭდავის გვარი და იმ იტალიელთა სახელები, რომლებმაც შექმნეს საქართველოს ისტორიის მატიანის ღირსახსოვარი ფურცლები წიფურიაში“.

დარწმუნებული ვართ, ერთიანი საქართველოს აღდგენის, აფხაზეთის დაბრუნების შემდეგ თაგილონელები განახორციელებენ მწერლის სურვილს და უკვდავ ძეგლებს აღუმართავენ მათ, ვინც 300 წლის წინათ მათი სოფლის სახელი ევროპაში გაიტანა.

აღნიშნული გვაქვს, რომ XVIII საუკუნისათვის უკვე აღარაა კათო-

ლიკეთა მოღვაწეობის ცენტრი, მაგრამ კათოლიკეებმა წიფურიაში დატოვეს ორი ეკლესია, რომელნიც ამჟამად დანგრეულია.

ფრანგ მეცნიერს ოპოლიტე ელიოტს აღნიშნული აქვს, რომ წინათ სამეგრელოში იყო თორმეტი ეპარქია, ამჟამად (1714წელი) არსებობს ექვსი ეპარქია: ქიაჩი, წიფურია, ხობი, ობუჯი, სებასტოპოლი (დანგრეული წყალდიდობით) და ანაკლია.

გვჯერა, რომ დავიწყების ფერფლით არასოდეს დაიფარება, ჩვენი წარსულის კულტურის შესანიშნავი მოწმე – ჩვენი წიფურია.

კასტელ-ლამბერტის სამეგრელოს რუკა

რუკის ავტორია კასტელი (იხ. ფოტოალბომი). ეს რუკა მან შეადგინა წიფურიაში. რუკა დაერთო არქანჯელო ლაბმერტის „სამეგრელოს აღწერის“ პირველ და შემდგომ გამოცემებს, ამიტომ ლამბერტის რუკასაც უწოდებენ.

სამხრეთით მნიშვნელოვანი სივრცე უჭირავს „პონტოს ევკსინოს“ – შავ ზღვას, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედია, ქედის ჩრდილოეთით აღნიშნულია ყარაჩაველები, ალანები; ჩრდილო-დასავლეთით – აფხაზეთი;

რუკის აღმოსავლეთი საზღვარია მდინარე ცხენისწყალი, დასავლეთი კი – მდინარე კოდორი. რუკაზე აღნიშნულია ცხენისწყლისა და კოდორს შორის დიდი მდინარეები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ: აბაშა, ტეხური, ხობი, ჭანის წყალი, ენგური, ჰეტიწყარი (ერისწყალი), ოქუმისწყალი, ხალის-ღალიძგა, მოქვისწყალი, კოდორი.

წიფურია ენგურის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს, ამიტომ ჩვენ აღვნიშნავთ გეოგრაფიულ სახელწოდებებს ტოპონიმებს ენგურსა და ღალიძგას შორის.

რუკაზე თანამედროვე თაგილონი აღნიშნული არ არის. თაგილონის ფარგლებშია ცამხარი (წამხარი) და წიფურია (cippurias). ენგურის შესართავთან, სოფელ ანაკლიას (მეგრულად ანარკია) ანარგიას უწოდებს (ჰერაკლეა) და აღნიშნავს რუკაზე ზღვის პირას, ენგურის შესართავთან არა მარცხენა, არამედ მარჯვენა მხარეზე (თანამედროვე გალის ფარგლებში), მარცხენა მხარეზე. ზღვიდან საკმაო დაცილებით აღნიშნულია მუხური, ალბათ, თანამედროვე განარჯიას მუხური.

დასახლებული პუნქტებისა და სოფლების ადგილმდებარეობის სისწორეზე არ ვისაუბრებთ, რადგან ხშირია უზუსტობანი. გვხვდება ამჟამად უცნობი სახელწოდებანი, ბევრი სოფელი კი სრულებით არ არის

აღნიშნული.

ზღვისპირას აღნიშნულია სოფლები: გაგიდა და გუდას, თანამედროვე გუდავა. გაგიდის დასავლეთით – cifmuri. რუკაზე აღნიშნულია სოფლები: ნაბაკევი (ნაბაკი); სუდდასი – თანამედროვე სიდა; წიფურიას ჩრდილოეთით, თანამედროვე ჭუბურხინჯის აღმოსავლეთ ნაწილში გემიათი, ალბათ იმ დროს არსებული გენათი. მდინარე ერისწყალთან (ჰეტიწყართან) ახლოს აღნიშნულია ქვითი. ამ სახელწოდების სოფელი ამჟამად არ არსებობს. ცნობილია ღელე – ქვითი.

თანამედროვე ქალაქ გალის ადგილას არის გოგიელი. ცნობილია, რომ წინათ გალს გოგიელი ეწოდებოდა. გოგიელს სამხრეთით შიაშიალეთია–თანამედროვე სოფელი შეშელეთი. გოგიელის ჩრდილოეთით აღნიშნულია Tcheis, რომლის მსგავსი ტოპონიმი არსებობს ქალაქ გალის ჩრდილოეთით. გოგიელის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე ენგურის მარჯვენა მხარეს, ბორცვზე აღმართულია კოშკი და აწერია სატანჯი – ეს ჩვენთვის ცნობილი სათანჯოა.

ჰეტიწყარსა და ოქუმის წყალს შორის, ჩვენთვის ამჟამად უცნობ სოფლებს პაპატისსა და არმენს შორის ჩანს დიდი დასახლება-ნაგებობები. შესაძლებლია ეს ოფელი წარჩეა. ცნობილი ისტორიული ძეგლებით. „სულ ჩრდილოეთით, კელასურის კედლის სამხრეთით აღნიშნულია სოფელი ჩხოროთოლი–დღევანდელი სოფელი ჩხორთოლი (ბორცვზე დღემდე შემორჩენილია ცხრათვალა ციხე-სიმაგრე). მდინარე ოქუმის შესართავს ტარსურა აწერია. ტარსურა-ეხალისს (ალბათ, ეგრისის) – ღალიძგას შორის პუნქტებია გიობაწყარი (ჯოყობა წყალი). ზღვის სანაპიროდან ჩრდილოეთით ლაუგიონი, ნაუგილესი, ლიმორი, აპერსალი, მარცხული, ოლუშე ამჟამად სახელშეცვლილნი არიან. ამ სახელწოდების სოფლები არ არსებობს. აქ, ამჟამად ცნობილია ბედია და მის სამხრეთით მდებარე საჩინო. ზღვისპირა სოფელი ილორი, მდინარე ღალიძგას მარცხენა მხარეზეა, კასტელის რუკაზე კი მარჯვენა მხარეზეა აღნიშნული. ჩანს ოჩამჩირე იმ დროს არ არსებობდა, არაა აღნიშნული.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ მდინარე ღალიძგის დასავლეთით მდინარე კოდორამდე აღნიშნულია სოფლები: მერკულა (მერგულა), მოქვი, Tilich–ალბათ, თილითი, ზღვისპირას – სათამაშია, მის ჩრდილოეთით წყურგილი, მარინარის–კარი (მარმარი – კარი, გიორგე – ალბათ, ჯგერდე). კოდორის მარჯვენა მხარეზე აღნიშნულია – „დანდრა".

ენგურიდან ცხენისწყლამდე – რუკაზე მოცემულ ყველა პუნქტს ვერ ჩამოვთვლით, დავასახელებთ რუკაზე აღნიშნულ ამჟამად ქალაქებს და ცნობილ სოფლებს: ზუგდიდი, წალენჯიხა, მარტვილი, სენაკი, რუხი, კორცხელი, მუხური, ხიბულა, ზანა, კირცხი, ჭყონდიდი, გორდი, ზანათი, ნოქალაქევი, ილორი, ძიგური და სხვ.

თაგილონი

ბრინჯაოს ხანიდან ღღემდე

თაგილონი მდებარეობს გალის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ენგურის მარჯვენა მხარეს. შავი ზღვიდან დაშორებულია 20 კმ-ით. ფართობია 30 კმ².

სოფლის სახელწოდების შესახებ ორგვარი მოსაზრება არსებობს: სიტყვა თაგილონი თანგი-დანაა წარმომდგარი. თანგი მეგრულად ყალიბს ნიშნავს. ანტიკურ დროში და უფრო ადრეც აქ მეტალის იარაღები მზადდებოდა. მეტალურგიული კერები არსებობდა თაგილონის ჩრდილოეთითაც და სამხრეთითაც: სოფელ ჭუბურხინჯს წინათ წალამუხი რქმევია. წალა-წიდა-მეტალურგიასთან არის დაკავშირებული. თაგილონის სამხრეთით, სოფელ ფიჩორში ამ დროს არსებობდა მეტალურგიული ცენტრი, სადაც იარაღები მზადდებოდა. მეორე მოსაზრებით სახელწოდებას უკავშირებენ მეგრულ სიტყვას: თაქგინოლი, აქ გადავარდა ადამიანი მდინარე ენგურზე.

სოფელ თაგილონის საზღვრებია: ჩრდილოეთით სოფელი ჭუბურხინჯი, დასავლეთით-სიდა და მზიური (ცხირო გალი), სამხრეთით – სოფელი ნაბაკევი, აღმოსავლეთით მდინარე ენგური. სოფლის უბნებია: სალხინო, ნამხარი, ენწერი. სოფელში გამოყოფენ ზემო, შუა (ცენტრი) და ქვემო თაგილონს. სოფელში გადის რკინის გზა. რკინიგზის ორი ბაქანია თაგილონი და სალხინო. სოფელს გადაკვეთს შოსე–გზა გალი-ჭუბურხინჯი-თაგილონი-ოტობაია-გაგიდა.

ბუნება

თაგილონი კოლხეთის დაბლობის შემადგენელი ნაწილია. რელიეფი – ვაკე-დაბლობია, მხოლოდ ენგურის პირას გვხვდება მცირე ბორცვები. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით რელიეფი ოდნავ მაღლდება და ქვემო თაგილონი გადადის სოფელ ნაბაკევში (გაბარში[1]).

თაგილონის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია შუა მეოთხეული ასაკის მეოთხე და მეხუთე ჭალისზედა ტერასებით – სუსტად შეცემენტებული რიყნარითა და ქვიშებით, თიხებისა და თიხამიწების შუაშრეებით. უფრო მეტი გავრცელებით სარგებლობს ზედა მეოთხეული ნალექები: მესამე და მეოთხე ჭალისზედა ტერასების ალუ-

ვიური ნალექები – რიყნარი ქვიშები თიხა-მიწებისა და თიხების შუა შრეებით. ზედა (გვიანი) მეოთხეული დელუვიური ნალექები გვხვდება ქ. გალის მიდამოებთან – მის აღმოსავლეთით თაგილონის ჩათვლით. მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპიროზე გავრცელებულია თანამედროვე მეოთხეული ნალექები ქვიშნარ-რიყნარი.

სასარგებლო ნამარხებიდან შეიძლება შეირჩეს სააგურე თიხები. თაგილონში არის რამდენიმე მეტრის სიმძლავრის ერთგვაროვანი პლასტიკური სააგურე თიხები, უშუალოდ მდინარე ენგურის სანაპიროზე გვაქვს ინერტული საშენი მასალა (ქვიშა, ხრეში).

თაგილონში ნოტიო (ტენიანი) სუბტროპიკული ჰავაა. იცის რბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. სოფელ თაგილონში არაა მეტეოსადგური, ამიტომ უშუალოდ კლიმატური მონაცემები არა გვაქვს. თაგილონიდან 10-12 კმ-ს დაშორებით რაიონულ ცენტრ ქალაქ გალში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 13,7 გრადუსია, ყველაზე ცივი თვის – იანვრის საშუალო ტემპერატურა 4-5°C-ია, ყველაზე ცხელი თვის აგვიტოს – 28,8°C. ქ. გალში ნალექების წლიური საშუალო რაოდენობა უდრის 1562 მმ-ს. ძლიერი ქარები ყველაზე მეტად მოსალოდნელია თებერვალ-აპრილში, რაც მიწათმოქმედებას ხელს არ უშლის.

სოფელ თაგილონს აღმოსავლეთით უვლის მდინარე ენგური. ენგური კავკასიის ერთ-ერთი უხვწყლიანი, უსწრაფესი მდინარეა. სათავე აქვს სვანეთში. *„რამდენადაც დინჯია ზღვას მიახლოებული ენგური ოდიშში, იმდენად გადარეულია ენგური სვანეთში. აქ მისი სანოლი ვიწროა და ათასგზის დაკლაკნილი. როგორი ძალა უნდა ჰქონდეს ამ წყალს რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, რომ გაუჭრია გრანიტის ტინი, ასე საშინლად დაულეწია ეს სალი კლდეები, ლოდები მირეჯგვ-მორეჯგვავს და ფერდებჩალეწილ ფლატეებს ებრდღვნება დაკოდილ ლომსავით“* (კ. გამსახურდია).

მკაცრი ხეობებით, უხვწყლიანობით ენგური შეუდარებელია საქართველოს სხვა მდინარეებთან. ამიტომ ამბობს მუხრან მაჭავარიანი: *„ენგურთან, ჩემო არაგვო, ხმა აღარ ამოგეღება“*. ხოლო პოეტი კარლო კალაძე ნანობს, რომ ანაკლიასთან ენგური იქცევა *„შავი ზღვის ტალღად“*. ჯვრის კლდეკარიდან გამოსული ენგური თანდათანობით დინჯდება და ზღვისკენ უფრო ნელა მიედინება. თაგილონთან მოახლოებისას ორ ტოტად იყოფა. ენგური არა მარტო სვანეთის, სამეგრელოს, სამურზაყანოს მდინარეცაა. იგი ჩაუვლის გალის რაიონის ულამაზეს სოფლებს: ლეკუხონას, საბერიოს, დიხაზურგას, ჭუბურხინჯს, თაგილონს, ნაბაკევს, ოტობაიას. მდინარე ენგური ენგურჰესს ემსახურება, სოფელ რეჩხში ქმნის დიდ წყალსაცავს. ამჟამად ენგურს ორი შესა-

რთავი აქვს ანაკლიასთან და გუდავასთან.

თაგილონის ტერიტორიაზე ენგურს ორი პატარა ღელე ერთვის: ხაია და წყვიპ-ღალი. ეს უკანასკნელი ამჟამად თითქმის დამშრალია.

ბორცვის ძირას წიფურიის ეკლესიის ნანგრევებთან გამოდის წყარო – ერგუჯარუს სახელწოდებით. მიწა-ნიადაგი ჩვენი მარჩენალია, სიცოცხლის წყაროა, იგი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი და შეუცვლელი საშუალებაა. კაცობრიობა ნიადაგმა მოიყვანა დღემდე და მომავალშიც მას ნიადაგი აცოცხლებს. ქართულ ენაზე ნიადაგს „სამარადისო სახმარის" – მარადიულის მნიშვნელობა აქვს და ნიადაგიც მარადიულია. ნიადაგთმცოდნეები საქართველოს ნიადაგებს ირანულ ხალიჩას ადარებენ. ეს პირველ რიგში გალის რაიონის ნიადაგებზე ითქმის, ხალიჩასავით მრავალფეროვანია მისი ნიადაგები.

სოფელ თაგილონში ენგურის დაბალ ტერასებზე გვხვდება ალუვიური ნიადაგები. ეს ნიადაგები მეტნაკლებად ხირხატიანია. აქვს სუსტი დიფერენცირებული ჰორიზონტები. ჰუმუსოვანი ფენის სისქე 15-30 სმ აღწევს. ალუვიური ნიადაგები ათვისებულია სიმინდისათვის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურებისათვის. სოფელ თაგილონის ტერიტორიის მეტი ნაწილი უჭირავს ეწერ ნიადაგებს (სოფლის უბანსაც ენწერი ეწოდება). ეწერი ნიადაგები ხასიათდება ჰორიზონტების გადასვლებით ელუვიური ჰორიზონტის ილუვიურში შეუმჩნეველად გადასვლით. ქვედა ფენებში ორტშტეინის (მელიჭვილის) დიდი რაოდენობით, ჰუმუსის მაღალი შემცველობით. თაგილონის ეწერი ნიადაგები ათვისებულია ძირითადად ჩაის პლანტაციებისათვის, ციტრუსებისათვის, სიმინდისა და სხვა კულტურებისათვის. სოფელ თაგილონში ნიადაგის ეროზიის საშიშროება არ არის, არც ჭაობები იყო დასაშრობი. სასუქების შეტანით მოსავლიანობა დიდდება.

სამურზაყანოს დაბლობზე ბევრია მზე, სითბო და ტენი. ამიტომ ძველი დროიდანვე თაგილონი მდიდარი იყო მცენარეებით, პირველ რიგში ტყეებით. ჯერ კიდევ ფრ. დიუბუა დე მონპერე აღნიშნავდა: სამურზაყანო ტყით არის დაფარულიო. „თითქმის მთელი სამურზაყანო ტყითაა დაფარული, სახნავი მიწები აქ ცოტაა", – წერდა მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში ცნობილი რუსი მეცნიერი ი. ბართლომეი. „მთელი სამურზაყანო ტყით არის დაფენილი", – წერდა ამ ასი წლის წინათ „ბუნების კარში" იაკობ გოგებაშვილი.

ნახევარი საუკუნის წინათ თაგილონში სულ სხვა სურათს ვნახავდით. ტყით დაფარულ სოფელს, მუხნარს, თუ კოპიტის ტყეს განსაკუთრებით წიფლნარს. აკი თაგილონის ერთ-ერთ უბანს წარსულში წიფურიას – წიფლნარი ეწოდებოდა.

ტყე ყოველთვის ლამაზია გაზაფხულზე, როცა იგი სიცოცხლეს ეგებება, მწვანე მოსასხამით იმოსება და შემოდგომაზეც, განსაკუთრებით ოქტომბერში, როცა მისი მწვანე სამკაული ოქროსფერი ხდება. ანთროპოგენური ცვლილებები ბუნების არც ერთ კომპონენტს ისე სწრაფად არ შეემჩნევა, როგორც მცენარეულ საფარს. თაგილონის ტყეებიც გაიკაფა, ტყის ადგილი სამოსახლოებმა, ჩაის პლანტაციებმა, ციტრუსებმა, ტექნიკურმა კულტურებმა, სიმინდის ყანებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებმა დაიკავა, რა არ ხარობს თაგილონის მადლიან მიწაზე!

მდიდარია გალის რაიონის ცხოველთა სამყაროც. ამას ტოპონიმებიც გვიდასტურებს (ოკვინორე, ოხოჯე, ოკალამახე, ომუნჩქვე და სხვ.). მდიდარი იყო თაგილონის ცხოველთა სამყაროც. ადამიანის ზეგავლენით კი თანდათან მცირდებოდა გარეული ნადირ-ფრინველით. თაგილონი ერთ დროს „ხოხბების სამშობლოდ" ითვლებოდა. ხოხობს მეგრულად ქილორი ეწოდება. თაგილონში ადგილობრივი გვარია ქილორავა. ბრაკონიერებმა თითქმის მოსპეს ჩვენი ბუნების მშვენება – ხოხობი. გვხვდებოდა შველი.

ადამიანის ზემოქმედებით შეიცვალა თაგილონის ლანდშაფტიც, ტყის ლანდშაფტი უკვე აღარ გვხვდება.

არქეოლოგიური ძეგლები

სოფელ თაგილონის ტერიტორიაზე არქეოლოგიური მონაპოვრებიდან ორი განძია ცნობილი. თაგილონის პირველი განძი ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის. 1850 წელს თაგილონში აღმოჩენილი პირველი განძი შეიცავს ბრინჯაოს იარაღებს და მიეკუთვნება ბრინჯაოს ხანას. ნაპოვნია ბრინჯაოს ქვაბში ჩაწყობილი კოლხური ცულის ყალიბი, კოლხური ცული და სხვა.

თაგილონში არის ნაპოვნი ქვის ხანის ძეგლები. სოფლის ჩრდილოეთით მოსაზღვრე სოფელ ჭუბურხინჯში ნაპოვნია ქვედა პალეოლითური აშელ-მუსტიეს ძეგლები (ქვის იარაღები), რაც პირველყოფილი ადამიანის დასახლებაზე მიგვითითებს.

თაგილონის მეორე განძი ანტიკური ხანისაა. 1930 წელს სოფელ თაგილონში რკინიგზის ხაზის გაყვანისას მიწის სამუშაოების შესრულების დროს შემთხვევით იქნა აღმოჩენილი მდიდრული ორმო-სამარხი. სამარხეული ინვენტარის მეტი ნაწილი გაიტაცეს და დაიკარგა. ნაწილი გადარჩა და იგი ცნობილია თაგილონის მეორე განძის სახელწოდებით.

ესაა მამაკაცის მდიდრული სამარხის ინვენტარის ნაწილი: ოქროს საგნები, სარიტუალო ოქროს ხარ-ირმის თავის ქანდაკება და ოქროს სხვა ნივთები, ვერცხლის ჭურჭლები, ბრინჯაოს იარაღები და სამკაულები, რკინის იარაღები. თაგილონის პირველი და მეორე განძი დაცულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

მისი აღმოჩენის ისტორია კი ასეთია: 1930 წლის 21 ივლისს, დაახლოებით შუადღეს, ოთხმა, ეროვნებით რუსმა მუშამ, რომელნიც მუშაობდნენ რკინიგზის ხაზის გაყვანაზე სოფელ თაგილონში, დაახლოებით 0,75 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს ოქროს და ვერცხლის საგნები; ბრინჯაოს და რკინის საგნებისათვის მათ არ მიუქცევიათ ყურადღება) და იქვე განაწილდა განძის აღმომჩენ ოთხ პიროვნებას შორის ოქროს ნივთები. მოხდა ზოგიერთი საგნის დამტვრევაც, რომ ოთხად დაეწანილებინათ. მონაპოვრის შესახებ გაიგეს თაგილონელმა გლეხებმა და მაშინვე აცნობეს მდინარე ენგურის მარცხენა მხარეს მდებარე ხე-ტყის სახერხი ქარხნის მილიციის რაზმს. ერთ-ერთ მუშას უპოვეს განძის ნაწილი და იგი იძულებული გახდა ჩაებარებია მონაპოვრის თავისი ნაწილი. ნაპოვნი ნივთები გადაეცა ზუგდიდის მუზეუმს. სამმა მუშამ კი მოასწრო დამალვა და განძის სამი მეოთხედი ნაწილი დაიკარგა.

თაგილონში მოაელინეს ზუგდიდის მილიციის თანამშრომლები და მზის ჩასვლის შემდეგ ლამპის სინათლეზე განაგრძობდნენ გათხრას. მეორე დღეს განძის პოვნის ადგილზე მოვიდა ზუგდიდის მუზეუმის დირექტორი აკაკი ჭანტურია, რომელმაც შესძლო ეპოვა ოქროსა და ვერცხლის წვრილი ნატეხები, რკინის ჭაჭვის პერანგის ნაგლეჯები. იქვე, იმავე სიღრმეზე ნაპოვნი იყო სქელკედლიანი ცარიელი ორი თიხის ჭურჭელი.

მიღებული იქნა ენერგიული ზომები განძის გამტაცებელთა მოსაძებნად, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ მოასწრეს მიმალვა. ამიტომაც ვერ დადგინდა რა მდგომარეობაში ელაგა საგნები მიწაში.

აკადემიკოს ნიკო მარის წინადადებით 1930 წლის აგვისტოში ა. ამირანაშვილს დაევალა ზუგდიდის მუზეუმში დაცული თაგილონის განძის შესწავლა. 1935 წელს თბილისის უნივერსიტეტმა რუსულ ენაზე გამოსცა ა. ამირანაშვილის წიგნი: „Новая находка в низовьях р.Ингури". ჩვენც ამ წიგნით ვისარგებლებთ, მხოლოდ დავასახელებთ განძის სახელწოდებას აღწერის გარეშე:

1. ირმის თავი პროფილში
2. ოქროს მძივი, მარცვლით შემკული
3. ოქროს ფირფიტა გაჭრილი (მონატეხი) ორნამენტით

(ჩუქურთმით)

4. ოქროს ბალთა ნახევარმთვარის სახით, შემკული მარცვლითა და ფერადი მინით

5. ორი მრგვალი ოქროს ბალთა, შემკული მარცვლითა და ფერადი მინით

6. მსხვილი (დიდი) ოქროს ბალთა

7. ორი ოქროს ბალთა მრგვალი, დაშტამპული გეომეტრიული ორნამენტით

8. ვერცხლის ჭურჭელი

9. ვერცხლის ლანგარი

10. ვერცხლის ჭურჭელი

11. ვერცხლის თასი

12. ვერცხლის ფიალა (ჯამი)

13. ვერცხლის თასის ფეხები

14. ვერცხლის სამკაული ლომის თავის სახით

15. ღვინის სასმელი ჭურჭელი ვერცხლისა

(მასალა გადმობეჭდილია შემოკლებით დოცენტ რეზო ხვისტანის ნაშრომიდან: „გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სიძველეები").

ინტალიო ბეჭედი – ხელოვნების უნიკალური ნიმუში

1981 წლის გაზაფხულზე, გალის მუზეუმში სოფელ თაგილონიდან სკოლის დირექტორმა აკაკი გეგიძემ მოიტანა ინტალიო ბეჭედი. ბეჭედი შემთხვევით უპოვნია მოსწავლე ო.პაპასკირს, სოფლის ცენტრიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით, ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარის მიერ ანტიკური და შუა საუკუნეების ძლიერი ფენების შემცველი ბორცვის ჩამორეცხილ ფერდობზე, ნახევრად მიწით დაფარული (სხვა ნივთი მასთან ერთად არ ყოფილა).

ინტალიო მოწითალო სარდიონისაა, ღია ყვითელი ფურცლოვან ოქროს რკალშეკრულ ბეჭდის თვლებშია იასმული. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა (ბეჭდის დიამეტრია 19მმ, ინტალიოს სიგრძე – 25მმ, განი – 20მმ). გამოსახულებანი, ქვა კარგად არის შენახული, ბეჭდის რკალი კი დაზიანებულია.

პირზე გამოხატულია სვეტზე აღმართული ფარის წინ დაბალ, უზურგო სკამზე მჯდომი შეუმოსავი ჭაბუკი, რომელსაც მარჯვენა ხელში მუხლზე დაბჯენილი თასმიანი (ჩამოსაკიდებლიანი) სატევარი უჭირავს.

მარცხენა ხელით სკამს ეყრდნობა. თავზე მნათობის გამოსახულებით შემკული გვირგვინი ადგას. ღრმა ტალღებად დატეხილი თმის ვარცხნილობა აქვს. ჭაბუკის თავი პროფილშია მოცემული, ხოლო ტორსის ზედა ნაწილი (წელს ზემოთ) 3x4 მარცხნივაა შემობრუნებული, მისი მზერა სვეტისაკენაა მიმართული.

გამოხატულება დაზგაზე უნდა იყოს ამოჭრილი და შემდეგ ბრინჯაოს ნემსით და საჭრისით დამუშავებული. გამოსახულება ანაბეჭდზე მკაფიო რელიეფს იძლევა. ფაქიზი ნახელავია, დახვეწილი კვეთითაა შესრულებული, მაღალი მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა, რაც ანონიმი ოსტატის ტალანტზე მიუთითებს. ჭაბუკის სხეულის პროპორციები ლამაზი და მოქნილია. მთელი ფიგურა პლასტიკურია. რეალისტურადაა შესრულებული. ჭაბუკის სხეულის ფორმები ძალზე მეტყველია, საკრალურადაა გაშიშვლებული, ხაზგასმულია სხეულის ნაწილების პროპორციულობა, ნაკვთების რბილი გადასვლებით, დეტალების მკვეთრი დამუშავება სილამაზის გრძნობას ავლენს. იგი ლამაზი და ღონიერი ალნაგობისაა.

არსებული ანალოგიების მიხედვით, ინტალიოზე გამოხატული ჭაბუკი მითოლოგიური აქილევსი შეიძლება იყოს. აქილევსს ტროას ალყის დროს უკმაყოფილება მოუვიდა აგამემნონთან და უარი განაცხადა ომის გაგრძელებაზე. ჩხუბის მიზეზი ტყვე ქალი ზროსეიდა გახდა, რომელიც აქილევსს წაართვა აგამემნონმა. ისარგებლეს რა აქილევსის წასვლით ტროელებმა სასტიკად დაამარცხეს ბერძნები. მაშინ აქილევსის მეგობარი პატრიკლე აქილევსის თანხმობით ებმება ომში, ტროელების წინააღმდეგ. მან ბერძნების სასარგებლოდ შეაბრუნა ომის ბედი, მაგრამ თვით მალე დაიღუპა ჰექტორის ხელით. მეგობრის სიკვდილით აღშფოთებული აქილევსი ფიცს დებს, რომ სამაგიეროს გადაუხდის ჰექტორს. ჰეფესტოს მიერ საგანგებოდ გამოკვეთილი იარაღით (შემდგომში საყოველთაოდ ცნობილი ფარით) აქილევსმა დაამარცხა ტროელები და მოკლა ჰექტორი.

თაგილონის ინტალიოზე ამ იარაღით აღჭურვილი აქილევსი უნდა იყოს გამოსახული იმ დროს, როცა იგი ფიცს დებს, რომ სამაგიეროს გადაუხდის ტროელებს. დაახლოებით ასეთივე პოზაში მჯდომი შეუმოსავი აქილევსი (ფარით ხელში) გამოსახულია I საუკუნის გემაზე. ფეხზე მდგომი შეუმოსავი აქილევსი (ფარით, სატევარითა და შუბით აღჭურვილი) გამოსახულია რესპუბლიკური ხანის გემაზე. ანალოგიური თასმიანი სატევრით, უზურგო სკამზე მჯდომი აქილევსი (ლირაზე უკრავს, ფეხებთან თავის გამოსახულებიანი ფარი უდევს). გამოსახულია რომაული ხანის გემაზე. მსგავსი სვეტი და სატევარია

გამოსახული ადრეული ელინური ხანის გემაზე.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალებში ანალოგიები ვერ მოვუძებნეთ მნათობის გამოსახულებიან გვირგვინს და ფასკუნჯის მაგვარ სკამს.

ინტალიოს გამოსახულება საკმაოდ ღრმადაა ამოჭრილი. ქვის ასე ღრმად ამოჭრა, რაც მას მეტ რელიეფურობასა და პლასტიკურობას აძლევდა, ელინიზმისთვისაა დამახასიათებელი. ამავე ხანაში ერწყმება ერთმანეთს ინტალიოს ორი ფორმა (მანამდე ინტალიო ან მთლიანად ლითონისაგან კეთდებოდა ან მთლიანად ქვისაგან).

როგორც აღვნიშნეთ, აქილევსი სულიერი აფექტის მომენტშია ასახული (იგი ფიცს დებს, რომ ისისხლებს მეგობარს). ადამიანის ანატომიის ღრმა შეასწავლამ ელინისტური ხანის მოქანდაკეებს საშუალება მისცა წარმოესახა დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, ადამიანის ხასიათის მრავალფეროვნება, სულიერი თუ ფიზიკური განცდები.

თაგილონის ინტალიოზე გამოსახული ჭაბუკი მარცხენა ხელით სკამზეა დაყრდნობილი, მარჯვენით მუხლზე დაბჯენილ სატევარზე. სიმძიმე გადააქვს ოდნავ უკან გადაწეულ მარჯვენა ფეხის წვერზეც. იგი თითქოს ეძებს საყრდენ წერტილს, თითქოს, ჯერ კარგად ვერ დამჯდარაო. ეს „მოძრაობა" ჭაბუკს შინაგან დაძაბულობას, დინამიკას და ცოცხალ ემოციურობას ანიჭებს, „საყრდენი წერტილის" ძებნა ელინისტური ხანის ქანდაკებისთვისაა დამახასიათებელი. ელინისტური ქანდაკება გავლენას ახდენდა ე. წ. მცირე ხელოვნების განვითარებასა და მხატვრულ სახეებზე. არსებითად მცირე ფორმებში იმეორებდა მონუმენტური ქანდაკების მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს. ჩვენს ინტალიოზე აქილევსის მონუმენტური სკულპტურის პირი უნდა იყოს გამოსახული.

თაგილონის ინტალიო-ბეჭდის რკალის ფორმის მსგავსი ბეჭდები ჟ. ბორდმანს დათარიღებული აქვს ძვ.წ.აღ. III საუკუნით.

ამრიგად, ბეჭდის ფორმითა და გამოხატულების საერთო სტილით თაგილონის ინტალიო ბეჭედი ძვ. წ.აღ. III საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. იგი მაღალმხატვრული ღირებულების ძეგლს წარმოადგენს, რომელიც უდაოდ დიდ სახელოსნოში მოღვაწე მჭრელის მიერაა შესრულებული. თაგილონის ინტალიო ბეჭედი მხატვრული კვეთის ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშია, რომელიც უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს დახვეწილი ფორმითა და პროპორციებით, გაწონასწორებული კომპოზიციითა და მოქნილობით. ბეჭედი უფლებრივ საბეჭდავს უნდა წარმოადგენდეს.

როგორც ცნობილია, ძვ.წ.აღ. III საუკუნიდან ხდება ბერძნული ნაწარმის ფართო იმპორტირება კოლხეთში. შემოტანის შემდეგ აღნიშნული ბეჭედი, ალბათ, მდიდარი და წარჩინებული პიროვნების საკუთრება იქნებოდა. იგი უფლებრივი საბეჭდავი უნდა ყოფილიყო. შეიძლება ერთსა და იმავე დროს ხმარობდნენ სამკაულადაც და საბეჭდავადაც.

ამგვარად, თაგილონმა მეცნიერთა ყურადღება ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მიიქცია, მას შემდეგ, რაც აქ რკინიგზის მშენებლობის დროს შემთხვევით იქნა აღმოჩენილი I-II საუკუნეებით დათარიღებული სამარხი, რომლის მცირე ნაწილი – ირმის თავის ოქროს ქანდაკება, ოქროს ინკრუსტრირებული მძივები, ოქროს ბალთები, ოქროს ნატეხები, ვერცხლის ჭურჭელი, ბრინჯაოს დოქი, რკინის ლაგმები, რკინის ფარის ნატეხები და სხვ. ამჟამად ზუგდიდის მუზეუმშია დაცული. ამავე პუნქტში შემთხვევით ნაპოვნი ძვ.წ.აღ. IV-III სს-ის ოქროს ბეჭედი (იხ. მარგარიტა ლორთქიფანიძე, კოლხეთის ძვ.წ.აღ. V-III სს-ის საბეჭდავი ბეჭდები, თბილისი 1975 წ., გვ. 104-108.).

აღნიშნული ძეგლები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ადრე ანტიკურ ხანაში ენგურ-ღალიძგას ორმდინარეთის ცენტრი თაგილონი უნდა ყოფილიყო. იმპორტული მასალის სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდში ზღვიდან თაგილონამდე ენგური სანაოსნოდ ყოფილიყო გამოყენებული და განხორციელებულიყო ურთიერთობა ზღვის იქეთა მხარესთან. თავისი მოხერხებული მდებარეობის გამო თაგილონი წარმოადგენდა უახლოეს არტერიას აღმოსავლეთ ეგრისთან და დასავლეთთან ურთიერთობისათვის. ცნობილია, რომ მთავარი გზები ეკონომიკურად დაწინაურებულ რაიონებზე გადის. ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი პუნქტი თავისკენ ეწევა გზას, ამ მხრივ თაგილონზე გამავალი გზა ნიშანდობლივია. ამ დროს უნდა გვქონოდა მხარის მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია.

ანტიკურ ხანაში ენგურსა და ღალიძგას (ეგრისს) შორის ტერიტორიის ცენტრი თაგილონი რომ უნდა ყოფილიყო, ამ აზრს იზიარებს თაგილონის საშუალო სკოლის დირექტორი რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი შალვა სტეფანეს ძე ჯოლოგუა (იხ. შ.ჯოლოგუა „ბევრი რამ შთამბეჭდავი". გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი"): „ვერავინ დაიჯერებს, რომ ეგრისის ამ ერთ-ერთ წამყვან რეგიონს სახელი არ რქმეოდა, ვიდრე სამურზაყანოს დაარქმევდნენ. გამოვდივართ მოსაზრებით, რომ ნამდვილად რეგიონს იმ ადგილის სახელი ერქმეოდა, რომელიც ეკონომიკურად წინ იდგა. არქეოლოგიური და ისტორიული მასალების შედარება გვაფიქრებინებს, რომ ეს ცენტრი დღევანდელი თაგილონი იყო.... ყველა ზემოთ მოტანილი ცნობა შესაძლებლობას

გვაძლევს ვიფიქროთ, დღევანდელი გალის რაიონის ცენტრი ანტიკურ ხანაში თაგილონი იყო და ამ ეპოქაში ამ რეგიონსაც **თაგილონეთი** ერქმეოდა".

ჩვენ, ამ ნარკვევის ავტორები, მხარს ვუჭერთ ბატონ რევაზ ხვისტანს და შალვა ჯოლოგუას მოსაზრებას, რომ ანტიკურ ხანაში ენგურსა და ეგრისს (ღალიძგას) შორის ცენტრი შესაძლებელია თაგილონი ყოფილიყო. ერქვა თუ არა მას თაგილონეთი გასარკვევი საკითხია.

მოსახლეობა

1909 წლის აღწერით, სოფელ თაგილონის მოსახლეობა შეადგენდა 1897 კაცს, პლიუს 340 ბავშვი. აფხაზეთის კონფლიქტამდე თაგილონის მოსახლეობა შეადგენდა 2315 კაცს.

სოფელ თაგილონის ადგილობრივი ძირძველი გვარებია: **შარია, არდაშელია, აბლოთია, სექანია, ძაძუა, ჯოლოგუა, ლაბაშია, ქილორავა**. ჭუბურხინჯიდან გადმოსულან **ყოლბაიები**, ნაბაკევიდან – **თორიები**, ოტობაიადან – **ქირთბაიები, ზანთარაიები**. ცხოვრობენ თავად-აზნაურთა შთამომავლები, დავასახელებთ მხოლოდ ერთ გვარს **ანჩაბაძე**.

სხვადასხვა დროს თაგილონში ჩამოსახლებულან: იმერეთიდან – **შუბლაძეები, აბზიანიძეები, გეგიძეები**; სენაკს ახლოს თეკლათიდან ჩამოსახლებული **მაშავები** აქ ინოდებოდნენ **მარშავებად**. მარტვილიდან – **ანჯაფარიძე**; წალენჯიხიდან **თვალთვაძე**; აბაშიდან – **ბოკუჩავები**. სამეგრელოს რაიონებიდან – **ზაქარაიები, შონიები, ბერაიები, გეთიები, კაკულიები** და სხვ.

როგორც ჩანს წარსულში თაგილონი თავისი ბუნებით, ნიადაგის ნაყოფიერებით იზიდავდა სხვა სოფლების მცხოვრებთ. ამიტომ მუდმივ საცხოვრებლად გადმოდიოდნენ თაგილონში. ჩანს ადგილობრივი მცხოვრებნი კარგად ხვდებოდნენ სხვა სოფლებიდან ჩამოსულთ.

თაგილონში ცხოვრობენ შემდეგი გვარები:

1. აბლოთია
2. აბზიანიძე
3. ადამია
4. აკობია
5. ანთელავა
6. ანჩაბაძე
7. ანჯაფარიძე
8. არდაშელია
9. არქანია
10. ბასლანძე
11. ბზეკალია
12. ბენდელავა

13. ბელქანია
14. ბერაია
15. ბესელია
16. ბოიჩუკი
17. ბოკუჩავა
18. ბუკია
19. გაბუნია
20. გამახარია
21. გამისონია
22. გეგელია
23. გეგიძე
24. გეთია
25. გვარამია
26. გვათუა
27. გითოლენდია
28. გოგოხია
29. დარასელია
30. დადაჰავა
31. დარსანია
32. ესართია
33. ეხვაია
34. ზანთარაია
35. ზარქუა
36. ეთერია
38. თორია
39. თაკალანძე
40. თვალთვაძე
41. იზორია
42. კაკულია
43. კვიტია
44. კვერსელავა
45. კიუტი
46. კორკელია
47. კობერიძე
48. კილასონია
49. ლაბაშია
50. ლაშხია
51. ლემონჯავა
52. ლეჟავა
53. მალანია
54. მარშავა
55. მოლაშხია
57. მორგოშია
58. მიქავა
59. მირცხულავა
60. მიქიაშვილი
61. მურუსიძე
62. მუშუქია
63. ორჟონია
64. ოყუჯავა
65. პაჭკორია
66. პერტაია
67. პაპასკირი
68. რიგვავა
69. რუხაია
70. საჯაია
71. სექანია
72. სიგუა
73. სოტკილავა
74. ტაბლუა
75. ტურძელაძე
76. ტუფურია
77. ფაჟავა
78. ფაცურია
79. ფაცაცია
80. ფარულავა
81. ფილფანი
82. ქაჯაია
83. ქირთბაია
84. ქილორავა
85. ქორქია
86. ქობალი
87. ქურდაგია
88. ქუხილავა
89. ყოლბაია
90. შაგიძე

91შამუგია
92. შარია
93. შუბლაძე
94. შენგელია
95. შონია
96. ჩაფრავა
97. ჩხეტია
98. ძაძუა
99. წულაია
100. წულუკია
101. ხარჩილავა
102. ხარაშვილი
103. ხასაია
104. ხასია
105. ხორავა
106. ხუბულავა
107. ხურცილავა
108. ჯანჯღავა
109. ჯალაღონია
110. ჯიმშელია
111. ჯობავა
112. ჯოლოგუა
113. ჯოჯუა
114. ჯღარკავა
115. კეშელავა
116. ჯონჯუა

თაგილონელი შინამოუსვლელები:
(1941-1945)

„... და სადმე ტყვია თუ გააცივებს გულს საშინელი განადგურებით
თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ, დანაშაული არდაბრუნების“.

1. აბლოთია მირიან ჯამას ძე
2. ადამია ლაუ ნარიქის ძე
3. ადამია დურუ ევგეს ძე
4. აბლოთია ივანე უშანგის ძე
5. აკობია ფილიპე პახვალას ძე
6. აბლოთია ჟორა თემურის ძე
7. აბლოთია ილია ნაუს ძე
8. აბლოთია ბადღა კაის ძე
9. აბლოთია ლადი ისლამის ძე
10. არდაშელია შალვა პლატონის ძე
11. ბოკუჩავა მიხალოზ ნესტორის ძე
12. ბასლანძე იონა ბარდღუს ძე
13. ბასლანძე ღულუნი გუდუს ძე
14. ბასლანძე ომე გუდუს ძე
15. ბასლანძე ლადიკო ბახუს ძე
16. ბასლანძე ლუკა პავლეს ძე
17. ბენდელავა მიშო სოლომონის ძე

18. ბენდელავა ნიკო ქვაჩალას ძე
19. ბერაია კორსანტელი ფაჩიას ძე
20. ბერაია ილიკო დიმის ძე
21. ბერაია ალიოშა დიმის ძე
22. ბერაია ტარას მარკოზის ძე
23. ბენდელავა ვალოდია ძურგუს ძე
24. ბერაია ჯოტო პავლეს ძე
25. ბერაია კირილე შამუქას ძე
26. ბერაია აკაკი მიქელას ძე
27. ბენდელავა ილიკო ქვაჩალას ძე
28. ბზეკალია გოძო ქუჩუს ძე
29. გაბუნია ღვეტელე მიხას ძე
30. გამისონია დურუ ექვთმიეს ძე
31. გამისონია ნიკოლოზ არჩილის ძე
32. გამისონია ვარლმა ნიკოლოზის ძე
33. გამისონია ადვერ ევგეს ძე
34. გამისონია მამანტი ევგეს ძე
35. გამისონია ნესტორ ტაგუს ძე
36. გვარამია აკაკი ანდროს ძე
37. გვარამია ალე ტარასის ძე
38. გვარამია ლავრენტი იბერნის ძე
39. გვარამია დათუშა ესტატეს ძე
40. გვარამია ნიკოლოზ იბლონის ძე
41. გვარამია ვალიკო ვლადიმერის ძე
42. გვარამია ტრიფო მარკოზის ძე
43. გვარამია კონდრატე მარკოზის ძე
44. გვარამია მოსე მარკოზის ძე
45. ზანთარაია სერიოჟა ჯოგოს ძე
46. ზაქარაია ხუხუტი კოხტას ძე
47. ზანთარია ვალოდია იორდანეს ძე
48. ზანთარია შალიკო მალაქიას ძე
49. ზარქუა ვ. დიტოს ძე
50. თვალთვაძე კარლო კოსტას ძე
51. თორია ფილიპე ათანასეს ძე
52. თორია ამბაკო ძვაძვალეს ძე
53. თორია რაჟდენ პეტრეს ძე
54. თორია კოლია რაჯების ძე
55. თორია ბიქტორი პეტრეს ძე

56. კიუტი გრიშა ჩონჩორის ძე
57. კვერსელავა მამანტი იასონის ძე
58. კვერსელავა ვლადიმერ იასონის ძე
59. კორკელია კირილე ნიკოლოზის ძე
60. კორკელია ალექსანდრე ნარიქის ძე
61. კაკულია ვანო გერასიმეს ძე
62. კვიტია სამსონ კვადაშის ძე
63. კვიტია ვალიკო კონდრატეს ძე
64. კვიტია ლევან ანდროს ძე
65. ლემონჯავა იროდიონ ზოსიმეს ძე
66. ლემონჯავა ბოკო ზოსიმეს ძე
67. ლემონჯავა რადიონი
68. მოლაშხია კოლია ბადრას ძე
69. მოლაშხია ვალიკო კოწიას ძე
70. მირცხულავა პეტრე თენგიზის ძე
71. მირცხულავა ალექსანდრე ანდროს ძე
72. მირცხულავა დუშელი ბაჯას ძე
73. მირცხულავა ლეონტი ანდრიას ძე
74. მიქიაშვილი გიგო სიმონის ძე
75. ორჟონია მეგონა ალექსანდრეს ძე
76. ორჟონია შალვა ბასილის ძე
77. ოყუჯავა ვარლამ ხვახვალას ძე
78. რიგვავა მეგონა ძაგუს ძე
79. რიგვავა ხარიტონ გერასიმეს ძე
80. რიგვავა ვანია ტარასის ძე
81. რუხაია კონდრატე ყარამანის ძე
82. რუხაია ბუძო კოწიას ძე
83. რუხაია ვალოდია კოწიას ძე
84. რუხაია ხათა პავლეს ძე
85. სექანია ვალიკო ავთანდილის ძე
86. სიგუა ბუჯგა ნარიქის ძე
87. სიგუა ვალიკო სტეფანეს ძე
88. უბილავა პანტიკო თეიმურაზის ძე
89. უბილავა შალვა ევგეს ძე
90. უბილავა ჯვიბალი თემურის ძე
91. ქირთბაია ჟორა ესავას ძე
92. ქილორავა ვანო სანდროს ძე
93. ქილორავა მიშო სანდროს ძე

94. ქილორავა კირილე მითავას ძე
95. ქილორავა ერეკლე ჩახას ძე
96. ქილორავა ფარნაოზ ჩახას ძე
97. ქილორავა ვარლამ გერასიმეს ძე
98. ქილორავა შალვა გერასიმეს ძე
99. ქილორავა მირიანე დიანოზის ძე
100. ქილორავა სოკრატ მითავას ძე
101. ქილორავა პლატონ მითავას ძე
102. ქილორავა სტეფანე კაზას ძე
103. ქილორავა გრიშა ჩახას ძე
104. ქილორავა იასონი მითავას ძე
105. შაგიძე ბიქტორი
106. შუბლაძე კირილე ჯოჯოს ძე
107. შუბლაძე კირილე კორსანტელის ძე
108. შუბლაძე ვალოდია მალაქიას ძე
109. შუბლაძე არტემ კორსანტელის ძე
110. შარია ტერენტი გვარდღის ძე
111. შარია თეოფანე გვარდღის ძე
112. შარია ვ. გ.
113. შარია ვ. ნ.
114. შარია ალიოშა მიხას ძე
115. შარია იპოლიტე დიანოზის ძე
116. შარია სოკრატ იადონის ძე
117. შარია რადიონ იადონის ძე
118. შარია ალიოშა დროსო ძე
119. შარია კაპიტონ იბლოს ძე
120. შონია აკაკი კელუცას ძე
121. შონია ბოჩია ბეგის ძე
122 . შარია რაჟდენ პეხუს ძე
123. შარია პროფი ილიას ძე
124. შონია კორსანტელი
125. შონია ვარლამ პილას ძე
126. შაგიძე ხუხუტი გერასიმეს ძე
127. შაგიძე კოლია კიკალის ძე
128. შაგიძე ჟორჟი კიკალის ძე
129. შონია ერმინე კაშნას ძე
130. შარია ვახტანგ დარას ძე
131. შარია ვარლამ იასონის ძე

132. შონია არტემ ჯოგოს ძე
133. შონია ბიქტორ სიბის ძე
134. შარია მირიანე ერასტოს ძე
135. შონია ბაგრატ ნესტორის ძე
136. შონია გუდუ პავლეს ძე
137. შონია გ. ბ.
138. შარია დიმიტრი ბასას ძე
139. შარია ვალოდია ლუკას ძე
140. შარია ალექსანდრე დურუს ძე
141. შარია მამია არსენას ძე
142. შარია რაჟდენ მიხეილის ძე
143. შარია გიძო ყუბასის ძე
144. შარია შალიკო ეგნატეს ძე
145. შონია ბიქტორ სიმონის ძე
146. ჩხეტია ამირან ლევანის ძე
147. ჩაფრავა დურუ მელიტონის ძე
148. არდაშელია იროდი ბეგლარის ძე
149. შონია მიხეილ ძოკიას ძე
150. ჩაფრავა გოჯო მელიტონის ძე
151. წულაია თ. ი.
152. ჭარაია ძუკა პავლეს ძე
153. ხელაია კ. ი.
154. ხურცილავა ილია ქუთარის ძე
155. ხურცილავა ბ. ა.
156. ხურცილავა ვ. ქ.
157. ხურცილავა ბ. ს.
158. ხურცილავა ძაძია
159. ხურცილავა გერასიმე სტეფანეს ძე
160. ხურცილავა ი. ბ.
161. ხურცილავა ლეონტი მაკარის ძე
162. ხუბულავა პორფილე (ბაჯგა) ცოცოს ძე
163. არქანია მიხეილ ინაურის ძე
164. შონია ტატაში ძოკიას ძე
165. ჯღარკავა იოსებ ოთარის ძე
166. ჯანჯღავა არლიკო ბასას ძე
167. ჯანჯღავა ქ. ზ.
168. ჯანჯღავა შ. ნ.
169. ჯანჯღავა ლ. ნ.

170. ჯოლოგუა ვალოდია ნიკოლოზის ძე
171. ჯოლოგუა არდევან ჭიჭის ძე
172. ჯოლოგუა მუხია სტეფანეს ძე
173. ჯოლოგუა აკაკი მიხეილის ძე
174. ჯოლოგუა ერმინე ვასილის ძე
175. ჯანჯღავა ლ. კ.
176. ჩაფრავა დომე მელიტონის ძე
177. ხუბულავა მამია ვარლამის ძე
178. ცხაკაია მიხეილ პაველეს ძე

სამამულო ომის მონაწილე თაგილონელი ქალბატონები:

1. გეგელია თამარი ანტონის ასული
2. თვალთვაძე თამარი კოსტას ასული
3. სექანია ვანდა
4. შარია ლუშა აკაკის ასული
5. შონია მარგო ჯოგოს ასული
6. შუბლაძე ფუფა

თაგილონის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები:

1. პლატონ შარია
2. ილარიონ შარია
3. მიხა მარშავა
4. ტატაში შონია
5. გაბრიელ ქილორავა
6. ნადია აბლოთია
7. კირილე წულაია
8. მაჟარა მარშავა
9. გრიშა გეგეჭკორი
10. გაბრიელ შარია
11. რადიონ ჯგერენაია
12. ეკატერინე ძაძუა
13. იური კაკავა
14. რევაზ გეგიძე აკაკის ძე
15. თამარ გოგოხია
16. კალისტრატე შუბლაძე
17. ნელი შარია
18. აკაკი ზაქარაია

19. გრიშა ხუფენია
20. გრიგოლ ჭაფანძე
21. ვანო მარღანია
22. გრიშა ჩხეტია
23. აკაკი გეგიძე
დავით აბლოთია

თაგილონის სოფსაბჭოს თავმჯდომარეები:
(1921 წლიდან)

1. ამბაკო ხარჩილავა
2. გრიშა ჯალალონია
3. გაბრიელ ქილორავა
4. გრიშა შარია
5. ღუღუნი ფაჟავა
6. ჯოგო მარშავა
7. მაჟარა მარშავა
8. ალექსანდრე კვიტია
9. სილიბისტრო შარია
10. მალაქია ზაქარაია
11. გოგი აბლოთია
12. პავლე ბერაია
13 ანატოლ ჯოლოგუა

თაგილონელი ექიმები:

1. თეოფანე შარია
2. აკაკი სექანია
3. ვანიჩქა სექანია
4. ვილგელმ სექანია
5.ირონდიონ ყოლბაია
6. გურამ სექანია
7. დევი სექანია
8. ოთარ მარშავა

თაგილონელი დამსახურებული მასწავლებლები:

1. ალექსანდრე გეგიძე
2. ჯოტო ბერაია
3. ვალიკო ჯოლოგუა
4. შალვა ჯოლოგუა

5. გრიშა თვალთვაძე
6. პაუსია ყოლბაია
7. მარო ძაძუა
8. კატია ძაძუა
9. ქსენია შარია
10. იასონ ქილორავა
11. ტატიანა შარია
12. ვანო შაგიძე
13. მიშა ცხაკაია
14. ილია შარია
15. ვაჟა შარია
16. ნიურა შარია
17. ალიოშა შარია
18. ვანო შარია

სოფელში მოქმედებდა ერთი საშუალო და ორი არასრული საშუალო სკოლა.

ამჟამად თაგილონის საშუალო სკოლა ფუნქციონირებს როგორც სოფელ თაგილონში, ასევე ქ. ზუგდიდის №14 საშუალო სკოლის შენობაში (კომბინატის დასახლება), თაგილონის №1 არასრული საშუალო სკოლა.– სოფელ შამგონას საშუალო სკოლის შენობაში, ხოლო თაგილონის №2 არასრული საშუალო სკოლა – ქ. ზუგდიდის კომბინატის დასახლების მეორე უბანში.

თაგილონის საშუალო სკოლის მასწავლებლები:

1. თემურ ჯოლოგუა – დირექტორი
2. გულნაზ აშორტია
3. დალი შარია
4. ელიზბარ შარია
5. დალი ბერაია
6. ნელი შამუგია
7. მაგული პაიჭაშვილი
8. ინგა აბლოთია
9. ინგა შამუგია
10. სლავა ჯონჯუა
11. მაგული მამფორია
12. რეზო შარია
13. ნუცა ლაკირბაია-გეგიძე
14. ვერა შარია

15. ქსენია შარია
16. ნანა ხუფენია
17. ვალერი გვარამია
18. გალინა არდაშელია
19. ირინა წულაია
20. მანანა წურწუმია
21. რაისა კაკავა
22. დალი ჭანტურია
23. კარინა ეხვაია
24. მიმოზა მორგოშია
25. ნატო ბენდელიანი
26. ნაირა ქორიშვილი
27. თეა ყოლბაია
28. ნიკოლოზ ეხვაია
29. ნაპოლეონ ეხვაია
30. არველოდი ლემონჯავა

თაგილონის №1 არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლები:

1. ლეილა ჯობავა – დირექტორი
2. მზიური აშორტია
3. ლიანა ურუშაძე
4. ნათელა ლაცუზბაია
5. დალი აკობია
6. კარინა ფაჟავა
7. ვენერა ვეკუა
8. თეონა ხუბუა
9. თეა შარია
10. შოთა ფირცხალავა
11. ლეილა სამუშია
12. ელისო ლურნკაია
13. ნონა შონია
14. ბორის შარია
15. დალი შენგელია
16. ბადრი ჯიმშელია
17. სონია ქარჩავა
18. ბორის არდაშელია
15. მარგო ხუბულავა

თაგილონის №2 არსარული საშუალო სკოლის მასნავლებლები:

1. თამარ კვარაცხელია – დირექტორი
2. როინ რუხაია
3. თორნიკე შარია
4. მაია ლაბაშია
5. მაკა ლაბაშია
6. ციალა ჩხეტია
7. ლამარა მირცხულავა
8. ელმირა მირცხულავა
9. ეკა სიგუა
10. თემურ აბლოთია
11. ირმა კვარაცხელია

აფხაზეთის კონფლიქტის დროს დაღუპული თაგილონელები
„ჩვენ თუ დაგვხოცეს დაგვმარხეთ, სხვა კიდევ გაიზრდებისა“!
“Эх война, что ты подлая сделала?!”
(Б. Окуджава)

აფხაზეთის კონფლიქტს შეეწირნენ:

1. აბლოთია ვარლამი ლუკას ძე
2. აბლოთია ნიკოლოზი ალმასხანის ძე
3. არდაშელია ინვერი უჯუშის ძე
4. ანთელავა ვანო ივანეს ძე
5. არდაშელია ვაჟა დომეს ძე
6. არდაშელია რამაზი უჯუშის ძე
7. გვალია-უბლაძე ლუჩიკო სამსონის ასული
8. ბენდელავა გრამიტონ იონას ძე
9. გვარამია ბახვა მამიას ძე
10. დარასელია მიხეილი შოთას ძე
11. ლეჟავა მამუკა არხიპოს ძენ
12. ტოკლიკაშვილი ზინა
13. მარშავა ომარი დალათის ძე
14. ჯოლოგუა-შუბლაძე ბუცა ჭოჭოს ასული
15. შარია ქსენია ილიას ასული
16. ხარჩილავა როლანდი კოტეს ძე
17. ხუბულავა ტარიელი ერმინეს ძე
18. ხუბულავა ნიკოლოზი ერმინეს ძე

19. ჯონჯუა არდევანი მ[illegible]ულის ძე
20.შარია ნელი ამბაკოს ასული
21.შარია ნათელა ამბაკოს ასული
22. ბერაია ინდიკო კორსანტელის ძე
23. ხურცილავა სერგო იროდის ძე
24. გვალია-შუბლაძე ლუჩიკო სამსონის ასული
25. ზაქარაია ღულუნი

უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ:
1. არდაშელია გოჩა ბიჭიკოს ძე
2. არდაშელია ღუდა კალისტრატეს ძე
3. დარსანია შალიკო ძოგოს ძე
4. ლაბაშია კონსტანტინე ვახტანგის ძე
5. ხურცილავა მურმანი კირილეს ძე
6. ოყუჯავა მურთაზი (გუგლა) ხანდუკის ძე

პირველი თაგილონელი „ბიზნესმენები“

თაგილონელთა მიერ წამოწყებული პირველი სავაჭრო-საწარმოო საქმიანობა

თაგილონში სავაჭრო საქმიანობაზე **არველოდ ლემონჯავამ** შემდეგი ცნობა მოგვაწოდა, რომლის ტექსტსაც უცვლელად შემოგთავაზებთ:

„XIX საუკუნის 80-იან წლების ბოლოს თაგილონში ჩამოვიდნენ დეიდაშვილები: ამბაკო მესხია (წალენჯიხის რაიონი, სოფ. ობუჯი) და ზოსიმე ლემონჯავა (ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ზუმი). პირველ წლებში ნათესავ მესხიებთან იყვნენ გაჩერებულები სოფ. ოტობაიში, სადაც ხეტყის მეწარმეობაზე დაიწყეს ზრუნვა. 90-იან წლების დასაწყიში გერმანელი წარმოშობის ინჟინერს ვინმე ფეტერს დაუკავშირდნენ და ს. გაგიდაში ზღვასა და ბოლაზს შორის ააშენეს დიდი სახერხი ქარხანა, სადაც სამი დაზგა იდგა არხანგელსკიდან ჩამოტანილი. ამ ქარხანას ხალხი ფეტერის ზავოდსაც ეძახდა. (გასაბჭოებმის შემდეგ ქარხანა გალში წაიღეს). რამდენიმე წლის შემდეგ (როგორც კი ფული დაუგროვდათ) ააშენეს მეორე სახერხი ქარხანა სოფელ ბარღებში, ღრმა ტყეში. ეს ქარხანა ომის პირველ წლებშიც მუშაობდა.

საწარმოო საქმიანობის ერთგვარ „კოორდინაციას“ უწევდა მეწარმეთა ცენტრი ქუთაისში.

მზა მასალა (მერქანი), მურყანი (თხმელა), კოპიტი, თელა ძირითადად გაჰქონდათ თურქეთში თურქების ბარუებით, სანდლებით) დანარჩენი კი იყიდებოდა ადგილზე.

ამბაკო მესხია (გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის შოთა მესხიას მამა იყო) დასახლდა ქალაქ ზუგდიდში, რკინიგზის სადგურის წინ (ამჟამად შოთა მესხიას ქუჩა), ხოლო ზოსიმე ლემონჯავა დაქორწინდა თაგილონელ შაგიძის ქალზე და აქვე დასახლდა. შვიდი შვილი ჰყავდა. 1921 წელს გარდაიცვალა.

თაგილონში სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ მიხა ლემონჯავა, პილა (პლატონ) შაგიძე, მიხა გაბუნია, იროდი შარია, პართე მარშავა, ვასილ ჯოლოგუა, ხათა ოყუჯავა.

მიხა ლემონჯავასა და პილა (პლატონ) შაგიძეს ჰქონდათ საკუთარი მაღაზიები. მიხა ლემონჯავას სოფლის დასაწყისში, ხოლო პილა შაგიძეს სოფლის ბოლოს. მაღაზიები ე.წ. შერეული ვაჭრობის მაღაზიის ტიპის იყო (ფართლეული, ბაკალეია, რკინა-კაევული და სხვა). საქონელი ძირითადად შემოჰქონდათ ქუთაისიდან, ბათუმიდან და სხვა ქალაქებიდან.

ეთნოგრაფიული ექსკურსი
(ზნე-ჩვეულება, ტრადიციები)

თაგილონში დამკვიდრებული ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, ყოფაქცევის ნორმები ისეთივე იყო, როგორც საერთოდ სამეგრელოს სოფლებში.

თაგილონში დასახლების ტიპი ისეთივე იყო, როგორც სამეგრელოს სოფლებში. წარსულში, რადგან სოფელი თითქმის მთლიანად ტყით იყო დაფარული, ხალხი დაფანტულად ცხოვრობდა. ოჯახები, სახლები მნიშვნელოვანი მანძილით იყო ერთმანეთს დაშორებული და არა ისე, როგორც ქართლში – ერთად თავმოყრილი.

რადგან სოფელში თავად-აზნაურობა იშვიათი იყო (იყო ანჩაბაძეთა რამდენიმე ოჯახი) ძიძა-მორდუობა არ იყო გავრცელებული. ასევე იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა სისხლით შურისძიება. ჭირსა და ლხინში ნათესავების, მეზობლების, მეგობრების მხრივ დახმარება უძველესი დროიდან არსებობდა და ამჟამადაც არსებობს.

სტუმრისადმი პატივისცემა თაგილონელებმა ისე იცოდნენ და იციან, როგორც საერთოდ საქართველოში, უპირატესად სამეგრელოში.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, თაგილონში დღემდე დაცულია ჩვენს ხა-

ლხში საუკუნეების მანიძლზე მიღებული ჩვევა: უფროსისადმი, მოხუცისადმი, ქალისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და მოწიწება.

თაგილონელთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე სოფელში არსებული სამი ეკლესია მეტყველებს. თუმცა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძლიერ შეირყა სარწმუნოება, რწმენა. ჩვეულებრივ, ბავშვები მოუნათლავნი რჩებოდნენ.

მიუხედავად ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა, სოფელში, ისე როგორც სამეგრელოს სხვა სოფლებში, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო წარმართული რწმენა, რასაც ქრისტიანული ეკლესია ებრძოდა. ძველ თაგილონში იყო სალოცავი საღორონთო, საჯგეგო (წმ. გიორგის), ოჭკადრე (გაზითა და ჩაქუჩით ლოცულობდნენ). წკელი–სალოცავი–ვაცს დაკლავდნენ. სამიქანგარიო – მამლითა და გოჭით ლოცულობდნენ, იქვე უნდა მდგარიყო ძროხა. ლოცვა-ჟინიში-თიკანითა და მოხარშული კვერით (ხოზოკვერი), ხშირად აკეთებდნენ ჭვიშტარს, ელარჯს და ჩემქუას.

იცოდნენ გვალვასა და წვიმების („ჭოროფას") შელოცვა, „ციმუა" ხარის დაკვლით. იცოდნენ ავი თვალის შელოცვა, ავადმყოფობის – „ბატონების" შელოცვა, გათვალვის საწინააღმდეგოდ ხმარობდნენ ავგოროზებს. მთელ რიგ სალოცავებში (მაგალითად ჟინიში, ოჭკადირეში, ოხვამერიში) ქალებს უფლება არ ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა.

ძველ თაგილონელთათვის ძირითადი სალოცავი და სათაყვანებელი ადგილი იყო ილორის ეკლესია, სადაც ხდებოდა ხშირად ხატზე გადაცემაც.

XIX საუკუნის 60-იან წლებში სამურზაყანოს შესახებ შრომის ავტორი ბართოლომეი წერს: „სამჭედლოს გრდემლს მიაწერს ცრუმორწმუნე ხალხი ყოვლისმცოდნე და სასწაულმოქმედ ძალას, მასთან ეძებენ ავადმყოფობისაგან განკურნებას, ყველა ცხოვრებისეულ სიძნელეთა გადაწყვეტას, მასზე იფიცებენ და სწამთ, რომ ფიცის გატეხა მკაცრად იქნება დასჯილი რაიმე უბედურებით". სამურზაყანოში გრდემლის გაღმერთებაზე 1869 წელს წერდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი.

ცეცხლთაყვანისცემის მაგალითს ჭიაკოკონა წარმოადგენს. ეს ჩვეულება ცნობილი იყო „ჭეჭეთობის" სახელწოდებით.

მაგიურია ხვითოზე გადმოცემა. ხვითო ნატვრისთვალი, სურვილების ამსრულებელი ძვირფასი ქვა, თვალი პატიოსანი გველს უპყრია. გველი გამოდის მზეზე, ათამაშებს ძვირფას ქვას, ააგდებს ზევით, მხედარს თუ ქვის გატაცება უნდა, მან სწრაფად უნდა სტაცოს ქვას ხელი და გაიქცეს. თუკი მხედარმა შესძლო მდინარის თუ ღელის გადალახვა, ის უკვე უშიშრადაა, რადგან გველი რომ მივა მდინარესთან

კითხვით, ხომ არ უნახავს ძვირფასი ქვის გამტაცებელი მხედარი? მდინარეში უკვე ის საწყალი აღარ იქნება, მხედარმა რომ გადალახა, ამიტომ მდინარე ვერაფერს უპასუხებს გველს.

სწამდათ, რომ ცისარტყელა მდინარიდან სვამს წყალს. ბავშვმა თუ მოზარდმა ამ დროს ცისარტყელას არ უნდა უჭვენოს კბილები. თუ კბილები უჩვენა იგი გაშავდება; ცისარტყელის გამოჩენა დასავლეთით წვიმიანი ნელინადის მაუწყებელია, აღმოსავლეთით – გვალვიანი წლისა. ახალი მთვარის ნახვისას თუ შეხედ**ა**რაწესიერ (არაწმინდა) კაცს, მისი არაწესიერება გადაგეცემა. კატის მოკვლა ცოდვაა, რადგან „იმ ქვეყნად" კატის დახმარების გარეშე არ შეიძლება გადავიდეს ადამიანი ჯოჯოხეთის ხიდზე, რათა მოხვდეს სამოთხეში. სამოთხეში შესასვლელ ხიდზე აცხია ქონი (ერბო), მასზე ადამიანს ფეხი უცურდება. თუ ადამიანი კარგ ურთიერთობაშია კატასთან, იგი ხიდზე ერბოს ალოკავს და ადამიანს უადვილდება ჯოჯოხეთის ხიდზე გადასვლა და მოხვდება სამოთხეში.

მერცხალს თვლიდნენ ღმერთის ფრინველად. ამიტომ ბედნიერია ის ოჯახი, ვისთანაც იგი ბუდეს გაიკეთებს. მერცხალი არასოდეს იკეთებს ბუდეს იმ სახლში, სადაც გველი იმალება. სახლის პატრონმა თუ შეამჩნია, რომ მერცხალი გაურბის სახლს, ნაგებობის ქვეშით უნდა ეძებოს გველი, რომ მოიშოროს. სოფლის რწმენით თუ გველი სახლში შევიდოდა, მას არ კლავდნენ. ფრთხილად გადააგდებდნენ, იმ მოსაზრებით, რომ გველს ოჯახისათვის მოაქვს ბედნიერება.

გვარები თაყვანს სცემდნენ შინაურ და გარეულ ცხოველებს იმ მფარველობისათვის, რაც ოდესღაც ამ ცხოველებს გაუწევიათ ამ გვარის წინაპრებისათვის.

ერიდებოდნენ ბაყაყის მოკვლას, რადგან ცრურწმენით ბაყაყის მოკვლა იწვევს წვიმას.

გვარებს ჰქონდათ ე.წ. „აკრძალული დღეები", ე.ი. ამ საგვარეულოს წევრები განსაკუთრებით პატივს სცემდნენ კვირის რომელიმე დღეს. ერთს ან ორს, რადგან ამ დღესთან იყო დაკავშირებული წარსულში გვარის რომელიმე წევრის გამარჯვება.

ცალკეულ გვარებს დღემდე შენარჩუნებული აქვთ ცხენის, კამეჩის დაღები.

ასე წარმოგვიდგება თაგილონის ეთნოგრაფიული სურათი.

თაგილონში ცხოვრობდა ქალი ეფრო კაკულია, რომელიც ამზადებდა საყმაწვილო ნამალს. მეწამლე და ბებიაქალი ლიუდინე ჯიმშელია, დუნა (ფოთოლა) შენგელია-ზაქარაია.

ორიოდ სიტყვით „აფხაზთა სამეფოსა“ და სამურზაყანოზე

ცნობილი ფაქტია, VIII საუკუნის 80-90-იანი წლებიდან X საუკუნის 80-იან წლებამდე დასავლეთ საქართველოში არსებობდა ქართული სახელმწიფო – „აფხაზთა სამეფო“.

„აფხაზთა სამეფო“ წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შედეგად. დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში აფხაზეთის ფეოდალებმა მთავარ ლეონ II მეთაურობით, როგორც ჩანს, ისარგებლეს ეგრისის მმართველი წრეების პროგრესული ნაწილის მხარდაჭერით, VIII საუკუნის ბოლოს ლეონ II გათავისუფლდა ბიზანტიის დამოკიდებულებისაგან და მიიღო აფხაზეთის მეფის ტიტული. ამ აქტში მას დაეხმარა მისი ახლო ნათესავი ხაზართა ხაკანი (ლეონის დედა ხაზართა მეფის ასული იყო).

სამეფოს „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა აფხაზეთის სამთავროს წამყვანი როლის გამო ახალი სამეფოს ჩამოყალიბების საქმეში. მისი ტერიტორია გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დაახლოებით ჭოროხამდე, აღმოსავლეთით კი ლიხის (სურამის) ქედამდე. სამეფოს დედაქალაქი გახდა ქუთაისი – დასავლეთ საქართველოს ცენტრი“ (ზ. ანბაჩაბაძე, აფხაზთა სამეფო. ქსე. ტომი 2. გვ. 32-33). აფხაზეთის სამეფო დაყოფილი იყო რვა საერისთავოდ. თაგილონი ბედიის საერისთავოში შედიოდა.

X -XI საუკუნეთა მიჯნაზე მეფე ბაგრატ მესამემ სოფელ ბედიაში ტაძარი ააგო და საეპისკოპოსო კათედრა გუდავიდან ბედიაში გადმოიტანა. ამ პერიოდში აშენდა ილორის ეკლესია. უფრო გვიანდელია (XIV ს) სოფელ მეორე ბედიაში ფშაურის ეკლესია და სხვა. შუა ფეოდალური ხანის ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები, კოშკები ცნობილია ბედიაში, პირველ გალში, რეჩხში, სათანჯოში, წარჩეში, ოქუმში, ღუმურიშში და სხვ. ასეთი ფართო მასშტაბით მშენებლობა მხარის ეკონომიკური სიმძლავრის მაჩვენებლია. შესაძლებელია ამ დროისაა თაგილონში დღემდე მოღწეული ნანგრევების სახით საბათარის ციხე-სიმაგრეც.

„ენგურ-ღალიძგა შუამდინარეთის ამგვარი დაწინაურების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ აქ გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი სახმელეთო გზა, რომელიც საკუთრივ აფხაზეთსა და მასთან ჩრდილო-დასავლეთით მოსაზღვრე ქვეყნებს ქუთაისთან და ერთიანი საქართველოს სხვა მნიშვნელოვან ცენტრებთან აკავშირებდა“ (თ. ბერაძე, გალის რაიონის წარსულიდან. გაზ. „ლენინელი“, 1973 წ., №104. აგვისტო).

„აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი იადგარი“-დან ცნო-

ბილია, რომ XVIსაუკუნეში (1525-1550) ბიჭვინთის ტაძარს ეკუთვნოდა თანამედროვე გალის რაიონის ტერიტორიაზე „ენგურის პირას ნაჟანეო... წამხარი, გამკერვალია". წამხარი თანამედროვე თაგილონის ერთ-ერთი უბანია, შუა საუკუნეებში ცნობილი ეკლესიითა და სასახლით.

XVIIIსაუკუნის დასაწყისიდან შიდა პოლიტიკური ამბებით სამეგრელოს სამთავროს ჩამოქვეითებას, აფხაზეთის სამთავროს გაძლიერებას მოჰყვა აფხაზთა გადმოსვლა მდინარე კოდორზე და სამეგრელოს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში შეჭრა. საუკუნის დასაწყისში დაწყებული ლაშქრობა 1794 წელს დამთავრდა აფხაზთა მდინარე ენგურამდე მისვლით, თანამედროვე ოჩამჩირისა და გალის რაიონების აფხაზების მიერ დაპყრობით.

1897 წელს პედაგოგ თეიმურაზ ჭიჭინაძეს სოფელ ბედიაში მცხოვრებ თავადიშვილის ოჯახში უნახავს ძველი სიგელი მხედრული ასოებით ხელნაწერი. თ. ჭიჭინაძემ სიგელი გამოაქვეყნა 1897 წელს გაზეთ „კვალში". აი, ისიც:

„მოთხრობისაგან ივერიის მეფეთა ცხოვრებისა. ჩანს, რომ დროისა მეფის თამარის მეფობისასა აფხაზეთსა მთავრობდა დოღატო შარვაშიძე, შთამომავალნი მისნი ყოფილნი თექვსმეტს, ანუ ჩვიდმეტს საუკუნეში სამნი ძმანი შარვაშიძენი, სახელდობრ: როსტომი, ჯიქეშია და ყვაპუ ძენი ზეგნაყისანი განყოფილან ურთიერთისაგან. უხუცეს როსტომსა დაუპყრია თავისა დაწილად პირველი ადგილი აფხაზეთისა, შინამდებარე ბზიბიდან დაწყებული მდინარე კოდორამდე. საშუალო ძმას ჯიქეშიას მდინარის კოდორიდან მდინარის ღალიძგამდე, რომელსა საზღვრებს დღესაც ეწოდების აფხაზურ ენაზედ აბჟუაა, ესე იგი შუა ქვეყანა, ანუ სოფელი; ხოლო ურწემესსა ძმასა ყვაპუს მდინარის ღალიძგიდან მდინარე ენგურამდე. ეს უკანასკნელი ნაწილი ამღერეულ დროებათა გამო ყოფილა დაცარიელებული მცხოვრებთაგან, ამის გამო ყვაპუს გამოუყვანია ბზიბიდან, ესე იგი უფროსის ძმის საზღვრიდან რამდენიმე გვარი თავადნი და აზნაურნი, სახელდობრ: ანჩაბაძე, ემუხვარი (ეს შეცდომაა, ემუხვარები ქართლიდან არიან მოსულნი –ავტ.), ინალიშვილი, მარღანია, ზვანბაია, ლაკირბაია და აქირთავა, რომელთათვის დაუნაწილებია ესე საზღვარი, ხოლო თავისა საზღვრად შეუცავს სოფელი ბედია, ფახულანი და ბორბალო (ახლანდელი სოფელი ნაბაკევი (კოკი). ყვაპუ ისე გარდაცვლილა რა დაშთენილა ძე მისი მურზაყან, რომელსაც საზღვარი ესე მცხოვრებლებითა აღუყვავილებია ადგილი და უწოდნია მურზაყანისა სახელსა ქვეშე სამურზაყანო და უუფლნია სამურზაყანოში. შემდეგ მურზაყანისა უფლობდა ძე მისი ხუტუნია. ძენი ხუტუნიასი: ლეონ და სოლომონი; უხუცეს ლეონს მიუღია მფლობელობა

სამურზაყანოისა; ლეონს და სოლომონს გაუნაწილებიათ სასაზღვრო სოფლები, უხუცესს ლეონს შეხვედრია სოფელი ბედია, რომელსაც დღემდე უფლობენ ძენი მისნი, ხოლო სოლომონს ნაწილად ხდომია ბორბალო (კოკი) და სოფელი ფახულანი დაშთენია გაუნაწილებლად მფლობელობასა ქვეშე უხუცესის ძმისა ლეონისას ვითარცა სამურზაყანოისა მთავრობის საზაფხულო.

სოლომონისაგან წარმოსდგნენ ექვსნი ძმანი: მანუჩარ – უკანასკნელი მფლობელი სამურზაყანოისა; ბეჟან; სორეხ და სხვანი".

სიგელში აღნერილია XVII, XVIII საუკუნეების და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ამბები. დასახელებულია მანუჩარი, უკანასკნელი მფლობელი სამურზაყანოისა (1809-1812 წწ.). მაშასადამე, საბუთი XIX საუკუნის პირველი მეოთხედისაა. ყვაპუ შარვაშიძე 1705 წელს ცოცხალი არაა, მაშასადამე სამურზაყანო არსებობს XVIII საუკუნის პირველი ათეული წლებიდან. თაგილონი უკვე აფხაზეთის, შარვაშიძეების მფლობელობაშია.

სამურზაყანოს სამფლობელოს შექმნის შემდეგ დაიწყო სამურზაყანოს გამო წინააღმდეგობა აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის. ამ წინააღმდეგობაზე უფრო გვიან მიუთითებს კ. ბოროზდინიც (კ.ბოროზდინი, სამეგრელო. გვ. 179). შარვაშიძესა და დადიანს შორის „ბრძოლა გამართული იყო სამურზაყანოსთვის. ერთიც და მეორეც ეპოტინებოდნენ და ჩემობდნენ ამ პროვინციას და ყველაზე მეტად იჩაგრებოდა თვითონ სამურზაყანო, რადგან არავითარ ძალადობას არ ერიდებოდნენ მის შესანარჩუნებლად".

1810 წელი მნიშვნელოვანი თარიღია აფხაზეთის ისტორიაში. 1810 წლის ივლისში რუსეთის საკმაოდ ძლიერი ესკადრა სოხუმს მოადგა. მთავარმა ასლან-ბეიმ თავისი მომხრეებით მთებს შეაფარა თავი. ამის შემდეგ 1864 წლამდე მართალია არსებობდა აფხაზეთის სამთავრო და იყო მთავარი, მაგრამ ფაქტიურად მხარეს რუსეთი განაგებდა.

სამურზაყანოს უკანასკნელი მფლობელი იყო მანუჩარ შარვაშიძე, რომელსაც ისტორიკოსი ნიკო დადიანი უწოდებს „კაცს ღირსახსოვარს და საქებელსა... სახელოვანსა და საქმესა შინა გამრჯეს". ხალხური გადმოცემა სულ სანინააღმდეგოდ ახასიათებს – კაცს, როგორც სასტიკს, ვერაგს, გარყვნილსა და ტყვეთა გამყიდველს, მანუჩარი მოკლულ იქნა 1813 წელს ბედიაში გლეხი მაჯი კვარაცხელიას მიერ ცოლის შეურაცხყოფისათვის.

წერილობითი წყაროებიდან კი ჩანს, რომ მანუჩარ შარვაშიძე ძლიერ ღვთისმორწმუნე და ეკლესიათა განმაახლებელი ყოფილა. მე-19 საუკუნის ბოლოს მასწავლებელ თეიმურაზ ჭიჭინაძეს (თ.ჭიჭინაძე,

საქართველოს ისტორიის მასალა. გაზ. „კვალი“ 1897წ., №26) სოფელ კოკში წმინდა გიორგის ეკლესიაში უნახავს ღვთისმშობლის ხატი წარწერით. „როგორც მიამბეს აქაურმა მოხუცებმა, – წერს ავტორი, – ეს ღვთისმშობლის ხატი უნახავთ წამხარის ეკლესიის ნანგრევებში და მიუტანიათ ახლანდელი კოკის წმ. გიორგის ეკლესიაში. წამხარი კი თაგილონის ერთ-ერთი უბანია. ხატზე წარწერას მანუჩარ შარვაშიძის პიროვნების დახასიათებასთან ერთად ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს:

„ქ. დედაო ღვთისა ჩვენისა მაცხოვრისაო, ქალწული მარიამ შენდავე აღვიმსთობი მსახურებად რომ აღმიღე მონა ესე შენი და ვყავ მრავლისა განსაცდელისაგან ხსნილი და კეთილდღეობასა და ბედნიერებასა შემთხვეული, რომლისათვის კვალადვე მოწყალებითმა შენმან მომცა სული მე მონასა შენსა შარვაშიძეს მანუჩარს, რათა ეკლესია ესე წამხარისა მრავლის წლითგან და მრავლის დღისგან დაცემული და დატოვებული და დარღვეული აღმეშენებინა და განმეახლებინა და ვითარ განვიზრახე, მყის ვინყე განახლებად და მრავალთა ღვანლითა და ხარჯითა გარდავხურე და გავაწყობინე შინაგან და გარეგან, ვითარცა ტაძარი ღვთისა და მოვიყვანე მწყემსმთავარი ჩვენი და სულიერი მამაჩემი ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლ და ვაკურთხებინე საყდარი ესე სახელსა ზედა ღვაწლით შემოსილისა წმინდის გიორგისათა და დავაყენე ხუცესნი მწირველი მლოცველად და მსახურებად ეკლესიისა. ამის და შევწირე მოჯალაბე კოჩაია ცხადაია თავისი ცოლშვილით მსახურებად ამა ეკლესიისა ზედა ზღუდელთათვის, ხოლო წმიდა ესე ხატი მოვაჭედვინე და დავსდევ ამავ ეკლესიის შინა სიმთელედ და მშვიდობად ჩვენ-ძეთა და მეუღლისა ჩემისა დადიანის ასულის ქეთევანისა და ძეთა ჩვენთა მრავალჟამიერობად ამავე ქუეყანასა შინა და შემდგომ სიცოცხლისა ჩვენისა მოცემად ჩვენდა, რომელს განუმზადე მოყვარეთა თვისსა ამინ. წელსა ჩყიბ.

ყ-დ წმინდაო დედა ღვთისა, შეიწყალე ამ ხატის მომკობი მეუნარგია პეპუ“.

თ. ჭიჭინაძის ცნობით, კოკის ეკლესიაშივე ინახებოდა ბარძიმ-ფეშხუმი წარწერით:

„ქრისტე შეეწიე შენსა წამხარსა ამის საკურთხეველისა შინა სირმისა ბარძიმ-ფეშხუმი ჩვენდა ცოდვათა მოსატევებლად და ასულთა ჩვენთა სიმთელედ, ამინ. შარვაშიძე მანუჩარ, წელსა ჩყიბ“ (1812).

ხატზე წარწერა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ღვთისმშობლის ხატი ცნობილი ქართველი ოქრომჭედლის პეპუ მეუნარგიას (იონა მეუნარგიას პაპის), ალბათ, ერთ-ერთი პირველი

ნამუშევარია, შესაძლებელია ქართული ხელოვნების ისტორიისათვის ჯერ კიდევ უცნობი და შეუსწავლელი.

მანუჩარ შარვაშიძის სიკვდილის შემდეგ 28 წლის მანძილზე (1840 წლამდე) სამურზაყანოში მეფის რუსეთი თანდათანობით აძლიერებდა თავის გავლენას. როგორც სამეგრელოზე, ისე აფხაზეთზე კონტროლის გაწევის მიზნით, რუსეთის მთავრობამ 1832 წელს მდინარე ენგურის მარჯვენა მხარეზე, იქ, სადაც ეს მდინარე ორად იყოფა თანამედროვე თაგილონის ტერიტორიაზე, ათანგელოს ციხე ააგო და შიგ თავისი ჯარი ჩააყენა. ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ფრ. დიუბუა დე მონპერესაც. ამჟამად ამ ციხის არავითარი ნაშთი არ არსებობს, იგი ენგურმა წალეკა.

შარდენს წიფურიასთან ერთად დასახელებული აქვს საბათარის ციხე. სოფელ თაგილონში წიფურიადან ორ კილომეტრზე არის ძველი ციხის ნანგრევები. ისტორიკოს მ. პაჭკორიას აზრით, გვაქვს საფუძველი „საბათარის ციხედ" მივიჩნიოთ თაგილონ-ნაბაკევის საზღვართან არსებული ციხის ნანგრევები.

1840 წელს სამურზაყანო გამოცხადდა ცალკე საბოქაულოდ (ცენტრი სოფელი ოქუმი „Самурзаканский участок"), თემებს სათავეში ედგა მამასახლისი, რომელსაც თემი ღია კენჭისყრით ირჩევდა. თაგილონი ნაბაკევის თემში შედიოდა. 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ შეიქმნა სოხუმის ოლქი, სამურზაყანოს საბოქაულო მას დაექვემდებარა, ასე იყო 1917 წლამდე.


აღვნიშნავთ თაგილონთან დაკავშირებულ ზოგიერთ ფაქტს: ირსტორიკოს დ.ლემონჯავას წიგნში „გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა რეფორმამდელ საქართველოში" აღნიშნული აქვს, რომ თეკლათელი მაშავები თაგილონში ანჩაბაძეებს შეკედლებიან. დღესაც არიან თაგილონში მათი შთამომავლები, მხოლოდ მაშავას ნაცვლად მარშავად იწოდებიან. 1918 წლის 10 სექტემბერს სახალხო გვარდიამ ვ. ჯუღელის მეთაურობით გადმოლახა მდინარე ენგური და გადმოვიდა სამურზაყანოს ტერიტორიაზე. თაგილონში ტყვედ ჩავარდნილი წითელრაზმელები პ. ჯონჯუა და ჭ. შენგელია ვ. ჯუღელის განკარგულებით ადგილზე დახვრიტეს.

დღემდე მოაღწია თაგილონში წამხარის და წიფურიას ეკლესიების ნანგრევებმა.

ისტორიული გეოგრაფიიდან თაგილონის ტერიტორიაზე უცვლელადაა მოღწეული წამხარი, წიფურია. ლამბერტის რუკაზე თაგილონის სამხრეთ-აღმოსავლეთით გვაქვს დასახლებული პუნქტი „გადარი". ხომ არ არის იგი თანამედროვე ნაბაკევში შემავალი უბანი „გაბარი"? გაბარი მეგრულად ნიშნავს მაღლობ?ს.

ამგვარად, 1864 წლიდან 1917 წლამდე თაგილონი შედიოდა სოხუმის ოკრუგის სამურზაყანოს უბანში. 1918 წლიდან სამურზაყანოს მაზრაში, 1925 წლიდან – გალის მაზრაში, ხოლო 1929 წლიდან – გალის რაიონში.

თაგილონში ჩეოხვამესა და წამხარს გარდა ყოფილა კიდევ ერთი ეკლესია, რომლის მღვდელი იყო ჩომახიძე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოქმედებდა ერთი ეკლესია, სადაც მღვდლობდნენ ტიმოთე გეგიძე და პავლე ცხაკაია. ეს უკანასკნელი წარმოშობით იყო მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწიდან...



ხალხური შემოქმედების ოსტატები

აფხაზეთის მომღერალთა გუნდის ლოტბარი (ხელმძღვანელი) კინი გეგეჭკორი თავის მოგონებაში წერს: „1932 წელს სოფელ თაგილონში ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი მოხუცებულებისაგან. გუნდი შედგებოდა 15 კაცისაგან და შესანიშნავად ასრულებდა ძველთაძველ ხალხურ აფხაზურ და მეგრულ სიმღერებს. აფხაზურ „აყიშ"-ს, „აზარს", მეგრულ „რიწკი-რაწკას", რომელიც ცოტათი ჰგავს „ძაბრალეს". ჩემის აზრით „რიწკი-რაწკა" მწყემსების სიმღერაა. ამ სიმღერას იწყებდა 115 წლის მოხუცი ზურაბ შარია, რომელსაც მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა საუკეთესო კრიალა პირველი ხმა ჰქონდა. მისი ხმა წააგავდა ცნობილი მიხა ჯიღაურის ხმას".

მოხუცებულთა კოლექტივმა რამდენიმე კონცერტი გამართა რაიონში და მას ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ მსმენელები.

წამყვანი მომღერალი იყო 115 წლის ზურაბ შარია, მომღერალი და მოცეკვავე. გუნდის ხელმძღვანელი იყო 85 წლის ლუკა შარია, ის ოსტატურად ასრულებდა თავის მოვალეობას.

გუნდის სხვა წევრების ასაკი ასეთია: კელიშ მარშავა – 86 წ., ივანე წულაია – 80 წ., ნექტარ წულაია – 85 წ., ბადრა არდაშელია – 81 წ., სანდრო ფაცურია – 88 წ., ნიკო წულაია – 82 წ., კაზა ოკუჯავა – 80 წ., კონია მოლაშხია – 80წ., ჯოგო ზანთარაია – 80 წ., ჯოგო მარშავა – 89 წ.

კინი გეგეჭკორი წერს: „1935 წლის 20 ივნისს სოხუმის სახელმწიფო თეატრის შენობაში შესდგა საქართველოს კომკავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საოლქო კომიტეტის საზეიმო პლენუმი. მოხუც მომღერალთა გუნდი წამოვიყანე სოხუმში. პლენუმის შემდეგ სცენაზე გამოჩნდა ეს გუნდი. წრიდან გამოვიდა მოხუცებული ჯოგო მარშავა და მიულოცა ახალგაზრდებს ბრწყინვალე თარიღი კომკავშირის არსებობის 15 წელი. ზეიმმა და საქმიანობამ ჩვენც გაგვაახალგაზრდავა და მოვედით სიმღერითა და ცეკვით მოგილოცოთო, მიმართა მან პლენუმის მონაწილეებს. დამსწრე საზოგადოებამ, აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელობამ, კერძოდ ნესტორ ლაკობამ, მაღალი შეფასება მისცა ამ „ახალგაზრდა" მოხუცების შემოქმედებას. მოხუცთა კოლექტივმა შეასრულა ექვსი მეგრული და აფხაზური სიმღერა, რომელნიც იშვიათი ნიმუშია მუსიკალური ფოლკლორისათვის. მოხუცებულთა მიერ შესრულებული ზოგიერთი სიმღერა ხალხმა მოისმინა პირველად. მოხუცები სცენაზე თავს მშვენივრად გრძნობდნენ. მსმენელები განსაკუთრებით აღტაცებაში მოჰყავდა

ნამყვანი მომღერლის 115 წლის ზურაბ შარიას სიმღერას, მის კრიალა ხმას, ასევე მოხუცის ლუკა შარიას სიმღერას და ცეკვას. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სოხუმის მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორი ნ. კოვაჩი წერს: „ესენი ჭეშმარიტად ვაჟკაცური ადამიანებია. სხვანაირად ვერ ავხსნით მათ თავშეკავებულობას დიდ სცენაზე ხალხური სიმღერების შესრულებისას მსმენელთა დიდი მასის წინაშე, მაშინ როდესაც ასეთ პირობებში პროფესიონალი შემსრულებლებიც ხშირად კარგავენ თავდაჭერილობას (თავშეკავებულობას)... გალელი მოხუცების მაგალითმა უნდა აღაფრთოვანოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ყველა შემსრულებელი".

კონცერტის მეორე დღეს აფხაზეთის განათლების კომისარი ბაგრატ ზანთარია ესაუბრა მოხუცებს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათ პატარა კოლექტივს ძველი ხალხური სიმღერების პოპულარიზაციისა და ნაციონალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ამ კოლექტივის წევრებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები.

1935 წლის 26 ივნისს გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზია"-ში გამოქვეყნდა წერილი ამ კოლექტივის გამოსვლის შესახებ, მათი სურათის დართვით (სურათი იხილეთ ჩვენს წიგნში).

1938 წელს აფხაზეთის მეორე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე სოხუმში ვხედავთ მოხუცებულთა ამ მხატვრული კოლექტივს. გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი" 1938 წლის 20 სექტემბრის ნომერში ასე ახასიათებს ამ კოლექტივს: „სცენაზე გამოდის გალის რაიონის სოფელ თაგილონის მოხუც მომღერალთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს 88 წლის ლუკა შარია. გუნდი ხუთი კაცისაგან შესდგებოდა. ამათგან ყველაზე უმცროსი 75 წლისაა, ხოლო ყველაზე უფროსი 118 წლისა. გუნდმა წარმატებით შეასრულა ძველი მეგრულ-აფხაზური სიმღერები: „კუჩხა-ბედინერი", „დალიე", „ბურღა", „აყიშ", „აზარ". ბოლოს მოხუცებმა შეასრულეს ძველებური ცეკვა „ფერხული". 118 წლის ზურაბ შარია ცეკვაში თავის ამხანაგებს როდი ჩამორჩა, იგი სიმღერაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. მისი „პირველი" სხვა ხმებიდან გარკვევით გამოირჩევა".

კ. გეგეჭკორს აღნიშნული აქვს, როცა მან გალში რაიონული გუნდი ჩამოაყალიბა, აქ მონაწილეობდა თაგილონელი ლუკა შარია.

1941 წელს ომის დაწყებასთან დაკავშირებით თაგილონის მოხუცთა გუნდმა შეწყვიტა არსებობა.

ლუკა შარია მონაწილეობდა საქართველოს VII რესპუბლიკურ ოლიმპიადაში 1953წ. ოპერის და ბალეტის თეატრში, როგორც გალის

გაერთიანებული გუნდის მოცეკვავე; საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტმა იგი დააჯილდოვა საპატიო სიგელით, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ნ. კეცხოველი (იხ. ქვემოთ).

საპატიო სიგელი

საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VII ოლიმპიადის მონაწილე გალის რაიონის კულტურის სახლთან არსებული მომღერალთა გუნდის უხუცესი წევრი – მოცეკვავე ლუკა შარია დაჯილდოვებულია საპატიო სიგელით, შემოქმედებითი წარმატებისა და თვითმომქმედი ხელოვნების განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ზ. კეცხოველი
საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VII ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
№2814. 31. 11. 1951წ. თბილისი

„ჭაბუკ მოხუცთა“ ანსამბლი

გალის სახელმწიფო ისტორიულ-ეთგნოგრაფიულ მუზეუმში ინახება 45 წლის წინათ გადაღებული ფოტოსურათი, რომელიც მუზეუმს ჩააბარა გალის რაიონის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილემ ზ. ზანთარაიამ. ფოტოზე გამოსახულნი არიან სოფელ თაგილონის უხუცეს მომღერალთა ანსამბლის წევრები. ანსამბლს „ჭაბუკი მოხუცები" რქმევია.

ანსამბლს მონაწილეობა მიუღია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის შექმნის მე-15 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში, – გვატყობინებს გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია" 1935 წლის 26 ივნისის ნომერში წერილით – „ხალხური სიმღერის ოსტატები". სტატიის ავტორია სოხუმის სახელმწიფო მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორი კონსტანტინე კოვაჩი. ის წერს:

...„თქვენმა ზეიმმა და საქმიანობამ ჩვენც გაგვაახალგაზრდავა და მოვედით, რათა სიმღერითა და ცეკვით მოგილოცოთ ახალგაზრდული ბედნიერი ცხოვრება. შრომითი და შემომქედებითი წარმატებანი" –

მიუმართავს ზეიმის მონაწილეთათვის ანსამბლის სახელით მომღერალ ჯოტო მარშავას...

„ახალგაზრდული შემართებით მხნედ, სუფთად და ლამაზად ჟღერდა სიმღერები მათი შესრულებით, – ნერს კ. კოვაჩი, – მათ მგზნებარედ შეასრულეს ხალხური ცეკვა, დარბაზში აღტაცების შეძახილებს, მქუხარე ტაშს ბოლო არ უჩანდა...

„ისინი თორმეტნი არიან, ყველა ერთად კი 821 წელს ითვლის, – განაგრძნობს ავტორი, – გალელ მოხუც კოლმეურნეთა მაგალითი უდაოდ აღაფრთოვანებს და გაამხნევებს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ყველა მოყვარულს რესპუბლიკის ყოველ კუთხეში, ისინი მთელი თავიანთი შემოქმედებითი და საშემსრულებლო ძალების ჩვენებით წარსდგებიან ხელოვნების ოლიმპიადაზე". – დაასკვნის კ. კოვაჩი.

ამავე გაზეთის ცნობით, აფხაზეთის მთავრობასა და ცაკის თავმჯდომარეს თაგილონელთა „ჭაბუკი მოხუცები" ფასიანი საჩუქრებით დაუჯილდოვებიათ.

ᲘᲒᲘᲕᲔ ᲗᲔᲛᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲪᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

МАСТЕРА НАРОДНОГО ТВОРЧЕСТВА

Происходивший 20 июня в государственном театре Абхазии торжественный пленум обкома ЛКСМ Грузии, посвященный 15-летию Абхазской организации комсомола, был обрадован появлением на сцене замечательного коллектива народных певцов.

Молодо, свежо, бодро звучали абхазские и мингрельские песни. Весело и задорно выглядела народная пляска. Бурю молодого восторга, радостный, счастливый смех, гром аплодисментов вызвали певцы и танцоры.

Кто же были эти замечательные мастера народного творчества? Это была группа жизнерадостных колхозников из селения Тагелони, Гальского района. Им, вызвавшим у участников пленума столько прекрасных молодых чувств, всем вместе-821 год!

Основному, ведущему певцу в этой группе, колхознику Зурабу Шария 105 лет, его помощнику по исполнению ведущей партии в хоре, а также

очень хорошему танцору, Луке Шария – 85 лет. Оба они с большим искусством выполнили свое столь ответственное дело вожаков колхозного хора.

Так же прекрасно справились со своей задачей и остальные участники хоровой группы старики-колхозники: Маршава Келиш – 76 лет, Цулая Иван – 70лет, Цулая Нектар – 65 лет, Цулая Нико – 72 лет, Окуджава Каза – 70лет, Ардашелия Бадра – 71 года, Пацурия Сандро – 58лет, Малашхия Коция – 50 лет, Зантария Джого – 50 лет и Маршава Джого – 49 лет.

Коллектив исполнил шесть абхазских и мингрельских песен, которые являются редкостными образцами музыкального фольклора, имеющими огромную научную и творческую ценность. Некоторые из этих песен слушали впервые.

Полные жизни "молодые старики" прекрасно держали себя на сцене театра. Можно было подумать, что они обладают многолетним сценическим опытом.

Комитет по олимпиаде искусств при ЦИК-е АССР Абхазии предложил районным комитетам приступить к подготовке к олимпиаде. Весть об этом дошла и до селения Тагелони. И вот, там, впример колхозной молодежи, первыми организовались старики-колхозники. ОКруженные вниманием сельких и районных организаций, старики хорошо подготовились у себя в колхозе и решили выступить в Сухуме на комсомольском празднике, не дожидаясь олимпиады.

На сцене они занимались всего лишь один раз в Гальском рабочем клубе, где им деятельно помогал руководитель ансамбля чонгуристов тов. К. Гегечкори. Вот и весь их "сценический опыт".

Это действительно мужественные люди. Иначе нечем объяснить такую их выдержанность в исполнении народных песен на большой сцене, перед огромной массой слушателей, т.е. в таких условиях, когда и профессиональные исполнители крупных масштабов зачастую теряют самообладание.

В гостеатре колхозник-певец Джого Маршава, уполномоченный своим коллективом, приветствовал комсомол, приветствовал его успехи, приветствовал молодую счастливую советскую жизнь, приветствовал дважды орденоносного героя гражданской войны и отважного руководителя орденоносной Абхазии тов. Нестора Лакоба.

Певцы ушли со сцены, провожаемые шумной овацией переполненного молодежью театра.

Присутствовавший на вечере председатель ЦИК-а АССР Абхазии тов. Нестор Лакоба дал высокую оценку художественной самодеятельности этого коллектива.

На следующий день старики-колхозники были приняты наркомом по просвещению тов. Зантария, объяснившим им большое культурное значение их работы в деле развития национального искусства. Тов. Зантария дал им ряд указаний, касающихся их будущего выступления на Всеабхазской олимпиаде искусств.

ЦИК АССР Абхазии отпустил в распоряжение гальского райисполкома средства для премирования всех участников хора.

Пример гальских стариков-колхозников должен воодушевить всех исполнителей народных песен и плясок, всех музыкантов во всех уголках Абхазии к стремлению наилучшим образом показать свои творческие и исполнительские силы на предстоящей всеабхазской олимпиаде искусств.

К. Ковач

Заслуженный деятель искусств-директор Абхазского гос. муз. Техникума

"Советская Абхазия", 1935 г

ინტელიგენცია, კოლორიტები, ინტელექტუალები, მშრომელი ადამიანები...

სოფელ თაგილონს საამაყო შვილები ბევრი ჰყავდა, ბევრი ჰყავს და მომავალშიც ეყოლება, ალბათ. სამწუხაროდ, ყველა მათგანზე საჭირო მასალები არა გვაქვს, რის გამოც ზოგიერთ მათგანზე წიგნის ამ გამოცემაში ვერ ვილაპარაკებთ, რასაც, არ გვეეჭვება, თაგილონელიც და მკითხველიც სწორად გაგვიგებს.

წარმოგიდგენთ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი შრომით, გონით, ღვაწლითა და კოლორიტულობით ამშვენებდნენ და ამშვენებენ სოფელ თაგილონს.

ალექსანდრე აბლოთია
ნიკიფორე აბლოთია
ნადია აბლოთია
არდევან აბლოთია
გიორგი (ჟორა) აბლოთია
რამინ აბლოთია
თილამლან აბლოთია
ჯოტო არდაშელია
ტერენტი არდაშელია
ციალა არდაშელია
ბორის არდაშელია
ნინო (ნუცა) არდაშელია
ალეკო არდაშელია
დავით არდაშელია
ჯემალ ადამია
კლიმენტი (სოსო) ადამია
ნიკოლოზ ბოკუჩავა
ჯოტო ბერაია
ალექსანდრე გეგიძე
რევაზ გეგიძე
სპირიდონ გეთია
ავერიკო თორია
ნიკოლოზ კვესელავა
ანთოგენ ლაბაშია
ნიკანდრო ლაბაშია
აკაკი ლაბაშია
არველოდ ლემონჯავა
მიხეილ მარშავა
ჯულიეტა მირცხულავა
ვარლამ ორჟონია
შოთა ორჟონია
მურმან ოყუჯავა
ჯემალ ოყუჯავა
ვერა სიგუა
ვანო ქილორავა
მანონ ქირთბაია
ყარამან შარია
სპირიდონ შარია
ტარას შარია
ივანე შარია
თეოფანე შარია
ერასტი შარია
პეტრე შარია
კარლო შარია
ნუგზარ შარია
ზურაბ შარია
არსენა შარია
ვალერიან შარია
გრიგოლ შარია
სერგო შარია
ილია შარია
გივი შარია
კონსტანტინე შარია
ნელი შარია
ელისო შარია

ომარ შარია
გრიგოლ შარია
რეზო შარია
ვაჟა შარია
ბიქტორ შონია
მიხეილ შონია
ვალიკო შონია
კალისტრატე შუბლაძე
გვარდღი ძაძუა
ეკატერინე ძაძუა
შოთა ხოჭავა
ეფრემ ხურცილავა
ოთარ ხუბულავა
თომა ჯობავა
შალვა ჯოლოგუა
გოგი აბლოთია
ინვერ აბლოთია
ილია აბლოთია
დათიკო აბლოთია
დავით არდაშელია
იპოლიტე ანჯაფარიძე
გიორგი (ჟორა) არდაშელია
ჯუსტან ბოკუჩავა
კონდრატე ბენდელავა
იაკობ გამისონია
ზურაბ გეგიძე
ნიკოლოზ გეგიძე
მურმან გეგიძე
შოთა დარასელია
მალაქია ზაქარაია
შალვა ზაქარაია
შირინ ზაქარაია
ბიკო თორია
ალექსანდრე კვიტია
ზაურ კვიტია
ეთერ კვიტია
ნუცა ლაკერბაია
მიხეილ კაკულია
ოთარ მარშავა
კოტე მარშავა
ვაჟა მარშავა
ქეთო მარშავა
მედეა მარშავა
ხარიტონ რიგვავა
მარგო რიგვავა
აკაკი სექანია
ვანიჩქა სექანია
ლავრენტი სექანია
მამია სექანია
ფილგემო სექანია
ლილი სექანია
გურამ სექანია
დევი სექანია
ივანე სექანია
არხიპო ფაჟავა
ვანო ფაჟავა
პანტიკ ფაჟავა
გაბრიელ ქილორავა
იასონ ქილორავა
რადიონ ყოლბაია
ამბაკო ყოლბაია
მარუსია ყოლბაია
პილა შარია
აპილო შარია
ბათლომე შარია
არსენა შარია
იროდიონ შარია
ნიკოლოზ შარია
ლია შარია
არდევან შარია
ბორის შარია
დიმა შარია
ლერი გითოლენდია
თენგიზ შარია
მურთაზ შარია
ნუგზარ არდაშელია
ველოდი არდაშელია
რტემ შარია
შორენა შარია
ნიურა შარია

ტატიანა შარია
აკაკი შარია
თორნიკე შარია
ვანო შაგიძე
გოგი შაგიძე
შალვა შაგიძე
ივერი შაგიძე
ვალერი რიგვავა
გივი ხურცილავა
რაბიდონ ხარჩილავა
თენგიზ ძაძუა
ნიკოლოზ ძაძუა
ჯემალ ძაძუა
მარო ძაძუა
მიხეილ ცხაკაია
ვასილ ჯოლოგუა
ლეილა ჯღარკავა
ღუდა ხუბულავა
მარგო ბასარია
იროდიონ რუხაია
ოთარ ხუბულავა
კახაბერ გამსახურდია
ოთარ ბენდელავა
მედეა აბლოთია
ველზარ ხუბულავა
ნათელა ჯოლოგუა
შალვა ჯოლოგუა
ანატოლ ჯოლოგუა
თემურ ჯოლოგუა
ლაშა ჯოლოგუა
და სხვები (გვაპატიონ ვინც გამოგვრჩა და ვერ გავიხსენეთ).

ადამიანები, რომლებსაც ვენდობოდით
(გულისხმიერი მძღოლები)

აქვე გაგაცნობთ იმ ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ ხალხს, ადამიანებს, რომლებსაც თამამად ვანდობდით თავს, ადამიანებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჩვენს გადაადგილებას, რისთვისაც ვუხდით უღრმეს მადლობას თითოეულ მათგანს, მიცვალებულსაც და ცოცხალსაც...

შოთა ანჯაფარიძე
ვანიჩქა შარია
ამირან ანჯაფარიძე
სერგო არდაშელია
მიშა ფაცურია
ალიოშა რიგვავა
შალვა ნარიქის ძე კორკელია
ალიოშა შაგიძე
ალიოშა ქილორავა
ვლადიმერ ქილორავა
მაჟარა ქილორავა
ილუშა მარშავა
ნაპოლეონ შარია
ამირან ოყუჯავა
ვაჟა გამსახურდია
ჟორა სექანია
გოგი ბენდელავა
იურა შარია
რიმშა გაბელია
ვილგენ მირცხულავა
ჟორა თორია
იურა თორია
ნოდარ რიგვავა
სვიმონ ჯიმშელია
ნაპოლეონ ოყუჯავა
ვალიკო ხურცილავა
ვაჟა ხორავა
ლადიკო ქილორავა

ალექსანდრე ტიმოთეს ძე გეგიძე



თაგილონელთათვის გამორჩეული ადამიანი, სახალხო მასწავლებელი ალექსანდრე ტიმოთეს ძე გეგიძე დაიბადა 1873 წელს. 1891 წელს 18 წლის ყმაწვილი ინიშნება სოფელ რეფში დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. მუშაობდა ზემო ბარღებშიც. ორი წლის შემდეგ გადაიყვათა სოფელ თაგილონში ორკლასიანი სასწავლებლის გამგედ, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ ნუთამდე.

1927 წლის 5 ოქტომბერს რაიონულ ცენტრ გალში ჩატარდა საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა მისი პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავს. გალს არ ახსოვს ასეთი ზეიმი.

იგი მუდამ მშრომელი გლეხობის გვერდით იდგა, ეხმარებოდა გლეხობას უსამართლობასთან ბრძოლაში. სოფელი მას მარტო ბავშვების კი არა, სოფლის უფროსი თაობის მასწავლებლადაც თვლიდა.

სწავლა-განათლების პრინციპულ საკითხებში იგი ებრძოდა აფხაზეთში იასტრებოვ-ალფეროვის რუსიფიკატორულ პოლიტიკას განათლების დარგში. ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით ცნობილ მოღვაწე, პედაგოგ **პეტრე ჭარაიასთან** ერთად უხდებოდა ულმობელი ბრძოლა სწავლების დარგში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

იუბილარისადმი მიმართვაში აღნიშნულია, რომ გალის მაზრის მშრომელები უღრმეს მადლობას უცხადებენ ალექსანდრე გეგიძეს პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლის მანძილზე თავდადებული მუშაობისათვის. მიმართვაში ანღიშნულია: „მის მიერ აღზრდილი ახალგაზრდობა და მშრომელი გლეხობა უსურვებს მას – შრომის გმირს, კიდევ ხანგრძლივად იხილოს მისი დაუღალავი პედაგოგიური მოღვაწეობის სახელოვანი შედეგები. ცნობილმა ფილოსოფოსმა, პროფესორმა **პეტრე შარიამ** მოსკოვის პედაგოგიურ გაზეთში დაბეჭდა სტატია ალექსანდრე ტიმოთეს ძე გეგიძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

იუბილარმა იუბილის დღეებში თბილისიდან საჩუქრად მიიღო იოსებ იმედაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონი წერწერით: „სახსოვრად პატივცემულ იუბილარს ალექსანდრე გეგიძეს 25 წლის მანიძლზე პედაგოგიური მოღვაწეობის აღსანიშნავად“

გალის მაზრის სტუდენტთა სახელით საჩუქარს ხელს აწერენ სტუდენტები: ილია ვეკუა (შემდეგში უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), სახელოვანი ად-

ამიანები: **სევერიან ნაყოფია, შალვა ჩეხერია, სპირიდონ ხუბუტია, სერგო აქირთავა, ბორის კაჭარავა, შალვა ბაგათელია, სერაპიონ ციკოლია, გრიგოლ გეგეჭკორი.**

ორი შვილის, ქალ-ვაჟის (ძაბული, ალეკო) გარდაცვალების სიმწარე ალექსანდრე გეგიძემ თან ჩაიტანა საფლავში, გარდაიცვალა 1940 წელს.

მამის სიკვდილის შემდეგ სოხუმში გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი, უფროსი ვაჟიშვილი, ეკონომისტი **ნიკოლოზ გეგიძე**, კონფლიქტის წინ კი – უმცროსი შვილი, თაგილონის საშუალო სკოლის დირექტორი **აკაკი გეგიძე**. ორივე ვაჟიშვილს დარჩა შთამომავლობა.

ალექსანდრე გეგიძის ხსოვნა მარადიულია თაგილონის მოსახლეობაში. იგი თაობიდან თაობას გადაეცემა.

აკაკი (კაკო) ალექსანდრეს ძე გეგიძე



აკაკი (კაკო) ალექსანდრეს ძე გეგიძე დაიბადა 1919 წელს გალის რაიონის სოფ. თაგილონში. 1936 წელს წარჩინებით დაამთავრა გალის საშუალო სკოლა, 1941 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

აკაკი გეგიძე 1941–50 წლებში იმყოფებოდა სამეურნეო სამუშაოზე. იყო გალის რაიკომის ინსტრუქტორი, სოფ. თაგილონის ლაკობას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ამავე სოფლის გაერთიანებული კოლმეურნეობების პარტკომის მდივანი.

აკაკი გეგიძე 1953–56 წლებში მუშაობდა გალის რაიონის სოფ. გაგიდის სკოლის დირექტორად. ამ პერიოდიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ხელმძღვანელობით აშენდა სოფ. თაგილონის მეორე არასრული საშუალო სკოლის შენობა, რომლის დირექტორადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

აკაკი გეგიძე იყო საქართველოს სახალხო მასწავლებლის ალექსანდრე კიმოთეს ძე გეგიძის შვილი.

ნუცა ბადრას ასული ლაკერბაია-გეგიძე

ნუცა ბადრას ასული ლაკერბაია-გეგიძე დაიბადა 1921 წლის 15 აგვისტოს ქ. გალში. 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა გალის ქალთა სკოლა და ამავე წელს სოხუმის პედაგოგიურ სასწავლებელში ჩაირიცხა,



რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა. სასწავლებლის დამთავრებისთანავე იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასწავლის გერმანულ ენასა და ლიტერატურას. მოგვიანებით იწყებს მუშაობას დაწყებითი კლასების პედაგოგად. ქალბატონ ნუცას მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო. არაერთგზის იყო საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის დელეგატი. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. ის 50 წლის მანძილზე მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს თაგილონის არასრულ საშუალო სკოლაში.

რევაზ აკაკის ძე გეგიძე



რევაზ აკაკის ძე გეგიძე დაიბადა 1946 წელს გალის რაიონის სოფ. თაგილონში, პედაგოგების ოჯახში. 1952 წელს შევიდა თაგილონის საშუალო სკოლის პირველ კლასში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1962 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში. 1964 წელს ჩაირიცხა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკულ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1970 წელს.

1966-70 წლებში იყო კომკავშირულ სამუშაოებზე. 1970 წლიდან მუშაობა დაიწყო აგროგანყოფილების მმართველად ხუმუშკურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. 1968 წლიდან იყო კომუნისტური პარტიის წევრი მის დაშლამდე. 1981 წლის აგვისტოს აირჩიეს თაგილონის XXV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ, სადაც იმუშავა 1993 წლის ოქტომბრამდე.

აფხაზეთის ცნობილი მოვლენების შემდგომ იმყოფება დევნილობაში.

1997 წლიდან დღემდე მუშაობს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და პურის ფხვნილის ხარისხის ინსპექციის უფროს ინსპექტორად.

ყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

რამინ ილარიონის ძე აბლოთია



სოხუმის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის უნივერსიტეტის დამფუძნებელი და რექტორი. პროფესორი. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის, ფაზისის აკადემიის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. 2000 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრი. აკადემიკოსი. უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო შრომების მთავარი რედაქტორი. გაზეთ „დიოსკურიასა" და ჟურნალ „მედიკოსის" დამაარსებელი. სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის" პრეზიდიუმის წევრი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის", საზოგადოებრივ-ლიტერატურული ალმანახ „კარიბჭეს" რედკოლეგიის წევრი. ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე, საზოგადოება „სამურზაყანოს" და „სოხუმელის" საპატიო წევრი, აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის პრეზიდიუმის წევრი და ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე. საქართველოს მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა კავშირის წევრი. ინფორმატიზაციის პრობლემებზე საერთაშორისო სიმპოზიუმების არაერთგზის მონაწილე. მრავალი სახელმძღვანელოსა და მეთოდური ნაშრომის ავტორი.

ღირსებისა და წმინდა გიორგის ჯვრის ორდენების კავალერი.

რუსეთისა და ახლო საზღვარგარეთის კაზაკთა კავშირის საპატიო გენერალი.

რამინ აბლოთია დაიბადა ქ. გალში 1937 წელს. დაამთავრა გალის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლა. 1965 წელს კი - მოსკოვის შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის აკადემია საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია ეკონომიკურ თეორიაში (1979).

რ. აბლოთიას 1980 წლიდან დოცენტია. 1991 წლიდან -პროფესორი. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ -პოლიტიკურ მუშაობას აფხაზეთის სხვადასხვა რეგიონში. ქალაქებში: გალი, ტყვარჩელი, სოხუმი.

იმყოფებოდა ხელძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე ტყვარჩელში. 1962 წელს არჩეულ იქნა სოფლის მეურნეობის პროფკავშირის გალის

რაიკომის თავმჯდომარედ, 1967 წელს კი - სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ. შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებების პროფკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ. ბოლო წლებში მუშაობდა აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს აპარატში. არაერთხელ იყო არჩეული პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირის საოლქო და რესპუბლიკურ ორგანოებში, პროფკავშირების რესპუბლიკური და საკავშირო ყრილობების დელეგატად. 1974 წლიდან იწყებს პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, სადაც გაიარა ეტაპები უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის, კათედრის გამგისა და პრორექტორის. 1991 -92 წლებში საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფაკულტეტის დეკანი, შემდგომში კი მისი პრორექტორია. არჩეული იყო საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის წევრად. აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ. მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებში თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე. 1988 წელს გამოვიდა მოსკოვში მოხსენებით საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტისა და ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. მოხსენებები დაიბეჭდა შრომებად.

რამინ აბლოთიას მეცნიერული კვლევის ინტერესს ძირითადად თეორიული ეკონომიკა წარმოადგენს. კერძოდ ისეთი პრობლემები, როგორებიცაა შრომის ეკონომიკა, შრომით რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები, შრომის ხასითი და მისი თვისებები კონკრეტული ეკონომიკის აქტუალურ ამოცანებთან კონტექსტში. მის შრომებში თეორიული პრობლემების განზოგადება ხდება საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პირობების რეალური მდგომარეობის ღრმად შესწავლის საფუძველზე. ამ და სხვა საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 34 სტატია და 4 მონოგრაფია, თეორიული ეკონომიკის საფუძვლების დამხმარე სახელმძღვანელო, პროფესორ რ. სალიასთან ერთად მეთოდური ხასიათის ნაშრომი „ლექტორის ხელოვნება“, „სტუდენტის ცნობარი“. მიჰყავდა ლექციების კურსი ეკონომიკურ თეორიაში სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტსა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სოხუმის დაცემის შემდეგ მისი ინიციატივით დაფუძნდა აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის უნივერსიტეტი, რომელმაც მოკლე პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და გახდა

აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებლებს შორის ყველაზე მრავალპროფილიანი და კადრების მძლავრი მომზადების კერა.

აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, 1994 წლიდან უნივერსიტეტმა ქ. ფოთში განაახლა ფუნქციონირება. დღეს უნივერსიტეტი ყველაზე მსხვილი საერო უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში.

უნივერსიტეტს გააჩნია ფილიალები სამედიცინო ფაკულტეტით თბილისსა და ზუგდიდში.

უნივერსიტეტის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე სწავლობს 2000-ზე მეტი სტუდენტი და მუშაობს 300-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი და თანამშრომელი. მათგან 150-ზე მეტი სამეცნიერო ხარისხით. უნივერსიტეტში სწავლობენ საქართველოს 69 ქალაქის, რუსეთის, უკრაინის, ბულგარეთისა და რუმინეთის მოქალაქეები. უნივერსიტეტი განთავსებულია ფოთის ტექნიკურ კოლეჯში. 30-32 აკადემიური ჯგუფი მეცადინეობს ორ ცვლაში ახლად გარემონტებულ, გემოვნებით მოწყობილ აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში. შექმნილია სწავლისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ყველა პირობა.

უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ საგამომცემლო ბაზაზე სტუდენტთა და მოსწავლეთა შემოქმედებითი ძალებით გამოდის გაზეთი „დიოსკურია“ და სამედიცინო გაზეთი „მედიკოსი“. მუშაობს კომპიუტერული ცენტრი და დასავლეთ საქართველოში ერთადერთი, ტექნიკურად თანამედროვე სტანდანტებით აღჭურვილი კრიმინალისტიკის საუნივერსიტეტო ლაბორატორია, რომელიც წარმოადგენს არა მარტო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო ბაზას, არამედ მომსახურებას უწევს ფოთის, ხობის, სენაკის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო სამსახურებს.

თავად დიდი ინტელექტის მქონე რამინ აბლოთია ჩართულია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურობაში. ფლობს ინფორმაციის ფართო სპექტრს. მეოცე საუკუნის პოლიტიკური ბატალიებისა და ვიწრო კულუარული ამბების ულევი წყარო გააჩნია. არის დაუზარელი და საინტერესოდ მთხრობელი, აფხაზეთის ტრაგიკულ თავგადასავლებს ისევე განიცდის, როგორც ყველა ჭეშმარიტი პატრიოტი და ცდილობს პედაგოგიურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად თავისი წვლილი შეიტანოს იმ დაუოკებელი სურვილის აღსრულებაში, რასაც აფხაზეთის დაბრუნება და აღმშენებლობა ჰქვია. ამ იდეითაა

გამსჭვალული უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი.

ბატონი რამინის ინიციატივით, უნივერსიტეტის კომპიუტრული ცენტრი ჩართულია ინტერნეტის ქსელში. ინტერნეტში კი გახსნილია აფხაზეთის ვებსაითი. მისი მეშვეობით ვრცელდება ინფორმაციები აფხაზეთზე, რომელიც წარმოადგენს ჰოლანდიასა და კანადაში მოქმედი ანალოგიური საქმიანობის პასუხს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის ფაქტების დამახინჯებაზე.

უნივერსიტეტს გააჩნია ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ლიცეუმი ფოთში, თბილისის სამედიცინო და ზუგდიდის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური კოლეჯი. უნივერსიტეტმა უკანასკნელი ხუთი წელის განმავლობაში გამოსცა 15-ზე მეტი სახელმძღვანელო და მეთოდური მითითებანი, შექმნილია საბიბლიოთეკო ფონდი. რ. აბლოთიას ავტორობით ეკონომიკური თეორიის საფუძვლები ისწავლება საქართველოს თითქმის ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში. გამოშვებულია უნივერსიტეტის წლიური შრომების ხუთი ტომი.

სტუდენტებს ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი სწავლისათვის. სწავლის საფასურის გადაუხდელობის მოტივით არ ხდება სტუდენტთა გარიცხვა უნივერსიტეტიდან. მართალია, სტუდენტთა რაოდენობის 80-პროცენტს შეადგენს აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდობა, რომლებიც არ წარმოადგენენ პრიორიტეტებს გარკვეული შეღავათების განევაში. სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათები გათვალისწინებულია ნებისმიერი ხელმოკლე ოჯახის შვილზე. პროფესორ-მასწავლებელთაგან დევნილია ნახევარზე მეტი.

2001 წელს გამოვიდა მისი დოკუმენტური მოთხრობებისა და ნარკვევების კრებული „წარსულის ანარეკლი", რისთვისაც დაიმსახურა აკაკი წერეთლის სახელობის პრემია. თუმცა ამის შესახებ საუბრისაგან იგი თავს იკავებს.

ჰყავს მეუღლე ნანული აბლოთია, რომელიც მუშაობს ვეკუას სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სასწავლო ნაწილის გამგედ.

შვილები: გოჩა და თენგიზი.

გოჩა – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

თენგიზი – რადიოსადგურ BBC-ის კორესპონდენტი საქართველოში

ალექსანდრე თეიმურაზის ძე აბლოთია



ალექსანდრე თეიმურაზის ძე აბლოთია დაიბადა 1916 წელს სოფელ თაგილონში. მამა ადრე გარდაეცვალა, დედამ აღზარდა. თაგილონის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შედეგ სწავლა განაგრძო გალის საშუალო სკოლაში, რომელიც ფრიადზე დაამთავრა 1935 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ 1938 წლის აგვისტომდე იგი ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა თაგილონის არასრულ საშუალო სკოლაში, შემდეგ ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ალკკ გალის რაიკომის მეორე მდივნად.

1939 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. შედის სამხედრო სკოლაში, სკოლის დამთავრების შემდეგ მონაწილეობს თეთრფინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1941 წლის 24 ივნისიდან ალექსანდრე აბლოთია განუწყვეტლივ მოქმედ არმიაშია და მამაცურად იბრძვის გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. რამდენიმე თვის განმავლობაში მის შესახებ არაფერი იცოდა ოჯახმა, ნათესავებმა, მეგობრებმა. მთელმა სოფელმა გაიხარა ფრონტიდან პოლკოვნიკ კოვალევსკისაგან შემდეგი შინაარსის წერილის მიღებით, იგი ალექსანდრეს დედას წერდა: „გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან ერთად გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის, თქვენი შვილი, ალექსანდრე თეიმურაზის ძე აბლოთია დაჯილდოებულია მთავრობის ჯილოთი, „წითელი დროშის" ორდენით.

მოგილოცავთ თქვენი შვილის დაჯილდოებას და ვუსურვებთ მას საუკეთესო წარმატებებს მტრის სასწრაფოდ განადგურების საქმეში"

ალექსანდრე აბლოთიას საბრძოლო მოქმედებანი 1941-43 წლებში გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში" (1943 წ. 12 ივნისი) მოთხრობილი აქვს მის სკოლის მეგობარს, ნიჭიერ ჟურნალისტს სერგო შონიას. სამამულო ომის ფრონტზე პირველად იგი დასავლეთის ფრონტის ერთერთ ქალაქისათვის ბრძოლაში ჩაება, აქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა მტერს იმ ნაწილმა, სადაც ალექსანდრე აბლოთია იყო. 1941 წლის 25 ივლისს ნ. ქალაქისათვის ბრძოლაში იგი პირველად დაიჭრა, სისხლი სდიოდა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დატოვა და ცალი ხელით

თავისი ავტომატით ებრძოდა შეტევაზე გადმოსულ მტერს. ამ ბრძოლის დამთავრების შემდეგ ის გაგზავნეს ჰოსპიტალში. ერთი თვის შემდეგ ა. აბლოთია სხვა პოზიციებზეა, აზოვის ზღვის სანაპიროზე ნ. ქალაქისათვის ბორძოლაში სადაც ალექსანდრემ გვიჩვენა მამაცობის ნიმუში, ამიტომ დააწინაურეს მზვერავი ოცეულის მეთაურად. ერთხელ მტრის ჯავშნიანი მანქანა უახლოვდება ოცეულს. ცეცხლი! – გაისმა მეთაურის ხმა, მან სტყორცნა ყუმბარა ჯავშნიან მანქანას, მანქანა ცეცხლის ალში გაეხვია, მეთაური მკლავში დაიჭრა, მაგრამ მწყობრიდან არ გამოსულა. ბატალიონის მეთაურმა მწყობრიდან გამოიყვანა ალექსანდრე და ჰოსპიტალში გაგზავნა. მტრის მანქანა გაცამტვერებული იყო. ალექსანდრე მალე განიკრუნა და როსტოვის მისადგომებთან იბრძვის. მკერდში დაიჭრა, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო არ იყო, ისევ ჰოსპიტალი, ისევ ფრონტი. ქერჩისათვის ბრძოლების მონაწილეა, შემდეგ უკვე სარეზერვო პოლკში, საიდანაც გააგზავნეს პოლიტმეთაურთა კურსებზე. კურსების დამთავრების შემდეგ ექვსი თვე იბრძოდა კავკასიის მისადგომებთან. ნაწილი, რომელშიც იბრძოდა ალექსანდრე აბლოთია, გარდაქმნილ იქნა გვარდიის ნაწილად. ბროლის მძიმე წუთებში იგი ასეულის ხელმძღვანელი იყო. მან თავისი ასეული წინ წასწია და ჰიტლერელთა სისხლით მორწყო ბრძოლის ველი, მაგრამ ამ ბრძოლაში მარჯვენა ფეხში კვლავ დაიჭრა. აქვე აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ უკრაინელი ქალი ნადია კუზნენკო, მან ზურგზე მოიკიდა დაჭრილი ალექსანდრე და ხოხვით გადაიყვანა ნახევარი კილომეტრის მანძილზე.

ჯარიდან დემობილიზაციის შემეგ 1943 წლის სექტემბრიდან 1944 წლის სექტემბრამდე ალექსანდრე აბლოთია მუშაობდა საქართელოს კპ ოჩამჩირის რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ 1946 წლის ნოემბრამდე – საქართველოს კპ გალის რაიკომის მეორე მდივნად. დაამთავრა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორწლიანი პარტიული სკოლა. მისი დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოხუმის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ.

იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე აბლოთია სამეცნიერო მუშაობაში რომ ჩაბმულიყო, –ამბობს ამ წიგნის თანაავტორი, ალექსანდრე აბლოთიას მასწავლებელი, პროფესორი ვალერიან ზუხბაია, – მისი სახით საქართველოს შესანიშნავი მეცნიერი ეყოლებოდა.

1955-1968 წლებში იგი მზიურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი. 1968-1973 წლებში გალის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

1951 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, „შრომის წითელი დროშით“, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

მეუღლე – ნინა კობახიძე, შვილები –გივი, ვახტანგი.ამჟამად ოჯახი ცხოვრობს ქ. ოზურგეთში.

არდევან პლატონის ძე აბლოთია



არდევან აბლოთია დაიბადა 1928 წ. გალის რაიონის ს. თაგილონში. 1936-44 წწ-ში სწავლობდა თაგილონის არასრულ საშუალო სკოლაში. 1944-1949 წწ-ში სწავლა გააგრძელა ნაბაკევის საშუალო სკოლაში. 1950 წ. შევიდა სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1955 წ. ისტორიის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს კ. პ. გალის რაიკომის პოლიტგანათლების სახლის გამგედ, შემდეგ - რაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგედ. 1962 წლიდან გარდაცვალებამდე - 1972 წლამდე. მუშაობდა გალის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

10 წლის განმავლობაში იყო საქ. კ. პ. გალის რაიკომის ბიუროს წევრი, რამდენიმე მოწვევის გალის რაისაბჭოს დეპუტატი.

ჰყავს მეუღლე კრემილდა სამუშია, შვილები: პაატა და მერაბ აბლოთიები.

თილამღან აბლოთია

(ნაწყვეტი რამინ აბლოთიას წიგნიდან „წარსულის ანარეკლი“)

1936 წლის სტალინური კონსტიტუციის დროს სსრკ-ს დეპუტატი იყო თაგილონის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნადია აბლოთია (ჩემი ბიცოლა), რომელიც სიამაყით ამბობდა: აგერ 30 წელი სრულდება და ჩემი მიღებული კონსტიტუცია ვერ გამოუცვლიათო. მისი გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ ლ. ბრეჟნევმა მიიღო ახალი კონსტიტუცია. სოფელში დიდ პატივს სცემდნენ ეკატერინე ძაძუას, რომელიც

ხან სოფლის საბჭოს თავჯდომარე იყო, ხან - კოლმეურნეობის. მისი მამა - შამილ ძაძუა სამურზაყანოში ცნობილი პიროვნება ყოფილა.

1916 წელს სამურზაყანოს პოლიციის უფროსი იყო თილიმღან აბლოთია. თილიმღანი გამოირჩეოდა კაცთმოყვარეობით, შეუპოვრობით, ვაჟკაცობით. 1911 წელს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ იმოგზაურა კავკასიაში და გზად გვარდღი ძაძუასთან გაჩერდა, სადაც სუფრას თილიმღან აბლოთია თამადობდა თურმე. სუფრის დიდოსტატს დაუმახსოვრებია თავი ნიკოლოზ მეორისათვის, ამიტომ გაახსენდა რამდენიმე წლის შემდეგ თაგილონელი თამადა. რამდენადაც დღეს ჩვენთვის ცნობილია, 1916 წელს ნიკოლოზმა აბლოთიებს თავადობა უბოძა. 1917 წელს თილიმღან აბლოთია პეტერბურგის გზას გაუდგა თავადობის სიგელის ჩამოსატანად, მაგრამ თებერვლის რევოლუციამ მეფე ჩამოაგდო. ვინ იცის, დღეს ეს სიგელი პეტერბურგის რომელ არქივში განისვენებს. გზად მიმავალს წინ გადაუდგა სოფლელი გლეხი ჯოლოხავა და მიმართა ცხენოსანს - „ბატონო თილიმღან, ჯიბეში მაქვს სამი მანეთი. მოგცემ ამ სამ მანეთს და რამდენი თავადობა შეხვდება ამ თანხას, იმდენი მომიტანეო". თილიმღანმა გულიანად გადაიხარხარა და გზა გააგრძელა. ამის შემდეგ ჯოლოხავებს სამ მანეთიან თავადებს ეძახდნენ და დღემდე ასე გრძელდება. ასეთი ხუმრობით გლეხმა თავისი სახელი უკვდავყო... "

ნიკიფორე ნაუს ძე აბლოთია



დაიბადა 1907 წ. გალის რაიონის სოფ. თაგილონში. 1925 წელს დაამთავრა ქ. გალის №1 საშუალო სკოლა. იყო სკოლის კომკავშირის რაიკომის მდივანი. სკოლის დამთავრების შემდეგ ნ. აბლოთია გაგზავნილი იქნა სასწავლებლად ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. აკადემიის დამთავრების შემდეგ 1930 წელს მუშაობს კომკავშირის გაგრის რაიონის მდივნად, ხოლო 1932-36 წწ-ში მუშაობს გაგრის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორად. 1936-44 წწ-ში არჩეული იქნა მშრომელთა დეპუტატების გაგრის რაიონული საბჭოს თავჯდომარედ. 1944 წელს გადაყვანილ იქნა აფხაზეთში, იმ დროისათვის ყველაზე მსხვილ

აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

ნ. აბლოთია აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის თანამდებობას უთავსებდა სიდის მშენებარე ჩაის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობას. 1949-51 წლებში ნ. აბლოთია მუშაობდა ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, ხოლო 1951-53 წლებში აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად. შემდეგ წლებში ნ. აბლოთია ქ. გუდაუთში იმყოფებოდა სხვადასხვა სამეურნეო თანამდებობებზე.

ნ. აბლოთია არჩეული იყო I, II და III მოწვევის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო რამდენჯერმე არჩეული პარტიის გალის რაიკომისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრად. დაჯილდოებული იყო ლენინის წითელი ვარსკვლავის ორდენებით, აგრეთვე სხვა ორდენებით და მედლებით.

ნ. აბლოთია გარდაიცვალა 2001 წელს, დევნილობაში, ქ. სოჭში.

ჟორა (გიორგი) თეიმურაზის ძე აბლოთია

გახლდათ **ალექსანდრე აბლოთიას** მეორე მსოფლიო ომში დაღუპული უმცროსი ძმა.

ჟორა (გიორგი) აბლოთია დაიბადა 1920 წლის 11 ივნისს სოფ. თაგილონში, გლეხის ოჯახში, მამა ადრე გარდაეცვალა. აღზარდა დედამ.

1935 წელს დაამთავრა ფრიადი წარმატებით თაგილონის არასრული საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა სოფელ ოტობაიას საშუალო სკოლაში, რომელიც ფრიადი წარმატებით დაამთავრა 1938 წელს, როგორც ფრიადოსანი იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველ კურსზე.

მეოთხე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი გაწვეულ იქნა არმიაში და დაიღუპა.

დარწმუნებული ვართ ჟორა აბლოთიას რომ ეცოცხლა, დაემთავრებინა თბილისის უნივერსიტეტი, ასპირანტურა, საქართველოს ეყოლებოდა შესანიშნავი მეცნიერი-ისტორიკოსი.

ნადია აბლოთია

მე-19 საუკუნეში ერთი თაგილონელი გლეხი გვარდღი ძაძუა ესტუმრა პეტერბურგს, მეფის სასახლეს. მე-20 საუკუნის 40-იან წლებში კი თაგილონელმა ნადია აბლოთიამ მოსკოვში შეაღო კრემლის კარები.

თაგილონელი გლეხის ქალი ნადია აბლოთია იყო ინიციატორი თაგილონში კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისა.

ნადია აბლოთიამ 1928 წელს თავის მეზობელთან ერთად სასოფლო-სამეურნეო არტელი ჩამოაყალიბა. პირველ წელს არტელმა მოსავალი 50 ფუთი პური მიიღო, 12 ფუთი აბრეშუმის პარკი. თაგილონში კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისთანავე ნადია აბლოთია ქალთა ბრიგადირად გამოყვეს. დიდ ხანს მუშაობდა ბრიგადირად, ჯილდოებსაც ღებულობდა, ბოლოს თაგილონის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ნადია აბლოთიას ეკუთვნის ინიციატივა ენგურ-ხუმუშკურის სარწყავი არხის გავყანისა. იგი ჩაის ცნობილი მკრეფავი იყო. ერთ დღეს 170 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და გამოიმუშავა 510 მანეთი. ნადია აბლოთიას ბედნიერი დღეები წინ ელოდა. 1936 წელს თაგილონელი კოლმეურნე ქალი აირჩიეს სრულიად საკავშირო მე-8 საგანგებო ყრილობის დელეგატად; ყრილობისა რომელმაც მიიღო ქვეყნის ახალი კონსტიტუცია. ნადია აბლოთია 36 დელეგატთან ერთად გაემგზავრა მოსკოვში. ექვსი დღე დაჰყო იქ და მოისმინა სტალინის მოხსენება საგანგებო ყრილობაზე, ნადიამ რასაკვირველია ხმა მისცა ახალი კონსტიტუციის პროექტის დამტკიცებას.

იგი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ზრუნავდა სოფლისათვის: სკოლის შენობის რემონტისათვის, აფთიაქის გახსნისათვის, გზატკეცილის რემონტისათვის, ებრძოდა ყოველგვარ უკანონობას, უსამართლობას.

უკეთილშობილესი, მშრომელი, ორგანიზატორი ქალი ნადია აბლოთია დიდი ხანია რაც გარდაცვალა, მაგრამ სოფელში სამუდამოდ დარჩენილია ამ მოამაგე ქალის სახელი. ღმერთო, უმრავლე თაგილონს ნადიასთანა კეთილშობილი ქალები.

ნადია აბლოთია იყო კარგი შვილების დედა, კარგი დიასახლისი და სტუმართმოყვარე ქადბატონი.

კლიმენტი (სოსო) ნიკოლოზის ძე ადამია



კლიმენტი (სოსო) ნიკოლოზის ძე ადამია დაიბადა 1953 წლის 18 მარტს გალის რაიონის სოფ. თაგილონში.

1970 წელს წარჩინებით დაამთავრა სოფ. თაგილონის საშუალო სკოლა.

1972-75 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის საზღვაო ფლოტში, სადაც ერთგული სამსახურისათვის მრავალი ჯილდო და მადლობა მიიღო.

1976 წელს ჩაირიცხა და 1981 წელს დაამთავრა თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი ეკონომისტის სპეციალობით, საიდანაც განაწილებით დაიწყო მუშაობა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის კათედრის მასწავლებლად.

1985 წელს დაამთავრა ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა.

ლტოლვილობის პერიოდში, 1994 წლიდან მუშაობს ქ. თბილიის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგადასახადო ინსპექციაში, კონტროლის განყოფილების მთავარ ინსპექტორად.

პარალელურად აგრძელებს მუშაობას თსუ სოხუმის ფილიალში, ეკონომიკური თეორიის კათედრაზე. ასევე თანამშრომლობს ფინანსების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც მუშაობს საგადასახადო პრობლემებზე. ამ დარგში გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია სხვადასხვა ჟურნალში.

აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირების საქმეში, რისთვისაც აქტიურად თანამშრომლობს ამერიკელი სპეციალისტების ე. წ. „ბარენც-ჯგუფში“

ჰყავს მეუღლე - ეკა შალვას ასული დგებუაძე, სპეციალობით ფილოლოგი და ერთი ვაჟიშვილი:

ნიკოლოზ კლიმენტის ძე ადამია (12 წლის) სწავლობს VI კლასში.

ჯემალ ნიკოლოზის ძე ადამია



დაიბადა 1946 წელს გალის რაიონის სოფელ თაგილონში, ფინეთის ინციდენტისა და მეორე მსოფლიო ომის მონაწილის, მე-2 ჯგუფის ინვალიდის ოჯახში.

ბაბუა ვარად ადამია ქვაბლუხუს ძე იყო შეძლებული გლეხი. მისდევდა მესაქონლეობას და ხელოსნობას, გასული საუკუნის 30-იან წლებში ის განაკულაკეს. წაართვეს მიწები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და დანაზოგი (აფხაზეთის ისტორიის ნარკვევები).

1964 წელს დაამთავრა თაგილონის საშუალო სკოლა. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრე 1971 წელს სწავლული აგრონომის სპეციალობით.

1971 წლიდან მუშაობდა საქართველოს (ალკკ) კომკავშირის გალის რაიკომში ინსტრუქტორად, განყოფილების გამგედ, მე-2 მდივნად.

1975-76 წლებში იყო ქვ. ბარღების მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი (განთავისუფლებული) მიხეილ ანთიას პენსიაზე გასვლის შემდეგ.

1976 წლის შემოდგომაზე აირჩიეს აჩიგვარის მეურნეობა-ტექნიკუმის პარტიული კომიტეტის მდივნად, სადაც დაჰყო 5 წელი. ეს იყო ყველაზე ნაყოფიერი წლები, იქ მაშინ მეურნეობა-ტექნიკუმში ცხოვრობდა და მუშაობდა 21 ეროვნების წარმომადგენელი.

1981 წლის ნოემბრიდან გადაიყვანეს და დანიშნეს მე-2 წარჩეს მეციტრუსეობის მეურნეობის დირექტორად, სადაც აფხაზეთის მოსახლეობის გენოციდამდე იმუშავა. ამჟამად არის ლტოლვილი, დირექტორად ისევ მთვლიან. არცერთ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში არ არის.

სხვადასხვა დროს დამთავრებული აქვს თბილისსა და ბაქოში კომკავშირული და პარტიული სკოლები და კურსები. რამდენიმეჯერ იყო (ВДНХ-ას) მოსკოვში საკავშირო-სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე (მეციტრუსეობისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების განვითარებისადმი მიძღვნილი სემინარებზე,

ახლო ურთიერთობა და მეგობრობა მქონდა სოფლის მეურნეობის ბრწყინვალე სპეციალისტთან, საკავშირო გამოფენის (ВСНХ-ას) გენ-

ერალურ დირექტორთან, მის პირველ მოადგილესთან ალექსი ალექის ძე დერიაბინთან.

მეუღლე - ჯულიეტა გრიგოლის ასული მირცხულავა
შვილები - ბესიკი, სოფიკო. შვილიშვილი - სალომე.
ოჯახი დევნილობის გამო დროებით ცხოვრობს თბილისში

ჯემალ ადამია

ზოგი რამ წიფურიას ეკლესიაზე

XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს იაღწერაში“ ერთ-ერთი მოკრძალებული ადგილი აქვს დათმობილი წიფურიას ეკლესიას და მის აღწერას.

ლამბერტის ამ წიგნს დართული ჰქონდა რუკაც. მასზე აღნიშნული იყო წიფურიას ეკლესია, რომელიც მდებარეობდა ენგურის მარჯვენა სანაპიროზე ზუგდიდსა და ნაბაკევს შორის, ზუგდიდიდან 13-კმ-ზე. იგი ენგურის პირას ხელოვნურად ამაღლებულ ბორცვზე იყო აშენებული. დღემდე უცნობია, რატომ ერქვა მას წიფურიას ეკლესია (წლების განმავლობაში იქ ბევრი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, არქეოლოგი სტუმრობდა მაშინდელი სსრკ-ს სხვადასხვა კუთხიდან, მაგრამ საბოლოო დასკვნა დღემდე არაა გამოკვეთილი).

ცნობილია, რომ წიფურიას ეკლესია, რომელიც თაგილონის ტერიტორიაზე არსებობს, დასავლეთ საქართველოში კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. ის ოდიშის სამთავროში შედიოდა და მისდამი დიდ დაინტერესებას იჩენდნენ კათოლიკე მისიონერები ლამბერტი, კასტელი და სხვები. ცნობილია აგრეთვე, რომ წიფურიაში ხდებოდა ნიჭიერი ახალგაზრდების მომზადება სპეციალურად და ამის შემდეგ იგზავნებოდნენ საზღვარგარეთ სასწავლებლად. ამავდროულად, წიფურია სავაჭრო ცენტრსაც წარმოადგენდა. ლამბერტის გადმოცემით, აქ შემოდგომის დასაწყისში, კვირა დღეს, იმართებოდა ბაზრობა. რისთვისაც სპეციალურად ემზადებოდნენ, წნავდნენ კარვებს თხმელის წკნელისაგან. ბაზრობაზე უამრავი ხალხი იკრიბებოდა (20 ათასამდე). ბაზრების დაწყების წინ სამეგრელოს მთავარი დაათვალიერებდა ყველაფერს, აღმართავდნენ დროშას და ამის შემდეგ იწყებოდა ადგილობრივი თუ ირანული საქონლის (მანუფაქტურის, პირუტყვის, მუშასაქონლის, თვითნაკეთი იარაღების, პროდუქტის და სხვ.) გაცვლა. ბაზრობა ერთ დღეში მთავრდებოდა.

წიფურიას ეკლესიისადმი ინტერესი გასული საუკუნის 70-80-იან

წლებში განსაკუთრებით გაიზარდა. აქ ჩამოდიოდნენ მეცნიერები თბილისიდან (მათ შორის პროფესორი ი. ბერიძე, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ვლ. ალფენიძე და სხვები). წიფურია ენგურის პირას, ადამიების სამოსახლო კარ-მიდამოს ემიჯნებოდა და მისასვლელი არსაიდან არ ჰქონდა. მას თაგილონელები და მეზობელი სოფლების (სიდა, ნაბაკევი) მკვიდრნი „ვარადიშ ჯიხას" ეძახდნენ (ვარად ადამია ბაბუაჩემი იყო). მართლაცდა, ბაბუაჩემი დიდი მოწინებით და მონდომებით უვლიდა მას და ჩვენ კარგად გვახსოვს წიფურიას ტერიტორიაზე საუკუნოვანი წიფლისა და მუხის ხეების ტყე, სადაც ერთი პატარა ტოტის ჩამოგლეჯისა და ჩამოჭრის ნება არავის ჰქონდა. ვარადის გარდაცვალების შემდეგ მამაჩემი ნიკოლოზ ადამია (ფინეთის ინციდენტისა და დიდი სამამულო ომის მონაწილე, II ჯგუფის ინვალიდი) თავგამოდებით იცავდა წიფურიას ტერიტორიას, მის ირგვლივ არსებულ 5 ჰექტრამდე უნიკალურ ტყესა და ფაუნას. ადგილობრივ მკვიდრთ აკრძალული ჰქონდათ ნადირობა, თოფის გასროლაც კი.

გასული საუკუნის 40-50-იან წლებში მე მახსოვს, რომ უჩიოდნენ ჩვენს ოჯახს სოფლის ზოგიერთი „ვაი პატრიოტნი", თითქოს უკანონოდ ვფლობდით უზარმაზარ ტერტორიას, ტყეს და სხვა. მაგრამ მამაჩემი მათ უმკლავდებოდა და ადგილობრივ ხელისუფლებას აშინებდა სტალინის მიერ გამოცემული სპეციალური კანონით (ალბათ იყო ასეთი რამ) ისტორიული ძეგლებისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (200 მეტრის რადიუსში) ხელშეუხებლობის შესახებ (ხე-ტყე და სხვა რამ იგულისხმებოდა).

წიფურიას ეკლესიას, განსაკუთრებით ზაფხულობით, დიდ პრობლემას უქმნიდა აბობოქრებული ენგური. ადიდებული მდინარე შლიდა და არღვევდა ეკლესიას. მახსოვს ბაბუაჩემის ღვაწლი მისი მარჯვენა სანაპიროს გასამაგრებლად. განცხადებებსა და თხოვნას აწერინებდა (ყარა თორიას, რისთვისაც მასაც საკმაო გასამჯელოს უხდიდა) რესპუბლიკის სხვადასხვა ინსტანციებში. ყოველივე ეს კი საფუძველი ხდებოდა იმისა, რომ ხეებისაგან აშენებდნენ ვეებერთელა დამბებს, ჯებირებს და ენგურიც იძულებული იყო ჩამდგარიყო კალაპოტში. ამ ფაქტს ხშირად იხსენებდა სოფლის კოლმეურნეობის თავჯდომარე ეკატერინე ძაძუა.

წიფურიაზე უამრავი ვიზუალური გამოკვლევები ტარდებოდა. ცნობილია, რომ მისი 1/3 იყო მხოლოდ დარჩენილი. 2/3 კი ენგურმა წაიღო.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ გალის რაიონში პარტიის რაიკომის პირველ მდივნად ყოფნისას ბაკურ დავითის ძე გულუამ შესაშური ინიციატივა გამოიჩინა და შესაბამის ორგანიზაციებზე გასცა

განკარგულება, ენგურის ერთ-ერთ შენაკადზე გაედოთ ხიდი (როდემდე უნდა ვიაროთ და ვატაროთ სტუმრები ადამიების ეზოს გავლით და ვანუხოთ ოჯახიო, და აქედან ასულიყო დამთვალიერებელი. გავიდა 2-3 წელი და ადიდებულმა მდინარემ ეს ხიდიც წაიღო. მაშინ, კვლავ ბაკურ გულუას თაოსნობით, სოფლის ცენტრალური გზიდან კოლმეურნეობის სასიმინდე ფართობების გავლით 1-კილომეტრიანი მოხრეშილი გზა გააყვანინა პირდაპირ წიფურიამდე. დღეს პირადად ჩემი ოჯახის, თანასოფლელების სახელით მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ბაკურ გულუას აღნიშნული და ბევრი სხვა კეთილი საქმის კეთებისათვის (სხვათა შორის, სოფელ თაგილონში მისი მხარდაჭერით აშენდა 8-წლიანი სკოლაც)...

მინდა აღვნიშნო, რომ მამაჩემის გარდაცვალებისა და ჩემი ძმის ჯამბულ ნიკოლოზის ძე ადამიას დაღუპვის შემდეგ, ოჯახში დედაჩემი დარჩა და უძლური გახდა დაეცვა წლების განმავლობაში ნალოლიავები წიფურია და მისი შემოგარენი.

ბრაკონიერებმა გაანადგურეს ტყე და ფაუნა, ააფეთქეს წიფურიას ის ნაწილი, სადაც სამარხები იყო. მოგვიანებით მდინარის პირას ჩამონგრეულ ნაწილში ნაპოვნი იქნა გიშრისთვლიანი ოქროს ბეჭედი, რომელიც გალის მუზეუმში ინახებოდა (ამ მუზეუმში წიფურიას ტერიტორიიდან წაღებული, უკვე რელიკვიად ქცეული სხვა ნივთებიც ინახებოდა). მუზეუმი ჯერ გაქურდეს, შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა და ბევრი ექსპონატი, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ განადგურდა. აფხაზეთში დატრიალებული ამბების შემდეგ მათი ბედი საერთოდ უცნობია.

ამჟამად წიფურიას ერთ მესამედ ნაწილში დარჩა მარტო გალავნის ნაწილი, ის მოტიტვლებული, აჩეხილი და უკაცრიელია. ტყისა და უნიკალური ხეების ნასახიც კი არაა დარჩენილი. არც ადამიების სახლკარია. სამამულო ომამდე აშენებული სახლი და სხვა ნაგებობები გადამწვარ-გაჩანაგებულია. წიფურიას ნაეკლესიარზე დღეს არავინ ფიქრობს და ზრუნავს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გახიზნულია ენგურის გამოღმა. თითო-ორიღა დარჩენილი კი შიშით გარეთაც ვერ გამოდის, ან საერთოდ თავის პრობლემას შერჩა და... ჩვენი ისტორია უკვე არავის აინტერესებს. პირიქით ჩვენსავე წარსულს ჩვენვე ვსპობთ, დაუნდობლად ვთელავთ, არ ვზრუნავთ იმაზე, რომ მომავალ თაობას რამე მაინც დავუტოვოთ ღირსახსოვარი.

ჯოტო ვარდის ძე არდაშელია

ქ. გალის უხუცესი მკვიდრი, მისი ცოცხალი მემატიანე, შრომის ვეტერანი ჯოტო ვარდის ძე არდაშელია.

დაიბადა 1907 წელს თაგილონში, ცხრანლედის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო წითელი ჯვრის საზოგადოებაში. ერთნახევარი წლის შემდეგ იგი კომკავშირის სამაზრო კომიტეტმა მიავლინა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სასწავლებლად, მაგრამ მძიმე ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა ინსტიტუტი და შესდგომოდა შრომით საქმიანობას თავის მშობლიურ ქალაქში.

56 წლის მანძილზე ჯ. არდაშელია სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. აქედან თითქმის ნახევარი საუკუნე ვაჭრობის სისტემაში კეთილსინდისიერად მოღვაწეობდა. 1913 წელს, როცა გალში პირველი რაიკავშირი დააარსეს, ჯოტო არდაშელია მისი საორგანიზაციო განყოფილების უფროს ინსტრუქტორად დანიშნეს. შემდეგ მუშაობდა საქონელმცოდნედ, დირექტორის მოადგილედ, დირექტორად. ოცი წელი იმუშავა გალის სოფლის კოოპერატივის კადრების განყოფილების გამგედ დაეს წლებიც ვაჭრობის სისტემის პატიოსანი კადრებით დაკომპლექტებისა და სახელგატეხილ მუშაკებთან ბრძოლას შეალია.

ბატონ ჯოტოს მარტო ვაჭრობის სისტემაში უმწიკვლო შრომა ეყოფდა იმისათვის, რომ მშობლიურ რაიონში ყვარებოდათ და დაეფასებინათ. იგი ბოლომდე თავისი სტიქიის ერთგული დარჩა. გულთან ახლოს მიჰქონდა თავისი კუთხის ავ. კარგი.

უზომოდ იყო შეყვარებული ბუნებაზე, მის მშვენებაზე–ტყეზე. ამის დასტურად ერთი მაგალითის მოყვანაც კმარა. მან ადგილობრივ და რესპუბლიკურ გაზეთებში პირველმა (ოჭაკეს) ტყეების ჭრის აღკვეთისათვის დაიწყო ბრძოლა. როგორც იტყვიან, რკინის ქალამნები ჩაიცვა, მოიარა ზემო ინსტანციები და მიზანსაც მიაღწია.

რესპუბლიკის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს უყურადღებოდა არ დარჩენია ბუნების ქომაგის ღვაწლი. ბუნების დაცვაში თვალსაჩინო წვლილის შეტანისათვის სახელმწიფო კომიტეტმა ჯოტო არდაშელია დააჯილდოვა საპატიო ნიშნის მედლით „ბუნების ქომაგი“.

ჯოტო არდაშელიას დიდი ღვაწლი მიუძღვის გალის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გახსნაში. უანგაროდ იღწვოდა სამურზაყანოს ისტორიული ძეგლების დასაცავად. იგი ხშირად ბეჭდავდა ადგილობრივ გაზეთში წერილებს, მოგონებებს გალის ისტორიულ წარსულზე, მის თვალსაჩინო ადამიანებზე. ტყუილად როდი უწოდებდნენ მას გალის ცოცხალ მატიანეს.

ტერენტი დოროთეს ძე არდაშელია



თაგილონელებს შორის თავისი ნიჭით გამოირჩეოდა 1902 წელს დაბადებული ტერენტი არდაშელია, რომელიც ახალგაზრდობის წლებიდან იყო კომკავშირის და პარტიის წევრი, რაიონში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, მაგრამ 30-იანი წლებიდან დაიწყო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აღიარეს ტროცკისტად და 1937 წელს რეპრესირებულ იქნა. ჩვენს ხელთა არის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინიტროს ცნობა, გაცემული 2001 წლის 4 აპრილს, რომელიც მოგვითხრობს ტერენტი არდაშელიას ცხოვრების დასასრულზე.

„ცნობა მოქ. ტერენტი დოროთეს ძე არდაშელია დაბადებული 1902 წელს, რომელიც 1937 წელს გასამართლებული იქნა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სესიის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 58-60 (აგიტაცია და პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას) და 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის) მუხლების საფუძველზე და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1937 წლის 16 სექტემბერს.

ციალა ჯოტოს ასული არდაშელია

თაგილონელი იყო მამა-პაპა–წინაპრები ცნობილი ქართველი პროზაიკოსის ციალა არდაშელიასი.

ციალა ჯოტოს ასული არდაშელია დაიბადა ქალაქ გალში მოსამსახურის ოჯახში. ოქროს მედალზე დაამთავრა გალის მეორე საშუალო სკოლა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1963 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს თბილისში, არის რამდენიმე წიგნის ავტორი.

ციალა არდაშელია სამწერლო ასპარეზზე 60-იანი წლებიდან გამო-



ჩნდა. მისი პირველი მოთხრობები იმთავითვე ამხელდნენ ავტორის მწერლურ პოტენციალს, ხალას ნიჭს.

მისი მოთხრობების პირველი წიგნის, რომელიც გამომცემლობა „მერანმა" გამოსცა 1976 წელს, წინასიტყვაობაში პოეტი მურმან ლებანიძე წერდა: „ახმეტ ჩერქეზი" მშვენიერი მოთხრობაა. სადაც ყოველგვარი პათეტიკის გარეშე კარგად არის ნაჩვენები ქართველი ხალხის ხასიათი, მისი შემწყნარებლური, ჰუმანური დამოკიდებულება უცხო ტომის ადამიანისადმი... მაგრამ ჩვენი ნიჭიერი მწერალი ქალის ამპლუა სწორედ ქალის ფსიქოლოგიის ცოდნაა... და მთავარი მოთხრობაც წიგნში „ნაილი" გახლავთ. ციალა არდაშელიას ოსტატობა, მე მგონი, გრძნობათა გამხელის გაბედულებასა და უშუალობაშია. არ შემიძლია არ აღვნიშნო, როგორც მწერალი, ციალა არდაშელია თანამედროვე ქალია, მაგრამ აუცილებლად ქართველი ქალი.

ციალა არდაშელია ავტორია ორი რომანისა და მრავალი მოთხრობისა. 1988 წელს დაიბეჭდა მისი მითოლოგიური რომანი „იათნანელი ამორძალები"

რომანში აღწერილი ამბები ხდება უშორეს წარსულში, აიეტის მეფობის წინარე ხანაში, დაახლოებით XIV-XIII საუკუნეების მიჯნაზე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე. როცა ქართველური მოდგმის ტომები, მრავალი ჩვენი და უცხოელი მეცნიერის აზრით და მითოლოგიითაც, ბერძენთა გამოჩენამდე ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების აუზებში ბინადრობდნენ.

პროქართული მოდგმისადმი, ჩვენი შორეული წინაპრებისადმი მიძღვნილი რომანი ავტორისაგან ისტორიული და მითოლოგიური საკითხების ღრმა ცოდნას მოითხოვდა. რომანის წაკითხვისას ვრწმუნდებით, რომ აჲ მოთხოვნებს ციალა არდაშელიამ შესანიშნავად გაართვა თავი. დამაჯერებლადაა გახსნილი ათასწლეულების მიღმა მცხოვრებ ადამიანთა ხასიათები, ისტორიული გარემო. ზომიერად და ცხოვლადაა დახატული ძველ-ქართულ-კოლხური მითოლოგიური პასაჟები, გარემო, ადათ-ჩვეულებები. ამასთან „იათანელი ამორძალები" წმინდა მითოლოგიური თუ ისტორიული რომანი არ არის. მისი ფაბულა პერსონაჟთა ყოფითი

ურთიერთობის ფონზე იშლება და ამის წყალობით რომანი თანამედროვეობის მნიშვნელობასაც იძენს.

ქართულ მწერლობაში შექმნილ ქალთა სახეების გალერეაში რომანის გმირი ქალები ციცი და ნათელმხილველი ქურუმი შოუ, უსათუოდ დაიმკვიდრებენ თავიანთ ადგილს, როგორც მკვეთრი ინდივიდუალობით გამორჩეული პერსონაჟები.

რომანი „ჟამი მოვალს" ეროვნული პრობლემატიკით და წარსულის მითოსური წვდომით, თუ შეიძლება ასე ითქვას, „იათნანელი ამორძალების" გენეტიკური გაგრძელებაა, ოღონდ მოქმედება მიმდინარეობს არა აიეტის მეფობის წინარე ეპოქაში, არამედ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ილიას მკვლელობის ფონზე. ამ რომანშიც ავტორს საინტერესო მითოსურ სამყაროში შევყავართ. ახლებურადაა გააზრებული მწერლის მიერ ამირანის სახე.

„ჟამი მოვალს" შესანიშნავი ალეგორიაა, რომლშიც ქართველი კაცის გენიით შექმნილი ლეგენდებისა და თქმულებების ფონზე მოქმედებენ რეალური პიროვნებები. ისინი ჩვენი თანამედროვენი არიან. განიცდიან, ბჭობენ სამშობლოს ბედზე, ეძებენ გამთლიანების გზებს. შემოქმედების ადრეულ ნლებში, რამაც გაუთქვა მწერალს სახელი, ეს არის მოთხრობა „ქვაკაცი", სადაც სიყვარულმა სძლია ბოროტებას. ციალა არდაშელიას „ქვაკაცი" ერთერთი საუკეთესო მოთხრობაა ქართულ ენაზე.

ციალა არდაშელიას მიერ 60 – 80-იან წლებში გამოქვეყნებული პუბლიცისტური და ისტორიულ-მხატვრული ნარკვევების კრებულები: „ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი", „საუნჯე სათნოებისა", „ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით" ქართული სინამდვილის ისეთ აქტუალურ საკითხებს მოიცავენ, რომლებიც დღესაც ფრიად საჭირბოროტოა და მკითხველის მეხსიერებაში რჩება არა მხოლოდ თავიანთ მწვავე ჟღერადობით, არამედ იმ მაღალი მხატვრული დონითაც, რაც ძალზე იშვიათია პუბლიცისტიკაში.

წიგნის გამო „ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით" ათასი ცალი ტირაჟით, რომ გამოიცა 1993 წელს, ვახტანგ გურგენიძე წერილში „ქალი მეცნიერი, ქალი ლიტერატორი, ანუ მადლობა წიგნისათვის" აღნიშნავდა: „ნაშრომში, თავისი ფორმითაც და შინაარსითაც, მრავალი საკითხი ახლებურად, ზოგი წინასწარმეტყველურადაცაა გააზრებული. მაქვს ერთადერთი შენიშვნა: მე, როგორც საქართველოს ისტორიის რიგითი მემატიანე-არქივარიუსი, წიგნის პირველ თავს, მიუხედავად მისი

ბრწყინვალე სახელწოდებისა (იქნებ მთლიანად წიგნსაც) დავარქმევდი „არქეოლოგიურ ნოველებს", მხოლოდ მეცნიერ-არქეოლოგს და მწერალს შეუძლია შექმნას ასეთი ნაწარმოებები". ხოლო ისტორიკოსი პროფესიით, პროფესორი თემურ მიბჩუანი ამავე წიგნის შესახებ წერს: „ციალა არდაშელია ამ ნარკვევებით გვეველინება საქართველოს ისტორიული წარსულის ბრწყინვალე პოპულარიზატორის როლში, რაც დიდი ეროვნული საქმეა. საქართველოს ისტორიის ასეთი პრაპაგანდით ქართველი მკითხველი მაინც და მაინც განებივრებული არ გახლავთ. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ასეთი წიგნები უცხო ენებზეც გამოვცეთ. მწერალს ისტორიის ყველა დეტალის ცოდნას ვერ მოთხოვ, მიუხედავად ამისა, ქალბატონი ციალა არდაშელია ბევრ ისტორიკოსს არ ჩამოუვარდება ფაქტების ანალიზის უნარით. უპირველეს ყოფლისა, მისი ისტორიული ნარკვევების ღირსებად მიმაჩნია ჩვენი ერის მდიდარი წარსულის მაღალმხატვრულ დონეზე წარმოსახვა, წარსულის თანამედროვეობასთან დაკავშირება და ერის გამთლიანებისკენ სწრაფვის წყურვილი...

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ციალა არდაშელიას შემოქმედება ათეული წლების განმავლობაში სპეციალისტებისა და ფართო აუდიტორიის თვალთახედვის მიღმა რჩებოდა. მიზეზი იმისა რომ მისი წიგნები ძალზე მცირე ტირაჟით გამოდიოდა, წლობით იდო გამომცემლობებში და მასობრივ მკითხველამდე ვერ აღწევდა, გახლდათ მწერლის სხვაგვარად აზროვნება. სუკ-ის ყოფილი თანამშრომელი ერთ თავის ინტერვიუში შენიშნავდა: „ყველა ქართველი მწერალი რედაქტორობასა თუ საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის როდი იბრძოდა. დაგისახელებთ ზოგიერთ მათგანს: თავისი მოღვაწეობით იმსახურებდა სუკის ყურადღებას: რევაზ ჯაფარიძე, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ წულეისკირი, ციალა არდაშელია".

ციალა არდაშელია, რომელიც თავის დროზე პრინციპული მოსაზრების გამო არ შეეიდა მწერალთა კავშირში. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პირველი არაფორმალური გაერთიანების ერთერთი დამაარსებელთაგანია 1987 წელს. მიზეზთა შორის აგრეთვე უსათუოდ უნდა აღინიშნოს მწერლის პიროვნული თავმდაბლობა: მას არასოდეს აუტეხავს საინფორმაციო აჟიოტაჟი თავისი მორიგი გამოცემის კვალდაკვალ.

მისი მშობლიური გალი, თაგილონი ქართველ მკითხველთან ერთად ციალა არდაშელიას უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

„ჩაძირული საფლავები“

წმინდა გიორგი

ტერენტი გრანელს

... ნელა მივუყვები ასაკიბ-დასაკიბ ბილიკს.

გორაკის წვერზე წამომართულ მომცრო საყდარს შორიდან მომწვანო-მოლიბრო ფერი გადაჰკრავს.

თუმცა აპრილის მზე თვალისმომჭრელად კაშკაშებს, ხანდახან ისეთი სუსხიანი სიო წამოუბერავს, რომ ლოყებზე ბუსუსები ამეშლება ხოლმე. შემცივნული, უნებლიეთ ვიბუზები და ლაბადის საყელოს ვინევ. ფიქრები ხან მეძალებიან, ხანაც დამფრთხალი ჩიტებივით აქეთ-იქით გამირბიან.

ამ ბილიკზე ამოდიოდა ალბათ ისიც, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ.

არაფერი დარჩენილა აქეთკენ მისეული. ნასახლარი ჯაგებსა და ეკალბარდებს დაუფარავს. ერთადერთი ბებერი მაგნოლიის ხე დგას ეულად. მიუსაფრობისა და უპატრონობის იერი გადაჰკვრია აქ ყველაფერს, როგორც მის საფლავს თბილისში.

სულის მოსათქმელად ვჩერდები წამით. ირგვლივ მყუდროება და სიჩუმეა ისეთი, გულს რომ ესალბუნება „ჩელას“ მელოდიასავით. თითქოსდა შენში შემოდის ეს სიჩუმე. ან, უფრო სწორად, შენდაუნებურად თანდათან შედიხარ ამ ღვთაებრივ მდუმარებაში და სულიან-ხორციანად იძირები მასში.

ბილიკს რომ შევუდექი, ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს პოეტის ლანდი ამედევნა კვალდაკვალ. ხან გამისწრებდა, ხან გვერდით მომდევდა, ხანაც უკან მოლასლასებდა ქანცგაწყვეტილი. მისი დაღლილი გულის ფეთქვასაც კი ცხადად ვგრძნობდი.

გზაწვრილზე პატარა, ანცი ბიჭუნა გადამიდგა მოულოდნელად. ოქროს კულულებს ნიავი უწეწავს, დიდრონ, ცისფერ თვალებში ნაპერწკლები ციაგებს: „საით... საით გაგიწევია?“

შევყურებ განცვიფრებული. მაგრამ... ბიჭი ანაზდადვე გაქრა, თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა.

ზანზალაკების წკრიალი შემომესმა. ვირინდები. ვაყურადებ ამ ხმას, გულის უშორეს მღვიმიდან რომ ამოდის.

მართლაც, სად მოდიხარ? რას დაეძებ ამ უკაცრიელ არემარეში, დუმილისა და მყუდროების სავანეში? რა დაგკარგვია ამ ნახევრად

დანგრეულ საყდარში, ფრთებდაგლეჯილი გედივით რომ გარჩენილა ბორცვის თავზე?

... ურდულს განზე ვწევ. ჭრიალით იღება ძველთაძველი მუხის კარი. ფრთხილი ნაბიჯებით შევდივარ შიგ.

კედლებზე აქა-იქ შემორჩენილა ფრესკის ფრაგმენტები. თვალებდათხრილი წმინდანები, გადაფხეკილი წარწერები, დახეთქილ-დაბზარული კედლები, ჩალენილი სარკმლები. ობისა და ნესტის სუნი მცემს.

აი, ისიც. სახელგანთქმული რაინდი. თეთრ რაშზე ამხედრებული, შუბით რომ გმირავს ხახადაბჩენილ და დაღლეარკნილ ურჩხულს.

სადღაც ამოვიკითხე, არ მახსოვს სად, ესააო სიმბოლურად სიკეთისა და ბოროტების ორთაბრძოლა (თურმე არც ერთ ფრესკაში არ ჩანს ბოლომდე დალახვრული გველეშაპი). აქაც ასეა. გაავებულ ქვეწარმავალს თავი აუღერია, თითქოს აინუნში არ აგდებს მხედრის ბოძალს, არა, არ ეპუება თეთროსანი რაინდის რისხვას.

დიდხანს, რატომღაც ძალიან დიდხანს გრძელდება ეს ჭიდილი... ეგებ არცა აქვს მას დასასრული? გულგანგმირული ურჩხული, ეგებ, მართლაც ოცნებაა მხოლოდ? სურვილი და ნატვრაა ნალოლიავები? იქნებ გულისგულში ამოზრდილი ნატვრის ხეა და მეტი არაფერი? თეთრ რაშზე ამხედრებულმა რაინდმა, მზისა და სინათლის მოყმემ-აუცილებლად, უსიკვდილოდ უნდა დაამარცხოს გველეშაპი, რადგან ეს ამაყად ყელმოღერებული ვაჟკაცი თავად სიკეთეა და, მაშასადამე, უძლეველია. იგი, თურმე, ზეცაშიც არის და მიწაზეც, შენს გულშიც ბინადრობს და დღემუდამ თან გახლავს. ისაა, თურმე, ასე დაუნდობლად და შეუპოვრად რომ ებრძვის შენში დასადგურებულ ბნელსა და წყვდიადს, წკვარამს და ღურღუმელს. იგი ყველგანაა, ყველაშია - ხან დაფარული, უჩინარი, ხანაც გაცხადებული, თვალხილული. იგია, რომ გშველის, გმფარველობს, გიცავს გასაჭირისა და ფათერაკის ჟამს.

ათასწლეულებიდან მოაგელვებს მერანს. ათასწლეულებია დაუმცხრალად იღწვის ადამიანთა სულის გადასარჩენად, იბრძვის ბოროტების დასათრგუნავად და სიკეთის დასამკვიდრებლად ამ ქვეყანაზე.

გულის უშორეს კუნჭულიდან დაძრული ზანზალაკების წკრიალი ძლიერდება თანდათან. საამოდ წკარუნებენ ზანზალაკები: „წმიდაო ღმერთო! წმიდაო უკვდავო! წმიდაო ძლიერო! შეგვიწყალენ ჩვენ!"

ჯეგე მისარონის - წმინდა გიორგის ნახევრად დაქცეულ საყდარში ვანთებ სანთლებს ბედუკულმართი პოეტის სულის მოსახსენებლად.

მერმე გალავნის კიდეზე ვჯდები და სევდიან მზერას ვაპყრობ ქვემოთ გადაშლილ სოფელს, მალე წყალი რომ დაფარავს. წყალი გადარეცხავს უიღბლო პოეტის ნაკვალევსაც და მისი შეჭირვებულ-

შეურვებული სული - არა სიკვდილს და არა სიცოცხლეს რომ მიელტვოდა, „არამედ რაღაც სხვას"- გაეცლება ამ მიდამოს და ფრთების უმწეო ფართქუნით მიაშურებს ცის საუფლოს, რამეთუ: „სული ვერ უძლებს ღამის ნაპრალებს, ო, სიბნელეა და გულგრილობა!".

დესი და პანტე

... ერთხანს მიყურებდა მოჭუტული თვალებით. თუმცა კი მითხრეს, თვალიც ჩინებულად უჭრის დ სმენაც მახვილი აქვსო, მაინც ისე წავადექი თავზე ისლით გადახურული სამზადის „აბარნაში" ჯორკოზე ჩამომჯდარს და კალათის წნაში გართულს, რომ ჩემი მიახლოება არც გაუგია.

აიზეზეურა. ახალოხის შეხსნილი ღილკილოები ყანყრატომდე შეიბნია, მეგრელი მეჯოგეების ტრადიციულად ქუდი გაისწორა თავზე, თოვლივით თეთრ, მოკლედ შეჭრილ წვერზე ხელი ჩამოისვა და თავაზიანი ღიმილით შემიპატიჟა ოდასახლში. აგერ, აქ, თქვენს შორიახლოს მირჩევნია-მეთქი, ვუთხარი და სამფეხა სკამზე ჩამოვჯექი.

მდუმარედ შევცქერი ას წელს გადაცილებულ ბერიკაცს.

გამოხუნებული ცისფერი თვალებიდან თითქოს სულ სხვა სამყარო გიმზერს - მიღმიერი, შეუცნობი, საკვირველი. ამ თვალებში ჩაგუბებულა უნაპირო, უკიდეგანო სევდა- მკრთალ ღიმილში დაფერილი. მოხუცის თვალები იღიმიან, მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი ღიმილი...

აი, ეს თვალები ჩამრჩა ხსოვნაში ყველაზე მეტად ერთიანად დანაოჭებულ, მოგრძო სახიდან და დაშაშრული, კანდამსკდარი, გრძელი თითები, მჭკნარ და გაყვითლებულ თუთუნს რომ მიუგავდა, და ისიც, თუ როგორ ეჭირა ლარჭემი[1] ამ თითებს, როგორ ესათუთებოდნენ ისინი საკრავს.

წინათ ლარჭემს ქორწილებში, ღამისთევებში, ხატობა-დღეობებში და „მოხარჭალაფა"[2] ღამეს უკრავდნენო, - მიამბობს ბერიკაცი. ადრე ლარჭემი იყიდებოდა თურმე ხობის ბაზრობა -„ხობალა"-ს, რომელიც იმართებოდა აგვისტოში, მარაშინა (მარიამობა) დღეს ხობის მონასტერთანო. მე არასოდეს გამიყიდია ლარჭემი, ბაბაია, მარტო ჩემთვის ვთლიდი და ჩემი ბიჭებისთვისო. ახლა უკვე კაი ხანია, აღარ ვაკეთებ, ბაბაია. საამისო ღონე არ მაქვს და არც თვალი მიჭრის ძველებურადო. ხოლო კარგი ლარჭემი რომ გამოგივიდეს, საგანგებოდ უნდა შეარჩიო ღეროები, მათი სიგრძე-სიგანე, ზომა. შემდეგ ღეროები ხმის მიხედვით უნდა ააწყოო. ცოცხალი მელარჭემე პირველად ახლა ვიხილე. არც

ლარჭემის ხმა მომისმენია ოდესმე.

ოდასახლიდან გრძელ, თალხ კაბაში გამოწყობილი, ასევე თალხი თავსაფრით თავნაკრული პატარა ტანის, გამხდარი მოხუცი ქალი გამოვიდა.

წამოვუდექი და ისე ვუთხარი გამარჯობა. დედაბერი ღიმილით, უფრო სწორად, ჩავარდნილი უკბილო პირის ცმაცუნით და თავის კანტურით მომესალმა, მერე გვერდით მიუჯდა მეუღლეს და მხრებჩამოშვებული, კალთაში ხელებჩაწყობილი უხმოდ მომაჩერდა.

შეწყვეტილი საუბარი განვაგრძეთ, პანტე ბაბუას ბიჭებიც უკრავდნენ თურმე ლარჭემზე და მღეროდნენ.

ერთად რომ დავსხდებოდით, დაკვრას და სიმღერას დავიწყებთ, ქვემოთ, ჯვარში ესმოდათო.

- ასე არ იყო, თოლიგე? - მიუბრუნდა პანტე ბაბუა მეუღლეს. მან თავის ოდნავი დაქნევით და ძლივს შესამჩნევი ღიმილით კვერი დაუკრა ქმარს.

ღმერთო! როგორ ჰგვანან ერთმანეთს და-ძმასავით! ბებია დესისაც ცისფერი, წყლიანი თვალები აქვს. სიფრიფანა, დალეულ სახეზე ეს თვალებიღა შერჩენია ცოცხალი, მეტყველი; ხორცისაგან გაცლილ სხეულს სული დაპატრონებია თითქოს - უწონო, გამჭვირვალე სული, და მიღმიერი სამყაროდან მზირალი ორი პაწია სარკმელი -ჭუჭრუტანა.

ბაბუა პანტე ენაწყლიანი ჩანს, დესი ბებია კი სიტყვაძვირი, სამაგიეროდ, მისი თვალები მკაფიოდ მეტყველებენ.

პატარა ხანში ჩემს წინ ტაბლა გაჩნდა, მერე დოქით „ოჯალეშის“ ღვინო., ნამდვილი „ოჯალეშის“ ღვინო მომართვა დესი ბებიამ.

უხმაუროდ, ნელა, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებსო, ისე დაფარფატებს მისი ძვალტყავად ქცეული, სიფრიფანა სხეული; ასე გგონია, საკმარისია სული შეუბერო და... ბაბუაწვერასავით გაქრება, გაიფანტება, ჰაერში დაიშლება უმცირეს ნანილაკებად.

თანდათანობით მოაქვს ხილი, ჯანჯუხა, ტკბილისკვერი. მერე ფელამუშიც ჩნდება ტაბლაზე. რაკიღა უარი არ გამივიდა, ვნებდები ბებია დესის მასპინძლობას.

მერე წესისამებრ ვადღეგრძელებ პანტე ბაბუას და დესი ბებიას, მათ შვილებს და შვილიშვილებს - შვილებს როგორც ცოცხლებს, ისე ვუდღეგრძელებ, ცხადია, რადგან ვიცი, რომ შვიდივე ვაჟი ომში ჰყავთ დაღუპული, მაგრამ დღემდე ელოდება მათ ცოლ-ქმარი.

ვის სჭირდება ახლა ლარჭემი? ვინღა უკრავს ლარჭემზე, - უკვირს ნამწყემსარ ბაბუა პანტეს და მაინც, როცა ვთხოვე, ხათრი ვერ გამიტეხა და დაუკრა.

ვუსმენ, თან თვალს ვაპარებ დესი ბებიასკენ. მის შორწასულ მზერაში დრო და დრო რაღაცნაირი უცნაური შუქი გამოკრთება, თითქოს ღიმილს ჰგავს იგი და აღარ არის ღიმილი.

თვალებზე ცრემლი მადგება. არის რაღაც არაწამიერი, არაამქვეყნიური ამ თვალებში და იმ უჩვეულო მელოდიაში, ასე საგულდაგულოდ რომ გამოჰყავს მოხუცს ბაგით ლარჭემზე: წამით, თითქოს წაიშალა დროის საზღვარი; თითქოს უშორესი, წარმართობის დროინდელი ბერიკაცი მუსიკის ენით მესიტყვება იმ გარდასულ ხანაზე, როცა ჟინი ორთას"-არსთა გამრიგეს შესთხოვდნენ მოწყალებას, სიკეთეს, ხვავს და გამრავლებას...

ამ ჰანგში შეიგრძნობა აგრეთვე რაღაც ენით უთქმელი სევდა და სინანული დრო-ჟამის მდინარებაში ჩაკარგულსა და მინავლებულზე, იმაზე, რაც არასდროს მობრუნდება, არასდროს განმეორდება, სულის ხვეულებსა და მის ფსკერზე დალექილ იდუმალ ხსოვნაზე...

და დგას ამ ოდნავ გამოხუნებულ ცისფერ თვალებში კაეშნიანი დარდი თუ წუხილი, რისი გამოთქმაც ენას არ ძალუძს, სიტყვა ულონოა და უძლური, რასაც მხოლოდ ტკივილებამდე შეკუმშული გულის შეყოვნებული ფეთქვა და ძარღვებში სისხლის უჩვეულო ჩქამი თუ გამცნობს.

... „სოფელს რომ აყრიან, ამ დიდებულ, მოჩუქურთმებულაივნიან ოდას ნეტა რაღას უზამენ, – ვფიქრობ გონებაში, – ალბათ, დაშლიან სახლს და ისე წაიღებენ. ეგება ახალი სახლი ამჯობინოს პატრონმა ძველს. ეგება... "

ათასი „ეგება "მიტრიალებს თავში, მაგრამ ხმამაღლა არაფერს ვამბობ, ბოლოს მაინც მძლევს ცნობისმოყვარეობა და თითქმის ჩურჩულით ვეკითხები, სოფელს რომ აყრას უპირებენ, თუ გაიგეთ, ბაბუა პანტე-მეთქი.

– კი, ამბობენ, - ბაბუა პანტეს თვალები უვიწროვდება, ჩიბუხი ხელში უცივდება.

– ამბობენ კი, - იმეორებს ყური, უსიცოცხლო ხმით და მერე მაგრად ქაჩავს ყალიონს: - მარა მე... არსად ვაპირებ წასვლას აქედან, ბაბაია.

– როგორ თუ... - დავიბენი. სიტყვა გამიწყდა.

ახლა ბებია დესი ერევა საუბარში:

– ნანაია შურ! ჩვენს ბიჭებს აქ ხომ უნდა დავხვდეთ, სქან სანთელო! აქედან როგორ წავალთ!..

– კი მაგრამ, აქ ტბა უნდა დადგეს და ელექტროსადგური აშენდეს! - ვეღარ ვამბობ ბოლომდე სათქმელს, გაოცებისა და სინანულის გრძნობა მეუფლება.

– ამბობენ კი... – იმეორებს კვლავ ბაბუა პანტე ისეთი ხმით, თითქოს ეს ამბავი მას სრულებით არ ეხება. თვალები უშტერდება.

– მე და თოლიგე აქ ვრჩებით, სქან სანთელო. აქედან ფეხს არ მოვიცვლიო, - ბებია დესი უმანკო, უცოდველი თვალებით მომჩერებია.

– იახა, იახა[3]. მასეა მაგი! – უდასტურებს მეუღლეს პანტე ბაბუა თავის ქნევით და განაგრძობს წყნარი, აუჩქარებელი ხმით:

– მე და ჩემი ქალი ახალ ადგილს აწი ვერ შევეგუებით, ბაბაია. ვერც ჩვენი მიცვალებულების საფლავებს მივატოვებთ... ჩვენი ბიჭები რას გვეტყვიან , როცა დაბრუნდებიან, როგორ შევხედოთ მათ თვალებში? არა, ჩვენ – მე და თოლიგე აქედან არსად წავალთ. ჩვენ მე და ეგ – აქ ვრჩებით!

თვალები დაეხარე, გული მეწურება.

ვაგლახ! ამ ქვეყნისანი აღარ არიან ეს საცოდავები. როგორი დალეული, უსუსური, უმწეო ჩანს ახლა ეს მოხუცებული ცოლ-ქმარი. განა ძალუძს ამ სუსტ მხარებს აზიდონ ის ახალი ტვირთი სიმძიმილისა, რაც ბედისწერას გაუმზადებია მათთვის?

ჩვენ აქედან არ წავალთო! ჰმ! შეიძლება განა ამ საწყალი ბებრებისათვის ახლა იმის თქმა, ამაოა თქვენი განზრახვა, ულმობელი გარდუვალობა და აუცილებლობა ზავივით მოგორავს და მას წინ ველარაფერი დაუდგება. როგორ შეაჩერებს ამ „მეწყერს" ბაბუაწვერასავით უსუსური ბერი დიაცისა და ბერიკაცის ნება-სურვილი? ვინ არიან, ანდა რას წარმოადგენენ ამ „აუცილებლობის წინაშე" ისინი!

„უკანასკნელი მელარჭემე განწირული სოფლიდან", - გავიფიქრე უნებურად გულისტკივილით და წარმოვიდგინე, როგორ სახეს მიიღებდა ჩემი რედაქტორი, ასეთი სათაურით თუ მივუტანდი წერილს.

აქეთ წამოსვლისას ვფიქრობდი, სურათებს გადავუღებ ამ განწირულ სოფელს-მეთქი... მაგრამ უქმად მიკიდია მხარზე ნათბოვი ფოტოაპარატი და ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს მომაკვდავის სასთუმალთან ვიდგე და წუთი-წუთზე ველოდებოდე მის აღსასრულს. თუმცა კი, მომაკვდავსაც და მეც თავი ისე გვიჭირავს, სიკვდილი აქვს, ახლოს, კარის ზღურბლთან კი არ იყოს მოძუძგურებული, არამედ სადღაც შორს, ცხრა მთას იქით...

... თემშარაზე გამავალ ვიწრო გზა-ბილიკს ჩავუყევი. თვალწინ კვლავ მოხუცი ცოლ-ქმარი მედგა, მათთან საუბარს და განშორების სცენას ისევ ისე განვიცდიდი.

უცებ, რაღაც სიმღერის მსგავსი მომესმა. შევდექი. შორიახლოს, ბორცვზე სასაფლაო იყო, იქიდან მოდიოდა ეს „თვალუა"[4]. ჟრუანტელმა დამიარა ტანში.

– შვილო, ჩემო ერთადერთო ნუგეშო, ჩემო თვალისჩინო, – გოდებდა ქალი, – ნუ გეშინია, დედა შემოგევლოს, არ დაგტოვებ აქ, შემოგევლე, ზურგზე მოვიკიდებ შენს კუბოს და თუ მანამდე სული არ ამომხდა, ახალ ადგილზე დაგასაფლავებ, შვილო, დასაფლავდეს და მინა დაეყაროს მალე უბედურ დედაშენს. ბებია და ბაბუასაც გადაეცი, შვილო, ბიძებსაც უთხარი, არ იდარდონ. არც მათ დავტოვებთ აქ, არც მათ ჩავძირავთ წყალში, იმათაც ზურგზე მოვიკიდებთ და აქაურობას მოვაშორებ. ვაი, ჩემს დღეს უბედურს, ვაი, ამ დღის მოსწრებას.

... თვალწინ დამიდგა ზურგზე კუბოებაკიდებული შაოსანი ქალები, ასაკიბ-დასაკიპი აღმართს რომ ჩამოუყვებიან ხვნეშით და ვიშვიშით. მათი საზარელი მოთქმა-გოდება ყურებში ხმიანობს. მერე თითქოს, სასაფლაოდან ერთბაშად წამოიშალნენ მიცვალებულები: „ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის... არ დაგვტოვოთ აქ, გვეყოფა ერთი სიკვდილი. ახლა წყალს ნუ მისცემთ ჩვენს ცხედრებს!

გვიშველეთ! გვიხსენით დახრჩობისაგან. გადაარჩინეთ ჩვენი საფლავები!"

ისე ცხადად და მკაფიოდ ჩამესმოდა მიცვალებულთა განწირული, სასოწარკვეთილი ვედრება, ისე გამალებით, ძვლების რაჩხუნით, დაკრუნჩხული ხელების სავსავით, ბუდიდან გადმოცვენილი თვალებით მოიწევდნენ ისინი ჩემსკენ, რომ სუნთქვა შემეკრა, თვალთ დამიბნელდა... და თითქოს სადღაც წკვარამში ჩავიძირე...

გონს რომ მოვედი, ლურჯი, გამჭვირვალე ცარგვალი დამყურებდა. გარშემო სამარისებური სიჩუმე იდგა.

უცებ ხის ტოტიდან ჭახჭახით გადაფრინდა შაშვი. ეს იყო და ეს.

მერე ისევ დუმილმა დაისადგურა.

---

1. ლარჭემი - მეგრული სტვირი, სალამური

2. მოხარჭალაფა - ჭიაკოკონობა ღამეს, სიტყვა - სიტყვით: რაჩხა-რუჩხი- ალქაჯების შესაშინებლად ატეხილი.

3. იახა - დიახ

4. თვალუა- მოთქმით ტირილი

ბორის აკაკის ძე არდაშელია



დაიბადა 1930 წელს სოფელ თაგილონში, გალის რაიონი, აფხაზეთის რესპუბლიკა.

მძიმე დრო იყო ქვეყანაში, როცა ბორისი სკოლაში სწავლობდა. 12 კილომეტრზე უხდებოდა სკოლაში სიარული, სკოლიდან მოსული ოჯახში მიწას ებრძოდა, ომი იყო, არ იყო სამუშაო ძალა, ბავშვებს (უფროსები ომობდნენ) ბარით და თოხით უხდებოდათ მიწის დამუშავება. მიუხედავად ყველაფრისა ბორისი ხუთებზე სწავლობდა, ნიჭიერი ყმაწვილი მხარის ისტორიული წარსულით იყო დაინტერესებული. როგორც კი დროს იშოვიდა, გადიოდა ღირშესანიშნაობების გასაცნობად, ასეთი თაგილონში ბევრი იყო. „წამხარი" ე. წ. „ნიფურიას" ეკლესია ლეგენდების და მოხუცთა გადმოცემებზე დაყრდნობით ბევრ ისტორიულ მოვლენას მოჰფინა ნათელი. საშუალო სკოლა წარმატებით დამთავრდა, ასევე წარმატებით ჩაირიცხა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე, ინსტიტუტში გამოირჩეოდა მაღალი ერუდიციით, დისციპლინით, ასრულებდა პარტიულ-საზოგადოებრივ დავალებებს, აქვეყნებდა სტატიებს გაზეთებსა და ჟურნალებში, მათ შორის, სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევებს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაინიშნა თაგილონის საშუალო სკოლის დირექტორად, ასწავლიდა ისტორიას, თან აგრძელებდა საკვლევ-სამეცნიერო საქმიანობას. მალე გადაიყვანეს ქ. გალში ჯერ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, შემდეგ აგიტაციის და პროპაგანდის განყოფილების გამგედ, იყო გალის რაიაღმასკომის თავჯდომარის მოადგილე. ამ წლებში ჩააბარა ასპირანტურაში გამოცდები საქართველოს ისტორიის განხრით. დაამთავრა და თან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. სამწუხაროდ ამ წლებში მძიმე ავდმყოფობა გადაიტანა და დაცვა გაუჭიანურდა, ხოლო მისი სიცოცხლე · მსხვერპლა ომმა. აფხაზეთის უაზრო ომმა „რადგანაც განგებას რომელიც უყვარს, იმას მოუვლენს სასტიკ განსაცდელს" ომის სიბინძურე და მასთან დაკავშირებულმა ხოცვა-ულეტამ ეს გულკეთილი და ზნე-კეთილი პიროვნება თვითმკვლელობამდე მიიყვანა, ბორისის გახსენებაზე ერთი წლის თავზე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" წერდა „უშენოდ გავლილი ერთი წელიწადი

დამთრგუნველი დამამცირებელი წამების და ჯვარცმის, ლოდინის, იმედგაცრუების წელიწადი იყო". შენი დაღუპვა მძიმე დანაკარგი იყო შენი რაიონისათვის, გალის საზოგადოებამ იცის ამ დანაკარგის ფასი. რადგან შენ 25 წელიწადი იქ ითავისებდი მათ ავ- კარგს.

ნინო (ნუცა) აკაკის ასული არდაშელია



დავიბადე სოფელ თაგილონში (ქალბატონმა ნინომ ამ ფორმით ისურვა გასცნობოდა მკითხველს), ეს ის სოფელია, რომელიც აფხაზ სეპარატისტთა სასინჯი ქვა გახდა. დღიდან აფხაზურ - ქართული კონფლიქტის დაწყებისა ეს უწყინარი და ულამაზესი ქართული სოფელი მოსრეს და გაანადგურეს.

ძნელია 70-წლიანი ბიოგრაფია ჩამოაყალიბო და მიიტანო მკითხველთან, დაინტერესებულ პირთან. მე მაინც შევეცდები ნათელი მოვფინო ჩემი ცხოვრების ზოგიერთ მომენტს. მე, 70 წელს გადაბიჯებულს კი არ მეზარება გავიხსენო, უკან მოვიხედო ჩემს ოჯახთან ერთად გავლილი გზების აღსადგენად, უბრალოდ მეუხერხულება, რადგანაც ეს გზები გაიარა ჩვენმა ხალხმა, მაგრამ თუ ყველამ ერთნაირად ვერ გაირა, ერთნაირად ვერ იკისრა თავისი ცხოვრებისეული მოვალეობები ქვეყნის ბედ-იღბლის, მისი სიკეთისა და აღმშენებლობისათვის გამოეყენებინა, ეს მათი საქმეა.

მე კი ღარიბი ოჯახის შვილმა, ერთ-ერთმა 5 შვილთაგან 6 წლის ასაკში მოვითხოვე სკოლაში შევეყვანეთ, არ მღებულობდნენ პატარააო ჯერ. ერთი დასამახსოვრებელი შტრიხი, სკოლის დირექტორი სახალხო მასწავლებელი იყო, ჰუმანისტი, განათლებული პიროვნება, ხანდაზმულობის მიუხედავად საქმეს კარგად უძღვებოდა, დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ბატონი ალექსანდრე გეგიძე - მეკითხება რამდენი წლისა ვარ - 5 წლის და 9 თვის ვპასუხობ. ბატონი ალექსანდრე თავზე ხელს მისვამს და იცინის, შენ კალთაში 5 ვაშლი გიდევს, ორი წყალში ჩაგივარდა, აი იქ, რა ჰქვია იმ მდინარეს?

ხაია! ვპასუხობ თამამად, მაგრამ მე ვაშლებს მდინარეში არ ჩავყრი! ყოჩაღ კარგი გოგო ხარ, გადაიხარხარა ბატონმა დირექტორმა და იქვე მდგომ მასწავლებლებს მიმართა:ეს ბავშვი გონიერი ჩანს, ჩა-

რიცხეთ საანბანო ჯგუფში. ასე დაიწყო ჩემი ცხოვრების საუკუნოვანი გზა, ვის მოსწონს, ვისთვის ჩვეულებრივი, მისაღები და აუცილებელი გზაა, ჩემთვის მძიმე, მაგრამ სწორი.

საშუალო სკოლა „ფრიადზე" დავამთავრე და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავირიცხე. უბედნიერესი სტუდენტური დღეები უბედურებად შემეცვალა, დაიწყო დიდი სამამულო ომი. ჩემი კურსი დაიხურა და კომკავშირული საგზურით ქ. ზუგდიდში გამაგზავნეს, აქ მუშაობა დამაწყებინეს რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ. სამუშაო მეტად რთული და საპასუხისმგებლო იყო.

ომი კავკასიაში მიმდინარეობდა - დაჭრილთა არმია, ზუგდიდი სამხედრო ბანაკად იქცა, და დღედაღამეს ვასწორებდი, დაჭრილებს ვეხმარებოდი, სამკურნალო ფიზკულტურისათვის საუკეთესო ბაზა შევქმენით აქ მივიღე მედალი„ კავკასიის დაცვისათვის" შემდეგ ისევ ინსტიტუტი. ვსწავლობდი ხუთებზე, ვიყავი ლენინური სტიპენდიის კანდიდატი ორჯერ, შემთხვევითობამ დამაკარგვინა, ჯერ კიდევ მესამე კურსიდან დამაწყებინეს ინსტიტუტში პარტიის ისტორიის კაბინეტის გამგედ მუშაობა, მალე ასისტენტად გადამიყვანეს, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიის ისტორიის კათედრის ასპირანტურაში ჩავირიცხე პარალელურად საკანდიდატო დისერტაციაზე დავამუშავე თემა „აფხაზეთის ისტორია" დროზე დავიცავი და ასევე დროზე მომანიჭეს დოცენტის წოდება. შემდეგ დოქტორანტურა და სადოქტორო დისერტაცია, ასევე ჩავაბარე დროულად. მომანიჭეს პროფესორის სამეცნიერო წოდება, შემდეგ იყო ომი, საშინელი უბედურება, ჩავერთე ომში, ვიომე, შევქმენი „დაჭრილ მეომართა დაცვის დედათა სოხუმის კომიტეტი", რასაც დღემდე ვხელმძღვანელობ. ამ უსახურ ომში, სადაც არ არსებობდა დაჭრილებისთვის წამალი, პირველადი დახმარება, არ ჰყოფნიდათ პური, არ იყო თეთრეული, გამოსუფთავებული იყო საავადმყოფოები ყველა სამედიცინო დახმარებისაგან ჩვენს კომიტეტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პერიოდის ჩვენს საქმიანობაზე ბევრის თქმა შეიძლება. მე შევეცადე დამეწერა წიგნი „ფურცლები ცრემლით ნაწერი დღიურებიდან" უამრავ საგაზეთო და საჟურნალო სტატიასთან ერთად. სულ დაწერილი და გამოქვეყნებული მაქვს 4 წიგნი, 4 ბროშურა, 200-ზე მეტი საგაზეთო და საჟურნალო სტატია. ერთი მხატვრული ნაწარმოები. ამჟამად, ვთანამშრომლობ რამდენიმე ჟურნალსა და გაზეთში. ვარ საქართველოს განათლების დამსახურებული მუშაკი, „სსრკ უმაღლესი სკოლის წარჩინებული" მედლის კავალერი, „ღირსების ორდენის" კავალერი. სოხუმის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი.

ავთანდილ (ალეკო) ჯოტოს ძე არდაშელია



დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. გალის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის გორკის სახელობის პედინსტიტუტში.

ავთანდილ არდაშელია წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას მშობლიურ რაიონში. იყო სასწავლო ნაწილის გამგე, დირექტორი.

ბოლო 13 წელი მუშაობდა გალის რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ. მისი უშუალო თაოსნობით და ხელშეწყობით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა კულტურის სფეროში. 1988 წელს გალის კულტურის სახლის ანსამბლის ბაზაზე შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „თუთარჩელა" (ხელმძღვანელი ლევან ლოგუა და ვეზდენ ოკუჯავა), რომელსაც თბილისში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე„ ქართული სიმღერა და ქორეოგრაფია" პირველი ხარისხის დიპლომი და ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა.

ასევე ავთანდილ არდაშელიას მხარდაჭერით კულტურის სახლთან 1983 წ. ჩამოყალიბდა ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „ მაფშალია". 1985 წ. ბულგარეთში (ქ. სოფია) გამართულ ბავშვთა ანსამბლების მე- 12 საერთაშორისო ფესტივალზე გახდნენ ფესტივალის პრიზისა და ოქროს მედლის მფლობელნი.

80-იან წლებში, ა. არდაშელიას კულტურის გამგედ მუშაობის პერიოდში, კულტურის სახლის დაქვემდებარებაში იყვნენ: ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მახარე", ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი "აერო", ხალხურ საკრავთა კვარტეტი, ნორჩ გიტარისტთა წრე, ქორეოგრაფიული სტუდია და სამეჯლისო ცეკვების სტუდია. ავთანდილ (ალეკო) არდაშელიას თაოსნობით გალში დაფუძნდა სამხატვრო სასწავლებელი. გალში საგასტროლოდ ჩამოსული ხელოვნების მოღვაწეების თუ სხვადასხვა ანსამბლების გულმხურვალე მასპინძელი იყო ავთანდილ არდაშელია. მისი მზრუნველობა და ყურადღება არ აკლდა გალის სახალხო თეატრს, მუსიკალურ სკოლას და ა. შ.

გარდა იმისა, რომ თავდადებულად ემსახურებოდა კულტურის საქმეს, თავადაც წერდა ლექსებს, რომელთა გამოქვეყანებაზე

არასდროს უფიქრია, ხატავდა, ძერწავდა.

მძიმე ავადმყოფობის გამო იგი იძულებული შეიქმნა წასულიყო სამსახურიდან.

ავდანდილ არდაშელია გარდაიცვალა დევნილობაში, ქ. თბილისში 1997 წელს.

გთავაზობთ ავთანდილ (ალიკო) არდაშელიას რამდენიმე ლექსს:

* * *

გალაკტიონი უმღეროდა მერის...
შერვაშიძის ულამაზეს ასულს.
სიყვარულში გაუთეთრდა წვერი,
სიკვდილამდის დასტიროდა წარსულს.
სიყვარულში დაიფერფლა ეთიმ,
წყალში იდგა მაინც ცეცხლი წვავდა.
ელოს, ციცქნა გოგო ერთის,
სიყვარული საფლავშიაც ჩაჰყვა.
სიყვარულის ცეცხლმა დაწვა ტატო,
ვერ გაუძლო ჭავჭავაძის ტრფიალს.
მტკვრის ნაპირას სევდიანი, მარტო,
ლექსებს წერდა სახოტბო და ფრთიანს.
ენგურმა კი თარაშ ემუხვარის
სიყვარული ტალღებს გაატანა,
იმ ბნელ ღამეს „მოტაცება მთვარის“
აღარ იყო საოცრება განა?!
დიდი შოთა – ლექსის მარგალიტი,
საქართველოს ბულბულიც და მზეცა,
სიყვარულის ლეგენდა და მითი
დავრდომილი ბერად აღიკვეცა.
მაშ, რად უკვირთ მეც რომ ლექსი ვწერო,
მეც მიყვარდეს თვალბრიალა ქალი?!
შენ ნუ იტყვი, ჩემო მშვენიერო
„სად ერეკლე და სად ჩემი ხმალი“.

1986 წ.

* * *

დრო ულმობელია,
დრო ულმობელია...
ქარივით მიქრის და მიქრის.
ვაი, რამდენი ჩაგვყვება საფლავში
ლოცვაც, ნატვრაც და ფიქრიც?
მე მხოლოდ ვლოცულობ,
მე მხოლოდ ვლოცულობ,
ქარს ვატან დარდსა და ფიქრებს
შენ ჩემდა ჭირად ამ ქვეყნად მოსულო
მეც შემიყვარო, იქნებ?!
მე შენზე ვლოცულობ, მე მხოლოდ ვლოცულობ,
ლამის გავგიჟდე ერთობ.
ეს რა მემართება, რისთვის დამსაჯე,
ყოვლისშემძლეო ღმერთო?
მე თუ ვლოცულობ, ეს ვისი საქმეა
მე მხოლოდ ჩემთვის ვლოცულობ მშვიდად.
მოეშვით ჩემს ხატს, წადით საყდარში
და იქ ილოცეთ რამდენიც გინდათ!
დრო ულმობელია, დრო ულმობელია,
ქარივთ მიქრის და მიქრის
ვაი, რამდენი ჩაგყვება საფლავში
ლოცვაც, ნატვრაც და ფიქრიც?!
მაშ ნუ აყოვნებ, მეც შემიყვარე
სანამ სიბერე მოვა,
თორემ ძნელი იქნება მერე, ამ სიყვარულზე გლოვა.

1985 წ.

* * *

ვინ არის, რა უნდა
საიდან სადაო!!!
ნუღარ იფიქრებ ასე.
არაფერი მაქვს შენთან სადაო,
არც გეღობები გზაზე.
მხოლოდ იცოდე: ჩემი ღმერთი ხარ

და სალოცავი ხატი
რა ვქნა, რომ ყველა ქალს მირჩევნიხარ,
რა ვქნა, რომ შემიყვარდი?!
ბევრს არაფერს გთხოვ,
მე მხოლოდ შენი
მარტო ყურება მინდა,
ეს ჩემი გრძნობა შენდამი, კარგო,
სუფთა არის და წმინდა.
საიდან სადაო, წმინდაო საბაო,
ნულარ იფიქრებ ასე.
არაფერი არ მექნება სადაო
შენც თუ ილოცებ სხვაზე.

1984 წ.

* * *

გუშინ გნახე დილით
გეცვა შავი კაბა
ისე მოვიხიბლე
სული გამენაბა...
შუქი დაგყვებოდა
მთვარისა და მზისა
როგორ გიხდებოდა...
რარიგ გიხდებოდა,
შავი კაბა...

1986 წ.

სოფლის მოძღვარი


პროფესორი **მიხეილ შონია** იგონებს: თაგილონის მოსახლეობის სწავლა-განათლების, მისი კულტურული დონის ამაღლების საქმეში ღრმა კვალი დატოვეს განსწავლულმა პიროვნებებმა, ცნობილმა პედაგოგებმა ალექსანდრე გეგიძემ, პავლე ცხაკაიამ, ბარნაბა(ჯოტო) ბერაიამ. თანამედროვე მკითხველს შეიძლება გაუჭირდეს იმის დაჯერებაც კი, თუ რამდენად იყვნენ ისინი დამუხტული მშობლიური სოფლისადმი მსახურების გრძნობით. ისინი ფაქტიურად ცხოვრობდნენ მხოლოდ ხალხისათვის და არა საკუთარი ოჯახისათვის. ამიტომაც მათი სახელები უკვდავია თაგილონელთა მეხსიერებაში. ასეთი ხსოვნის ღირსნი მხოლოდ ერთეულებია. მათ სახელს განსაკუთრებული პატივი უნდა მივაგოთ.

რამდენი ბრძნული, კეთილი რჩევა-დარიგება შემორჩა ჩემს მეხსიერებას ბატონების ალექსანდრე გეგიძისა და პავლე ცხაკაიასაგან და განა მარტომ მე! რაც შეეხება ჩემს უსაყვარლეს მასწავლებელს ბატონ ჯოტოს – ქცევის თავდაჭერილობის, საქმისადმი ერთგულების, ყოველგვარ სიტუაციაში ქცევის ეტალონს, მან განსაზღვრა ჩემი ჩამოყალიბების მიმართულებაც. რომ არა მისი პედაგოგიური ტაქტი, ჩემდამი საკუთარი შვილისადმი მიდგომა, მაღალი მომთხოვნელობა, მე ალბათ, ვერ შევძლებდი მესამე(რუსულ) ენას ისე დავუფლებოდი, რომ გავმხადარიყავი მისი მკვლევარი – პროფესორი.

ბატონ ჯოტოს დამსახურება აღნიშნული იყო ლენინის, წითელი დროშის ორდენებით, მრავალი მედლით, მისი 70 წლის იუბილე ფართოდ აღნიშნა საზოგადოებამ მისივე სიცოცხლეში. მაგრამ, ვფიქრობთ, კიდევ უფრო დასაფასებელია მისი ხსოვნა.

ბარნაბა (ჯოტო) თედოს ძე ბერაია

ბარნაბა (ჯოტო) თედოს ძე ბერაია დაიბადა 1893 წელს გალის რაიონის სოფელ თაგილონში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფელ თაგილონში, რომლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ზუგდიდის გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს სიდის სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 6 წლის მუშაობის შემდეგ სიდიდან გადმოიყვანეს თაგილონის რვაწლიან სკოლაში, რომელიც 1956 წელს გადაკეთდა საშუალო სკოლად. საპენსიო ასაკამდე ბატონი ჯოტო მუშაობდა თაგილონის სკოლაში, მის მერე არსად უმუშავნია.



ბარნაბ (ჯოტო) ბერაიას მკვიდრად ჩამოყალიბებული მუშაობის სტილი და გეზი ჰქონდა, რომლის გახსენებისას თვალწინ წარმოგვიდგება არა თაგილონის საშ. სკოლის რუსული ენა ლიტერატურის მასწავლებელი, არამედ მთელი ეპოქის მატიანე.

პედაგოგიური საქმის ამ დიდოსტატის მიერ განვლილი გზა დაფასების გარეშე არ დარჩენილა. სახალხო განათლების დარგში უმნიკვლო მუშაობისათვის მან დაიმსახურა აფხაზეთის სახალხო განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, იყო სახალხო განათლების წარჩინებულის სპეციალური ნიშნის კავალერი, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, შრომის ვეტერანის ორდენით და სხვა.

ბ-ნ ბარნაბა (ჯოტო) ბერაიას სიამაყე მისი ოჯახიც იყო.

ერთადერთი ვაჟიშვილი პალიკო (პავლე) მათემატიკას ასწავლიდა საშ. სკოლაში, შემდეგ იყო №2 რვაწლიანი სკოლის დირექტორი, შემდეგ სიცოცხლის ბოლო წუთამდე მუშაობდა სოფლის აღმასკომის თავმჯდომარედ.

მისთვის დამახასიათებელი იყო მამისაგან მიღებული დიდი კაცთმოყვარეობა, უბრალოება, თავმდაბლობა, უსაზღვრო ზრუნვა და ყურადღება ადამიანებისადმი.

რძალი ნელი უჯუშის ასული შამუგია – ბიოლოგი.

შვილიშვილი გელა პავლეს ძე ბერაია – ქ. სოხუმის ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

ნიკოლოზ იაკობის ძე ბოკუჩავა

ნიკოლოზ ბოკუჩავა დაიბადა 1897 წელს გალის რაიონის სოფ. თაგილონში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მატერიალური სიდუხჭირის მიუხედავად, მან დაამთავრა საეკლესიო სკოლა, ხოლო 1918-1920 წლებში სოხუმის მასწავლებელთა სემინარიაში სწავლობდა. 1918 წელს ნ. ბოკუჩავა შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ამ დროიდან იწყებს იგი



არალეგულურ რევოლუციურ მუშაობას. ბოკუჩავა აქტიურ მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის მშრომელთა პარტიზანული მოძრაობაში მენშევიკების წინააღმდეგ. ამისათვის იგი არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული და განუცდია რეპრესიები.

ნ. ბოკუჩავა დაკავშირებული იყო პარტიის სოხუმის არალეგალურ საოლქო კომიტეტთან და რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. 1919 წელს იგი აქტიურ მონაწლეობას იღებს აფხაზეთში კომკავშირის უჯრედების შექმნაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნ. ბოკუჩავას ეკავა პასუხსაგები პოსტები, მუშაობდა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

დიდი სამამულო ომის წლებში ნ. ბოკუჩავა იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე.

ვენედი არჩილის ძე გამისონია

ნეკროლოგიდან:



„ულმობელმა სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა სახალხო განათლების წარჩინებული, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი, სკკპ წევრი **ვენედი არჩილის ძე გამისონია**.

ვ. ა. გამისონია დაიბადა 1918 წელს გალის რაიონის სოფელ თაგილონში, საშუალო განათლების მიღებისთანავე იგი დაინიშნა თაგილონის შვიდწლიან სკოლაში ჯერ მასწავლებლად, შემდეგ-დირექტორად. 1941 წლის ივნისიდან პარტიულ სამუშაოზეა – მუშაობს საქართველოს კპ გალის რაიკომის ინსტრუქტრად, საქართველოს ალკკ გალის რაიკომის პირველ მდივნად, პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის

გამგედ; შემდეგ საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

1956 წელს დაამთავრა წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

1953 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე ვ.გამისონია მუშაობდა მასწავლებლად ჯერ ქ.გალის №2 საშუალო სკოლაში, შემდეგ კი – ქ.გალის ლენინის სახელობის №4 საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლის გარეშე დარგში.

სადაც კი უმუშავნია ვ.ა. გამისონიას ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია თავისი თავაზიანობით,ადამიანებისადმი ყურადღებით,მათი ადამიანური ღირსებისადმი პატივისცემით.

ვ. ა. გამისონია უდიდეს პედაგოგიურ ტაქტს, მკაცრ მოთხოვნილებას, პიროვნებისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას იჩენდა. იგი იყო ახალგაზრდობის სულისა და გონების გამოძერწვა-გამოქანდაკების შესანიშნავი ოსტატი.

ვ. ა. გამისონიას მოღვაწეობა პარტიისა და მთავრობის მხრივ აღნიშნული იყო მრავალი ჯილდოთი.

ვ. ა. გამისონიას უნაგარო პედაგოგისა და მაღალზნეობრივი მოქალაქის უაღრესად განვითარებული, აღზრდილი და განათლებული, პატიოსანი,უბრალოებისა და გულძართლობის თვისებებით შემკული ადამიანის – ნათელი ხსოვნა მარად დარჩება თავისი აღზრდილებისა და ამხანაგ-მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

სპირიდონ მაქსიმეს ძე გეთია



დაიბადა 1912 წლის 13 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში.

1927 წელს დაამთავრა კახათის შვიდწლიანი სკოლა.

სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1933 წელს შევიდა ორჯონიკიძე გრადსკის (ბეტიცკის) მექანიკა-მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში (ბრიანსკის ოლქი), რომელიც დაამთავრა 1937 წელს და მიიღო ვაგონთმშენებლობის ინჟინერ-მექანიკოსის წოდება. მუშაობდა ბეტიცკში (ბრიანკის ოლქი), ქარხანაში „კრა-

სნი პროფინტერი" ინჟინერ-კონსტრუქტორის თანამდებობაზე.

1938 წლიდან 1940 წლამდე იმყოფებოდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში. 1939 წელს მონაწილეობდა ფინეთის ომში.

1940 წლიდან 1942 წლამდე მუშაობდა ინგურ ქაღალდ კომბინატის ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსად.

1943 წლიდან 1981 წლამდე (გარდაცვალებამდე მუშაობდა ენგურქაღალდკომბინატის დირექტორის მოადგილედ) კომერციულ დარგში.

ანზორ ბარამიას წიგნში: „ენგურის ქაღალდის კომბინატი" ვკითხულობთ „ქვეყნის ცელულოზისა" და ქაღალდის მრეწველობაში აღნიშნულ თანამდებობაზე განუწყვეტლივ მუშაობის ასეთი სტაჟი ჯერ არავის ჰქონია. უდიდესი სამრეწველო კომპლექსის ნედლეულით, მასალებითა და მოწყობილობით მომარაგების უზრუნველყოფასთან ერთად დირექტორის მოადგილეს სატრანსპორტო და სატყეო განყოფილების საქმიანობის ხელმძღვანელობაც ევალება. მრავალმხრივ, რთულ სამუშაო უბანს ს. გეთია საქმის ღრმა ცოდნით, კომუნისტური პრინციპულობით უძღვება.

სპირიდონ გეთია დაჯილდოებული იყო 1975 წლის თებერლვაში სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მედლით „შრომის ვეტერანი".

მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.

ღუღუნი შალვას ძე ზაქარაია



27 სექტემბერი ქართველი ერის გატანჯულ სულში მოუშუშებელ ჭრილობად დარჩება. ამ დღეს დაეცა სოხუმი. სოხუმის უძველესი მიწა მისივე მკვიდრთა სისხლით მორწყეს. ამ გაუგონარმა ტრაგედიამ აფხაზეთში მცხოვრები ყველა ქართველის ოჯახის კარებს მიუკაკუნა. ამ გამყიდველობის მსხვერპლი გახდა ღუღუნი ზაქარაია. 65 წლის ყოვლად უდანაშაულო, სპეტაკი კაცი საკუთარ ბინაში დახვრიტეს მომხვდურებმა. ახლობელთაგან დაუტირებელი მიაბარეს მიწას , მისი საფლავის მოფერებაც კი სანატრელია მათთვის.

მშობლიურ კუთხეზე უზომოდ შეყვარებულმა ბატონმა ღუღუნიმ

არ ინდომა სოხუმის დატოვება, იუკადრისა იქიდან გამოქცევა და მედგრად შეეგება სიკვდილს.

თუმცა განგებამ ეს განსაცდელი არ აკმარა ღუღუნი ზაქარაიას ოჯახს, დარდს გადაჰყვა მისი მეუღლე ქალბატონი ანია გაბედავა. დედის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, საეჭვო ვითარებაში ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა მათი ერთადერთი ძე თენგიზ ზაქარაია.

ობლის მძიმე ხვედრი ხვდათ წილად ბატონი ღუღუნის შვილიშვილებს ანა და ლევან ზაქარაიებს. ისინი სათუთად ინახავენ ხსოვნას საყვარელ ადამიანებზე და იმედოვნებენ, რომ სულ მალე შეძლებენ მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას, ძვირფასი ბაბუის საფლავის მიკვლევასა და მოფერებას.

მურმან შალვას ძე ზაქარაია



მურმან შალვას ძე ზაქარაია დაიბადა 1945 წლის 6 ნოემბერს გალის რაიონის სოფელ თაგილონში.

1951 წელს შეიყვანეს სოფელ თაგილონის დაწყებით სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ამავე სოფლის საშუალო სკოლაში. საშუალო სკოლის სრული კურსი დაამთავრა 1961 წელს.

1961 წლიდან 1964 წლამდე მუშაობდა სოფელ თაგილონის კოლმეურნეობაში, იმ დროს ახალდაწყებული ენგურჰესის მშენებლობაზე. დაამთავრა სოხუმის საბუღალტრო სასწავლებელი.

1964 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. სამხედრო სამსახური დაამთავრა 1967 წელს.

იმავე წელს მუშაობა დაიწყო სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში, 1968 წლიდან 1990 წლამდე მუშაობდა მთავარმომარაგების კომიტეტის აფხაზმომარაგების სტრუქტურებში.

1970 წელს ჩაირიცხა სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1975 წელს.

ძირითადი სამუშაოსა და სწავლის პარალელურად, 1972 წლიდან

ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. მუშაობდა სოხუმის რაიონის სოფელ იაშთხვის საშუალო სკოლაში ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის და სამართალმცოდნეობის მასწავლებლად. კითხულობდა ლექციებს საზოგადოება „ცოდნაში“.

1985 წლიდან იყო სკკპ-ის წევრი, რომელიც დატოვა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, კერძოდ, 1989 წლის 9 აპრილის დღეებში.

აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის კვალობაზე ერთვებოდა მის საქმიანობაში, მით უმეტეს, რომ მთელი ადრეული საქმიანობა მიმართული იყო რუსების მიერ აფხაზეთში სეპარატისტულ-ანტიქართული განწყობის დანერგვის წინააღმდეგ.

1989-1990 წლებში მონაწილეობდა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების, აფხაზეთში მოქმედი სხვა ეროვნული და საზოგადოებრივი მოძრაობების შექმნაში.

იმავდროულად მონაწილეობას ღებულობდა სოხუმში გამართულ ყველა მასობრივ გამოსვლასა და აქციაში, კერძოდ, სოხუმის უნივერსიტეტში 1 აპრილიდან დაწყებულ საყოველთაო მოძრაობაში.

აფხაზეთში ეროვნულ მოძრაობას განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიეცა 9 აპრილის შემდეგ, რამაც აპოგეას მიაღწია 15 ივლისს სოხუმში რუსეთის მიერ ინსპირირებული ქართულ-აფხაზური ხოცვა-ჟლეტისას. ივლისის დღეები იყო აფხაზეთში ქართველთა ერთობისა და დამოუკიდებლობისათვის მზაობის და თავდადების დადასტურება. თავისი შეძლების ფარგლებში, ყველა ამ ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას. ბოლო დიდი ღონისძიება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა იყო ბატონ ზვიად გამსახურდიას ჩამობრძანება სოხუმში და ეროვნულ სტადიონზე წინასაარჩევნო შეხვედრა.

ამის შემდეგ ნელ-ნელა ჩამოცილდა აქტიურ საქმიანობას, რაც გამოწვეული იყო მერაბ კოსტავას ფონდის საქმიანობის გარშემო ატეხილი ხმაურითა და არაჯანსაღი წინასაარჩევნო აჟიოტაჟით. მიუხედავად ამისა, ეროვნული ხელისუფლების მოღვაწეობის პერიოდში იდგა მის მხარეს და ინდივიდუალურად იცავდა მას ე. წ. დემოკრატების არასამართლიანი თავდასხმებისაგან.

კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ აქტიურად ჩაერთო ხუნტის წინააღმდეგ დაწყებულ საყოველთაო მოძრაობაში. 1992 წლის 7 იანვარს – ქრისტეშობის დღეს, პირველად გაიმართა მსვლელობა და მიტინგი სოხუმში. აქედან მოყოლებული მთელი მისი საქმიანობა დაკავშირებული იყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის ბრძოლასთან.

1992 წლის თებერვლიდან, თანამოაზრეებთან ერთად იწყებს ზრუნვას დამხობილი ხელისუფლების მხარდამჭერი გაზეთის დასაარსებლად. იქმნება გაზეთის დამფუძნებელი საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც აირჩიეს. იმ პერიოდში აფხაზეთში ქართული გაზეთის გამოცემა თითქმის წარმოუდგენელი იყო. ამას ეწინააღმდეგებოდნენ როგორც აფხაზი, ასევე ქართველი ხელისუფალნი. მიუხედავად ამისა, 1992 წლის 26 აპრილს, აღდგომა დღეს გამოვიდა თავისუფალ ჟურნალისტთა გაზეთ „აღდგომის" პირველი ნომერი, რომელიც, სინამდვილეში, არალეგალურად გამოდიოდა. ასე გამოსცეს ოთხი ნომერი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეში უშუალოდ ჩაერთნენ ჯოხარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია, ინება აფხაზეთის ხელისუფლებამ გაზეთის რეგისტრაციაში გატარება.

იმავე პერიოდში, მარტიდან მაისამდე, წინააღმდეგობის მოძრაობის შტაბი იმყოფებოდა მის ოჯახში, სოხუმის რაიონის სოფელ იაშთხვაში. გაზეთის გარდა, ამავე პერიოდში, შეიქმნა ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელი შტაბი, გაიშალა მოძრაობა ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერი ერთიანი პოლიტიკური მოძრაობისათვის, რომელსაც უნდა შეეცვალა იმ ვითარებაში დაშლილი „მრგვალი მაგიდა". შეიქმნა ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელის"დამფუძნებელთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა მურმან ზაქარაიაც. დამფუძნებელთა საბჭოს სარედაქციო ჯგუფთან ერთად შემუშავებულ იქნა მოძრაობის პროგრამა და წესდების პროექტი.

აფხაზეთის ომის დაწყების წინ აქტიურად მონაწილეობდაომის საწინააღმდეგო ღონისძიებებში. სამწუხაროდ, აფხაზეთის ხელისუფლების, როგორც ქართული, ასევე აფხაზური მხარის, დანაშაულებრივი დამოკიდებულების გამო ვერ მოხერხდა ომის თავიდან აცილება.

აფხაზეთში სახელმწიფო ჯარების შემოსვლის შემდეგ სოხუმში ფაქტობრივად შეწყდა წინააღმდეგობის მოძრაობა. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა „აღდგომის" მორიგი ნომრის გამოცემა, მაშინ, როცა ეს ვერ მოახერხეს სახელისუფლებო გაზეთებმა. ამან ძალზე განარისხა ხელისუფლება და ე. შევარდნაძის წარმომადგენლის გ. გულუას ბრძანებით აკრძალეს გაზეთის გამოცემა. იძულებული გახდნენ ზუგდიდში გადასულიყვნენ. აქედან მოყოლებული, კანონიერი ხელისუფლების ხელახლა დამხობამდე მოღვაწეობდა ზუგდიდში. ომის პერიოდში როგორც ეროვნულ გვარდიაში, ასევე ფართო მასებში ეწეოდნენ კანონიერი ხელისუფლების შეხედულებებისა და მოსაზრებების ფართო პროპაგანდას, რაც უდიდეს ძალისხმევასა და რისკთან იყო დაკავშირებული. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა კატასტროფის თავიდან აცილება.

სოხუმის ალყის დროს მთელი ოჯახით იმყოფებოდა სოხუმში. სოხუმი 22 სექტემბერს დატოვა, გემით გადაიყვანეს ბათუმში.

ზუგდიდში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბრუნების შემდეგ ქობულეთიდან, სადაც ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, გადმოვიდა გალში. ჩაერთო გაზეთის საქმიანობაში.

გალის დაცემის შემდეგ ცხოვრობდა ხობში, სადაც ხელმძღვანელობდა დევნილთა კომიტეტს.

კანონიერი ხელისუფლების მეორედ დამხობის შემდეგ, რჩება სამშობლოში და ცდილობს გაფანტულ თანამებრძოლებთან კავშირის დამყარებას.

ამ პერიოდში გამოსცა ხელნაბეჭდი ჟურნალები „აღდგომა" და „ჭყონდიდი". 1993-94 წლებში, ძალღონის დაუშურველად ახდენდა სამეგრელოში „მრგვალი მაგიდის" პარტიების აღდგენას და რაიონული „მრგვალი მაგიდების" შექმნას, რაც მოხერხდა კიდეც თითქმის ყველა რაიონში. ამავდროულად შესაძლებელი გახდა კავშირის დამყარება, ასევე აღდგენის პროცესში მყოფ ცენტრალურ „მრგვალ მაგიდასთან".

1994 წლიდან იწყებს ბრძოლას გაზეთ „აღდგომის" აღსადგენად. როგორც ადრე, ამჯერადაც, პირველი ნომრების გამოცემა უხდება ნახევრად არალეგალურად, შემდეგ კი ხელისუფლება იძულებული გახდა გაზეთი ხელახლა გაეტარებინა რეგისტრაციაში.

ამ პერიოდიდან არის გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი, ირჩევენ „მრგვალი მაგიდის" დამოუკიდებელ წევრად, დაფუძნებიდან ბოლომდე იყო მოძრაობა „ჭყონდიდელის" პოლიტიკური საბჭოს წევრი.

ამავე პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა დევნილთა საპროტესტო გამოსვლებში. იყო დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი, წლების განმავლობაში ამავე საბჭოს თანათავმჯდომარე.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ჭყონდიდელი" გაერთიანება „XXI საუკუნის" შემდგენლობაში შედიოდა, ის კი, თავის მხრივ, ბლოკ „აღორძინების" წევრი იყო, რომლის პარტიულ სიაში შეყვანილი იყო მურმან ზაქარაიაც.

1999-2001 წლებში აქტიურად მონაწილეობდა პოლიტპატიმართა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მოშიმშილე პოლიტპატიმრებთან ერთად, ბატონ გურამ აბსანძის ხელმძღვანელობით აფუძნებენ პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საკოორდინაციო ცენტრს. ამ მოძრაობის დიდი დამსახურებაცაა ის, რომ მიღებული იქნა 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება.

უფრო ადრე, 1998 წლიდან, აქტიურად მონაწილეობდა „ეროვნული

თანხმობის დარბაზის“ შექმნაში. არის მისი დამფუძნებელი წევრი.

ჯერ კიდევ პოლიტპატიმართა ერთი ნაწილის ციხეში ყოფნისას, ბატონ გურამ აბსანძის ინიციატივით დაიწყეს ზრუნვა ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის შექმნისათვის. მონაწილეობდა კავშირის შექმნის წინასწარ ღონიძიებებში. არის კავშირის დამფუძნებელი, პოლიტიკური საბჭოს წევრი.

მურმან ზაქარაიამ სხვადასხვა დროს გამოსცა გაზეთები „ზანი“, „გზა ხსნისა“. ამჯერად რედაქტორობს გაზეთ „ეროვნულ თანხმობასა“ და ჟურნალ „მიჯნას“.

არის ავტორი მრავალი პოლიტიკური და მეცნიერული წერილისა და პუბლიკაციისა. გამოცემული აქვს სამი წიგნი: „მხილება სიცრუისა“ – პოლიტიკური წერილების კრებული, პოლიტიკური ესსეები – „ტერორი თუ რეაქცია ტირანიაზე“, „დათრგუნული ღირსება“, ბროშურა „გზა ხსნისა“.

ჰყავს მეუღლე ლალი დავითის ასული სიჭინავა და ორი შვილი: თეანა ზაქარაია, პროფესიით ჟურნალისტი-ხელოვნებათმცოდნე, გაზეთ „ეროვნული თანხმობისა“ და მისი ლიტერატურული დამატების „მაფშალიას“ პასუხისმგებელი მდივანი; დავით ზაქარაია, პოლიტოლოგი, პოლიტოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მაძიებელი, ადამიანთმცოდნეობისა და პოლიტოლოგია-სოციოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

ავერიკო მალხაზის ძე თორია

ავერიკო მალხაზის ძე თორია დაიბადა 1931 წ. 5 აპრილს სოფ. თაგილონში. პირველდაწყებითი და 7-ნლიანი განათლება მიიღო ამავე სკოლაში. 1970 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ოჩამჩირეში - ბესლახუბა.

ამჟამად არის დევნილი ზუგდიდში.

ჰყავს ორი ვაჟიშვილი.

სახალხო მთქმელი, არის მეგრულენოვანი წიგნის ავტორი. გთავაზობთ მის ლექსს.

* * *

ბუმბერაზი კაცისათვის
აღარ დაინაღვლო წერა,
ქვესკნელშიაც ჩაესმება

შენი სიტყვა, შენი მღერა.
რჯულ-ნათესავს გაიხსენებ,
სიყვარული „დახვავდება“
მისი ღვაწლი, შენი შრომა
არასოდეს არ გაქრება.
უნდობელი წუთისოფელი
სულ ტრიალებს და იცვლება
მაგრამ, თაგილონის მიწა,
მშობლიური გულში რჩება.
„მონათლულმა“ ლტოლვილებად,
მოვიხადოთ ჩვენი ვალი,
მამა-პაპის ლოცვა-კურთხევით
განვამტკიცოთ ჩვენი კვალი.
მჯერა!
მოვა ისეთი დრო, :
ეს „ოცუნე“ დაწყნარდება,
ამ ჩვენს „დაჭრილ“ მიწა-წყალსაც
ეღირსება განკურნება!

ნიკოლოზ კვერსელავა

სამეგრელოში ეს გვარი კვესელავაა, თაგილონში კი კვერსელავად შეუცვლიათ. ნიკო კვერსელავა დაიბადა 1925 წელს სოფელ თაგილონში გლეხის ოჯახში. თაგილონის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ქ. გალის მეორე საშუალო სკოლაში. ომის ქარიშხალი რომ ატყდა, საშუალო სკოლა დამთავრებული ჰქონდა. თავისი სურვილით წავიდა არმიაში.

იბრძოდა მოზდოკთან, სადაც დაიჭრა და ჰოსპიტალში მოათავსეს. ოჯახმა კი სამხედრო ნაწილისგან ასეთი შინაარსის დეპეშა მიიღო: „თქვენი შვილი ნიკოლოზ კვერსელავა გმირულად დაიღუპა, დასაფლავებულია სოფელ ყიზლარში“.

საბედნიეროდ, ეს ცნობა სიცრუე გამოდგა. მეორედაც მიიღო ოჯახმა ცნობა ჰოსპიტლიდან – „მკვდრეთით აღსდგა“.

ნიკოლოზ კვერსელავამ ბრძოლის წინა ხაზზე ათასობით ფრონტული კილომტერი გაიარა ჩრდილოეთ კავკასიიდან ბუდაპეშტამდე. ფრონტზე ბევრჯერ ჰქონია მძიმე მომენტები, განსაცდელი, მაგრამ გმირულად იტანდა სიძნელეებს. მან ფრონტებზე გამოჩენილი მამაცობისათვის 14 ჯილდო მიიღო, მათ შორის სამამულო ომის პირველი

ხარისხის ორდენი.

სამხედრო სამსახურში 1950 წლამდე დარჩა.

დემობილიზაციის შემდეგ ნიკოლოზ კვერსელავამ მოსკოვში საკავშირო პროფკავშირების უმაღლესი სკოლა დაამთავრა და ეკონომისტის სპეციალობა მიიღო. სხვადასხვა დროს მუშაობდა აფხაზეთის პროფსაბჭოს აპარატში, პარტიის საოლქო კომიტეტში, ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში განაგებდა სოხუმის ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო ობიექტს.

1993 წლიდან ლტოლვილი თბილისში ცხოვრობს.

ეწევა აქტიურ შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობას. არის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. ეხმარება და გვერდში უდგას ყველა მძიმე მდგომარეობაში მყოფ ლტოლვილ ვეტერანს.

ნიკოლოზ კვერსელავა პოეტია. ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს. გალის მეორე საშუალო სკოლის ყოფილი მასწავლებელი ვალერიან ზუხბაია იგონებს: „კლასში რომ შევიდოდი მოსწავლეები სიამაყით მეუბნებოდნენ: ჩვენ ჯგუფში ორი პოეტი გვყავს: ხუტა ბერულავა და ნიკო კვერსელავა. მისი ბევრი ლექსი სანგრებშია დაწერილი, რუსულ ენაზედაც წერდა და აქვეყნებდა ლექსებ.ს მისი ლექსები მეგობრული, ვაჟკაცური, პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული. მათში ძალუმად იგრძნობა ავტორის აქტიური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. ნიკოლოზ კვერსელავამ კალამი პროზაშიც სცადა და გამარჯვებას მიაღწია. ვბეჭდავთ მის ერთ ლექსს:

შენ შეგიძლია

შენ მზით ირთვები,
შენ მზით ირთვები,
რაღა დანისლავს
შენს ცის კაბადონს.
შენ შეგიძლია
ისე იზრდები
რომ რუსთაველი
კიდევ დაბადო...
ახლა მთავარი კიდევ ის არის,
სწრაფვა აღსავლის.
აღარ შენელდეს,
შენ ისევ გაზრდი
შენ ისევ გაზრდი
ფარნაოზებს და აღმაშენებლებს.

შალვა ნიკოლოზის ძე კორკელია



შალვა ნიკოლოზის ძე კორკელია დაიბადა 1922 წლის 10 იანვარს გალის რაიონ სოფელ თაგილონში. თაგილონის რვა-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა გალის პირველ საშუალო სკოლაში.სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელა.

მეორე კურსზე ყოფნისას გაიწვიეს ფრონტზე; ომის დამთავრების შემდეგ ისევ სწავლა გააგრძელა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1947-1953 წლამდე მუშაობა გალის №2 საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგედ...

1953-1961 წლებში შალვა ნიკოლოზის ძე კორკელია გადაყვანილი იქნა გალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარედ.

1961-1969 წლებში უძღვებოდა თაგილონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობას.

1969-1977 წლებში იგი რაიონულ კულტურის განყოფილებას განაგებდა.უკანასკნელი წლებში სოცუზრუნველყოფის რაიონული განყოფილების გამგე იყო.

აი, როგორ გამოეხმაურნენ მისი მეგობრები მის გარდაცვალებას:

„სულ ახლახან ჩვეული ღიმილით გვხვდებოდა ქუჩაში, სითბოსა და კაცურ გამარჯვებას გვაგებებდა,დადიოდა ჩვენს შორის და გვიხაროდა ამ საოცრად კაცთმოყვარე, გულისხმიერი და სიკეთით სავსე ადამიანის ნახვა.

...რაისაბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში ამაოდ უცდის მას მასავით მყუდრო, უბრალო, მასავით სინათლიანი ოთახი, ჯერ მელანი არ შეშრობია მის კალამს,მისი თითების სითბო ჯერ არ დაუკარგავთ ქაღალდებს...ამ სითბოს იგი უანგაროდ უნაწილებდა ადამიანებს,სპეტაკი სულისა და მაღალი ზნეობის ადამიანი იყო, ასე გაალამაზა თავისი ცხოვრებაც,– შრომითა და ბრძოლით აღსავსე...

თაგილონში,მშრომელი გლეკაცის ოჯახში დაბადებულს, შრომისა და სიკეთის სიყვარული აკვნიდანვე გაჰყვა,ამ შეგნებით გალია თავისი

სიცოცხლის 57 წელი და ამ შეგნებიდან არასოდეს გადაუხვევია,რწმენისათვის არ უღალატნია,ასე იყო მაშინაც, როცა მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში მუშაობდა ფიზიკურად, მაშინაც, როცა სამამულო ომის წლებში მამაცურად იბრძოდა ფრონტის წინა ხაზზე, მაშინაც, როცა ინსტიტუტ დამთავრებული, ომგადახდილი გალის №2 საშუალო სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად,შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგედ...

1953-1961 წლებში შალვა ნიკოლოზის ძე კორკელია გალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეა,მან დიდი ამაგი დასდო ჩვენი ქალაქის განვითარებას.1961-1969 წლებში ჩვეული უნარით უძღვება თაგილონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობას.1969-1977 წლებში იგი რაიაღმასკომის კულტურის განყოფილებას განაგებდა და ბევრი რამ გააკეთა ამ მხრივ.უკანასკნელ წლებში სოცუზრუნველყოფის რაიონული განყოფილების გამგე იყო, სადაც მთელი არსებით წარმოგვიდგა იგი,როგორც ადამიანებისათვის მზრუნველი,საოცრად თბილი, მართალი და გულისხმიერი კაცი.

მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა იგი დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას, როგორც საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის წევრი და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატი.

მის მკერდზე ორი საბრძოლო ორდენი და მრავალი მედალი კიაფობდა,წითელი ვარსკვლავისა და დიდების მესამე ხარისხის ორდენები, მედალი „მამაცობისათვის" ფრონტზე მიიღო.კავკასიონს იცავდა, ბელორუსიის მე-2 ფრონტის წინა ხაზზე იყო, მამაცური გულით მანაც დალაშქრა აღმოსავლეთი პრუსია,კენიგსბერგი,პილაუ...

მშვიდობიანი შრომის ფრონტზე მდგარს,მთელი სიცოცხლე შინმოუსვლელთა ოჯახზე ზრუნვა არ შეუწყვეტია. ეს დამახასიათებელი მაგალითია მისი კაცობისა: ძალიან ბევრს დასდო მან ასეთი ამაგი.

ყველაზე უფრო დიდი ამაგი კი,რაც შალვა კორკელიამ დაგვიტოვა ისაა, რომ მან მართალი ცხოვრების, ადამიანობის უმშვენიერესი მაგალითი გვიჩვენა. დიახ, მთელი თავისი საქმიანობა სამაგალითოდ დაგვიტოვა და ისე წავიდა ჩვენგან.

სიკვდილმა წაგვართვა ძვირფასი მეგობარი, ერთგული ამხანაგი, წაგვართვა,მაგრამ მისი კეთილი სახე მარად დარჩება ჩვენს ხსოვნაში, რადგან ამისთანა ადამიანის დავიწყება არ შეიძლება.

ათნოგენ კონსტანტინეს ძე ლაბაშია



ათნოგენ კონსტანტინეს ძე ლაბაშია დაიბადა 1877 წელს სოფელ თაგილონში. 1898 წელს გაიწვიეს მეფის არმიაში. მონაწილეობდა რუსეთ- იაპონიისა და პირველ მსოფლიო ომში.

1917 წელს ათნოგენ ლაბაშია შევიდა კომუნისტურ პარტიაში. 1918 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამურზაყანოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. იყო აჯანყებულთა რაზმის ერთი ქვედანაყოფის მეთაური, რომელიც გააფთრებულად ებრძოდა მენშევიკურ ჯარებს. 1924 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქ. ზუგდიდის მენშევიკური აჯანყების ჩაქრობაში.

1924 წლიდან ანთოგენ ლაბაშია ცხოვრობდა თაგილონში, ეწეოდა სოფლის მეურნეობას. 1933 წელს თაგილონში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

ნიკანდრო ათნოგენის ძე ლაბაშია




დაიბადა 1900 წელს სოფელ თაგილონში, გლეხის ოჯახში. 1916 წელს მშობლიურ სოფელში დაამთავრა სკოლა და შევიდა ზუგდიდის გიმნაზიაში. 1918 წელს მამასთან ერთად მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის განიცდიდა დევნას. ამიტომ შეწყვიტა სწავლა. 1920 წლის სექტემბრიდან 1923 წლამდე სწავლობდა ზუგდიდში. პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის დავალებით ნიკანდრო ლაბაშიამ ზუგდიდის სასწავლებელში ჩამოაყალიბა კომუნისტური უჯრედი და 1923 წლის მაისამდე იყო მისი მდივანი.

1926-1928 წლებში იმყოფებოდა წითელი არმიის რიგებში, დემობილიზაციის შემდეგ 1928-1929 წლებში მუშაობდა დრანდის მეურნეობაში მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ; 1933 წლიდან 1938 წლამდე მუშაობდა აფხაზეთის ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად. 1938-1945 წლებში მუშაობდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს საგზაო სამმართველოს უფროსად და სხვა

სამეურნეო ორგანიზაციებში. 1956-1964 წლებში მუშაობდა მეხანძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების აფხაზეთის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ.

1964 წლიდან სიკვდილამდე იყო პერსონალური პენსიონერი.

აკაკი ანთოგენის ძე ლაბაშია



აკაკი ლაბაშია დაიბადა 1897 წელს გლეხის ოჯახში, სოფელ თაგილონში. 1915-1917 წლებში მსახურობდა მეფის არმიაში მობილიზაციით.

1918 წელს დაბრუნდა არმიიდან, შევიდა პ. ძიგუას პარტიზანულ რაზმში. თავის მამა ათონოგენთან ერთად აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

1918 წელს დააპატიმრეს მენშევიკებმა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა არალეგარულ მუშაობაში.

1921 წლის მარტში აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აკაკი ლაბაშია აირჩიეს სამურზაყანოს რევკომის პირველ თავ-რედ. აქტიურად მოღვაწეობდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

არველოდ კონსტანტინეს ძე ლემონჯავა



არველოდ კონსტანტინეს ძე ლემონჯავა დაიბადა 1930 წელს სოფ. თაგილონში. სოფლის შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სოფ. ნაბაკევის საშ. სკოლაში, დაამთავრა 1949 წელს იმავე წელს ჩაირიცხა სოხუმის პედინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1933 წელს, ერთი წელი მუშაობდა მასწავლებლად. დაამთავრა საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ასპირანტურა ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით. გამოქვეყნებული აქვს

რამდენიმე შრომა, მათ შორის სამი მოსკოვში. ამჟამად მუშაობს თსუ სოხუმის ფილიალის გეოგრაფიის კათედრის უფროს მასწავლებლად.

მიხეილ ეგის ძე მარშავა

მიხეილ ეგის ძე მარშავა დაიბადა 1907 წელს გალის რაიონის სოფ. თაგილონში. დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო თაგილონისა და გალის სკოლებში. სწავლობდა ქ. თბილისში – იყო სპეციალობით ფინანსისტი. დაამთავრა აგრეთვე თბილისში პარტიული სკოლა და სოხუმში მუშათა ფაკულტეტი. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მშობლიურ სოფელში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. იყო აქტიური კომკავშირელი, კომ. პარტიის წევრი. აქტიურად ჩაება კოლექტივიზაციის მშენებლობის საქმეში.

1934 წელს ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ქ. ზუგდიდში. მუშაობდა ზუგდიდის რაიონის სახელმწიფო დაზღვევის უფროსად.

1941 წელს დიდ სამამულო ომში წავიდა მოხალისედ, სადაც მძიმე გზა განვლო კავკასიის მისადგომებიდან უკრაინამდე. მიღებული ჰქონდა ჯილდოები. მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა ომიდან.

გამოჯანსაღების შემდეგ შეუდგა თავის საქმიანობას.

1951 წელს (მეგრელთა საქმესთან დაკავშირებით) დაპატიმრებულ იქნა. ორი წლის შემდეგ გაამართლეს და გაათავისუფლეს.

1953 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ვაჭრობის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე. გარდაიცვალა 1973წ.

ჰყავდა მეუღლე – **ვერა სამსონის ასული შარია**, სოფ. თაგილონის მკვიდრი, რომელიც ქ. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლაში მუშაობდა პედაგოგად.

ჰყავთ ოთხი შვილი, ექვსი შვილიშვილი და ექვსი შვილთაშვილი.

ჯულიეტა გრიგოლის ასული მირცხულავა

დაიბადა 1946 წლის 1 თებერვალს გალის რაიონის სოფელ თაგილონში, მოსამსახურის ოჯახში.

1964 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თაგილონის საშუალო სკოლა. 1969 წელს კი წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი



ქართულისა ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1971-92 წლებში მუშაობდა გალის ადგილობრივი რადიოგადაცემათა რედაქციის რედაქტორად, გაზეთ „გალის" რადიოინფორმატიკის განყოფილების გამგედ, რედაქციის პარტიული ორგანიზაციის მდივნად.

არჩეული იყო პარტიის რაიკომის სარევიზიო კომისიის წევრად, საქალაქო საბჭოს დეპუტატად. იყო სხვადასხვა კომისიის თავმჯდომარე, მდივანი.

იბეჭდებოდა ადგილობრივ, საოლქო თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. ჟურნალისტიკასთან ერთად გატაცებულია ხელოვნებით (კინო, თეატრი, მხატვრობა), სპორტით (ფეხბურთი). უსაზღვროდ უყვარს კინოსა და თეატრის გამოჩენილი მსახიობები. შესანიშნავი ფეხბურთელები. ოცნებობდა მსახიობობაზე. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ იყო მრავალი ღონისძიების წამყვანი. კარგად ართმევდა თავს დეკლამატორობასა და დიქტორობას. ხშირად რადიოგადაცემები თვითონ მიყავდა.

დევნილობის პერიოდშიც ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას.

ყავს მეუღლე - ჯემალ ადამია, შვილები ბესიკი, სოფიკო. შვილიშვილი – სალომე.

ოჯახი დევნილობის გამო ცხოვრობს თბილისში.

გთავაზობთ ქალბატონი ჯულიეტას რამდენიმე ლექსს:

მონატრება

ვუძღვნი ჩემს გალელებს

მზე ჩაესვენა, სიცივე მზარავს,
უცხო მხარეში მამულწართმეულს.
ველარსად ვპოვე ნავთსაყუდელი
და სევდიანი ვიგონებ წარსულს.

როგორ მომინდა გამთენიისას
მამლის ყივილზე თვალის გახელა.
ბულბულის სტვენა, მერცხლის ჭიკჭიკი,
გესმოდეს, ღირდა მისთვის გაჩენა.

ნეტავ ვიცოდე, ჩემს მამულეთში
როგორ ილვიძებს მკვდარი სოფელი,
ჩემი ბავშვობა კვლავ მომაგონა
მანახა დღემდე როგორ მოვედი.

ჩემს დედულეთში მამყოფა წამით,
შემომატარა კუთხე-კუნჭული,
ყმაწვილქალობის ლამაზ ოცნებებს
მე მომაგონებს ჩემი ენგური.

ჩემი კოპწია გალი მანახა
გულდათუთქული დარდით, ფიქრებით.
ვიცოდე ნეტავ თუ გველოდება,
ხომ არ დაკარგა მანაც იმედი

მთის კენწეროზე დაბადებული
იმ წყაროს წყალი დამალევინა,
მინდვრის ყვავილთა ნაზი ჩურჩული,
ვარდების სუნთქვა მომასმენინა.

პატარა ეზო, ოდა კოლხური
და ტანაყრილი ცაცხვი მაჩვენა.
აგიზგიზებულ ბუხართან მსხდომთვის
ტაბლაზე სუფრა გამაშლევინა.

ეხ, ღვინით თასი ამავსებინა
იმ ბერიკაცის ხელით ნაწურით
დამალოცვინა ჩემი მამული,
და საფიცარი ენა ქართული.

დამალოცვინა სამურზაყანო,
სათანჯოს მთები და ერისწყალი
თუთარჩელა და ჩელას სიმღერა
ტკბილი ბავშვობის დიდი ზღაპარი.

ისევ მამღერა „მრავალჟამიერ“,
„სისა ტურა“ და „შავო მერცხალო“.
ჩემი სამშობლო, კაცი კოლხელი

გამარჯვებული ისევ მენახოს.

მომადრეკინა მუხლი საფლავთან
მოთქმით მატირა ყველა ნასული,
თავთან სანთელი დამანთებინა,
მოისვენებდა სული ტანჯული.

ნუ მეტყვით!

ნუ მეტყვით ამას, არ ვარ ქართველი
ძარღვში არ მიდუღს თამარის სისხლი
რომ ცისფერთვალა ქალი კოლხელი
არა ვარ დიდი დავითის ჯიშის.

ეს ვინ გაგვიყო იმერ-ამერი,
ვინ ჩაგვიტეხა წლოვანი ხიდი.
ტყვიას რომ ვესვრით ერთმანეთს ძმები
სინანული მკლავს, სირცხვილით ვიწვი.

იქ ნიკორწმინდას მე ვაშენებდი,
სვეტიცხოვლისთვის მეც ვზიდე ტვირთი.
ვერ ვუღალატებ დიდ ისტორიას
ნაწერს კრწანისთან დაღვრილი სისხლით.

მე „დედა ენა“ მიმღერდა ნანას
და რუსთაველმა შემასხა ფრთები,
ბარათაშვილის „ბედი-ქართლისა“
ვაჟას, ტაბიძის თუ მზრდიდა ლექსი.

წამებულ გმირთა ფარული სევდა -
მიათკეცებდა მამულის ტრფობას
მაშ, როგორ დამცდეს ვინმეზე ძვირი
თუნდაც მახრჩობდეს ათასი ბოლმა.

გულს ნუღარ მატკენთ, ნუ მედავებით,
თუა ქართველი, მე ვარ უთუოდ.
თბილისი, გორი და აფხაზეთი
ჩემი ხატია, მისთვის ვლოცულობ...

ჩვენ წინაპართა გვმართებს პატივი
საფლავებს წმინდას ნუღარ შევბღალავთ
ამას მაბარებს ჩემი ვარძია.
ამას მავედრებს დიდი მარაბდა.

არ დამაყვედრო!

თუ წაქცეულს შემაშველე ხელი
და თუ შევძელ შენით წამოდგომა.
გევედრები, აღარ დამაყვედრო
და ნუ ჩათვლი ამას დიდ გმირობად.

დღეს თუ მე ვარ ხელებგამოწდვილი
და ვითხოვ ვინმესაგან შველას,
არვინ იცის, ხვალ ვის დააჩოქებს
რას გვიმზადებს ჩვენი ბედისწერა.

თუ ლუკმა-პურს უწილადებ ღარიბს,
შეიფარებ შენზე გაჭირვებულს.
ნუ გაივლებ გულში სიტყვას სატკენს
ნუ შელახავ მის დიდებულ წარსულს.

წუთისოფლის შვილები ვართ ყველა,
ხან გვახარებს და გვატირებს ხანაც.
მერე რა რომ ცხოვრებაში ერთხელ
ქარიშხალმა ჩემთან დაივაკა.

იქნებ სხვასაც გაუღიმოს ბედმა,
მოიბრუნოს იქნებ ღმერთმა გული.
სუსხიანი დღენი შეგვეცვალოს
და გვეღირსოს იქნებ სიხარული.

მურმან ხათას ძე ოყუჯავა



მურმან ხათას ძე ოყუჯავა დაიბადა 1955 წლის 10 ივლისს. 1972 წელს დაამთავრა თაგილონის საშუალო სკოლა.

1973-75 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში უმცროსი მეთაურის წოდებით. 1976 წელს გალის რაიონის კომკავშირის კომიტეტმა გააგზავნა იგი ქ. გაგრაში ახალგაზრდულ მშენებლობაზე. 1978 წელს, ქ. გაგრის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის რეკომენდაციით დაიწყო მუშაობა მილიციის საქალაქო განყოფილების, საპატრულო-საგუშაგო სამსახურში. რამდენიმე თვეში, პირველადი მოსამზადებელი კურსების დამთავრების შემდეგ დაინიშნა, დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსად. 1980 წელს გახდა „მილიციის ფრიადოსანი" 1981 წელს ჩაირიცხა ქ. კალინინგრადის მილიციის სპეციალურ სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1983 წელს. მუშაობდა ქ. გაგრის სხვადასხვა ზონაში უბნის ინსპექტორად, უფროს ინსპექტორად. 1988 წელს ჩაირიცხა ქ. ვლადიმირის პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე, დაუსწრებელ განყოფილებაზე. აფხაზეთის ომში იცავდა ქალაქს სხვადასხვა ჯგუფის ბოევიკებისაგან. 1992 წლის 2 ოქტომბერს ქ. გაგრის დაცემასთან დაკავშირებით იგი ყვება შემდეგს: „იმ დღეს პირველად მოვხვდი ალყაში, 18 კაციანი შეიარაღებული ჯგუფიდან იმ ავადმოსაგონარ დღეს ცოცხალი გადავრჩით მარტო ორნი. გაგრის მთებში ათდღიანი ხეტიალის შემდეგ შევხვდი ჩვენი მეომრების მოზრდილ ჯგუფს, რომლებთან ერთად გადმოვედით ქ. სოხუმში 19 ნოემბერს. მურმან აბესალაშვილი, ოთარ კვარაცხელია და მე ვიყავით გაგრის მილიციის ასეულის ოცმეთაურები. ასეულის უფროსი იყო მილიციის მაიორი ანატოლი შონია. ყველა ჩვენგანმა გავაკეთეთ ის, რაც შეგვეძლო, ბოლომდე გვჯეროდა ჩვენი გამარჯვებისა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო აფხაზეთი დავკარგეთ... „ომის მიზეზით შეწყვეტილი სწავლა განვაგრძე და დავამთავრე თსუ აფხაზეთის ფილიალი". 1995 წელს დაინიშნა ქ. გაგრის შ ს სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსად, 1997 წელს მიიღო პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის სპეციალური წოდება. 2001 წელს დაინიშნა იმავე სამმართველოს უფროსის მოადგილედ კრიმინალური პოლიციის ხაზით, ამჟამად პოლიციის პოლკოვნიკია.

ჰყავს მეუღლე - მთვარისა არქანია, შვილები - გიორგი და ირაკლი. ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქ. თბილისში.

შოთა ალექსის ძე ორჯონია



შ. ორჯონია

შოთა ალექსის ძე ორჯონია დაიბადა 1923 წ. გალის რაიონის სოფ. თაგილონში. 1937 წ. დაამთავრა თაგილონის არასრული საშუალო სკოლა, რომლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო ბათუმის საფინანსო-ეკონომიკურ სასწავლებელში, რომელიც 1941 წ. დაამთავრა. სწავლის დამთავრების შემდეგ 1942 წლამდე მუშაობდა სოფ. ნაბაკევის ჩაის ფაბრიკაში.

1942 წ. შ. ორჯონია გაიწვიეს სამამულო ომში. 1942-45 წწ-ში ის იყო I, II, III, ბელორუსიის ფრონტის დაზვერვაში. მონაწილეობა მიიღო კენისბერგის განთავისუფლების ბრძოლებში.

1946 წ., დემობილიზაციის შემდეგ, ჩაირიცხა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. პარალელურად იყო გალის რაიონის საფინანსო განყოფილების თანამშრომელი, სადაც მუშაობდა უკანასკნელ პერიოდამდე.

შ. ორჯონიას მინიჭებული ჰქონდა წითელი ვარსკვლავის ორდენი (Орден красной звезды), დიდების ორდენი (Орден славы), სამამულო ომის ორდენი (Орден отечественной войны).

შოთა ალექსის ძე ორჯონია გარდაიცვალა 2001 წ.

მეუღლე – გოგოლა, შვილები სვეტა, ოთარი, მანანა

შვილიშვილები: კახა, იამზე, მურთაზი, ირმა, ლიკა, თემური, გელა, რუსიკო, ლევანი.

ვარლამ ალექსის ძე ორჟონია



ვარლამ ალექსის ძე ორჟონია დაიბადა 1922 წ. 31 იელისს, გალის რაიონის სოფ. თაგილონში 1929 წ. შევიდა სოფ. თაგილონის არასრულ საშუალო სკოლაში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო სოფ. ოტობაიას საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1938 წ. ამავე წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1943 წ. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გაიწვიეს სამამულო ომში. პირველად განაწილებულ იქნა მოსკოვის სარეზერვო დანაყოფში, შემდეგ მოსკოვის ერთ-ერთი ოლქის ჰოსპიტალში, ხოლო იქიდან სამხედრო ნაწილში. 1943-44 წწ-ში იყო დასავლეთის ფრონტის ექიმი, ხოლო 1944 - 45 წწ-ში II III ბელორუსიის ფრონტის სანიტარული რაზმის მეთაური.

1945 წლის მაისში მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ პრუსიის ბრძოლებში და II და III ბელორუსიის ფრონტის მიერ კენისბერგის აღების ოპერაციაში.

ომის დამთავრების შემდეგ ვარლამ ალექსის ძე ორჟონია მსახურობდა გულრიფშის რაიონის დაბა აგუძერას სამხედრო ნაწილში, სადაც იყო სანიტარული სამსახურის უფროსი ექიმი. 1946 წ. გადაიყვანეს რიწაში, ხოლო იქიდან – გაგრის სამხედრო ნაწილში, სადაც ორი წელი იმსახურა.

1948 წლიდან, დემობილიზაციის შემდეგ, დაიწყო სამოქალაქო სამსახური.

1948 წლიდან 1993 წლამდე ცხოვრობდა გულრიფშის რაიონის დაბა მაჭარაში და მუშაობდა რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოში. რამდენიმე წლის განმავლობაში იყო საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ხოლო უკანასკნელ წლებში (1993 წლის 27 სექტემბრამდე) ამავე საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილების მთავარი ექიმი.

როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სამსახურის პერიოდში ვარლამ ორჟონია დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ამჟამად ვარლამ ალექსის ძე ორჟონია არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი და ცხოვრობს ქ. თბილისში, უშიშროების აკადემიის საერთო საცხოვრებელში.

მეუღლე ნონა - დიასახლისი, შვილები: შორენა, დალი, ლავრენტი, შვილიშვილები - გიორგი სტუდენტია, სოფიკო - წარჩინებით დაამთავრა თსუ - ს სოხუმის ფილიალის ბიოლოგიის ფაკულტეტი, სწავლობს მაგისტრატურის II კურსზე გენეტიკის სპეციალობით.

ვერა კეღურას ასული სიგუა

ვერა კეღურას ასული სიგუა დაიბადა 1920 წელს თაგილონში. მშობლიური სოფლის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო გალის საშუალო სკოლაში, რომელიც 1940 წელს დაასრულა.

იმავე წელს მუშაობას იწყებს თაგილონის არასრულ საშუალო სკოლაში უფროს პიონერ-ხელმძღვანელად, შემდეგ დაწყებითი კლასის მასწავლებლად. სამუშაოს მოუწყვეტლად ამათვრებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს. 1935 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშაობდა ქ. გალის №1 საშუალო სკოლის მასწავლებლად.

ვ. კ. სიგუა იყო უაღრესად კეთილი, პატიოსანი, უმწიკვლო, თავის საქმეზე თავდავიწყებით შეყვარებული მუშაკი, კარგი მეგობარი. მან თავისი სიცოცხლე შეალია მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა კოლექტივისა და საზოგადოების წინაშე.

ვერა სიგუას ასევე სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს მისი მასწავლებელი, ამ წიგნის თანაავტორი ვალერიან ზუხბაია.

1993 წლის 8 ნოემბერს ვერა სიგუა მის დასთან ნინო სიგუასთან, ძმასთან არსენა (ღუბური) სიგუასთან ერთად მხეცურად იქნა მოკლული აფხაზი მკვლელების მიერ მისსავე საცხოვრებელ სახლში.

ვანო (ივანე) სანდროს ძე ქილორავა



ვანო სანდროს ძე ქილორავა დაიბადა 1919 წ. 15 იანვარს თაგილონში, ღარიბი გლეხის ოჯახში. შვიდი წლისა შეიყვანეს სკოლაში. 1935 წელს ფრიადი წარმატებით დაამთავრა თაგილონის არასრული საშუალო სკოლა და იმავე წლის შემოდგომაზე სწავლა გააგრძელა სოფელ ოტობაიას საშუალო სკოლაში. 1938 წელს ფრიადი წარმატებით დაამთავრა ოტობაიას საშულო სკოლა და

ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველ კურსზე. 1941 წელს მეოთხე კურსის სტუდენტი გაიწვიეს ჯარში და დაიღუპა.

მანონ ქირთბაია



პროფესორი, ნიუ-იორკის აკადემიის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი. მანონ ქირთბაია აფხაზეთის ძირძველი ქართული მოსახლეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი დაიბადა ქ. გალში. მამა წარმოშობით თაგილონიდანაა. მისი ოჯახი მთელ სამურზაყანოში განათლებითა და ქართული კულტურისადმი დიდი სიყვარულით გამორჩეული იყო. სწორედ ამან განაპირობა ქ-ნი მანონის ბავშვობიდანვე დაინტერესება ქართული ფოლკლორით. განსაკუთრებით ხალხური ცეკვებით. მიუხედავად ამისა, დედის რჩევით საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე გააგძრელა. დედა-პაშა ჯანჯულია-ქირთბაიასი სპეციალობით ეკონომისტი იყო და წლების მანძილზე მუშაობდა ოჩამჩირის რაიონის მეორე ჩაის ფაბრიკის ეკონომისტად. მამა – გაბრიელ ქირთბაია სპეციალობით აგრონომი იყო, თავიდან მუშაობდა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო შემდეგ მერკულის საბჭოთა მეურნეობაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე აფხაზეთის დაცემამდე.

როგორც ჩანს, დედის ინტერესმა საბოლოო გადაწვეტილება მიაღებინა ქ-ნ მანონს და ამის შემდეგ მთელი ცხოვრება დაუკავშირა ეკონომიკური მეცნიერების შესწავლას. მან სტუდენტობის წლებშივე გამოავლინა განსაკუთრებული ნიჭი და უნარი სამეცნიერო კვლევისადმი. თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მ. ქირთბაიამ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში, ხოლო 1971 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწფიო უნივერსიტეტის დარგობრივი ეკონომიკის კათედრაზე, სადაც მოამზადა საკანდიდატო საკვალიფიკაციო დისერტაცია საქართველოს ეკონომიკაში. დისერტაციის დაცვის შემდეგ სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში (ჰოლანდია, საფრანგეთი, ბელგია), ქ-ნ მანონს თავისი საქმიანობის

ყველაზე დიდ ღირსებად მიაჩნია ქ. ბორჯომში საერო ინსტიტუტის „თორის" დაარსება, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებლი და დაარსებიდან (1992 წ.) უცვლელი რექტორიც დღემდე არის.

1995 წელს მანონ ქირთბაიას მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 16 ივლისის ბრძანებით სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის პროფ. მანონ ქირთბაია დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

იმავე წელს მ. ქირთბაია ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის არჩეული იქნა ნიუ-იორკის აკადემიის წევრად, რაც უდავოდ მისი ცხოვრების ერთერთი საინტერესო ფურცელია.

ყველაფერ ამასთან ერთად ქ-ნი მანონი თავისი ახლობლების ნამდვილი ქომაგი, გულშემატკივარი და მოამაგეა. ძმა-ნოდარ ქირთბაია სპეციალობით ინჟინერ-ტექნოლოგი, თავის დროზე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა პროფესიით. აფხაზეთის დაცემის შემდეგ იგი თბილისში ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად.

ქალიშვილი ეკა გოგორიშვილი დედის კვალს გაჰყვა –სპეციალობით ისიც ეკონომისტია, შვილიშვილს ნიკუშას კი ნამდვილად გამოჰყვა ბებიის სიყვარული ქართული ხალხური ცეკვებისადმი. იგი უკვე ხალხური ცეკვების ანსამბლის წევრია.

გარეგნულად თითქოს არაფერი აკლია ქ-ნ მანონს, მაგარმ მისი კეთილი ღიმილის უკან აშკარად იმალება უზარმაზარი დარდი მშობლიური კუთხის დაკარგვისა, კუთხისა, რომელიც დიდი ხნის უნახავ დედის საფლავს ინახავს.

ხუტა (ვალოდია) ნესტორის ძე პაჭკორია



ხუტა ნესტორის ძე პაჭკორია დაიბადა 1920 წელს.

1941 წელს გაწვეულ იქნა ფრონტზე. დაიჭრა და დაბრუნდა.

ცხოვრობდა ჯერ ზუგდიდში, შემდეგ სოხუმში.

1960 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში. ეწეოდა ბიზნესს.

გარდაიცვალა 2002 წლის 20 სექტემბერს.

შარიები

შარია თაგილონში ყველაზე მეტად გავრცელებული გვარია. პროფესორი კარლო შარია ასეთ ცნობას გვაწვდის თავის გვარზე: „თაგილონის მოხუცებული შარიების (კერძოდ, კუკუ და ერასტი) შარიების გადმოცემით თაგილონელი, ბარღებელი და შამგონელი შარიების ნინაპრები ადრე სახლობდნენ სოფელ ლიხნში. როგორც ხშირად ძველ დროში ხდებოდა, სამ ძმას შარიას ვიღაც, ჩვენთვის უცნობი გვარის წარმომადგენლებთან კონფლიქტი მოსვლიათ, რის შედეგადაც იგი მოკლული იქნა. ძმებმა შარიებმა შურისძიების თავიდან ასაცილებლად დატოვეს ლიხნი. ერთი ძმა დასახლდა ბარღებში, მეორე შამგონაში და მესამე თაგილონში. სწორედ ამ მესამე ძმისაგან მირდია შარიასაგან, რომელსაც ჰყავდა ბევრი შვილები, წარმოდგებიან თაგილონელი შარიები.

შარიების წინაპრების ლიხნიდან წარმოშობაზე ლაპარაკობს თაგილონელი შარიების საგვარეულო ლოცვა, რომელშიც ლიხნის ხატი მოხსენებულია როგორც ძირი („ჯინჯი“) ხატი. ამავე დროს ეს ლოცვა მეტყველებს იმაზე, რომ ლიხნიდან წამოსვლამდე შარიების წინაპრები ქრისტიანები ყოფილან.“

შარიების ლიხნიდან წარმომავლობა ხომ არ გვაფიქრებინებს ამ გვარის აფხაზური წარმოშობის შესახებ? არა, შარია ჭარული (მეგრული) გვარია. შარ-თან დაკავშირებით მრავალი ქართული სიტყვაა ცნობილი: შარიანი, შარისთავი, შარიშურობა და სხვ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული 1986 წ., მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა).

ლიხნშიც კი წარსულშიც და ამჟამადაც გვხვდება მეგრული გვარები. XIX საუკუნის 30-იან წლებში ლიხნში გვხვდება გვარები: უგულავა, ყურუა, ჯორჯიკია, ხალვაში, ჯიქია, ფილია, ბუკია, კანკია, ჯოჯუა, მახარია, გვასალია, ლოლუა, გვაზავა, ჭანტურია, გერსამია, ცაავა, ჯგერენაია, სართანია, გაბრავა, გოგია, სიმონია, ბიგვავა, გაბლაია, გაბუნია, პაპასკირი, ფაცია, ჩარგაზია და სხვ.

ბა-სუფიქსიანი აფხაზურად მიჩნეული გვარები ხომ მეგრული წარმოშობისაა. ბა-აფხაზურად არაფერს ნიშნავს, მეგრულად კი მემკვიდრეობის მაჩვენებელია.

„მთელი ჩემი ცხოვრება წარმოადგენს უცნაურობათა დაუსრულებელ ურთიერთგადაბმას“



სოფელ თაგილონს ბევრი ღირსეული პიროვნებისათვის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწისათვის დაულოცია დიდ პოლიტიკაში გზა...

სოფელ თაგილონში მცხოვრებ ყველაზე მრავალრიცხოვან გვარს - შარიას, სამშობლოსათვის ბევრი ჭეშმარიტი პატრიოტი და ღრმად მოაზრონე ინტელიგენტი აღუზრდია. მათ შორის უპირველესი, ჩვენის აზრით, აწ გარდაცვლილი პეტრე ათანასეს ძე შარია გახლავთ...

ძალიან ძნელია ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ მკითხველს ამ ბუმბერაზ ადამიანზე. მაგრამ შევეცდებით ნინადებარე წერილის მეშვეობით ნანილობრივ მაინც გავცეთ კითხვაზე პასუხი, თუ ვინ და რატომ იყო იგი, არაორდინარული პოლიტიკოსი, უნიკალური და განუმეორებელი ნიჭის მქონე, ჭეშმარიტი აკადემიკოსი და ფილოსოფოსი, ადამიანი, რომელიც ფლობდა 6 უცხოურ ენას.

პეტრე ათანასეს ძე შარია დაიბადა 1904 წლის 20 აპრილს გალის რაიონის სოფ. თაგილონში, გლეხის ოჯახში. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ხალასი ნიჭითა და მტკიცე ხასიათით, მიზანსწრაფულობითა და დაკირსებული საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის წითელი პროფესურის აკადემია. აქტიური მონაწილეობა მიიღო გალის მაზრაში კომკავშირული ორგანიზაციის შექმნაში, გარკვეული პერიოდი იყო მისი ხელმძღვანელი. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა მაღალ პარტიულ თანამდებობებზე. მუშაობდა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, იყო ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში.

1938-1943 წლებში პ. ა. შარია მუშაობდა მოსკოვში სსრკ-ს შინსახკომში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ორჯერ იყო არჩეული სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი, ჟურნალ „ბოლშევიკის" რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორი.

პ. ა. შარია წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრას და კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიის ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, ასევე კითხულობდა ლექციებს მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

პ. ა. შარია იყო მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი. მათ შორის: „სპინოზას, ლენინის მატერიალიზმისა და ემპირიოკრატიზმის შესახებ", „ჰეგელის ფილოსოფია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეფასებით", „ეკლექტიციზმის ახალი სახე ახალი ფილოსოფიური სისტემის დროშით", გამოსცა სქელტანიანი წიგნი „ვეფხისტყაოსანზე" და სხვა. მინიჭებული ჰქონდა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, მინიჭებული ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტის წოდება, ფლობდა მრავალ უცხოურ ენას, თარგმნიდა რუსულიდან კლასიკურ ნაწარმოებებს, მათ შორის, სტალინის რჩეულ ნაშრომებს. მაღალი ერუდიცია ჰქონდა როგორც ფილოსოფიის, ისე პოლიტიკური ეკონომიკის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების დარგში.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მედლებით. ასევე მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „მამაცური შრომისათვის 1941-1945 წლების სამამულო ომში". იგი იყო 1921 წელს მენშევიკების მიერ უცხოეთში (საფრანგეთი) გატანილი საქართველოს განძეულობის დაბრუნების კომისიის თავმჯდომარე (1945 წლის 12 იანვარი). 1947 წელს პ. შარია იყო საპარლამენტო დელეგაციის წევრი ინგლისში მუმლოვთან და სხვებთან ერთად. მისი ახლო მეგობარი, თანაკურსელი იყო მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტ-ეკონომიის კათედრის გამგე პროფესორი ნიკოლოზ ცაგალოვი, რომელმაც გაჭირვების ჟამს დიდი თანადგომა

გაუწია მას, დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდა თავის ბინაში. იგი დასაფლავების დღეს ჩამოვიდა თბილისში და წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ასე დაამთავრა: „ღმერთმა ქნას, რომ ყოველმა სწავლულმა, ინტელიგენტმა, პუბლიცისტმა რუსელი ენა იცოდეს ისევე, როგორც პატივცემულმა პეტრე შარიამ იცოდა“.

პ. ა. შარიამ თავისი ცხოვრების ბოლო წლები გაატარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

სტალინის ტომების გამოსვლასთან დაკავშირებით, ყოველი ტომის შესახებ გაზეთი „პრავდა“ მთლიანად უთმობდა თავის ფურცლებს გამორჩენილი ადამიანების, პოლიტბიუროს წევრების ჟდანოვის, სუსლოვის და ა. შ. შრომების თითოეული ტომის მიმოხილვისათვის.

პეტრე შარია იყო სტალინის V ტომის მიმოხილვის ავტორი. ამ მიმოხილვას გაზეთის რვა გვერდი დაეთმო.

სტალინის ტომები გაუქმებული იქნა ავადმოსაგონარი და ნახევრადსულელი ხრუშჩოვის მიერ.

პეტრე შარიას მთელი სიცოცხლის მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მშობლიურ აფხაზეთთან. მისი ყოველი ჩასვლა მშობლიურ კუთხეში განსაკუთრებული ზეიმი იყო ყველასათვის.

თავის დღიურში, რომლის წარმოება სიცოცხლის ბოლო წლებში დაიწყო, იგი წერს: „დღეს, 1977 წლის 1 ივნისს ვიწყებ დღიურის წერას. ეს ხომ არაა მარტო გასაოცარი, არამედ გაუგონარიცაა! იქნებ სულ რამდენიმე დღე დამრჩა. ასეც რომ არ იყოს, რამ უნდა მისცეს აწი ჩემი სიცოცხლის დღეებს ისეთი შინაარსი, რომ ფიქსირების ღირსი იყოს, თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის? მთელი ჩემი სიცოცხლე წარმოადგენს უცნაურობათა დასურულებელ ურთიერთგადაბმას და, ალბათ, ეს უცნაურობა იქნება ჯაჭვის „დამაგვირგვინებელი რგოლი“.

მართლაც, ორი წლის შემდეგ, 1979 წლის 25 აპრილს, 75 წლის ასაკში დიდი მეცნიერი, ჭეშმარიტად ღირსეული პიროვნება, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. ღრმად მოაზროვნე ინტელიგენტი პეტრე ათანასეს ძე შარია გარდაიცვალა. დაკრძალულია ქალაქ თბილისში.

მისი პიროვნების შეფასებაში სუბიექტური და მიკერძოებული რომ არ ვიყოთ, გადავწყვიტეთ შემოკლებული სახით მოგაწოდოთ ჩვენს ხელთ არსებული მასალების ნაწილი, რომლებიც სხადასხვა დროს გამოქვეყნდა საქართველოსა და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებსა და ინფორმაციის სხვა საშუალებებში:

ჟ. დელგა

„ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატს“

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის საქალაქო №10 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად კვლავ წამოაყენეს პეტრე ათანასეს ძე შარიას კანდიდატურა.

1937 წლს 12 დეკემბერს პეტრე ათანასეს ძე შარია არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და თავისი საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით ღირსეულად გაამართლა ხალხის მაღალი ნდობა და თავის ამომრჩევლებს შორის საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა.

ამხ. პ. ა. შარია ამჟამად მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად პროპაგანდის დარგში და აგრეთვე ხელმძღვანელობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს და რედაქტორობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანოს - ჟურნალ „ბოლშევიკს“.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი აწარმოებს იმ უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტების შესწავლას, მეცნიერულ დამუშავებას, სისტემატიზაციასა და გამოცემას, რომლებიც დაკავშირებული არიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძოლასთან და გამარჯვებასთან. ინსტიტუტი ქართულ ენაზე თარგმნის და ბეჭდავს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს. აქ დიდი მეცნიერული და სალექციო მუშაობა ტარდება მარქსისტულ - ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების დარგში. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა 1945 წელს ამხ. პ. შარიას რედაქციით ერთ ტომად გამოსცა გამოჩენილი რევოლუციონერი მოღვაწის, თეორეტიკოსისა და პუბლიცისტის, საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნის საქმეში ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ალექსანდრე წულუკიძის თხზულებანი.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მუშაობაში ამხ. პ. ა. შარია დიდ როლს ასრულებს როგორც ინსტიტუტის ხელმძღვანელი და გამოჩენილი მარქსისტი.

განათლებით ამხ. პ. ა. შარია ფილოსოფოსია. 1939 წელს მან დაამთავრა კომუნისტურ აკადემიასთან არსებული ასპირანტურა მოსკოვში. როგორც ფილოსოფიის, ისე პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიის,

ლიტერატურის, ხელოვნების დარგშგი მას დიდი ერუდიცია აქვს. მთელი რიგი წლების განმავლობაში იგი ხელძღვანელობდა კათედრას და კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიის ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

პეტრე ათანასეს ძე შარიამ დაწერა მთელი რიგი მეცნიერული შრომები მარქსიზმ-ლენინიზმის და ფილოსოფიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის აღსანიშნავია შრომები სპინოზას შესახებ, ლენინის უდიდესი ნაწარმოების „მატერიალიზმისა და ემპირიოკრატიციზმის" შესახებ და სხვა. მისი ერთ-ერთი პირველი ფილოსოფიური ნაშრომი „ეკლექტიზმის ახალი სახე ახალი ფილოსოფიური სისტემის დროშით" დაიბეჭდა ცნობილ თეორიულ ორგანოში – „ვესტნიკ" კომაკადემიი" ჯერ კიდევ 1929 წელს. განსაკუთრებით დიდი იდეური და პოლიტიკურად აქტუალური მნიშვნელობა აქვს ამხ. პ. ა. შარიას ნაშრომს- „ჰეგელის ფილოსოფია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოთა შეფასებით", რომელიც გამოცემულია საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1944 წელს.

ამხ. პ. ა. შარიას მიეკუთვნა ფილოსოფიურ მეცნიერებთა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, იგი არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და არის აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი.

ფაშისტური გერმანიის და იმპერიალისტური იაპონიის წინაამდეგ დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ამხ. პ. ა. შარია იმყოფებოდა რა საპასუხისმგებლო სამუშაოზე მოსკოვსა და საქართველოში, ძალისა და სიცოცხლის დაუზოგავად თავდადებით შრომობდა ჩვენი წმინდა სამშობლოს უბოროტეს მტრებზე გმირი საბჭოთა ხალხის სტალინური გამარჯვებისათვის.

როგორც მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი, სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებულია ლენინის, წითელი დროშის და წითელი ვარსკვლის ორდენებით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „მამაცური შრომისათვის 1941-45 წლების სამამულო ომში".

ამხ. პ. ა. შარია დაიბადა 1904 წლის 20 აპრილს აფხაზეთში, გალის რაიონის სოფელ თაგილონში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი 18 წლის ასაკში მიდის ბოლშევიკურ იატაკქვეშა ორგანიზაციაში და შემდეგ ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს გალის მაზრაში კომკავშირული ორგანიზ-

აციის შექმნაში.

განათლების მიღების შემდეგ ამხ. პ. ა. შარია მრავალი წლის განმავლობაში იყო საპასუხისმგებლო პარტიულ სამუშაოებზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, იგი საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. -ის ბიუროს წევრია. 1938-დან – 1943 წლამდე იგი მუშაობდა მოსკოვში სსრ კავშირის შინსახკომში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამხ. პ. ა. შარიას ბიოგრაფია ჩვენი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღზრდილი სახელოვანი საბჭოთა ინტელიგენციის დიდი ბიოგრაფიის ნაწილია. ლენინ-სტალინის პარტიამ, რომლის რიგებში ამხ. პ. ა. შარია 25 წელია იმყოფება, მისგან აღზარდა აკადემიკოსი, ხელმძღვანელი, პარტიული მუშაკი და სახელმწიფოებრივი მოღვაწე, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე ნათლად ჩანს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ძალა და სიბრძნე. სწორად თქვა დიდმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ:„ადამიანებს ქმნის ქვეყანა და ეპოქა".

მხ. პ. ა შარია კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეული კანდიდატია, ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწეა, რომელიც ბოლომდე ერთგულია თავისი ხალხისა და რომელსაც შეუძლია დაიცვას მისი ინტერესები და განახორციელოს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ძლევამოსილი პოლიტიკა.

მოვუწოდებთ სოხუმის საქალაქო №101 საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს, არჩევნების ისტორიულ დღეს - 1946 წლის 10 თებერვალს, ერთსულოვნად მისცენ ხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს პეტრე ათანასეს ძე შარიას".

გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი", 1946 წლის 20 იანვარი

ელგუჯა ქვათაძე
(პროფესორი)

ფრაგმენტები მეცნიერის ცხოვრებიდან

„ჩვენი თანამედროვე სასიქადულო მეცნიერი და ღირსეული მამულიშვილი იყო ბატონი პეტრე შარია.

რაოდენ დასანანია, რომ ამ პიროვნების გარდაცვალება ეუწყა საზოგადოებას ორიოდე მწირი განცხადებით, რომელსაც ხელს აწერდნენ შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტიტი და საკუთარი ოჯახი. მისი მეცნიერული მოღვაწეობის დასაფასებლად კი არ ჩატარებულა არავითარი ღონისძიება, შემოქმედებითი საღამო, თუ

იუბილე...

რამდენიმე წელია გამოჩენილი ქართველი მოაზროვნისა და ლიტერატურათმცოდნის, ჭეშმარიტი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პეტრე ათანასეს ძე შარიას ცხოვრება-შემოქმედების შესახებ მასალებს საგანგებოდ აგროვებს და სათანადო კომენტარებითურთ გამოსაცემად ამზადებს სპეციალობით ისტორიკოსი, ბატონი - გრიგოლ შარია.

მას ხელთა აქვს არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი ბატონ პეტრეს კოლეგებსა თუ სტუდენტყოფილთაგან, რომლებიც სითბოთი და სიყვარულით იგონებენ ამ დიდ ადამიანთან ურთიერთობით მიღებულ შთაბეჭდილებას, აცოცხლებენ იმ ძვირფას თვისებებს, რომლითაც გამოირჩეოდა თანამედროვეთაგან, მას შეეძლო ყველგან და ყოველთვის დაეფასებინა პერსპექტიული ახალგაზრდის ნიჭიერება, მისთვის მიეცა სტიმული და მიმართულება.

ამას მოწმობს ის ორიოდე მასალა, რომელთაც ვთავაზობთ დღეს მკითხველ საზოგადოებას:

... 1945 წელს ამბროლაურის კომკავშირის რაიკომის შტატგარეშე რედაქტორი ვიყავი, გაზეთ „კომუნისტის" სისტემატური მკითხველი. აპრილის თვე იყო და გაზეთებში დაიბეჭდა ბატონ პეტრე შარიას მოხსენება რესპუბლიკაში იდეოლოგიური მუშაობის შესახებ. ეს მოხსენება ისე საინტერესო იყო, რომ თითქმის მთლიანად შევისწავლე.

მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. ორი კვირის მისული ვიყავი უნივერსიტეტში, რომ გაიმართა ჩვენი, ისტორიის ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის კრება. კრებაზე სიტყვით გამოდიოდნენ მაღალი კურსის სტუდენტები. ბოლოს თავმჯდომარემ იკითხა, ხომ არავის სურს კამათში გამოსვლაო. ავწიე ხელი და ვთქვი, მე მსურს-მეთქი, თან განვაცხადე, პირველი კურსის სტუდენტი ელგუჯა ქვათაძე ვარ - მეთქი. ბატონი პეტრეს მოხსენების მოშველიებით ისეთი სიტყვა ვთქვი, რომ თითქმის ყველანი მოვხიბლე. მათ შორის პარტკომის მდივანი რაჟდენ ქაჯაია. მალე მისი თაოსნობით, ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივნის მოადგილედ ამირჩიეს. ასე დაიწყო კომკავშირში ჩემი კარიერა. ამიტომ ბატონ პეტრეს მიმართ დიდი სიყვარული მაქვს და მას არასოდეს დავივიწყებ.

ორიოდე წლის შემდეგ, ბატონი პეტრე უნივერსიტეტში გადმოვიდა სამუშაოდ. არა მარტო მე, არამედ ბევრი ჩემი თანაკურსელი მის ლექციებს ვესწრებოდით ფილოსოფიის ფაკულტეტზე. კარგად მახსოვს, 93-ე აუდიტორიაში შალვა ნუცუბიძე კითხულობდა მოხსენებას „ვეფხისტყაოსნის" ერთი სტროფის შესახებ „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმნები". ბატონმა შალვამ ბრძანა, საყოველთაოდ

ცნობილია, რომ ეს ნაწარმოები არ არის სპარსული, ამიტომ მოითხოვა, იგი შეცვლილიყო უცხონით, ე. ი. „ასე ამბავნი უცხონი", ამ აზრს თითქმის ყველა ეთანხმებოდა, მაგრამ სიტყვა ითხოვა ბატონმა პეტრემ... მან მიმართა ბატონ შალვას: „ბატონო შალვა, „სპარსული" რომ „უცხონით" შევცვალოთ, ეს იმას გამოიწვევს, რომ სხვა ქვეყნები დაიწყებენ ძიებას, ჩვენი ხომ არ არისო. ამიტომ მისი შეცვლა გამოიწვევს დიდ გაუგებრობას და ანარქიას შექმნის რუსთველოლოგიაში. ბატონ პეტრეს ამ ბრძნულ გააზრებას მხარი დაუჭირეს არა მარტო დარბაზში მყოფმა მეცნიერებმა, არამედ თავით ბატონმა შალვამაც...

1998 წლის 4 ნოემბერი

მერაბ მეტრეველი
(პოეტი, მოქანდაკე)

* * *

ჩემი ცხოვრების მანძილზე, ჯერ კიდევ პატარაობიდანვე მოკიდებული, არაერთ საინტერესო და კოლორიტულ ადამიანს შევხვედრივარ. ერთ-ერთი ასეთად უდაოდ მიმაჩნია პროფესორი პეტრე შარია, იმ ქარიშხლიანი წლების ცოცხალი მატიანე, გაუტეხელი სულის მქონე კაცი, ათწლიანი პოლიტიკური გადასახლებიდან ექვსი ენის შესწავლით გამდიდრებული რომ დაუბრუნდა თავის ქვეყანას და ახალი ენერგიით განაგრძო მოღვაწეობა.

პეტრე შარიას სახელი ადრეც არაერთხელ გამეგონა მამისა და ბაბუისაგან. უკვე სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა იგი აუდიტორიაში პირველად ვიხილე. სიმართლე რომ ვთქვა, სხვანაირი წარმომედგინა, ახოვანი და მკაცრი შესახედაობის მქონე კაცის ნაცვლად კათედრასთან იდგა მომცრო ტანისა და სათნო სახის მოხუცი, მძიმე წლებს თავისი დაღი რომ დაემჩნია...

ბატონი პეტრე არ იყო, როგორც იტყვიან, ენაწყლიანი ლექტორი, თავისი განვლილი ცხოვრების გზაზეც ძნელად თუ ნამოსცდებოდა რამე, მაგრამ მის ყოველ სიტყვას ის დატვირთვა გააჩნდა, მოსმენას რომ გაიძულებდა.

სტუდენტური ცხოვრების მდინარებაში დრომ მალე გაირბინა და ბატონი პეტრეს საგანში, ესთეტიკაში გამოცდის დღე დადგა. კონკრეტულ საგანში სრულიად მოუმზადებელი, მაგრამ გარკვეული ზოგადი განათლებით იმედმოცემული, ჭაბუკური სითამამით, საგამოცდო ოთახში პირველი შევედი. სხვადასხვა საკითხზე არცთუ ხანმოკლე საუბრის შემდეგ, ბატონმა პეტრემ მატრიკული გამომართვა და შიგ მკაფიო

ხელით ნიშანი 4 (ოთხ) ჩაწერა. ნიშნით კმაყოფილი ქანდაკების სახელოსნოში ავედი. დაწყებულ ნამუშევარზე მუშაობა განვაგრძე. ალბათ, რამდენიმე საათი იქნებოდა გასული, სახელოსნოში ერთი ამხანაგი შემოვიდა და მითხრა: პროფესორი შარია გიბარებსო;ჩემთვის ცნობილი გახდა რომ მთელი კურსი ანუ რამდენიმე ათეული სტუდენტი უკვე გამოეცადა და მე მკითხულობდა. მასთან ოთახში შესულს ბატონმა პეტრემ მატრიკული გამომართვა და მისივე დაწერილი ნიშანი ოთხი ხუთად გადამისწორა. ოთახიდან გაოგნებული გამოვედი, ვგრძნებ, მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე. ამ პატარა დეტალით ჩემთვის უკვე ნათელი შეიქმნა, თუ რა ფაქიზი დამოკიდებულება გააჩნდა მას თითოეული სტუდენტის მიმართ.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ბატონ პეტრეს შევხვედე, - ჩემი ლექსების რვეული მივუტანე. და ვთხოვე, თავისი აზრი გაეზიარებინა ჩემთვის. ორიოდე კვირის შემდეგ, მან რვეული დამიბრუნა და მითხრა: „გულდასმით წავიკითხე და მინდა გითხრათ თქვენს ლექსებში არის ნამდვილი პოეზიის საწყისი და თქვენ ეს გზა არ უნდა მიატოვოთო".

მას შემდეგ საუკუნის მეოთხედი გავიდა, ეს კი იმდენი დროა, ბევრი რამ ბინდით რომ იფარება და დავიწყებას ეძლევა. პეტრე შარიამ კი ჩემს სულს ერთი ნათელი კვალი დააჩნია, ცხოვრების ბოლომდე თან რომ გამყვება.

1998 წ. ოქტომბერი.
გაზეთი „სიტყვა ქართული"

გრიგოლ შარია,
(აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტის თანაშემწე)

დიდი მეცნიერის ბიოგრაფიისათვის

რომის უნდა აღინიშნოს პეტრე შარიას 100 წლის იუბილე?

ადამიანის ცხოვრების ყოველგვარი წვრილმანი უეჭველად საინტერესოა მისი ბიოგრაფიისათვის. მე კარგად მესმის, რომ დიდ მოღვაწეზე დიდმა ადამიანმა უნდა დაწეროს, მაგრამ არის ისეთი მომენტებიც, რომელთა დადგენა-დამტკიცებას უეჭველად ახლობელი, ყოველი დეტალის კარგი მცოდნე სჭირდება.

ამჟამად ჩვენ საუბარი გვაქვს ერთ-ერთ გამოჩენილ საზოგადო

მოღვაწესა და მეცნიერზე, აკადემიკოს პეტრე ათანასეს ძე შარიაზე.

ის იყო მამაჩემის ღვიძლი ბიძაშვილი. პეტრეს ორ შვილს-დაზმირსა და ციალას სამ წლამდე დედაჩემი, ნეტარხსენებული გლაშა (ცაბუა) სორდია-შარია ზრდიდა. ჩვენ ერთ ეზოში ვცხოვრობდით. რის გამოც ბუნებრივია, პეტრე და მისი მეუღლე ლიდა ალექსის ასული კვარაცხელია ჩვენი ოჯახისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ, ხოლო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, თბილისში მათ ოჯახში ვიყავი ბინად.

ამ შესანიშნავი ოჯახის ცხოვრებაზე განზრახული მაქვს გამოვცე ცალკე მოგონებათა წიგნი.

ჩემი მიზანია, ამ წერილში შევეხო ყველაზე „მტკივნეულ" საკითხს-პეტრეს დაბადების თარიღს. ეს იმიტომ, რომ მოახლოებულია მისი დაბადების დღე. ბევრმა შეიძლება იფიქროს, რა მნიშვნელობა აქვს ორ წელსო? მე კი ვთვლი, რომ უჭეველად აქვს მნიშვნელობა და ფრიად საინტერესოცაა, რამდენი წლის იყო იგი ოციანი წლების დასასრულს, როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პროფესორი ლექციებს კითხულობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის მაშინ იქნებოდა 25 წლის და არა 27-ისა.

ბატონი პეტრე თავის ავტობიოგრაფიაში და კადრების აღრიცხვის ფურცლებში ყველგან წერს, რომ ის დაიბადა 1902 წელს.

ბატონ პეტრეს მამას ათანასე ბაღირის ძე შარიას ჰყავდა ხუთი შვილი: მარგარიტა, პეტრე, ედენი, არსენა და ნუცა. პირველი ქალიშვილი მარგარიტა დაბადებულია 1902 წელს. მისი შვილები, პროფესორი გიორგი ვეკუა და არიადნა ვეკუა დღეს დეენილები არიან და ცხოვრობენ ქალაქ თბილისში. მათ აქვთ შემონახული დედის, მარგარიტას პასპორტი, სადაც აღნიშნულია, რომ ის დაბადებულია 1902 წელს. მაშ, როგორ ვირწმუნოთ, რომ უფროსი დაც და პეტრეც ერთ წელს იყვნენ დაბადებულნი მაშინ, როცა ისინი არ იყვნენ ტყუპები? ამასთან დაკავშირებით ბევრჯერ მქონია საუბარი ბატონ გიორგი ვეკუასთან და ჩვენ ორივენი ამჟამადაც ერთი აზრისა ვართ ამ საკითხზე და ფაქტიც ხელთა გვაქვს - პასპორტი.

ჩვენთვის საინტერესოა: რატომ დასჭირდა მას ორი წლის მომატება? ჩვენი აზრით:

1. როცა ის სოფლის სკოლაში შედიოდა, პირველ კლასში ღებულობდნენ მხოლოდ და მხოლოდ რვა წლისას. ან როცა იგი უნდა მიევლინებინათ მოსკოვში წითელი პროფესურის აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ პროფესორის წოდება ენიჭებოდა, ყოველგვარი

საჭირო საბუთები გააჩნდა, მაგრამ ასაკი არ უწყობდა ხელს. მაშასადამე, 1904 წლის ნაცვლად, დაწერა 1902 წელი. ამის შესახებ მისთვის არავის უკითხავს და არც თვითონ ულიარებია.

1998 წლის დასაწყისში ბატონი პეტრეს ვაჟიშვილმა ნიკამ, გადმომცა პეტრეს პირადი ნივთები და ხელნაწერი დღიურები. ხუთი საერთო რვეულის მოცულობით. სწორედ ამ დღიურების გაცნობისას წავაწყდი ზუსტად იმ ცნობას, რასაც წლების მანძილზე ვეძებდი. მართალია, რატომ მოიმატა ორი წელი, ამაზე ის არსად წერს, მაგრამ საგულისხმოა, რომ დღიურების პირველ რვეულში ვკითხულობთ: „დღეს 1977 წლის პირველ ივნისს, ჩემი სიცოცხლის სამოცდამეცამეტე წლის დასაწყისში, ვიწყებ დღიურების წერას". მაშასადამე, თუ 1977 წელს სამოცდაცამეტი წლის იყო, მაშინ ნამდვილად დაბადებული ყოფილა სწორედ 1904 წელს). ამას მეტი არავითარი მტკიცებულება აღარ სჭირდება. როგორც იტყვიან. უტყუარია. წყალი არ გაუვა. ასე რომ, თვითონ დაასახელა ზუსტად თავისი დაბადების თარიღი.

როგორც თავად აღნიშნავს. „ეს ხომ არაა მარტო გასაოცარი, არამედ გაუგონარიცაა! იქნებ სულ რამდენიმე დღე დამრჩა. ასეც რომ არ იყოს, რამ უნდა მისცეს აწ ჩემი სიცოცხლის დღეებს ისეთი შინარსი, რომ ფიქსირების ღირსი იყოს, თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის?

მთელი ჩემი სიცოცხლე წარმოადგენს უცნაურობათა დაუსრულებელ ურთიერთგადაბმას და, ალბათ, ეს უცნაურობა იქნება ჯაჭვის „დამაგვირგვინებელი რგოლი".

მართლაც, ორი წლის შემდეგ, 1979 წლის 25 აპრილს 75 წლის ასაკში დიდი მეცნიერი გარდაიცვალა.

ამგვარად, მისი დაბადებიდან 100 წლისთავი უნდა აღინიშნოს 2004 წლის 20 აპრილს და არა 2002 წელს.

ჩვენთვის, მისი ნათესავ-ახლობლებისათვის დიდი ბედნიერება იქნება, თუ ამ ღონისძიების ჩატარების საქმეში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც იგი იყო ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, რომლის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და პირველი დირექტორი თვით ბატონი პეტრე ბრძანდებოდა, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის, გალის რაიონის გამგეობა, რამეთუ გალშია დაბადებული ეს დიდი მეცნიერი და, აგრეთვე კარგი იქნებოდა ზუგდიდის საზოგადოებრიობასაც მიეღო ქმედითი მონაწილეობა ზემოთ აღნიშნულ საქმეში, ვინაიდან ბატონი პეტრეს პიროვნება ორგანულად იყო დაკავშირებული ზუგდიდთან: მისი დედა საიდა (ანუშქა) ქობალია წარმოშობით იყო სო-

ფელ კორცხელიდან, ხოლო მეუღლე - ლიდა ალექსის ასული კვარცხელია ქალაქ ზუგდიდიდან. და, რა თქმა უნდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, სადაც ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო წლები გაატარა და საიდანაც იქნა გამოსვენებული და დაკრძალული ეს უკეთილშობილესი დიდი ქართველი.

ყველას, ვისაც მასთან უმუშავნია, ვინც იცნობდა, მოუსმენია მისი საჯარო თუ საუნივერსიტეტო ლექციები, დისკუსიებში აქტიური მონაწილეობა მიუღია, წაუკითხავს მისი სხვადასხვა პრობლემებისადმი მიძღვნილი წიგნი, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, ყოფილა მისი სტუდენტი თუ ასპირანტი. ან უბრალოდ კოლეგა, მეზობელი, ნაცნობი ვთხოვთ სათანადო ინფორმაცია გამოგვიგზავნოს მასზე მოგონებების სახით, რომელსაც დიდი მადლიერების გრძნობით მივიღებთ და გამოვაქვეყნებთ მოგონებათა კრებულში.

ქ. თბილისი, 2003 წელი

მინანერი:

ვწუხვართ, რომ გასაგები მიზეზების გამო, ამ წიგნში ვერ ვაქვეყნებთ ბატონ პეტრეს უნიკალურ დღიურს, ლექსებსა და პოემას, რომელიც მან ადრეულ ასაკში გარდაცვლილ თავის ვაჟიშვილს მიუძღვნა...

გპირდებით, რომ მომდევნო წიგნში ზემოთ აღნიშნული ნამუშევრები აუცილებლად გამოქვეყნდება.

გვინდა შემოგთავაზოთ ერთი სტროფი ლექსისა, რომელიც მან, თავის საყვარელ მეუღლეს მიუძღვნა, ლექსის ამ მონაკვეთში იგი იძლევა კითხვაზე პასუხს, ნიშნავს თუ არა ადამიანის სიკვდილი მის დასასრულს:

... მე შენი ხილვა ისე მწყურია,
მზად ვარ ვინამო წინაპრის რწმენა.
სიკვდილი სულის წინ უძლურია
და კვლავ ერთმანეთს შევხვდებით ჩვენა...

30. 04. 76.

პეტრე შარიამ თავისი ცხოვრების ბოლო წლები გაატარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. მთელი სიცოცხლის მანძილზე მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მშობლიურ აფხაზეთთან, მისი ყოველი ჩამოსვლა მშობლიურ კუთხეში განსაკუთრებული ზეიმი იყო ყველასათვის.

სიცოცხლის ბოლოს მან აღიარა სულის მარადიულობა და უკ-

ვდავება.

პეტრე ათანასეს ძე შარია გარდაიცვალა 1979 წლის 25 აპრილს. დაკრძალულია ქ. თბილისში.

გრიგოლ შარია

„მომეცით თქვენი მატრიკული“

(აკადემიკოს პეტრე შარიას დღიურიდან)

გამორჩენილმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ცნობილმა ფილოსოფოსმა და რუსთველოლოგმა, აკადემიკოსმა პეტრე ათანასეს ძე შარიამ, მრავალმხრივი, შინაარსიანი და ამავე დროს ტრაგიკული ცხოვრების გზა განვლო. ჯერ კიდევ სიჭაბუკეში განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის წყალობით, თავბრუდამხვევ წარმატებებს მიაღწია ცხოვრების ყველა სფეროში. იმავდროულად იგი მწერლობასაც უხდიდა ხარკს და დღიურებსაც წერდა. მის დღიურებში, რომლებიც ხუთ სქელტანიან რვეულშია განთავსებული, მრავალი საინტერესო ფაქტია დაფიქსირებული არაერთ საჭირბოროტო საკითხზე.

ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ ერთ ეპიზოდს:

... როგორც უკვე აღვნიშნე, 1923 წლის იანვრიდან, უნივერსიტეტში ლექციებზე სიარული უნდა შემეწყვიტა სტიპენდიაზე ხელის აღებისა და სამსახურის დაწყების გამო. ვსარგებლობდი თანაკურსელების კონსპექტებით, რომელთაგან ზოგიერთი იმდენად მდარე ხასიათისა იყო, რომ თითქმის უაზროდ ჩანდა მათი გამოყენება. ეს ეხებოდა განსაკუთრებით ფილოსოფიას, რომელსაც პროფესორი შალვა ნუცუბიძე კითხულობდა, მაგრამ ამ დარგში მე იმისი იმედი მქონდა, რომ გვარიანად ვიცნობდი ლენინის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს“, პლეხანოვის „მარქსიზმის ძირითად საკითხებს“, დებორინის „Ведение в философию диалектического материализма“ და ზოგიერთ სტატიებს ფილოსოფიური ჟურნალიდან „под знаменем марксизма“.

როცა შეველი გამოცდაზე პროფესორ შ. ნუცუბიძესთან, მან ფილოსოფიური კითხვების მაგიერ დაიწყო საინფორმაციო კითხვებით: წაიკითხეთ თუ არა ჩემი ფილოსოფიის შესავალი? ვერ ვიშოვე-მეთქი, ვუპასუხე. ასევე, სათითაოდ მკითხა ვუნდიტის ხელნაწერზე, პაულსენის ანალოგიურ ნაწარმოებებზე. როცა ამ კითხვებზეც უარყოფითი პასუხი მიიღო, შევატყვე გაღიზიანება. მაშ რა გაქვთ წაკითხული, რომ გამოცდაზე მობრძანებულხართ? მე დავუსახელე ზემოთ ჩამოთვლილი მარქსისტული ნაწარმოებები, „გაბრძანდით, ბიძია, და ნუ გაბედავთ

ხელმეორედ დადგომას გამოცდაზე, „სანამ რომელიმე ჩემ მიერ დასახელებულ ნაშრომს ზედმინევნით არ შეითვისებთო", – მომაძახა. ამ გარემოებამ არა მარტო შემაწუხა, არამედ გამაკვირვა კიდევაც და კინაღამ ამიცრუა გული ფილოსოფიისადმი საერთოდ.

იმავე დღეს უნდა გავსულიყავი გამოცდაზე ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში, რომელსაც პროფ. გრიგოლ წერეთელი კითხულობდა და რომელშიც ერთ-ერთი თანაკურსელის კონსპექტების მეტს არაფერს არ ვიცნობდი. ვიფიქრე: არ ღირს გასვლა-მეთქი. სწორედ ამ დროს გაიარა დერეფანში გრიგოლ ფილიმონის ძემ, შევიდა აუდიტორიაში და დაიწყო გამოძახება დერეფანში მდგარი სტუდენტების გამოსაცდელად. ეტყობოდა, რომ სტუდენტები კარგად მომზადებულან მის საგანში, ის ყველას უყვარდა და, ვინც შევიდა, არც ერთი არ „ჩაუჭრია". გამოცდის შემდეგ ორი ჩემი თანაკურსელი მოვიდა ჩემთან გასამხნევებლად: მაინც გირჩევთ სცადოთ, თუ „ჩაიჭრები", ქვეყანა ხომ არ დაიქცევა. მე ვკითხე მათ, თუ რა საკითხები დაუსვა პრფესორმა და, როცა დამისახელეს, საბოლოოდ გადავწყვიტე არ გავსულიყავი გამოცდაზე. ამასობაში გრიგოლ ფილიმონის ძემ თვითონ გამოიხედა: ხომ არ დარჩა კიდევ ვინმე გამოსაცდელიო? ჩემმა მხლებლებმა მიუთითეს ჩემზე: აი, ეს რჩება, მაგრამ ველარ ბედავსო. „რა არის მიზეზი, ახალგაზრდავ?" – მკითხა ქართულად, თუმცა ქართულად ლაპარაკი უჭირდა. ლექციებს ვერ ვესწრებოდი და მომზადება ვერ მოვასწარი-მეთქი. მითხრეს, რომ პირველ სემესტრში ესწრებოდით, მაინც ვსინჯოთ, რისი გეშინიაო. გავწითლდი, უარის თქმა მეუხერხულა და შევედი. რაიმე თუ გაქვთ წაკითხული ანტიკურ ლიტერატურაზეო. ვუპასუხე, რომ არც ერთი სახელმძღვანელო არ წამიკითხავს, ვიცნობ თვით ზოგიერთ ლიტერატურულ ნაწარმოებს-მეთქი. სახელდობრ რომლებსო? – მკითხა. დავუსახელე, „ოდისეა", „ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია", სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე" და „ანტიგონე", ესქილეს „პრომეთე". გაუკვირდა, ესენი ქართულად არისო? – მკითხა. მე ვუთხარი, რომ რუსულ თარგმანში წავიკითხე. მაშ, რუსული ენა გცოდნიაო. სამწუხაროდ, ქართული არ ვიცი ისე, როგორც რუსული-მეთქი. „Как и я", – თქვა სიცილით, მკითხა სადაურობა. რომელი ეპიზოდი მოგეწონათ ყველაზე უფრო „ოდისეაში"? ოდისევსის პირველი გამოჩენა ითაკაში და ინკოგნიტოდ გამოკითხვა პირველივე შემხვედრი თანამემამულისა თავისი ოჯახის მდგომარეობაზე-მეთქი. პირველად მესმის სტუდენტისაგან ასეთი პასუხი, ჩვეულებრივ, ყველა ასახელებსო ოდისევსის მიერ წარმოებულ ხოცვა-ჟლეტას მისი მეუღლის პენელოპეს შემწუხებელი პირებისა. ლირიკოსებისაგან რომელი მოგწონთ ყველაზე უფრო ანთოლოგიის მიხედვით? სადაც ლირიკოსები წარმოდგენილია თითო-ოროლა

ნაწარმოებით, ძნელია ამისი თქმა-მეთქი. მე ყველაზე უფრო მომწონდა ანაკრეონი, ალბათ პუშკინისა და სხვა რუსი პოეტების შეფასების გავლენით, მაგრამ თქვენი საჯარო ლექცია რომ მოვისმინე, კონსერვატორიაში ალეოსის და საფოს შემოქმედების შესახებ, ჩემთვის ცხადი გახდა ჩემი სრული უმეცრება ამ სფეროში-მეთქი, ვპასუხობდი რუსულად. რა მიზეზით ვერ ესწრებოდით ლექციებს? ავუხსენი. რომელ საგნებში არ გაქვთო ჩაბარებული გამოცდა? არცერთში-მეთქი და დავძინე, – თქვენთან შემოსვლას იმიტომ ვერ ვბედავდი, რომ პროფესორმა შ. ნუცუბიძემ პირდაპირ გამომაბრძანა აუდიტორიიდან-მეთქი. გაიცინა,მერე სავსებით სერიოზულად მითხრა: თქვენ ყველა მონაცემები გაქვთ წარმატებისათვის მეცნიერების სფეროში, გირჩევთ თავი დაანებოთ სამსახურს და მთელი ძალა და ენერგია შესწიროთ სწავლას. მშობლები ხელმოკლეა და სახსრები სად ვიშოვო-მეთქი?

მე შვილები არ მყავს და სავსებით გულწრფელად გთავაზობთ ყოველთვიურ დახმარებას მანამდე, სანამ თქვენ თვითონ ვერ შეძლებთ საკმარისი სახსრების მოპოვებას, წმინდა ინტელექტუალური შრომით, რომლის შეთავსება ადვილია სწავლასთან. ამან მე იმდენად ამაღელვა, რომ უნებლიედ ცრემლები მომადგა თვალზე, თითქოს დავმუნჯდი. მაშ თანახმა ხართ? – მკითხა თავისი, ისედაც ხავერდოვანი ხმით, კიდევ უფრო მომხიბვლელი ელფერით. ჩემი მადლიერება სიტყვებით ვერ გამოითქმის-მეთქი, მაგრამ მე 7-8 წლის ასაკიდან მიჩვეული ვარ შრომას და უხერხულად ვგრძნობ თავს სხვისი ტვირთად გახდომის გამო. ადგა და მომიახლოვდა, მე დავიბენი და ვერც კი მოვისაზრე, წამსვე წამოვმდგარიყავი ფეხზე. მაღალი ტანადობის მეცნიერი დაიხარა, შუბლზე მაკოცა და მითხრა:

„Благославлю тебя юноша на подвиги в жизни. Если ваши способности и сознания своего человеческого достоинства будут сопряжены с силой, воли и упорством, я вам предсказываю подлинный и блестящий успех в жизни"

რა თქმა უნდა, მე უკვე ფეხზე ვიდექი და რაღაც განსაკუთრებულ გრძნობას განვიცდიდი. ძლივს მოაღწია ჩემს ცნობიერებამდე: „Дайте ваш матрикул!" ხუთიანით დამიმშვენა და დამიბრუნა. ვაგლახ! არც ნების ძალა მეყო და არც შეუპოვრობა, ყოველ შემთხვევაში იმ აზრით, რასაც ის გულისხმობდა. მე უფრო თვითდინებას მივეკედლე და სამართლიანად დავისაჯე.

ო, როგორ გამეხარდა, როცა, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, მომეცა შესაძლებლობა პატარა სამსახური გამეწია მისთვის.

სერგო იონას ძე შარია



სერგო იონას ძე შარია დაიბადა 1930 წელს სოფელ თაგილონში. ოჯახში სადაც განათლებასა და ხელოვნებას დიდ პატივს სცემდნენ. მისი ბაბუა ლუკა შარია საქართველოს ხალხური შემოქმედების ორი ოლიმპიადის აქტიური მონაწილე იყო. შვიდი წლის სერგო 1937 წელს შეიყვანეს თაგილონის შვიდწლიან სკოლაში. მისი მასწავლებლები იყვნენ რესპუბლიკის სახელმოხვეჭილი, დამსახურებული პედაგოგები: ალექსანდრე გეგიძე, ჯოტო ბერაია, მარო ძაძუა, ვალიკო ჯოლოგუა, ანდრო შუბლაძე და სხვები.

შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სოფელ ნაბაკევის საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1949 წელს. 1949-1953 წლებში სწავლობდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. ამ დროს აქ მოღვაწეობდნენ ისეთი ერუდირებული პროფესორ-მასწავლებლები, როგორებიც იყვნენ: **ირაკლი ანთელავა, სერგო აქირთავა, ნ. ზავრიევი, ირაკლი ახალაია** და სხვ.

სერგო შარიამ თავისი ჭეშმარიტი ნიჭით და დაუცხრომელი ენერგიით, დიდი მონდომებით თავიდანვე მიიქცია ყველას ყურადღება. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე, სადაც მის მიერ წაკითხული მოხსენებები მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

1953 წელს ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დატოვებულ იქნა კათედრაზე უფროს ლაბორანტად.

1956 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო პროფესორი იური კაჭარავა.

1960 წელს დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წელს გადაჰყავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის კვლევით ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-თანმშრომლის თანამდებობაზე.

1968 წელს ინიშნება საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ისტორიის და ფილოსოფიის კათედრის მასწავლებლად და იმავე წელს ირჩევენ დოცენტად. 1978 წლიდან იყო მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე. 1980 წლიდან პარტიის აფხაზეთის

საოლქო კომიტეტში ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელია, ხოლო 1986-1992 წლებში იყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

1993 წლიდან 1996 წლის აგვისტომდე, გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდისა და სენაკის უმაღლეს სასწავლებლებში. მინიჭებული ჰქონდა პროფესორის წოდება. მას საწერ მაგიდაზე დარჩა სადოქტორო დისერტაცია. გამოცემული ჰქონდა დისერტაციის თემაზე მონოგრაფია და სხვა მეცნიერული შრომები ქართულ და რუსულ ენებზე.

გრიგოლ იროდიონის ძე შარია



გრიგოლ იროდიონის ძე შარია დაიბადა 1925 წლის 25 დეკემბერს გალის რაიონის სოფელ თაგილონში, იქვე დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა, ხოლო საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა ქ. სოხუმში. ერთი სასწავლო წელი იმუშავა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის (მარჩხაფონი) დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად.

1945 წელს ჩაირიცხა თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1950 წელს და დაიწყო მუშაობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების საქმეთა კომიტეტში უფროს ინსპექტორად. სამუშაო საქმიანობასთან დაკავშირებით ახლო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ მწერლებთან, რომელთა შორის იყვნენ იოსებ გრიშაშვილი, ირაკლი აბაშიძე, კარლო კალაძე, იოსებ ნონეშვილი, ხუტა ბერულავა, ამირან აბშილავა.

1952 წლის სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიელინებული იქნა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელი განყოფილების ერთწლიან კურსებზე, რომლის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე 1953 წელს ქვეყანაში შექმნილი არასტაბილურობის გამო ბრუნდება თავის მშობ-

ლიურ ქალაქ სოხუმში და მუშაობას იწყებს „ საქ-წიგნის“აფხაზეთის განყოფილებაში უფროს საქონელთმცოდნედ. აქ მუშაობისას სისტემატურად ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა რეცენზიებს და ბიბლიოგრაფიებს ახლად გამოცემულ წიგნებზე. რამდენიმე ნარკვევი მიუძღვნა წიგნის პროპაგანდისტთა შორის ყველაზე ღვაწლმოსილ მუშაკებს (სიმონ გოგუაძეს, ივანე პატარიას, პავლე კაცბას, ტერენტი დგებუაძეს, ტრიფონ მირცხულავას, მიხეილ კალაიდოპულოს, ელენე კორჟინევსკაიას, ლუდმილა ბოკუჩავას და სხვ.

1965 წელს დაუსწრებლად დაამთავრა მოსკოვის პოლიგრაფიისა და გამომცემლობის ერთწლიანი კურსები.

1975 წელს გრიგოლი გადაიყვანეს სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომში აფხაზეთის უნივერსიტეტი) პრორექტორად. ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1985 წლამდე.

პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით აღნიშნული თანამდებობიდან განთავისუფლდა და დაიწყო მუშაობა ახლად შექმნილი ისტორია-იურიდიული და ეკონომიკის ფაკულტეტის სასწავლო საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანლად, სადაც დღესაც განაგრძობს მუშაობას.

1996 წელს აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შექმნიდან მუშაობს პრეზიდენტის თანაშემწედ.

გამოცემული აქვს პროფესორ ვალერიან ქარჩავას, შოთა მისაბიშვილის მოგონებათა კრებულები. გამოსაცემად მზადა აქვს პროფესორ პეტრე შარიას გამოუქვეყნებელი შრომა „ვეფხისტყაოსანზე“. აგროვებს მასალებსა და მოგონებებს გამოსაცემად პეტრე შარიას 100 წლისთავის იუბილისათვის, რომელიც გაიმართება 2004 წლის 20 აპრილს.

გრიგოლ შარია დაჯილდოებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საპატიო სიგელებით.

არის შრომისა და ომის ვეტერანი, რესპუბლიკის პერსონალური პენსიონერი, მიღებული აქვს მრავალი მედალი და პრეზიდენტის მადლობა.

ჰყავს მეუღლე რუსუდან დგებუაძე, პროფესიით ექიმი; შვილები: შორენა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ სოხუმის ფილიალის თანამშრომელი; გვანცა (ნანა) სპეციალობით მედდა; ხათუნა შარია-გუგუნავა ექიმი პედიატრი; შვილიშვილები: მეგი და ილია.

დევნილობის გამო დროებით ცხოვრობს თბილისში.

გრიგოლ (გრიშა) დიანოზის ძე შარია



გრიგოლ დიანოზის ძე შარია დაიბადა 1917 წელს გალის რაიონ სოფელ თაგილონში. 1924 წელს შეიყვანეს თაგილონის შვიდწლიან სკოლაში. შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ გალის საშუალო სკოლაში. გალის პირველ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1927 წ. ჩაირიცხა სოხუმის ზოო-ვეტერინალურ სასწავლებელში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1930 წელს მუშაობა დაიწყო თაგილონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მოლარედ და შეთავსებით საწყობის გამგედ. მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო გრიგოლ ანჯაფარიძე. თავი გამოიჩინა კოლმეურნეობის საქმიანობით მუშაობაში. დადებითი დახასიათება მისცეს კოლმეურნეობის გამგეობის წევრებმა და წარსდგა გალის საკ.კ.პ.(ბ) რაიკომის წინაშე განცხადებით.არჩეული იქნა საკ.კ.პ.(ბ) გალის რაიკომის წევრად. პარტიის რიგებში ყოფნისას ყურადღებას აქცევდა კოლმეურნეობის მუშაობას ყველა დარგში.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყებისას გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. 1943 წლის 25 ოქტომბერს საბრძოლო ველზე ბრძოლის დროს მიიღო მძიმე ჭრილობა და განთავისუფლდა სამხედრო სამსახურიდან. ჩამოიყვანეს სოფელში. ორი წელი მკურნალობდა და გამოჯანსაღდა და მუშაობა დაიწყო სოფელ თაგილონის კოლმეურნეობაში მოლარედ და საწყობის გამგედ. თავისი მუშაობის პერიოდში არ ჰქონია უარყოფითი შეფასება.

საკ. კ. პ (ბ) გალის რაიკომის მდივანმა მისი კარგი მონაცემების შედეგად გადაიყვანა მ/დ თაგილონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ. სადაც იმუშავა 19 წელიწადი. სოფელში იყო სამი კოლმეურნეობა. სოფლის მრავალდარგოვანი კოლმერნეობები წარმატებით ასრულებდა თავიანთ მოვალეობას.

1975 წლის 23 იანვარს პარტიული დავალების შესრულების დროს, გზაში მანქანით მოძრაობისას გარდაიცვალა.

მისი ხსოვნა მარად დარჩება თაგილონელთა გულში.

ერასტი შარიას შთამომავლობა

ერასტი შარია სახელოვანი მამის დათუნია (დავით) გერგოიას (გიორგი) შარიას შვილი იყო. აღნიშნული გვაქვს დათუია შარიას მამაცობა რუსუთ-თურქეთის ომში 1877-1878 წლებში. ერასტი შარიას – პაპას უძღვნა მისმა შვილიშვილმა ცნობილმა მსახიობმა ნუგზარ შარიამ კინოსცენარი, რომელსაც ჩვენს წიგნში ვათავსებთ. ამ სცენარიდან გაიგებს მკითხველი ერასტი შარიას და მის მეუღლის ჭუბურხინჯელი დარია ყოლბაიას ცხოვრებას.

ჩვენ კი საუბარი გვექნება ერასტი შარიას ორ ვაჟიშვილზე სპირიდონსა და ივანეზე, მათ შთამომავლობაზე. მირიანი ჯარში დაიღუპა.

სპირიდონ ერასტის ძე შარია



დაიბადა 1905 წლის 15 მარტს სოფელ თაგილონში. თაგილონის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ოჯახს არ ჰქონდა შვილის სწავლის გაგრძელების საშუალება, ამიტომ ბავშვი დარჩა ოჯახში და ეხმარებოდა მშობლებს. 1919 წელს შავ მუშად მუშაობდა რკინიგზის მშენებლობაზე, 1920 წელს სპირიდონი შევიდა გალის შვიდწლიან სკოლაში. მაგრამ ოჯახური პირობების გამო დატოვა სკოლა, 1922 წელს შევიდა ზუგდიდის შვიდწლიან სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1923 წელს და მუშაობდა კომკავშირის სამურზაყანოს სამაზრო კომიტეტში. 1923 წლის პარტიის სამურზაყანოს სამაზრო კომიტეტმა სპირიდონ შარია მიავლინა სოხუმის პარტიულ სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1924 წელს, დაბრუნდა გალში და მუშობა გააგრძელა კომკავშირის სამაზრო კომიტეტში. 1924 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდირებაში. იყო ამ ბრძოლის რაზმის მეთაური, ამის შემდეგ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა სპირიდონ შარია სასწავლებლად მიავლინა მოსკოვში აღმოსავლეთის კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1926 წელს პარტიის მოსკოვის კრასნოპრესნის რაიკომმა მიიღო პარტიის წევრად. 1926 წელს დაამთავრა

უნივერსიტეტი და დაინიშნა სოხუმში პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ, საიდანაც გადაიყვანეს პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ. 1929 წლის 15 მარტიდან იმავე წლის 1 ოქტომბრამდე იყო წითელი არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. იყო პარტიის ხობის რაიკომის მდივანი. 1930 წლიდან აფხაზეთის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე, მუშაობდა აფხაზეთის პროფსაბჭოში მომარაგების დარგში. 1938 წელს გადაიყვანეს თბილისში ცეკავშირის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე მათ შორის გეოლოგიურ საწარმოებში.

1934-1937 წლიდან სპირიდონ შარია მუშაობდა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ. 1940 წლიდან მუშაობდა ქვანახშირის მრეწველობის სისტემაში. უკანასკნელ პერიოდში იყო ტრესტ „საქშახტმშენის" მმართველის მოადგილე.

„მიღებული აქვს ჯილდოები სამამულო ომში „მამაცური შრომისათვის", „კავკასიის დაცვისათვის". შემდეგ წლებში მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

გარდაიცვალა 1959 წელს.

სპირიდონ შარია იყო ფიზიკურად ულამაზესი, მაღალი, წარმოსადეგი ქართული სახის ვაჟკაცი.

კარლო სპირიდონის ძე შარია



დაიბადა 1930 წელს ქ. ხობში, მოსამსახურეთა ოჯახში. საშუალო სკოლა დაამთავრა ქ. თბილისში 1948 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1953 წელს. 1957 წელს ფილოსოფიის სპეციალობით დაამთავრა ასპირანტურა ფილოსოფიის სპეციალობით.

შრომით საქმიანობას ეწევა 1954 წლიდან. სხვადასხვა დროს იყო თბილისის დ. გურამიშვილის სახელობის ბიბლიოთეკის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფი-

ლოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერმუშაკი. 1963 წლიდან მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს ეკავა უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის, პოლიტოლოგის კათედრის გამგის და მოსამზადებელი განყოფილების დეკანის თანამდებობები. ამჟამად მუშაობს პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორად. სამეცნიერო ხარისხი დაიცვა ფილოსოფიაში. აქვს პროფესორის წოდება.

1995 წელს არჩეული იქნა საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნად.

ავტორია 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 6 მონოგრაფიის. მისი სამეცნიერო კვლევის ობიექტია დასავლეთის პოლიტიკური იდეების ისტორიის, პოლიტიკური რეჟიმების, პოლიტიკური პლურალიზმის, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს საკითხებში.

დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ქოხი მინდა, ისლის ქოხი და სიბერე მშვიდი...“

ნუგზარ სპირიდონის ძე შარია



დაიბადა თბილისში 1941 წლის 19 თებერვალს. აქვე დაამთავრა 71-ე საშუალო სკოლა. 1958 წელს მამა გარდაეცვალა და ცხოვრებაში დამოუკიდებლად სავალი გზის არჩევანი მსახიობის რთულ პროფესიაზე შეაჩერა. ნუგზარის ბაბუა – ერასტი შარია გალის რაიონში ცნობილი მოჯირითე იყო. ნუგზარის მამას – სპირიდონსაც უყვარდა ცხენოსნობა. ზაფხულში, როცა იგი სოფელ თაგილონში ჩადიოდა, ცხენით ჯირითს ბაბუა ასწავლიდა.

X კლასის მოსწავლე, როგორც კარგი მოჯირითე, კინოფილმ „ოთარაანთ ქვრივში“ გადაიღეს. 1958 წელს შევიდა თბილი-

სის თეატრალურ ინსტიტუტში. 19 წლის ნუგზარი კინოსურათში „ენგურის ნაპირებზე" მთავარი როლი შეასრულა, ცრტა მოგვიანებით გადაიღეს: „პალიასტომის ტბაში", „ხევისბერ გოჩაში". მან სრულიად ახალგაზრდამ ჩვენი ქვეყნის კინოეკრანებზე 3 ჩხვადაჩხვა როლი ითამაშა, მონაწილეობა მიიღო უცხოურ ფილმებშიც.

1970 წლის 10 ივნისს, იმყოფებოდა რა საბჭოთა ტურისტული ჯგუფის შემადგენლობაში, უარი განაცხადა სსრკ-ში დაბრუნებაზე და საფრანგეთის ხელისუფლებას მიმართა თხოვნით, რათა მისთვის პოლიტიკური თავშესაფარი მიეცათ.

იგი ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს აშშ-ში და ისლის ქოხსა და სამშობლოში მშვიდ სიბერეს ნატრობს.

თუ როგორი იყო მისი გზა უცხოეთში, ამაზე ქვემოთ:

1971 წლიდან 1995 წლამდე აშშ-ში რადიოსადგურ „თავისუფლების" ქართულ რედაქციაშია ჯერ პარიზის ფილიალში, შემდეგ – მიუნხენში.

გადაიღეს გერმანულ და ამერიკულ სამ ფილმში, მათ შორის გერმანულ ფილმში „ჟანა დარკი მონგოლეთიდან", რომლის ნაწყვეტები ნაჩვენები იქნა საქართველოს ტელევიზიით.

1971-73 წლებში, ნიუ-იორკის ბროდვეის თეატრში, როგორც რეჟისორმა და მსახიობმა, მონაწილეობა მიიღო ჩეხოვის „ძია ვანიას" დადგმაში.

ლევ ტოლსტოის ქალიშვილთან ერთად დაწერა სცენარი „ჰაჯი მურატზე", მაგრამ სცენარის ფირზე გადაღება ჩაიშალა იმის გამო, რომ ქალბატონი ალექსანდრა ხანდაზმულობის გამო გარდაიცვალა.

ამერიკაში ფირფიტაზე ჩაიწერა ნუგზარის 10 სიმღერა.

იულ ბრინერთან ერთად მონაწილეობდა კონცერტებში.

1976 წელს ისრაელში ჩაატარა 11 სოლო კონცერტი, რამაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მიწვეული იყო ორ ფილმში მთავარ როლებზე, რომელთა გადაღებაც უნდა დაწყებულიყო 1999 წლის დასაწყისში, მაგრამ ფინანსების უკმარისობის გამო ჯერ-ჯერობით არ შედგა.

დაამთავრა სარეჟისორო კურსები კოლუმბიის უნივერსიტეტში.

როგორც თავისუფალმა მსმენელმა დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი.

რამდენიმე თვე მუშაობდა ქალაქ სარმატაში (ფლორიდის შტატი) სამსახიობო კათედრაზე, როგორც ლექტორი.

ცდილობს ფილმებში, რომლებშიც ის მონაწილეობს, მიიწვიოს ქართველი ხელოვანები და მსახიობები. ერთ-ერთ ფილმში მისი ინიციატ-

ივით როგორც რეჟისორი, მოინვიეს ბატონი ვახტანგ ჟორდანია. ასევე მისივე ინიციატივით მიწვეულია ერთ-ერთი ქართველი კინომსახიობი გერმანულ ფილმში სტალინის როლზე, მაგრამ ფილმის გადაღება ჯერჯერობით ვერ შედგა დაფინანსების უკმარისობის გამო.

აი, თაგილონში დაბადებული და გაზრდილი კაცის სპირიდონ შარიას შვილის მსახიობ ნუგზარ შარიას შემოქმედებითი გზა, მისი შემოქმედების მოკლე მიმოხილვა. გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ არც ერთ ქართველ კინოსა თუ თეატრის მსახიობს არა ჰქონია ასეთი თავგადასავალი და ასეთი მრავალფეროვანი ცხოვრება.

ამ წიგნის ავტორები უერთდებიან ქართველი ხალხის სურვილს. ნუგზარ შარია დაუბრუნდეს მშობლიურ ქალაქს, იცხოროს თავის ოჯახში – დედასთან, შვილთან, ძმასთან და ახლობლებთან ერთად. ქართველმა მაყურებელმა კი კინოფილმებში თუ სცენაზე ნახოს თავისი საყვარელი მსახიობის ნუგზარ შარია.

ნუგზარი და ამერიკა

ამერიკაში თუ როგორი ავტორიტეტი, სიყვარული, პატივისცემა დაიმსახურა ნუგზარ შარიამ, ამაზე ქვემოთ მოცემული სამი დოკუმენტიც მეტყველებს:

„ვაშინგტონი, თეთრი სახლი
ოქტომბრის 25, 1994
მისტერ ნუგზარ შარიას
რადიო თავისუფალი ევროპა
(რადიო თავისუფლება)

ძვირფასო ნუგზარ!

მადლიერი ერის სახელით მე მინდა მადლობა გითხრათ თქვენს მიერ გაწეული სამსახურისათვის როგორც რადიო თავისუფალი ევროპის (რადიო თავისუფლების) თანამშრომელს. რადიო თავისუფალმა ევროპამ (რადიო თავისუფლებამ) გადამწყვეტი როლი ითამაშა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირში დემოკრატიული ძალების განვითარებაში და თქვენ ამ მისიაში მრავალმხრივი წვლილი შეიტანეთ. მსოფლიო იგრძნობს თქვენი ერთგული სამსახურისა და თავისუფლების საქმისადმი თავდადების გავლენას მრავალი წლის განმავლობაში.

გმადლობთ თქვენი გამოჩენილი ძალისხმევისათვის.

გულწრფელად,

ბილ კლინტონი“

„გენერალური შტაბის თავმჯდომარე
ვაშინგტონი. დ. ც. 20318-1999
25 ივლისი 1995წ.
პატივცემულო ნუგზარ შარია
მუხის ხის გზატკეცილი 74
სარასოტა, ფლორიდა. 34232-1753

ძვირფასო მისტერ შარია!

დიდი მადლობა ახალი წერილისათვის, რომლითაც თქვენ მომაწოდეთ შალიკაშვილების ოჯახის წევრების სურათები მათ შესახებ საქართველოში, აგრეთვე ცნობები თქვენს შესახებ. სერიოზულია თქვენი წვლილი ამ მასალების მოპოვებაში და მათ დიდად შეფასებაში.

გილოცავთ 25 წლის განმავლობაში რადიო დამოუკიდებელი ევროპა (რადიო თავისუფლების) სამსახურში ყოფნას. მე ვიმედოვნებ, რომ თქვენი ახალწლობა ბედნიერი იქნება ფლორიდაში.

გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში.

პატივისცემით,

ჯონ მ. შალიკაშვილი
საქართველოს საელჩო აშშ-ში
17 ივლისი 1999 წ.“

„ბატონ ნუგზარ შარიას.
74 არბორ საქს დრაივე
სარასოტა, ფლორიდა. 34232-1753

ძვირფასო ბატონო შარია!

საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის და აშშ-ში მისი სრულუფლებიანი წარმომადგენლის სახელით მე ამ წერილით გაძლევთ უფლებას თქვენ წარმოადგინოთ საქართველოს საელჩოს ინტერესები ფლორიდის შტატში სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც ეხება ზემოთ თქმულ ინტერესებს და რომლებიც კოორდინირებული უნდა იყვნენ ზემოთ თქმულ საელჩოსთან ვაშინგტონში.

დარწმუნებული ვარ, ბატონო შარია, რომ თქენი წვლილი ამ მისიაში იქნება დიდად ღირსეული.

გულწრფელად,

თედორ ჯაფარიძე“

ნ. შარია, ბ. ლობკოვი

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის ლიბრეტო

ვერავინ გეტყვით, რამდენი ხნისაა სოფელი თაგილონი, რა დროიდან ცხოვრობენ აქ ადამიანები, კრეფენ ყურძენს, მოჰყავთ სიმინდი, სვამენ ღვინოს, ებრძვიან მტრებს და იხსნიან მეგობრებს... უძველესი დროიდან დგას თაგილონი ქართულ მიწაზე; შესაძლოა ის მჩქეფარე, ცივი და ძარღვმაგარი, მთების ყინულოვანი სქელი ფენებიდან გამომდინარე და შავი ზღვის ნაპირის თბილ ქვიშნარში მინყნარებული ენგურის ხნისაა. ხოლო ენგური მოედინებოდა მუდამ ისევე, როგორც თაგილონი ყოველთვის გარშემორტყმული იყო მთებით და მის ცაზე დაცურავდნენ ღრუბლები.

ჩვენი თხრობა განეკუთვნება 1924 წელს... თაგილონი ათასწლეულს საკმაოდ გადაცილებული იყო, მის ცაზე პირველად გამოჩნდა თვითმფრინავი. ეს იყო პირველი თვითმფრინავი ვერცხლისფერი ალუმინისა, გაშლილი მბზინავი ფრთებით. ხშირი ტყით დაფარულ ფერდობებზე, მზიან მინდვრებზე ჩამოკიდებული... ორმოცდაათი წლის ერასტო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მშობლიური სოფელი იხილა ამ სიმაღლიდან.

ერასტო–სოხუმის საცხენოსნო ჯირითში გამარჯვებული–დაჯილდოვდა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის მიერ სოხუმიდან თაგილონში ჩამოფრენით.

ერასტოს გვერდით, მეორე ფანჯარასთან იჯდა პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი და ისიც, როგორც ერასტო ვერ აცილებდა მზერას თვითმფრინავის ფრთებქვეშ მოცურავე მიწას...

ვერცხლისფერმა ფრინველმა დაარტყა დიდი წრე და დაშვება დაიწყო. მიჩუმებული ერასტოც უახლოვდება მიწას, თაგილონელთა სახლების სახურავები, მბზინავი ენგურის ხიდი, ვენახები, ღობეები... თვითმფრინავის აჩრდილი ედებოდა ქუჩებს, სახლიდან გარეთ გამოსულთა სახეებს...

და აი თვითმფრინავის ფრთებს ქვეშ დარბის შეშინებული ცხენების ჯოგი, ეტაკებიან ერთმანეთს, პროპელერის გამაყრუებელი ხმისაგან თავდასაცავად ყურებს თავებით ფარავენ... ჯვრისმაგვარმა ჩრდილმა დიაგონალურად გადაშალა ჯოგის ზურგი, თვითმფრინავმა გადაუარა ბოლო სახლების სახურავებს, შეეხო ბალახს, გაირბინა მიწაზე

და გაჩუმდა.

მინდვრის მეორე ბოლოში გაჩერდა, მძიმედ ამოისუნთქა რა, ჯოგმა მიწაზე დაშვებულ მფრინავს დაუწყო მზერა...

დიდები და პატარები მოეშურებოდნენ თვითმფრინავისკენ, მოჰქროდნენ ცხენოსნები.

გაიხსნა თვითმფრინავის კარი და ხალხმა დაინახა ერასტო, საშუალო ტანადობის, არწივისებური ცხვირპირის, სუსტი აღნაგობის პიროვნება.

ერასტო ჩამოხტა თუ არა, ხალხმა დაინახა მეორე მგზავრი –რაიკომის მდივანი, ის არ ჩქარობდა თვითმფრინავიდან ჩამოსვლას, გადაწყვიტა გამოეყენებინა თვითმფრინავი ტრიბუნად.

– გამარჯობათ, ამხანაგებო! –მიმართა მან თვითმფრინავის გარშემო მყოფთ. –ერთი საათის წინ ჩვენი თანამემამულე ერასტო გახდა ჩემპიონი. სულ ერთი საათი და იგი უკვე აქაა!.. თითოეულმა თქვენთაგანმა იცის, რამდენი საათი სჭირდება ქალაქში ჩასვლას. აი, რატომ მინდა მე მივესალმო არამარტო ჩემპიონს, არამედ ჩვენს დიდებულ მფრინავებს, რომლებიც მართავენ ჩვენს პირველ თვითმფრინავს...

– ერასტო!–დაიძახა ვიღაცამ იქ მდგომთაგან. – შენ ვაჟი შეგეძინა. ერასტოს სიხარულისაგან გული აუჩუყდა, შეახტა იგი სხვის ცხენს. რომელი თაგილონელი არ დაუთმობდა საკუთარ რაშს ასეთ შემთხვევაში და გაექანა საკუთარი სახლისაკენ ქარზე უსწრაფესად. შემხვდური თანასოფლელები მიესალმებოდნენ მას და ბედნიერებას უსურვებდნენ მის ახალშობილს.

ერასტოს ცხენი ახტებოდა ღობეს, ყორეს, გეგონებოდა მიფრინავდა მიწის შეუხებლად... ბევრ ხანს ოცნებობდა ერასტო შვილზე და აი, უკვე ჰყავს მას ვაჟი-ვაჟი!.. ვაჟი!..

ერასტო სახლში შევიდა, შეაშტერდა აკვანს და იხილა ვაჟი, შემდეგ მიუბრუნდა მეუღლეს, მოიხადა ქუდი, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ შესძლო, მას უკვე ჰყავს ვაჟი...

ვაჟს მირიანე დაარქვეს.

ერასტოს ეზოში ცეცხლის ალი ლოკავდა გაჭვარტლულ ქვაბებს, რომლებშიც ელარჯს ამზადებდნენ. საჭმლის სუნზე თავი მოეყარათ ძაღლებს სოფლის ყველა კუთხიდან. ხშირად ექცეოდნენ აქ მყოფთა ფეხებს ქვეშ, თვალს არ აშორებდნენ ხარს, რომელიც დღეს უნდა დაეკლათ...

მამაკაცთაგან რომელიღაც ჭის წყლით ასუფთავებდა მშრალ გოგრას (მეგრულად ტუტლას) და ამოჰქონდათ ქვევრიდან ღვინოს და ასხამდნენ თიხის ჭურჭელში.

სახლის ჩრდილში ისხდნენ მოხუცები და მითითებებს, იძლეოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ ახალგაზრდებს, სად დაედგათ ატმით, ლელვით სავსე გოდრები, რა დროს და როგორ ჩაეშვათ ვეებერთელა ქვაბი მდუღარე წყალში, იხსენებდნენ სხვადასხვა ეპიზოდებს ცხოვრებიდან, საჭიროების შემთხვევაში დაუყვირებდნენ ზედმეტად ცელქ ბავშვებს.

მხოლოდ ერასტო არ მონაწილეობდა საერთო საქმეში. იგი ჩუმად დადიოდა მდუღარე ქვაბებსა და საჭმელ-სასმელით გაწყობილ მაგიდებს შორის, შემდეგ შეჩერდა, აილო ბარი და ეზოდან გავიდა. ის მიდიოდა ტყით, მზის სინათლეს მხოლოდ ფოთლებიღა იკავებდნენ და იქ, ზემოთ, ნახევრად სიბნელეში ჩიტების ჟრიამული ისმოდა.

ის მიდიოდა და როგორც ძმებს, მეგობრებს ეხებოდა ხელის გულით ხის ტოტებს. შეჩერდა დაბალი მაგნოლიის წინ, რომლის აქაურ ტყეში მოხვედრის ისტორია არავინ იცოდა.

ერასტომ მოწიწებით ამოთხარა მაგნოლია, მოიტანა ეზოში და სახლის გვერდით დარგო ვაჟის დაბადების სამახსოვროდ.

ბავშვი იზრდებოდა, როგორც ნამდვილი ქართველი, ცხენზე იზრდებოდა. მან, უკვე მოზარდმა ჯოგიდან თვითონ აირჩია ცხენი, მოათვინიერა. ასე იყო ეს.

მთებიდან ენგურს ჩამოაქვს ქვიშა, ხრეში რომელიც ელექება მის დაბალ ნაპირებზე და წყალმოწყურებული ცხენები მკერდამდე იძირებიან სველ ქვიშაში. ასეთ დროს მოხერხებულია შეახტე ცხენს. ეს საშიშია, მაგრამ ცხენს არ შეუძლია ამ დროს ჩამოიშოროს სრულიად გამოუცდელი მხედარიც კი.

– აბა, თამამად, ნუ გეშინია, მირიან... გაიქეცი! – უბრძანა ვაჟს ერასტომ, და მირიანე შეახტა მკერდამდე ქვიშაში ჩაფლულ ცხენს და მაგრად ჩაეჭიდა ხელებით მის ფაფარს. ცხენი შეეცადა ჩამოეგდო მირიანე, მაგრამ არ გამოუვიდა.

– უფრო მაგრად მოკიდე ხელები ფაფარს, – იძახოდა ერასტო და მირბოდა შვილისკენ.

მირიანემ როგორც შეძლო, შემოარკალა ხელები ცხენის სქელ კისერს. როდესაც ცხენმა შეძლო თავი დაეღწია საკმაოდ ღრმა, სველი ქვიშისაგან და გასულიყო ქვიან ნაპირზე, იმდენად დაღლილი იყო, რომ მოთვინიერდა კიდეც. ცხენის მოთვინიერებისათვის საკმარისია, რომ ის შეურიგდეს ადამიანს.

– გაუშვი ხელები მის კისერს! უყვიროდა ერასტო ვაჟს. – ნუ გეშინია, უკვე ვერ ჩამოგაგდებს. ის უკვე შენია!

სინამდვილეში ასეც მოხდა და მირიანემაც ბედნიერად გაიღიმა,

ისეთივე ღიმილითვე უპასუხა მას მამამ.

შემდგომში ერასტო ასწავლის მირიანს, თუ როგორ უნდა დაიკავოს ცხენის ფეხი (ჩლიქი), ნალის მიჭედებისას.

ცხენს შეარქვეს ალმასი. ეს იყო საოცარი ცხენი. მასთან, როგორც ადამიანთან, საუბარიც შეიძლებოდა. გეჩვენებოდათ, რომ ალმასს ყველაფერი ესმის. თამაშიც შეიძლებოდა მასთან. ბავშვები ხშირად იკრიბებოდნენ ერასტოს ეზოში და ალმასთან თამაშობდნენ „მალულობაის". ზოგი კაზარმაში, ზოგი კი მაგნოლიის ღეროს უკან, ზოგი კი სხვენზე, ხოლო ალმასი მათ ეძებდა. თუკი ალმასს ძებნა არ უნდოდა, ბავშვები მასზე განანყენებული რჩებოდნენ, ხოლო მირიანე ამით ბედნიერი იყო.

მირიანეს 10 წელი რომ შეუსრულდა, მამამ მას თოფი აჩუქა, უჩვენა თუ როგორ ხმარობდნენ თოფს, გაიყვანა ეზოში, რომ დაემიზნებინა მაგნოლიისთვის, რომელიც უკვე სახლის სახურავზე მაღალი იყო. მირიანემ დაუმიზნა და ესროლა. როცა თვალი გაახილა, ნახა, მაგნოლიიდან ცვიოდა ყვავილთა ბუტონები.

1941 წლის 22 ივნისს დაიწყო დიდი სამამულო ომი. მირიანეს შეუსრულდა ზუსტად 18 წელი.

თაგილონში არ დარჩენილა სახლი, საიდანაც საომრად არ წასულიყო მამა, ძმა ან შვილი. მთელი სოფელი აცილებდა მათ ფრონტზე. დაცარიელდა თაგილონი. მათთვის, ვინც სახლში დარჩა, გაუგებარი იყო, თუ როგორი ომი იყო ეს. თაგილონი შორს იყო ფრონტიდან, საიდანაც მოდიოდა ჯარისკაცთა წერილები, ისმენდნენ ადამიანები საინფორმაციო ბიუროს ცნობებს, მაგრამ მაინც ძნელი იყო იმის გაგება თუ რა ომი იყო ეს. უკრაინის სტეპებში ასე შორს თაგილონის მზიანი ციდან.

იწერებოდა მირიანეც. დარია (მირიანის დედა) აიძულებდა ერასტოს რამდენჯერმე გადაეკითხა შვილის წერილი, თვითონ კითხვა არ შეეძლო, თუმცა ერთ დროს კი სწავლობდა სკოლაში, მაგრამ ანბანი დაავიწყდა, სათვალეების გარეშე მაინც ვერ არჩევდა ასოებს. ერთხელ ერასტომ მოუტანა დარიას სამეზობლოდან რამდენიმე სათვალე, მაგრამ შვილის წერილის კითხვა მაინც ვერ შეძლო.

–არც ერთი არ ვარგა, – თქვა დარიამ. – მე სხვანაირი მინდა. ჩახვალ გალში და იყიდი სხვანაირს...

–დარია, – თქვა მაშინ ერასტომ, – შენ ფიქრობ, რომ სათვალე თვითონ კითხულობს?

დღეში ერთხელ დაჰქონდა ფოსტა სოფიკოს, საათში ასწრებდა მთელი სოფლის გაზეთების, ჯარისკაცთა წერილების დარიგებას, ერთხელ სოფიკოს საფოსტო ყუთში აღმოჩნდა პირველი ცნობა თაგილონელი ემზარის, თენგიზ სვანიძის ვაჟის დაღუპვის შესახებ. დღის ყოველი 2 საათიდან 3 საათმდე ყველა იჯდა საკუთარ სახლში და შიშის

ზარივით ელოდებოდა სოფიკოს მოახლოებას, თუ იგი სახლებს შორიდან მოუვლიდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ფრონტის კიდევ ერთ დღეს ჩაუვლია თაგილონელის დალუპვის გარეშე.

დიდება ღმერთს, ყველანი ცოცხალნი არიან...

სოფიკოს შემოვლის შემდეგ, მით უმეტეს, მშვიდობიან დღეს ადამიანები გამოდიოდნენ სახლებიდან, მიეშურებოდნენ სამუშაოზე და ცხოვრება გრძელდებოდა...

მოდიოდა წერილები მირიანესგანაც. იგი ატყობინებდა მშობლებს, თუ როგორ ომობდა, მისი დიდება იქაა, სადაც ამჟამად იმყოფება. მოიკითხავდა დარჩენილ თანასოფლელებს, აიმედებდა მშობლებს, რომ მომავალ წლის მოსავლის აღებამდე დაბრუნდებოდა, რადგანაც ამ დროისათვის ომი დამთავრდებოდა. მაგრამ გავიდა წელი, მოსავალიც აიღეს, მაგრამ არავინ დაბრუნებულა...

ფრონტი უახლოვდებოდა კავკასიას. ერთხელ თაგილონში საბარგო მანქანით ამოვიდა ლეიტენანტი და რვა ჯარისკაცი. მათ ჩამოჰყვა საოლქო კომისარიატიდან ქართველი კაპიტანი. მათ მთელი სოფელი შეკრიბეს მოედანზე. კაპიტანმა ამცნო ხალხს, რომ ყველა ცხენი ფრონტს უნდა ჩაბარდეს ასეთია ბრძანებაო და დასძინა: ყველა ცხენი შუადღისას სოფლის ბოლოს, ამა და ამ ადგილას უნდა იყოს, მეორე დღეს უახლოესი რკინიგზის ხაზიდან უნდა გავაგზავნოთო ფრონტზე. ფრონტიდან დაბრუნებულ რუს და უკრაინელ ჯარისკაცებს ერთი დღე ჰქონდათ სოფლის დასათვალიერებლად. ისინი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ სოფელს, იყვნენ ენგურის მეორე მხარეს. თაგილონელები მათ უმასპინძლდებოდნენ ღვინით. ჯარისკაცები მოხიბლულნი იყვნენ სოფლის ლაჟვარდოვანი ცით... ომი შორს იყო. ერთ-ერთმა მათგანმა გონებამახვილობა გამოამჟღავნა: აქედან მებრძოლებს შეიძლება ამანათები გავუგზავნოთო... თხილი, ჩურჩხელები... ფოსტა სოფელში არის, ცხენებიც იქნება და ფოსტამდე მიტანის საშუალებაც.

ერასტი დილა უთენია შეშის დასამზადებლად გაემგზავრა, დაბრუნდა შუადღეს, ნელა მოდიოდა, მირიანეზე ფიქრობდა, იმაზე, თუ რატომ არ იწერებოდა ამდენ ხანს. უკვე შემოვიდა თაგილონში, მაგრამ ის ყოველთვის უკაცრიელი იყო „ფოსტის საათებში“, რადგანაც ყველა საკუთარ სახლში იჯდა და გარეთ არ გამოდიოდა, საშინელი ცნობის მოლოდინში იყო. სოფლის ბოლოს შეამჩნია რა ფოსტალიონი, რაღაც წინათგრძნობამ მოიცვა ერასტო... აჩქარდა... შეწელდა... ფოსტალიონს დაელოდა. ამ დღეს ერასტომ გაიგო, რომ მისი მირიანე „დაეცა გმირულად სამშობლოს თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის“. ასე ეწერა დაკრძალვის ფურცელზე.

შეუძლებლია ერასტოს მდგომარეობის აღწერა...

... სადღაც ახლოს ცას წვდებოდა ვიღაც ქალის კივილის ხმა, დაეცა მიწაზე სულის ხუთვით. ე. ი. დაილუპა კიდევ ვიღაცა ბრძოლის ველზე... ძლივს მიაბიჯებდა ერასტო შინისკენ, მას მოჰყვებოდა ალმასი... როგორ ვაუწყო დარიას თავს დამტყდარი უბედურება? როგორ ვუთხრა რომ ჩვენი მირიანე უკვე არ არის?– ამ კითხვებმა გული შეუკუმშა ერასტოს.

სახლთან ახლოს შენიშნა ჯარისკაცი ლეიტენანტთან ერთად. მივიდა. ოფიცერმა აუხსნა, რომ მოვიდნენ ერასტოს ცხენის წასაყვანად. ალმასი ჯარს სჭირდებოდა. ცრემლებით სავსე თვალებით დარია ძლივს ხედავდა, თუ როგორ ახსნა ერასტომ ცხენს უნაგირი. არასდროს იფიქრებდა, რომ ერასტო ასე მშვიდად მისცემდა მათ ალმასს. როცა ჯარისკაცები წავიდნენ, დარიამ უნაგირი გაუწოდა ერასტოს და უთხრა:

– წადი და უცხენოდ ნუ დაბრუნდები,

ერასტოს არ შეეძლო ამ წუთს ეთქვა დარიასათვის მირიანეს სიკვდილის ამბავი.

ცხენების სადგომ ადგილამდე შეიძლებოდა ცენტრალური გზით მისვლა, მაგრამ ერასტო უკანა ბილიკებით წავიდა, რომ იგი არავის ენახა უცხენოდ, უნაგირით ხელში. ასეთი რამ ხომ არასდროს მომხდარა.

ერასტო გადაახტა ბუჩქნარს და პირდაპირ მიმართა ლეიტენანტს:

– მე ფრონტს მივეცი შვილი, დამიბრუნეთ ჩემი ცხენი,– და გაუწოდა ლეიტენანტს ფრონტიდან მიღებული საშინელი საბუთი.

წაიკითხა რა ქაღალდი, ლეიტენანტი დაღონდა, ცხენი დაუბრუნა გაუბედურებულ მშობელს. ჯარისკაცები აწყობდნენ გასაგზავნ ამანათებს... ტვირთმზიდ საშუალებად შებმული ალმასი ერასტოს არასდროს უნახავს. ერასტომ სასწრაფოდ გაანთავისუფლა ცხენი, მოარგო უნაგირი, ახტა მასზე. ალმასი გამოექანა, მაგრამ წაბორძიკდა, კინაღამ წაიქცა, არ სჯეროდა განთავისუფლება, შემდეგ მისი ნაბიჯები გასწორდა.

– მე არ მითქვამს დატვირთული ეტლი ამანათებით... ეს არაა სწორი... -გაიძახოდა ინტელიგენტური შესახედაობის ჯარისკაცი.

ერასტო კი ალმასზე ამხედრებული სახლისკენ მიჰქროდა თაგილონის ცენტრალური გზით, შემხვედრნი გაკვირვებულნი აცილებდნენ მას მზერით.

ერასტომ გაუხვია ტყისკენ, შეიჭრა ტყეში, ბევრი არბენინა ალმასი ხეებს შორის და გაჩერდა იმ ადგილას, საიდანაც ამოთხარა მაგნოლია შვილის დაბადების დღეს, დაეცა მიწაზე და აქვითინდა...

ამ დღეს დაიტირა ერასტომ თავისი შვილი.

შვიდმა ჯარისკაცმა ლეიტენანტითურთ ხელებით წაიღეს ამანათები ფოსტაში, ცხენებთან დარჩა მერვე–ხანდაზმული უკრაინელი, მას ოჯახი ოკუპირებულ ზონაში ეგულებოდა ... მის გვერდით იჯდა

მოხუცი ქართველი და კარნახობდა ჯარისკაცს თავის მისამართს და თხოვდა მიეწერა მისთვის, როგორ არის მისი ცხენი რას ჭამს, რას სვამს. ჯარისკაცი შეპირდა მოხუცს, რომ აცნობებდა ყველაფერს ცხენის შესახებ. ჯარისკაცის წერილიდან გავიგეთ, რომ მას დაეღუპა მთელი ოჯახი, ამიტომაც წერილს წერდა მოხუც ქართველს.

ცხენებს, როგორც ფრონტზე მიმავალ ადამიანებს, მთელი სოფელი აცილებდა და ტიროდა, იცოდა, რომ ვერ დაბრუნდებიან ფრონტიდან, თუ ადამიანები გადაურჩებოდნენ ომს, სახლში დაბრუნდებოდნენ, ცხენები კი ვერასოდეს. შეჰყურებდნენ ცხენებს ცრემლიანი თვალებით. ასევე შეჰყურებდნენ ცხენებს მოხუცები, ბავშვები და ჯარისათვის გამოუსადეგარი ვირები.

ჯარისკაცებმა ორი სატვირთო ვაგონი გაავსეს ცხენებითა და თივით და ორთქლმავალმა წასწია ყველაფერი ეს ფრონტისკენ. ერთ ადგილას რკინიგზის ხაზი ზღვასთან სულ ახლოს გადიოდა. იდგა აგვისტო, ზღვა ცასავით საოცრად ლურჯი იყო. ირგვლივ ისეთი სიმშვიდე იყო, თითქოსდა დედამიწაზე ომი არ ყოფილიყო. ორთქლმავალი გაჩერდა, დაიკეტა სემაფორი, ჯარისკაცები ვაგონებიდან პირდაპირ პლაჟზე ჩახტნენ. ასევე მოიქცნენ მემანქანეები. მხიარული შეძახილებით ყველამ საჩქაროდ გაიხადეს ტანისამოსი და შევიდნენ ზღვაში. ისინი წააგავდნენ მზის უნახავ, დამსვენებლებს დონბასიდან, გაფითრებულნი, შავ ტრუსებში.

ზღვიდან ამოსულები ღრმად ისუნთქავენ სანაპიროს სუფთა ჰაერს და კოტრიალებდნენ ქვიშაში... უეცრად წყალი შეარყია ჭურვის გასკდომამ, კიდევ ერთი გასკდომა–სადღაც ახლოს მიდის საზღვაო ბრძოლა. ჯარისკაცები საჩქაროდ ამოდიან ზღვიდან, მოჰყავთ თავი საბრძოლო მდგომარეობაში, მტრის სამი თვითმფრინავი საცხა მიიმალა – ჩვენი თვითმფრინავებთან შეჯახების შემდეგ. ეს იყო ელვისებური საჰაერო შეტაკება, რის შემდეგაც ერთი ზღვაში ჩაეშვა და დააყენა შავი კვამლი. თვალის გახამხამება და მშვიდობიანი ზღვა იქცა საომარი ადგილად და სასაფლაოდ. ჯარისკაცთა თავებზე კვლავ გადაიფრინა ორმა თვითმფრინავმა. –ჩვენებია–. თქვა ლეიტენანტმა და პირველი ამოვიდა წყლიდან, ნიკიფოროვ–დაუძახა მან, საჩქაროდ ჩაცმა!

ჯარისკაცები ჩუმად ამოვიდნენ წყლიდან, გაწურეს ტრუსები, სასწრაფოდ ჩაიცვეს და ვაგონში შეცვივდნენ. ასე დაუმთავრდათ ჯარისკაცებს შვებულება. გრძელდებოდა ომი.

ისე მოხდა, რომ ამ სუსხიან ზამთარს თაგილონში დარჩა მხოლოდ ერთი ცხენი– ალმასი. მოხუცი ერასტო საგულდაგულოდ უვლიდა ალმასს, მაგრამ უარს ხომ ვერ ეტყოდა მეზობლებს ცხენის საჭიროების შემთხვევაში! თხოვებაზე შეშის მოსატანად ან სხვა სამეურნეო სა-

ქმისათვის, თუმცა ასეთ საქმეში არასდროს გამოუყენებია ერასტის ალმასი.

ომით განაწყენებული ერასტო, ხშირად მეზობლებზეც ბრაზობდა ალმასის ასეთი საქმეების გასაკეთებლად გამოყენებისთვის, იგი ხშირად ეტყოდა მეზობლებს „ომია, რას იზამ... ხედავთ ჩვენი მირიანეც არ არის... ისბიჭი, რომელთანაც შენ „მალულობანას" თამაშობდი. გახსოვს, ხომ არ დაგავიწყდა და ცხენს მისცემდა.

მხოლოდ ალმასს ესაუბრებოდა ერასტო მირიანეს დაღუპვის შესახებ. და სხვას არავის. ამის შესახებ იცოდნენ მხოლოდ ერასტომ და მისმა ახლო მეგობარმა დამიანემ, რომელიც ხოსტას ჰოსპიტლიდან ჩამოიყვანა ერასტომ თაგილონში. დამიანე ერასტოზე უმცროსი იყო, წავიდა ფრონტზე, მძიმედ დაიჭრა. მან მოსწერა ერასტოს, რომ ფეხი დაკარგა, თხოვა მოსულიყო ერთი თვის შემდეგ მის წასაყვანად. ექიმები პირდებოდნენ სახლში გაშვებას. შეაბა ერასტომ ალმასი, ჩავიდა ხოსტაინში. აქ დაუხვდა დამიანე ორივე ფეხებზე მდგარი–ალბათ, პროტეზი აქვს, – იფიქრა ერასტომ. გზაში დამიანემ უმღერა ერასტოს სიმღერა მის დაკარგულ ფეხზე, სიმღერის მეორე კუპლეტის შესრულების შემდეგ დამიანე ატირდა. შეეცოდა ერასტოს იგი და ჰკითხა–რას ეჩვეოდი?– პროტეზს–ეს კი რა არის?–ფეხი! ვისი? –რა თქმა უნდა, ჩემი იყო პასუხი. ეს მე შევთხზე ლექსი, როცა ვფიქრობდი დავრჩებოდი უფეხოდ. შემდგომში „სიმღერას დაკარგულ ფეხზე" მთელი სოფელი გაიგებს, მაგრამ დამიანე მეორე კუპლეტის შესრულებისას მაინც ქვითინებდა.

დამიანესთან ერთად ერასტო თხზავდა სხვადასხვა ისტორიებს დარიასათვის ვითომცდა მირიანე ცოცხალია, ხალხს უნახავს ის ფრონტზე – ზოგს შეტაკებისას, ზოგს კი კიევის, ოდესის განთავისუფლების დროს და ა. შ.

ზოგჯერ ახერხებდა დარიას დროებით დამშვიდებას. ერასტო ხედავდა მეუღლის სახეს, როცა იგი აგროვებდა მაგნოლიიდან ღამით ჩამოცვენილ ფოთლებს და ყვავილებს, იმ მაგნოლიისა, რომელიც ერასტომ დარგო მირიანეს დაბადების დღეს. ის უკვე დიდი და ლამაზი ხე იყო. ასეთივე დიდი და ლამაზი იქნებოდა მისი მირიანეც, რომ არ დაღუპულიყო.

ზამთრის ბოლოს, როცა ჯერ კიდევ თოვლი არ დამდნარიყო, ენგური კი შებოჭილი იყო ყინულით, ძალიან დასუსტდა ალმასი, დაბერდა, – ვერ იცნობდით ალმასს. დადგებოდა შუა გზაზე და ადგილიდან დაძვრა არ შეეძლო, მცირეოდენი ფიჩხის წაწევაც უჭირდა, თვალები სავსე ჰქონდა თხოვნის ცრემლებით. შეეცოდა იგი ერასტოს, გაუხსნა ფეხი და გაუშვა. ალმასი ნელ-ნელა დაეშვა თოვლიანი მაღლობიდან ომიდან და ცივ ნისლში გაქრა ტყეში...

გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ სოხუმის საოლქო სამხედრო კომისარიატის მაიორი, ზემოთ ხსენებული კაპიტანი, სახლში ეახლა და გადასცა მესამე ხარისხის დიდების ორდენი. ერასტო ბევრ ხანს ავლებდა ხელებს თეთრ ვერცხლისფერ ვარსკვლავს, შემდეგ ჰკითხა მაიორს: – ის ამას ატარებდა?– არა, ეს გამოაგზავნეს მოსკოვიდან.

– ეტყობა მირიანემ არ იცოდა, რომ ის დააჯილდოვეს? – შეეკითხა მოხუცი ერასტო. – არ ვიცი, თქვა მაიორმა – შეიძლება იცოდა, მაგრამ მიღება ვერ მოასწრო...

ადრე დილით ერასტო ავიდა მაღლობზე, დიდხანს იჯდა ქვაზე, გაჰყურებდა თაგილონს, ენგურს, შემდეგ ნელ-ნელა ჩავიდა დაბლობზე, ხშირად ჯდებოდა ქვებზე, ისვენებდა, გაჰყურებდა გამელელთ... შემდგ მას ვიხილავთ სასაფლაოზე, მეუღლის საფლავთან ჯვრის წინაშე, დარია გარდაიცვალა ისე, რომ არაფერი იცოდა შვილის დაღუპვის შესახებ. ერასტო დაბრუნდა სახლში, ცოტა ხანს ჩამოჯდა მირიანეს მაგნოლიასთან, შემდეგ სახლში შევიდა, გახსნა სკივრი, ამოიღო სუფთა თეთრი საცვლები, ჩაწვა საწოლში და მეშვიდე დღეს გარდაიცვალა.

ერასტოს გარდაცვალების წინა დღეს თბილისიდან ჩამოვიდა დამიანე. ის ამ დროს ქალიშვილთან ცხოვრობდა. ერასტომ იცნო დამიანე:

– მადლობა რომ ჩამოხვედი. შენ არ იწყინო დამიანე. მე მუდამ მჯეროდა, რომ თვითონ შეთხზე ის სიმღერა, რომელიც ხოსტიდან თაგილონში შენი ჩამოყვანისას გზაში მიმღერე... შეთხზე ჩემზეც სიკვდილის შემდეგ ისეთივე სიმღერა, რომ მასში არ გამოგრჩეს დარია, მირიანე და ალმასი, თაგილონი და შენი თავი. შეეცადე, გეთაყვა...

მთელი სოფელი ეთხოვებოდა მისთვის ყველაზე პატივსაცემ პიროვნებას. ძველი ჩვეულებისამებრ მიწამოყრილ კუბოზე ცეკვავდნენ ცხენები, ტიროდნენ მხედრები.

დამიანე შინ ბრუნდებოდა შეეულმფრენით. კაბინა სავსე იყო თეთრი ყვავილებით, რომელიც მიჰქონდათ სოხუმში. ყვავილებს მიაცილებდა ყმაწვილი., როცა შეეულმფრენმა აიწია თაგილონის ცაზე, დამიანემ თხოვა ყმაწვილს მიეყიდა მისთვის ყვავილები. გახსნა ფუზელიაჟის კარი და დაიწყო ყვავილების გადმოსროლა. ისინი ჰაერის ნაკადმა დაფანტა და დაუშვა მწვანე მდელოზე, მზიან მინდორზე, ენგურზე, სახურავებზე, მთის ფერდობებზე, მირიანეს მაგნოლიაზე, ყველაფერ იმაზე, რასაც ჰქვია ქართული მიწა, რომელზეც უხსოვარი დროიდან ცხოვრობს ხალხი, იღებს მოსავალს, სვამს ღვინოს, ებრძვის მტერს, ძნელბედობის ჟამს მეგობრებს მთასაით უდგას გვერდში და იხსნის მათ.

Н. ШАРИЯ, Б. ЛОБКОВ

Литературный сценарий полнометражного художественного фильма

Никто не скажет вам, сколько стоит на земле село Тапилони, никто не сможет ответить, сколько лет здесь живут люди, сколько веков здесь убирают виноград, выращивают кукурузу, пьют вино, воюют с врагами и выручают друзей... Давно стоит село Тапилони на грузинской земле; может быть, столько же, сколько шумит в горной долине холодная и мускулистая Ингури, возникающая в горах под толщей ледников и затихающая в теплой лагуне Черного моря. А Ингури текла всегда, так же, как всегда стояли вокруг Тапилони горы, а по небу плыли облака.

Начало нашего рассказа относится к 1924 году... Селу Тапилони давно перевалило за тысячу лет, когда над ним впервые появился самолет. Это был первый в Абхазии биплан, собранный из рифленного серебристого алюминия. Распластав светлые крылья, он парил над горными склонами, поросшими густым лесом, над солнечными полянами, над плантациями чая... Пятидесятилетний Эраст был первым, кто увидел свое родное село с такой высоты.

Эраст-победитель конных соревнований в Сухуми был награжден секретарем обкома полетом домой на самолете.

У другого окна сидел секретарь районного комитета партии и тоже (как и Эраст) не мог оторвать взгляда от проплывающей под крыльями земли...

Серебряная птица замкнула большой круг и пошла к земле, - и навстречу замершему Эрасту начала приближаться его земля, крыши Тапилони, сверкающий жгут Ингури, виноградники, заборы... Тень самолета безостановочно скользила по улицам, по лицам выбежавших из домов людей...

И вот уже под самыми крыльями несется в испуге табун необъезженных коней, мечутся кони, наталкиваются друг на друга, прижимают к головам уши от гула пропеллера... Крестообразная тень

перечеркнула по диагонали взмыленную спину табуна, самолет перелетел крыши крайних домов, коснулся высокой травы, пробежал по земле и замер.

На другом конце поля остановился, тяжело дыша, табун, разглядывая опустившуюся с неба светлую птицу...

... Взрослые и дети бежали к самолету, скакали всадники.

В фюзеляже открылась дверь, и люди увидели Эраста-человека небольшого роста с орлиным носом на сухощавом лице.

Эраст прыгнул в траву, и люды увидели другого пассажира- секретаря райкома. Он не торопился выходить из самолета, он решил использовать его в качестве трибуны.

-Здравствуйте, товарищи! - обратился он к стоящим вокруг самолета людям. - Всего час назад наш земляк Эраст стал чемпионом! Всего один час, и вот теперь он здесь! Каждый из вас знает, сколько часов нужно добираться до города. Вот почему я хочу приветствовать не только чемпиона, но и наших славных летчиков, которые управляют первым нашим самолетом.

-Эраст ! -крикнул кто-то из толпы. - У тебя сын родился! Захлебнулось у Эраста радостью сердце, вскочил он на чужого коня-в таком случае каждый Тапиланец уступить - и понесся к своему дому, быстрее ветра, и люди, узнававшие во всаднике Эраста, кричали эму слова привета и желали сыну Эраста счастья...

Конь под Эрастом перелетал через изгороди, заборы, летел, казалось, почти и касаясь земли... Давно мечтал Эраст о сыне, и вот теперь у него есть мальчик.. Сын.... Сын... Сын!...

Эраст вошел в дом, подошел к люлке, увидел, - действительно сын - потом подошел к жене снял папаху... ничего не смог сказать... теперь у него есть сын...

Мальчика назвали Мирианом.

Во дворе Эраста огонь костров лизал закопченные донья чанов, в которых поспевала элардж. Собирались со всего села собаки на запах пищи, путались у людей под ногами, не сводили глаз с молодого теленка, которого должны были сегодня заколоть...

Кто-то из мужчин колодезной водой мыл сушеную тыкву, потом черпали ею из чана вино. Вино разливали в глиняные кувшины.

В тени под домом сидели старики и все время давали указания, что бы еще надо было сделать, куда поставить персики, инжир, как правильно опустит в огромный котел тушу бычка, вспоминали различные случаи из

своей жизни, покрикивали на детей....

И только Эраст не принимал участия в общем деле. Молча ходил он между кипящими котлами, между столами, уставленными едой и вином, потом остановился и вдруг, никому ничего не объясняя, взял лопату и вышел со двора.

Эраст шел лесом. Солнечный свет задерживался в листве, и там-наверху над полумраком щебетали птицы.

Он шел, и как братьев, как друзей, касался ладонями стволов, потом остановился над маленькой тоненькой магнолией, неизвестно каким образом попавшей сюда в буковый лес.

Эраст аккуратно выкопал магнолию, принес домой и посадил ее рядом с домом в честь рождения сына.

Мальчик рос, как настоящий грузин - на коне. Сам выбрал себе коня в табуне, сам объезжал. Было это так.

Река Ингури несет с собой с гор песок. Он оседает по берегам Ингури в долине, и кони, если хотят пить, заходят по самую грудь и мокрый песок. Надо незаметно подобраться к коню и вскочить на него, это страшно, но конь не может сбросить с себя даже неопытного всадника.

-Ну, смелее... не бойся, Мириан... беги!-приказал Эраст сыну, и Мириан бросился к увязшему в песке коню.

Он подбежал к нему, прыгнул к коню на спину и вцепился руками в черную гриву. Конь, прекратив пить, попытался его сбросить, но мокрый песок не позволял ему сделать этого.

- Держись крепче!- кричал Эраст, он тоже бежал к сыну. - Держись!

Мириан крепко, как мог, обхватил мускулистую шею. А когда уставший конь выбрался на каменистый берег, он был уже объезжен: ведь для коня главное-смириться с человеком...

-Отпусти его шею!- кричал Эраст сыну. -Не бойся, теперь не сбросит.

Мириан медленно расцепил пальцы, конь под ним шевельнулся, и вновь нитки черных бровей испуганно изогнулись.

- Не бойся!- крикнул Эраст. Он стоял по колени в мокром песке. - Не бойся! Он не сбросит! Он твой!

И конь, действительно не сбросил Мириана, и мальчик счастливо улыбнулся, и ему ответил такой же счастливой улыбкой отец...

Потом Эраст будет учить Мириана, как правильно надо держать копыто, когда кузнец прибивает подковы.

Коня назвали Алмазом. Удивительный это был конь, с ним можно было разговаривать, как с человеком. Казалось, Алмаз все понимает.

Можно было играть с ним. Бывало, соберутся под вечер дети во дворе Эраста и играют с Алмазом в жмурки. Прячутся- кто в сарае, кто за стволом магнолии, кто на сеновале, а Алмаз ищет. И всегда находил Мириана. Алмаз не умел находить других детей, или не хотел. И дети сердились за это на Алмаза, а Мириан был счастлив.

Когда Мириану исполнилось десять лет, Эраст подарил сыну ружье. Показал, как заряжают ружье патронами, вынес ружье во двор, передал его Мириану, сказал, чтобы целился в крону магнолии. К этому времени магнолия уже поднялась над крышей дома.

Мириан зажмурившись, нажал курок, а когда оглохший открыл глаза, с магнолии медленно кружась, опускались белые лепестки цветов...

В сорок первом году пришла война. Мириану исполнилось как раз восемнадцать лет.

Не было в Тагилони дома, из которого не ушел бы на войну отец, брат или сын. Всем селом провожали их на фронт. Опустело Тагилони. Тем, кто остался дома, трудно было понять, какая она там война. Далеко от фронта стояло село Тагилони, приходили сюда солдатские письма, слушали люди сводки Совинформбюро, но все равно трудно было понять, какая она война, грохочущая далеко от солнечного неба Тагилони в украинских степях.

Приходили письма и от Мириана. По несколько раз Дарья заставляла Эраста перечитывать письма сына. Сама читать Дарья не умела. Когда-то давно училась в школе, почти позабыла грамоту, но признаваться в этом не хотела: если бы у нее были очки, тогда другое дело, могла бы сама читать письма Мириана. Однажды Эраст принес домой несколько пар очков, которые он собрал в соседних домах. Отдал очки дарье. Дарья перепробовала все очки, но прочитать письмо сына не смогла.

-Не годятся, - сказала Дарья. - Мне нужны другие. Поедешь в Гали, купишь другие...

-Дарья, -сказал тогда Эраст, -ты думаешь, очки читают сами?

Один раз в день разносила почту Софико. За час успевала обойти все село: кому газету, кому белые солдатские треугольники. Однажды в сумке Софико появился первый похоронный лист. Погиб Эмзар, сын Тенгиза Сванидзе... Его хорошо помнило все в Тагилони... Его первого в селе оплакивали люди... С тех пор Софико не в один дом принесла похоронки... Каждый день с 2-х до 3-х дня люди неподвижно сидели в своих домах, цепенея от страха, прислушиваясь к шагам Софико, ожидали страшной минуты, и если шаги почтальона удалялись от дома, значит,

еще один день войны прошел, и никого не убили из Тапилони... Все, слава богу, живы...

В три часа кончала обход домов, и тогда люди выходили из домов, принимались за работу и жизнь продолжалась...

Приходили письма от Мириана. Он писал о том, как воюет его часть, писал, что там, где он сейчас, по ночам уже холодно, справлялся о здоровье тех, кто остался в селе и обещал к будущему урожаю обязательно возвратиться в Тапилони, потому что война к этому времени обязательно закончится.

Но прошел год, убрали урожай, но никто не вернулся...

Фронт приблизился к Кавказу. Однажды в Тапилони приехали на грузовике восемь солдат и лейтенант. Вместе с ними приехал из областного военкомата капитан-грузин. Они собрали все село на площади, и капитан сообщил о том, что все до одной лошади должны быть сданы фронту-такой приказ. Капитан сообщил, что лошади должны быть приведены на край села к обеду.

Товарный вагон для отправки лошадей должны были подогнать к близлежащей к Тапилони железнодорожной ветке завтра, и у солдат, прибывших с фронта, выдался свободный день. С любопытством ходили русские и украинцы по грузинскому селу, перебрались на другой конец Ингури, прыгая с камня на камень, угощались вином, удивлялись мирному небу Тапилони, стрекотанию сверчков... Война была далеко. Потом кто-то из солдат сообразил, что отсюда можно отправить домой родным посылки: чурчхелы, изюм... И почта в селе есть. Решили доставить телегу, запрячь в нее коня-бери любого, вон сколько стреноженных на краю села.

Эраст был в горах, заготовлял на зиму дрова. Ушел чуть свет, возвращался домой к обеду, медленно ехал, думал Эраст о Мириане, о том, что давно не было писем от сына.. Ехал пустынным селом - как всегда было в час, когда почтальон разносила почту... Увидел в конце улицы почтальона... Какое -то предчувствие овладело Эрастом... Спешился... Остановился поджидая почтальона... В этот день Эраст узнал, что его Мириан "смертью храбрых, защищая свободу и независимость Родины". Так было написано в похоронном листке.

В каждой клетке тела Эраста заложенел крик... Долго стоял на пустынной улице... Где-то рядом чей-то женский голос взвился к небу, надломился и упал на землю страшным хрипом: значить, убили на войне еще кого-то...

Медленно шел Эраст к дому. Позади него шел Алмаз. "Как сказать жене Дарье о горе?- как сказать матери о том, что их Мириана больше нет?".

У самого дома заметил солдата с лейтенантом. Подошел. Лейтенант объяснил,что они пришли за лошадью Эраста. Алмаз нужен армии. Заплаканная, с распухшим лицом Дарья с удивлением следила за тем, как Эраст молча снял с Алмаза Седло... Никогда не думала, что Эраст вот так спокойно отдаст их Алмаза... Ведь с войны возвращаются только люди... А когда солдаты увели Алмаза, Дарья протянула Эрасту седло:

-Иди и без коня не возвращайся, - сказала она.

Не смог Эраст в эту минуту рассказать Дарье о гибели Мириана.. До того места, где солдаты собирали лошадей, можно было пройти центральной улицей Тагилони, но Эраст пробирался задворками: никто не должен был видеть Эраста без коня, с седлом в руках. Никогда не было такого.

Эраст шагнул из кустарника прямо к лейтенанту, бросил руку к виску:

_ Разрешите обратиться!

_Обращайтесь, - лейтенант запечатывал свою посылку.

_ Я отдал войне сына, верните мне мою лошадь, - сказал Эраст и протянул лейтенанту похоронный лист.

Лейтенант прочел.

_ Возьми, отец, свою лошадь, - сказал лейтенант.

Эраст поискал глазами своего Алмаза. В табуне его не было. Алмаз покорно стоял, запряженный в телегу, на которую солдаты складывали посылки... Не было такого, чтобы Алмаз тащил телегу! Эраст быстро распряг Алмаза, раскидал в обе стороны оглобли, набросил седло, дрожащими пальцами прикрепил его ремнями, вскочил в седло. Эраст рванул уздечку, и Алмаз, не веря в освобождение, рванулся вперед, но вдруг стал спотыкаться-чуть не упал, потом у него выровнялся шаг.

-Я же говорил, - сказал солдат с тонким интеллигентным лицом, - я же говорил, не надо было грузить посылки на телегу... Неправильно это...

А Эраст, пригнувшись к шее Алмаза, летел через Тагилони, и встречавшиеся на его пути люди с удивлением смотрели ему вслед.

Эрасть пронесся через все село, ворвался в лес, долго скакал между деревьями, остановился у того места, где когда-то выкопал в день рождения Мириана тоненькую магнолию, медленно опустился на землю и, прижимаясь лицом к мокрым губам Алмаза, зарыдал...

В этот день Эрасть выплакал сына.

Семь солдат с лейтенантом понесли свои посылки на почту на руках, а с лошадьми остался восьмой -пожилой украинец. Ему некуда было отправлять посылку: семья была на оккупированной территории... Рядом с ним сидел старик-грузин и диктовал солдату свой адрес:

-Пиши мне, пожалуйста, - говорил старик, -как он ест, как пьет, не болит чего...

- Обязательно, обязательно, -обещал солдат, слюнявил чернильный карандаш и старательно записывал адрес. Потом с фронта будут приходить письма от этого солдата, в них он будет с крестьянской обстоятельностью рассказывать о коне старика- грузина. И еще из этих писем мы узнаем, что у солдата погибла вся семья и посылать письма теперь ему некому- только что почти незнакомому старику-грузину.

Лошадей провожали всем селом. Как провожают людей. Плакали, знали, не вернутся с войны... Люди, если останутся живы, вернутся, а лошади -никогда. Женщины совали солдатам куски сулугуни для своих лошадей на дорогу, и вслед уходящим из Тагилони лошадям смотрели слезящимися глазами старики, старухи, смотрели дети и непригодные для войны мужики.

Солдаты погрузили лошадей и сено в два товарных вагона, и паровоз потянул все это к фронту.

В одном месте железнодорожная колея проходила по самому берегу моря: стоял август. Море, как зеркало, казалось, оцепенело под синим высоким небом. Сонный прибой, дыша, касался горячей крупной гальки. В прибрежных кустах стрекотали кузнечики. В этом мире не было войны. Паровоз остановился: закрыли семафор, и солдаты спрыгнули прямо на морской пляж. То ж ж самое сделали два паровозных машиниста. С веселыми криками все быстро сбросили с себя одежду. Теперь они были похожи на курортников с Донбаса: бледные, давно не видевшие солнца тела в черных трусах, бородовые шеи и лица.

И вот уже с радостным визгом солдаты летят в прозрачную воду. Вынырнув, они набирают полную грудь воздуха, и снова ныряют для того, чтобы оттолкнуться от дна, выпрыгнуть из воды по самые бедра, с силой подбросивь руками вверх воду, и вода там, наверху, свернувшись в крупные жемчужины, падает обратно в море. Скользить под водой, над самым дном солдат, его глаза раскрыты, он следит за тем, как пугливо передвигается боком краб, пугает его пальцем, а потом переворачивается и смотрит на размытое пятно солнца над перламутровой поверхностью

моря... Вдруг воду потрясает взрив. Толчок ногами о песок, испуганная голова солдата появляется над водой. Вслед на ней появляются другие головы. Еще один глухой раскат взрыва - где-то за горизонтом идет морской бой. Над головами пронеслись, набирая высоту, три "ястребка". Они почти растаяли в голубизне неба, развернулись, атаковали немецкие самолеты. Это был скоротечный воздушный бой. Один из истребителей вдруг задымил, вертикально вонзился в сверкающую воду, оставив после себя столб черного дыма. В одно мгновение мирное море стало войной и могилой.

Снова пронеслись над головами солдат "ястребки". Их было теперь два.

-Наш, - сказал лейтенант и первым вышел из воды, дрожа от первого озноба. -Никаноров, -позвал он, -быстро одеваться!

Солдаты молча вышли из воды, выжали трусы, кое-как оделись, и, не оглядываясь на море, забрались в вагоны. Для них отпуск кончился. Медленно таял столб черного дыма... Продолжалась война.

Так случилось, что в эту холодную зиму ра все Тапилони осталась одна лошадь - Алмаз. Старый Эраст берег Алмаза, но разве можно отказать соседям, если тем нужна лошадь, перевести хворост или для какой -нибудь другой хозяйской нужды.

В эту зиму Алмаз, который никогда не таскал телег, пришлось и это. И старый Эраст злился на жизнь, на войну, на соседей, а потом все же давал соседям Алмаза, а вечером после работы бормотал ему слова извинений: "Война, ничего не поделаешь... Вот и нашего Мирнана нет, того мальчика, с которым ты в жмурки играл.... Помнишь, не забыл?..

Только Алмазу и мог сказать Эраст о гибели сына. Жене- ни слова. Придумывал разные истории: то видел капитана из облвоенкомата и тот рассказывал, что Мирнан воюет секретным оружием "катюшей" и поэтому засекречен... Жив, здоров, хорошо воюет... Орден получил...

И те, кто знал, что Мирнана уже нет на свете, держали язык за зубами, об этом просил Эраст. Если Дарья узнает-не переживет. На все Тапилони знали двое: Эраст и его друг Демьян- старый друг, тот самый, которого этой зимой из Хостинского госпиталя привез Эраст в Тапилони. Демьян был моложе Эраста ушел на фронт, был тяжело ранен в ногу. Лечился рядом с Тапилони-в Хостинском госпитале. Демьян писал Эрасту, что потерял на фронте ногу и просил приехать за ним через месяц. Врачи обещали отпустить домой. Запряг Эраст Алмаза и приехал в Хосту за Демьяном. Вышел к Эрасту Демьян на двух ногах."Наверное, протез", -

подумал Эраст. По дороге домой Демьян спел Эрасту песню о своей потерянной ноге. На втором куплете расплакался. Жаль стало Эрасту Демьяна: калека на всю жизнь.

-А ты долго привыкал? - спросил эраст.

-К чему привыкал?

-Ну... к протезу.

-К какому протезу? Где ты видишь протез?

-А это что?

-Нога.

-Чья.

-Что за разговоры! Моя.. Это я сочинил песню, когда думал, останусь без ноги.

Потом "песню о потерянной ноге" узнает вес Тагилони, и Демьян будет ее петь, каждый раз рыдая со второго куплета.

Вместе с демьяном Эраст придумывал для Дарьи разные истории о том, что Мириан жив, что его видели люди на фронте, одни во время боя, другие - в освобожденном Киеве, Одессе... Если же Демьян ничего придумать не мог- Эраст начинал вслух сомневаться в том, что Демьян сам сочинил такую хорошую песнь о потерянной ноге.

Иногда удавалось Дарью успокоить. Иногда не удавалось: Эраст видел лицо жены, когда она собирала во дворе опавшие за ночь белые лепестки магнолии- той самой, которую посадил Эраст в день рождения сына. Магнолия была уже большим, красивым деревом. Таким красивым и большим был бы Мириан.

К концу зимы, когда снег еще не растаял, а Ингури все еще была скована льдом, совсем слабым стал Алмаз. Постарел, измучился, поредела грива-не узнать Алмаза... Вот стал на полпути и не можеь сдвинутся с места. И как будто воз не тяжелый, хвороста немного, а тянуть не может. Глаза полны мольбы.

И тогда Эраст распряг Алмаза, и конь, шатаясь, медленно спустился по снегу с пригорка к лесу и растаял в холодном тумане среди серых стволов...

Уже после победы над Германией к Эрасту приехал майор из Сухумского облвоенкомата (тот самый капитан). Он передал Эрасту на вечное хранение Орден Славы третьей степени. Эраст долго гладил белую серебряную звезду, потом тихо спросил:

-А он ее носил?

-Нет, это прислали из Москвы.

-Значить, -спросил старый Эраст, - он не знал, что его наградили?

-Не знаю, - сказал майор. - Может знал, но не успел получить...

Ранним утром Эраст поднялся на гору, долго сидел на камне, смотрел вниз, на Тапилони, на Ингури, потом медленно спускался вниз, отдыхал на камнях, смотрел людям вслед... потом мы увидим его на кладбище перед крестом на могиле жены. Дарья умерла, так и не узнав о гибели сына. Вернулся к своему дому, посидел под магнолией Мирнана, потом вошел в дом, открыл сундук, вынул чистую одежду, переоделся, лег в кровать и на седьмой день умер.

Перед самой смертью Эраста приехал из Тбилиси Демьян. Он теперь жил у дочери. Медленно раскрылись глаза старого Эраста-узнали Демьяна.

-Спасибо, что приехал. Ты не сердись, Демьян, я всегда верил, что ты сам сочинил песню... Сочини песню про меня, когда умру. Чтобы в ней было про Дарью, Мирнана, про Алмаза, Тапилони и про тебя: обязательно сочини... Постарайся, пожалуйста.

Все село хоронило Эраста. Люди прощались с самым уважаемым человеком. По старинному обычаю над гробом с телом Эраста танцевали лошади, и всадники, вонзавшие в бока лошадей острые шпоры, не стеснялись слез.

Демьян возвращался домой на попутном вертолете. Кабина была заполнена белыми цветами. Их везли в Сухуми из оранжерей. Цветы сопровождал паренек. И когда вертолет всплыл над Тапилони, Демьян упросил паренька продать ему все цветы, открыл дверь фюзеляжа и начал выбрасывать большими охапками цветы.

Их подхватывал воздушный поток, и потом цветы, разъединившись, медленно опускались с неба в зеленую долину: цветы опускались на солнечные поляны, на крыши домов, цветы медленно опускались в воды Ингури, на горные склоны, на магнолию Мирнана-на все то, что зовется грузинской землей, на которой издавна живут люди, убирают урожай, пьют вино, воюют с врагами и выручают друзей.

მიწის ძახილი

ვუძღვნი პატარა ზურიკო შარიას

დიდი არის ოკეანე,
წყნარი ოკეანე,
ბევრი მხარე მოვიხილე,
ბევრი მოვიარე

შფოთავს, შფოთავს ოკეანე
ფიქრისა და დარდის
დაუბრუნდი საქართველოს,
წადი, წადი, წადი

შორეული ტალღა,
„ამერიკის ხმიდან"
-დამიჩაგრეს საქართველო,
სანატრელი, წმინდა!

დამესიზმრა, მინდოდა და
ვერ გადავდგი ბიჯი,
რით ვუწამლო, რით ვუშველო,
დარდითა თუ ფიქრით.

ოკეანის მიღმა ცისკრობს
ცისარტყელა შვიდი,.
სამშობლოში დამრჩა სისხლი,
სისხლი, შვილი, შვილი!

უსისხლოთა კრებამ
ლაფში რატომ მსვარა?
ქართველი ვარ,
მოღალატე არ ვარ, არა, არა!

ქოხი მინდა, ისლის ქოხი,
ვენახი და ჭური,
წავიდაო, გაგვყიდაო?!
არ ათხოვოთ ყური!!!

ქოხი მინდა, ისლის ქოხი
და სიბერე მშვიდი,
დამიბრუნეთ სამშობლო და
სისხლი, შვილი, შვილი!

არ მსურს ელვა ცათამბჯენთა,
ქოხი მინდა ისლის,
არ მასვენებს, ვის შევურთო
ეს ლაზური სისხლი.

უცხო ქვეყნის სურნელი აქვს
ამერიკელ მასის,
მე კი ჩემი დედა მინდა
და ალერსი მისი.

მომაცილეთ, ამომყარეთ
ჩემი მტრების ჯავრი,
მომატარეთ ბეთანია,
გელათი და ჯვარი

ყანა მინდა. თოხი მინდა,
რომ არ მქონდეს მოცლა,
სვეტიცხოველთან ლოცვა მინდა
მუხლზე ჩოქვით ლოცვა.

ელვა მინდა საფერავის,
წადი, ჩქარა წადი!
მომიტანე, დედაკაცო,
სულგუნი და მჭადი!

შფოთავს, შფოთავს ოკეანე
ფიქრისა და დარდის
დაუბრუნდი საქართველოს,
წადი, წადი, წადი!

იქით დამრჩა ისლის ქოხი,
ცისარტყელა შვიდი,
სისხლი დამრჩა, ჩემი სისხლი!
შვილი, შვილი, შვილი.

დაიწერა დასასრული,
ყველაფერი მორჩა,
შეიშალა ხევისბერი,
ხევისბერი გოჩა!

ივლისი, 1976 წ.

ტარას ასტამურის ძე შარია



დაიბადა 1913 წლის 13 მაისს სოფელ თაგილონში. შეძლებული გლეხის ოჯახში. ტარასის მამის ასტამურის ეზოში იმდენი ნაგებობანი იყო, რომ ეზო პატარა ქალაქს მოაგაგონებდათ. სოფლის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა გალის საშუალო სკოლაში. 1933 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ცხოვრობდა და მუშაობდა ქ. სოხუმში. წლების მანძილზე იყო აფხაზეთის ვაჭრობის მინისტრი, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის დირექტორი, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი, სკოლის დირექტორი. სადაც კი უმუშავნია ტარას შარიას, გამოირჩეოდა ენერგიითა და საქმისადმი თავდადებით. ქალაქ სოხუმისათვის იყო საყვარელი ადამიანი. გარდაიცვალა 1965 წელს.

ტარასისთან ერთად გვინდა მოვიხსენოთ მისი უმცროსი ძმა **მიხეილ შარია**, რომელიც აგრეთვე ბევრი შესანიშნავი თვისებით გამოირჩეოდა.... ასევე საყვარელი ადამიანი. წლების მანძილზე საშუალო სკოლის დირექტორი, სოხუმის რაიონის განათლების განყოფილების გამგე. გარდაიცვალა 1993 წ.

ტარას შარია განსაკუთრებული გულის პატრონი იყო, იცოდნენ ეს ნაცნობ-მეგორებმა და არა მარტო მათ.

მისი დიდი გულისხმიერება თავს იჩენდა თითქმის ყველგან, მაგრამ ძალზე ნიშანდობლივია ერთი ეპიზოდი, რომელიც მას მკაფიოდ წარმოაჩენს, ვითარც ალალ-მართალ და ჰუმანურ პიროვნებას.

ერთხელ ერთმა ნაცნობმა მას ხუმრობით უთხრა: რა კარგი პერანგი შეგიკერიაო. გავიდა ორიოდე დღე და სწორედ ის პერანგი ქალალდში გახვეული და ჩანთაში ჩადებული გაუგზავნა. ეს იყო უპრეცედენტო სიურპრიზი, რომელიც საჩუქრის მიმღებს თავის დღეში არ დავიწყებია, ამიტომ ჩვენც საჭიროდ ვცანით მისი მოგონება.

ივანე ერასტის ძე შარია

დაიბადა 1909 წელს სოფელ თაგილონში გლეხის ოჯახში. 1924 წელს შევიდა კომკავშირის რიგებში, 1928 წელს დაამთავრა გალის საშუალო სკოლა, იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ივანე შარია მუშაობდა სოხუმში, აფხაზეთის საკონტროლო კომისია-მუშ. გლეხინში, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში.

1941 წლიდან 1945 წლის დამლევამდე ივანე შარია იმყოფებოდა არმიის რიგებში. 1941-1945 წლების სამამულო ომის მონაწილეა. მამაცობისათვის მიღებული აქვს ჯილდოები: წითელი ვარსკვლავის ორდენი, მედლები „კავკასიის დაცვისათვის", 1941-1945 წ. გერმანიაზე გამარჯვებისათვის.

არმიიდან დაბრუნების შემდეგ ივანე შარია მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში, სოხუმის ქალაქის საბჭოში.

ივანე შარია მუშაობდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად.

იყო აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გარდაიცვალა 1998 წელს მოსკოვში. დაკრძალულია იქვე.

თეოფანე პეხუს ძე შარია

თეოფანე პეხუს ძე შარია იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან. იგი დაიბადა სოფელ თაგილონში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1918 წელს შევიდა სამურზაყანოს პარტიზანთა რიგებში. იყო მეკავშირე დიმიტრი თორიას ათეულში.

1919 წელს იყო რა სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლე, თ.პ.შარია აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდა რევოლუციური ორგანიზაციის „სპარტაკის" შექმნაში. ჩაბმულია პარტიული ჯგუფების ჩამოყალიბების საქმეში. ეს ჯგუფები კი არსებობდა სამურზაყანოს მაზრის სოფლებში-თაგილონში, ნაბაკევში და სხვაგან.

1921 წელს თ.პ.შარია მონაწილეობას ღებულობდა მენშევიკთა ბანდის წინააღმდეგ სოფელ ცხირში გამართულ ბრძოლებში.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თ.პ.შარია მუშაობდა უშიშროების ორგანოებში, იყო გალის რაიონული უშიშროების თავმჯდომარე.

1930 წელს მან დაამთავრა მოსკოვის საგეგმო ინსტიტუტი, შემდეგ იყო მოსკოვის ნითელი პროფესურის ინსტიტუტის მსმენელი, დაპატიმრების წინ ის მუშაობდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს

საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

იყო ძალიან პრინციპული პიროვნება, უკანონობას არავის აპატიებდა, თუნდაც ის ყოფილიყო ძალიან ახლობელი.

აფხაზეთში რეპრესიის დაწყებისას პირველი ვინც დააპატიმრეს 1936 წლის აგვისტოში იყო თეოფანე შარია. 1937 წელს იგი დახვრიტეს. დარჩა მეუღლე თამარ ეზუგბაია და ორი შვილი მცირეწლოვანი ქალიშვილი თალიკო და ლილი შარიები. მეუღლე ადრე გარდაიცვალა. ქალიშვილებმა თავიანთი ოჯახი შექმნეს და დღეს ისინიც დევნილობაში არიან.

თეოფანე შარიას სახელის მოგონება საჭიროა იმდენად, რამდენადაც იგი მიუხედავად იმისა, რომ მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ხალხს, უკუღმართმა წყობილებამ მაინც გასწირა იგი. მსხვერპლია იმ დიდი განუკითხაობისა, რაც 30-იან წლების ბოლოს დამკვიდრდა დედამიწის ერთ მეექვსედში.

თეოფანე ტიმოთეს ძე შარია



დაიბადა გალის რაიონის სოფელ თაგილონში 1906 წელს. გალის №1 საშუალო სკოლა დაამთავრა 1926 წელს და მოეწყო სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც 1932 წელს დაამთავრა.

ექიმის თანამდებობაზე მუშაობდა გალში 1936 წლამდე. შემდგომ მუშაობა და მეცნიერული საქმიანობა გააგრძელა ქ. თბილისში. 1939 წელს დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1942 წელს – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

მისი ორი ძმის ომში დაღუპვის შემდეგ, 1943 წელს თვითონ წავიდა ომში მოხალისედ, სადაც 1944 წელს დაბომბვის შედეგად მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა. დასაფლავებულია ქ. ნოვგოროდ-ვოლინსკის ერთ-ერთი სკოლის ეზოში.

დარჩა ერთი შვილი – ვალერი, რომელიც ამჟამად გერმანიაში იმყოფება.

ზურაბ ნუგზარის ძე შარია

ამ ქვეყანაზე ყველა სიკეთე უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინც სიკეთეს, სიკეთეს, სიკეთეს თესავს.
(ზ. შ.)



ჟურნალ „ვარსკვლავების“ 2001 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალისტ მაკა ლობჟანიძის საუბარი მსახიობ ზურაბ შარიასთან. მოგვყავს ნაწყვეტები ამ და მის მიერ სხვადასხვა დროს მიცემული ინტერვიუებიდან. ვფიქრობთ, სრული წარმოდგენა თუ ვერა, უდაოდ საკმაო ინფორმაციას მიიღებთ ნიჭიერ და პერსპექტიულ მსახიობზე.

„ზურაბ შარია გახლავთ ცნობილი კინომსახიობის, ამჟამად აშშ-ში მცხოვრები ნუგზარ შარიას ვაჟიშვილი. იგი არის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი, მსახიობობასთან ერთად– ამბობს ზურაბი „მქონდა სურვილი ექიმი გავმხდარიყავი. დედა ექიმი მყავს, ბაბუა ცნობილი გინეკოლოგია – პროფესორი ზურაბ ჭილაძე, ჩემს ირგვლივ სანათესაოში სულ ექიმები იყვნენ. ჩემი მხრით ექიმობა და მსახიობობა ძალიან ახლოს არის. მეუღლეც ექიმი ჰყავს. მაღალფარდოვნად თუ ვიტყვით, ექიმი არის ფიზიკური მკურნალი ადამიანის, ხოლო მსახიობი – სულიერი; ორივე ხალხთან ურთიერთობას მოითხოვს. შეკითხვაზე, თუ რატომ დატოვა მსახიობმა ნუგზარ შარიამ საქართველო და ამერიკაში განაგრძო მოღვაწეობა–ზურაბი პასუხობს: ის ცნობილი მსახიობი იყო, რომელსაც შუა აზიიდან დაწყებული სხვადასხვა ქვეყნებში იწვევდნენ ფილმების გადასაღებად. ის დამსახურებული არტისტი გახლდათ. მამა საქართველოში დაჩაგრეს... მამა ნიჭიერი ადამიანია და გზა გაიკვლია... და რა გასაკვირია, რამდენი ხნის უნახავ მამა-შვილს ერთმანეთის ნახვა ასე ძალიან გვწყუროდეს...

რუსთაველის თეატრში ამჟამად რობერტ სტურუა მუშაობს შექსპირის კომედიის მეთერთმეტე ღამის დასადგმელად, სადაც მონაწილეობს ზურაბ შარია. „ჩვენი მიზანია, კიდევ ერთხელ გავახაროთ და გავაკვირვოთ მაყურებელი“, – ამბობს ის. შეკითხვაზე – როგორი ხართ

ოჯახში? მსახიობი პასუხობს: „ოჯახში ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, ვგიჟდებით ჩვენს შვილზე". გახსოვთ თუ არა პირველი პაემანი? ზურას პასუხი ასეთია: „მე და ჩემი მეუღლე ვართ კლასელები და ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით. მსახიობების გარდა მყავს უამრავი მეგობარიო.

ჟურნალისტის შეკითხვაზე: როგორ გაიარე ქუჩის აკადემია? ზურაბ შარიას პასუხი ასეთია: „სულ ქუჩაში ვიყავი და დღემდე ვამბობ, რომ ზრდილობა ქუჩამ მასწავლა... ქუჩის ბიჭებმა დედიკოს შვილებზე მეტი იციან". ჩემს მიმართ უზრდელობა ახლანდელი ქუჩის ბიჭებისაგან ნამდვილად არ მიგვრძნია. ისევ მამის მოგონება: „მამაჩემი ყოველთვის უარყოფით გმირებს თამაშობდა, მაგრამ ხალხს სიგიჟემდე უყვარდა".

ჩვენ დავუმატებდით: მამა და შვილი – მსახიობი შარიები ხალხის სიყვარულს ვერ გაექცევიან.

გაზეთ „მეოთხე"-ს 1999 წლის 23-30 ივლისში გამოქვეყნდა კორესპოდენტების ეკა ბიბილაშვილის და ირმა ახალაიას საუბარი ზურაბ შარიასთან. კორესპონდენტები წერენ: „ერთად ერთი, რაც მისი დანხვით კაცს გააკვირვებს, მამასთან საოცარი მსგავსებაა. როგორც იტყვიან მისი ალიკვალია. მამის უცხოეთში წასვლის გამო საბჭოთა წყობილების წლებში –ამბობს ზურაბ შარია „ხან კგბ დაგვდევდა, ხან ტელეფონით გვისმენდნენ". კორესპონდენტებს ეუბნება, რომ ადამიანში ყველაზე მეტად ვაფასებ სიკეთესა და სიყვარულს, ვერ ვაპატიებ ღალატს.

ჩემთვის დიდი ბედნიერებაა დაფასებული შრომა, ბედნიერი ადამიანების ყურება".

ჩვენი სურვილია ამერიკიდან დაბრუნებული ნუგზარ შარია შვილებთან და შვილიშვილებთან გვენახოს ახალ კინოფილმებში, თეატრის სცენაზე.

ნუგზარ შარიას სამშობლოს კი არა რეჟიმს გაექცა, ანუ ჩემი ამერიკელი მამა

ამ დღეებში შარიების ოჯახს კიდევ ერთი წევრი შეემატა. –მარიამი. რუსთაველის თეატრის მსახიობი, ნუგზარ შარიას შვილი –ზურაბ შარია ორგზის მამა გახდა. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, როდის ნახავს საკუთარ შვილიშვილს ცნობილი ამერიკელი ბაბუა. აბაშიძის ქუჩაზე მდებარე მყუდრო ბინაში ზურა თან ქალიშვილის

საწოლს აწყობდა, თან მამაზე მესაუბრებოდა, თანაც დროებით უქალოდ დარჩენილი ოჯახის კვალობაზე, არც ატმის წვენით გამასპინძლება დავიწყებია.

– ზურა, რა ხნის იყავი, მამაშენი სა ზღვარგარეთ რომ დარჩა?

– დაახლოებით ორი წლის. ზოგს ჰგონია, მამა თავიდანვე ამერკაში დარჩა. არა, 1970წ. იგი ტურისტული საგზურით წავიდა საფრანგეთში. მაშინ მამა 29 წლისა იყო.

– ამერიკის მოქალაქეობა როდის მიიღო?

– 1975 წლიდან არის ამერიკის მოქალაქე. საქართველოში ვიზით ჩამოდის ხოლმე. სხვათაშორისი, საკმაოდ მძიმე წლები გადაიტანა, სულ გადარბენაში იყო. ის კი არა, მუშის ადგილიც სანატრელი ჰქონდა, ლუკმაპურის შოვნაც უჭირდა. მაგრამ თავის პრინციპებს არ უღალატა და ყველაფერს გაუძლო.

– როდის ნახე მამა პირველად ?

– 21 წლის შემდეგ, მანამდე წერილებით და ტელეფონზე საუბრით შემოიფარგლებოდა ჩვენი ურთიერთობა. გერმანიიდან ქრისტეფორე კირკიტაძის მეუღლეს ჩუმად ატანდა წერილებს...

– ესე იგი, 23 წლამდე უმამოდ იყავი. რა გრძნობა გქონდა, როცა გააცნობიერე, რომ ნუგ ზარ შარიას შვილი ხარ?

– მამა მუდამ მენატრებოდა და ეს გრძნობა ახლაც არ მტოვებს. რაც სხვისთვის შეიძლებოდა, ჩემთვის იმ წლებში აკრძალული იყო, ხალხის დამოკიდებულება თუ ყურადღება მაღიზიანებდა, მაგრამ მერე თანდათან მივეჩვიე. ბებიაჩემს და ბიძაჩემსაც აწუხებდნენ, წარამარა იბარებდნენ, სადაც ჯერ არს, უწყობდნენ დაკითხვებს... უფრო მეტიც, იმის გამო, რომ მამაჩემი უცხოეთში დარჩა, კომკავშირში არ მიმიღეს და პიონერობას ვერ გავცდი (იცინის).

– ბებიამაც 21 წლის მერე ნახა შვილი?

– ოო, ბებიაჩემი – ვერა კუჭავა, ვფიქრობ, ყველაზე მეტად განიცდიდა შვილთან განშორებას. საოცარი სანახავი იყო მათი შეხვედრა. ახლა 90 წლის არის და სულ ნუგ ზარის მოლოდინშია.

– გარეგნობით ძალინ ჰგავხარ მამას, არა?

– ერთი სიმაღლისანი ვართ, ხმაც ერთნაირი გვაქვს და ენების ცოდნაშიც დავემსგავსე. ზოგჯერ ბებიას „ვაშაყირებ" და ვურეკავ: უი, ნუგზარ, შვილო, – მეტყვის ხოლმე, ვერ არჩევს ჩვენს ხმებს.

მამამ ბევრი ენა იცის: რუსულ-ქართულ-მეგრულის გარდა გერმანული, ფრანგული, იტალიური, თურქული, ივრითი და ინგლისური. საერთოდ ნიჭიერი კაცია.

– ოდესმე თუ უთქვამს შენთვის, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი?

– მამაჩემი სამშობლოს კი არა, რეჟიმს გაექცა. მე მგონი, ყველაფერი მიუღებელი იყო მისთვის. 25 წლისას დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კინოსტუდიის შტატში არ მიიღეს და ამაზე წყდებოდა გული. საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ წერილიც კი მისწერა ჩვენი კინოსტუდიის დირექტორს თენგიზ გორდელაძეს–რატომ არ უვლით მაგ მსახიობსო.

– როგორც ნუგ ზარ შარიას შვილს, გაგიჭირდა ინსტიტუტში ჩაბარება?

– ჯერ სამედიცინოზე ვაბარებდი, მაგრამ უშედეგოდ... სამი წელი სანიტრადაც ვიმუშავე. სხვათაშორის, მამაჩემს არ უნდოდა ჩემი მსახიობობა. ახლა შეეგუა და ამაყობს კიდეც. იმ წელს, მე რომ სამსახიობოზე შევიტანე საბუთები, ბატონ მიშა თუმანიშვილს აჰყავდა ჯგუფი, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიჭი იყო და არა ვინმეს შვილობა.

– ნუგ ზარის რომელი ფილმები მოგწონს?

– „ენგურის ნაპირები", „პალიასტომის ტბა", „ხევისბერი გოჩა"... სულ ოციოდე ფილმში ითამაშა.

– პირადად შენ როგორ აფასებ მამაშენის საზღვარგარეთ დარჩენას?

–ძალიან სწორი გააკეთა, რომ დარჩა. 1993 წელს გერმანიაში შევხვდით ერთმანეთს და მაშინ, ამის შესახებ ვუთხარი კიდეც. მამას არც აქაური დემოკრატიის სჯერა და არც გაევროპებული სამშობლოსი...

– რადიო „თავისუფლებაში" რამდენი წელი იმუშავა?

– 25 წელი. ბილ კლინტონმა გაწეული ღვაწლისათვის მადლობაც კი გადაუხადა. უცხოეთში დარჩენამდე მამამ „ვგიკის" სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრა. ამერიკაში ყოფნისას – კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესურა. დოქტორის ხარისხიც მიანიჭეს და ლექციებსაც კითხულობდა. ტყუილად კი არ ვამბობ ნიჭიერი მამა მყავს-მეთქი?

– თუ იცი შარიების ფესვი საიდან იწყება?

– სამურზაყანოდან ვართ წარმოშობით. გალის რაიონის სოფელ თაგილონიდან მოდის ჩვენი ფესვი. შარიები სხვაგან არსად არიან. პატარა შტოა, ჰოდა, ახლა ხომ მეორე გოგო შემეძინა, მომავლაში მესამესაც გავაჩენთ და ბიჭი იქნება აუცილებლად...

–რამდენი ცოლი და შვილი ჰყავს მამაშენს?

–შვილი ორი ვყავართ: მე და ნესტანი. ორი ცოლი ქართველი ჰყავდა,

დედაჩემი და ნესტანის დედა, ნესტანიც ძალიან ჰგავს მამას. მესამე რუსი შეირთო, ახლა მეოთხე ცოლი ჰყავს–სოფია, წარმოშობით სერბი. ძალიან მოსწონს სლავური წარმოშობის ქალები. სუსტი სქესის წარმომადგენლები დღესაც არ არიან მამაჩემის მიმართ გულგრილნი და, შენ წარმოიდგინე, რეკავენ კიდეც...

– რამდენი წლის არის ახლა მამა?

– 19 თებერვალს 60 შეუსრულდა.

– 1991 წელს რომ ჩამოვიდა და ოპერაში საღამო გამართა, შენც დაესწარი?

– მაშინ ორი კვირით ჩამოვიდა. ისეთი დაკავებული იყო, წესიერად არც გვილაპარაკია. მეგობრები დიდი სიყვარულით შეხვდნენ. მამა და ზვიად გამსახურდიაც ბაშვობის მეგობრები იყვნენ. დიდი კონსტანტინე და ბაბუაჩემიც მეგობრობდნენ. იმ საღამოს ზვიადიც დაესწრო, მერე ვახშამი გაიმართა ოპერაში, თამადა ბორის წიფურია იყო. მოგვიანებით „მეტეხში" გადავინაცვლეთ. ოლონდ ზვიად გამსახურდია არ წამოსულა. „მეტეხში" კი მამამ ითამადა.

– ამჟამად სად ცხოვრობს და როგორ არის ნუგ ზარ შარია?

– ახლა ფლორიდის შტატში ცხოვრობს, ქალაქ სარასოტაში. საკუთარი სახლი შეიძინა მექსიკის ყურესთან ახლოს. იქ უამრავი ქართული ფირფიტა, ვიდეო -აუდიო კასეტა აქვს, მაგრამ ყველაზე მეტად გიტარაზე და როიალზე დაკვრა უყვარს. საერთოდ, მიზანდასახული, ენერგიული კაცია.

– შენ არ სტუმრობ ხოლმე მამაშენს?

–ჯერჯერობით ჩასვლა ვერ მოვახერხე, არადა, ძალიან მინდა. ამერიკის კანონით თუ ვიმსჯელებთ, მეც ამერიკელი ვარ!

–რას ამბობს ნუგ ზარ შარია დღევანდელ საქართველოზე?

–არ მესმის 21-ე საუკუნეში მაინც რატომ ჭამენ ერთმანეთს ქართველები, რატომ არის ამდენი ბოროტება, რატომ ფიქრობენ მავანი და მავანნი მხოლოდ ჯიბეზე და, საერთოდ რატომ გვჭირს ამდენი ჭირი.

–როდის ჩამოვა ნუგ ზარ შარია თბილისში?

–ზუსტად არ ვიცი. მამაჩემი უსამართლობას ვერ იტანს. ისე, ჯანზეა, ორი წელია სიგარეტსაც თავი დაანება, მშვენიერ ფორმაშია, ცხოვრობს ისე, როგორც მას სურს...

ესაუბრა მაია კახიძე

გაზ. „ასავალ-დასავალი", 2001წ.

ილია გარნაგას ძე შარია



„დავიბადე 1928 წლის 19 თებერვალს. 1935 წელს შემიყვანეს თაგილონის არასრული საშუალო სკოლის პირველ კლასში. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ალექსანდრე გეგიძე. მეორე-მეოთხე კლასში გვასწავლიდა საკმაოდ ერუდირებული და პუნქტუალური მასწავლებელი იასონ მითავას ძე ქილორავა. სხვადასხვა დროს ჩემი მასწავლებლები იყვნენ არსენა ათანასეს ძე შარია (დირექტორი), ვანო ანდრიას ძე შარია, ვენედი გამისონია, მარუსია ლუკას ასული ყოლბაია, გრიშა კოსტას ძე თვალთვაძე, კირილე ნექტარის ძე წულაია, მიშა პავლეს ძე ცხაკაია, რომელიც 1941-45 წლებში ომის დაწყების პირველი დღიდანვე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, წავიდა და არც დაბრუნებულა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ჯოტო თედოს ძე ბერაია, რომელიც გვასწავლიდა რუსულ ენას. უმწიკვლო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მას მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მრავალი მედლით და სიგელით. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივებში, არამედ მოსახლეობაშიც, იგი ნამდვილი სახალხო მასწავლებელი გახლდათ.

სანიმუშო პედაგოგი იყო ვერა მიხეილის ასული შარია, რომლის მეუღლე 1937 წელს რეპრესირებული იყო.

1942 წელს დავამთავრე თაგილონის შვიდწლიანი სკოლა, სწავლა განვაგძრე ნაბაკევის საშუალო სკოლაში. თაგილონიდან ნაბაკევის სკოლაში სწავლობდნენ: არდევან აბლოთია, და- ძმა პავლე და თალიკო ქირთბაიები, ღუღუნი ქარჩავა, ივანე ქარჩავა, შოთა სექანია, სერგო შარია და სხვები. რომელთა უმრავლესობა სანიმუშოდ სწავლობდა.

ეს იყო ომის მრისხანე წლები, მაგრამ მეცადინეობა ერთი დღითაც არ შეწყვეტილა. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მთელი სკოლა გავყავდით ჩაის პლანტაციებში სადაც საღამომდე მშიერ-მწყურვალნი ჩაის ვკრეფდით და მხოლოდ საღამოს და ხშირად ღამე ვბრუნდებოდით შინ.

სკოლის დირექტორი იყო მამია გუნჯუა. მათემატიკას გვასწავლიდა ტრიფონ ყოლბაია, ქიმიას – ლუსიანე სოსელია, რუსულს–ლეონტი ობოლაძე, გერმანულს – ლენა თორია. საერთო კრებებზე სკოლის დირექტორი ხშირად აღნიშნავდა, რომ თაგილონელი მოსწავლეები არ აგვიანებენ და არც აცდენენო და საუკეთესოდ მეცადინეობენო. ომის დამთავრებამ დამამთავრებელ კლასში მოგვისწრო. საშუალო სკოლა წარმატებით დავამთავრე. 4-ები გამომყვა მხოლოდ მათემატიკასა და ქართულის წერებში.

იმავე 1945 წელს შევედი ლ. პ. ბერიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დირექტორი (ასე ეწოდებოდა მაშინ) იყო ახალგაზრდა როსტომ წულუკიძე.

1949 წელს წარმატებით დავამთავრე ინსტიტუტი და განაწილებით მოვხვდი ქვემო ბარღების საშუალო სკოლაში, სადაც ორი წელიწადი ვიმუშავე. სკოლის დირექტორი იყო მირიანე შამუგია. პედაგოგიურმა კოლექტივმა გულთბილად მიმიღო და მოსახლეობაც პატივისცემით ეპყრობოდა პედაგოგებს.

1951 წელს გამიწვიეს საჭოთა არმიის რიგებში, სადაც 1954 წლამდე ვიმსახურე მოსკოვსა და მის გარეუბანში, 1955-1963 წლამდე ვმუშაობდი ტყვარჩელის №3 საშუალო სკოლაში.

1963 წლიდან 1976 წლამდე ვმუშაობდი თაგილონის საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

თითქმის ყოველწლიურად იზრდებოდა მოსწავლეთა კონტიგენტი, სკოლის მატერიალური ბაზა ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს და დაისვა საკითხი ახალი კაპიტალური სასკოლო შენობის მშენებლობის შესახებ 60-იან წლებში. გვქონდა სრული ორცვლიანი მეცადინეობა, რომელიც ხელს უშლიდა ნორმალურ მეცადინეობას მეტადრე ზამთრის პირობებში.

იმხანად კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა შალვა ნიკოლოზის ძე კორკელია, პროფესიით პედაგოგი. სწორედ მისი თაოსნობით, პედაგოგიური კოლექტივისა და სკოლის დირექციის დაბეჯითებითი მოთხოვნის შედეგად დაისვა საკითხი ახალი სასკოლო შენობის მშენებლობის შესახებ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე და დადებითად გადაწყდა.

სკოლის შენობის მშენებლობა გაჭიანურდა. 1975 წელს ჩავიბარეთ სკოლის შენობა და მეცადინეობაც ნორმალურად წარიმართა.

1976 წელს მე და შალვა ჯოლოგუა დაგვიბარა განათლების განყოფილების გამგემ ვალერიანე სილოვანის ძე ძიგუამ და გვითხრა –

ილია შარია უნდა გადავიყვანოთო ნაბაკევის საშუალო სკოლაში დირექტორად. პირადად მე მომმართა ბატონმა ვალიკომ და მკითხა შენ თვითონ რა აზრისა ხარო. მე ვუპასუხე–ბატონო ვალიკო მე ვმუშაობ მშობლიურ სკოლაში, ასე თუ ისე გვარიანად ვარ მოწყობილი, ბავშვებიც დამამთავრებელ კლასში არიან, ასე რომ... სიტყვა შემაწყვეტინა გამგემ და მითხრა იფიქრე და სამი დღის შემდეგ ისევ დამიბარა. მივედი და მითხრა მე უკვე ეს საკითხი შეთანხმებული მაქვს აღმასკომთან და პარტიის რაიკომთან და უნდა წახვიდეო ნაბაკევში.

დავთანხმდი და შევუდექი მუშაობას. კოლექტივმა კარგად მიმიღო, მით უმეტეს, რომ ჩემი მერხის მეგობრებიც აღმოჩნდნენ სკოლაში.

მეცადინეობა ორცვლიანი იყო. 30-იან წლებში აშენებული შენობა ველარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს და საკითხი დავსვით ზემდგომ ორგანოებში ახალი სასკოლო შენობის მშენებლობის შესახებ. შედგა საჭირო დოკუმენტაცია და მშენებლობაც დაიწყო. საძირკველი ამოყვანილი იყო, მაგრამ 90-იანი წლების მოვლენებმა ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. უფრო მეტიც – უკეთურებმა ძველი შენობაც დაწვეს და დაანგრიეს.

გალის მოვლენების შემდეგ მე ოჯახით გამოვედი ქ. ზუგდიდის კომბინატის დასახლებაში.

ნაბაკევის სკოლამ ფუნქციონირება დაიწყო სოფ. ხურჩაში. ჩემი რეკომენდაციით სკოლის დირექტორად დაინიშნა ნანი ქარდავა, იგი და მთელი პედაგოგიური კოლექტივი თავგამოდებით შრომობდნენ და თითქმის გაუსაძლის პირობებში განაგრძობენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

1994 წელს ზუგდიდში გაიხსნა სოხუმის ვეკუას სახელობის ინსტიტუტის განყოფილება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დოცენტმა რეზო გულუამ. მანვე მიმიწვია ეკონომიკის კათედრაზე ლექციების წასაკითხად, სადაც დღემდე ვკითხულობ ლექციებს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ გეოგრაფიაში.

ი. ვეკუას სახელობის სოხუმის ინსტიტუტის დამაარსებელი და რექტორია ჩვენი თანასოფლელი აკადემიკოსი რამინ ილარიონის ძე აბლოთია. უნივერსიტეტი განთავსებულია ქ. ფოთში.

2001 წელს ბატონი რექტორის თაოსნობით ინსტიტუტი გადაკეთდა უნივერსიტეტად. რადგან წლების მანძილზე ხსენებულმა უმაღლესმა სასწავლებელმა მოიხვეჭა სახელი და იმიჯი, რომელიც ძირითადად ემსახურება აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდობას და პროფესორ – მასწავლებლებს.

დღეს უნივერსიტეტი ყველაზე მსხვილი საერო უმაღლესი სასწავლებელია დასავლეთ საქართველოში, სადაც სწავლობს 2000-ზე მეტი სტუდენტი და მუშაობს 300-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი.

პარალელურად ვმუშაობ აფხაზეთის მრავალდარგოვან სახელმწიფო კოლეჯში, რომლის დამაარსებელი და დირექტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ბატონი გელა მამფორია, სასწავლო ნაწილის გამგე დოცენტი თორნიკე ყურაშვილი. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კოლეჯში სასწავლო პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. მეოთხე წელია კოლეჯი ფუნქციონირებს და ახალგაზრდობის ნაკადი არ წყდება. 220 ახალგაზრდა სწავლობს კოლეჯში.

უნდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტში ჩემი მუშაობის დაწყებას კმაყოფილებით შეხვდა ბატონი რამინ აბლოთია, რომელთან ურთიერთობა ადრე არ მქონია, მაგრამ მას მე ვიცნობდი რამეთუ „ გამოგაჩინოს საქმემან შენმან“.

მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ რეზო გულუას, რომელმაც შემომთავაზა ლექციების წაკითხვა ზუგდიდის ფილიალში. ბატონი რეზო პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატია, კარგი პედაგოგია, კარგი ოჯახის პატრონი და მამაა. ჰყავს სამი შვილი.

უღრეს მადლობას ვეუბნები ბატონ გელა მამფორიას, ბატონ თორნიკე ყურაშვილს, რომლებიც კოლეჯში ჩემს მუშაობას დიდად და ნარმატებულად აფასებენ. (მე კი ზოგჯერ ვფიქრობ, ვარ ასეთი შეფასების ღირსი?).

ვცდილობ რაც შეიძლება მაღალ დონეზე ჩავატარო ლექციები, მყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

ქალიშვილი – მანანა სოხუმის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოხუმის ექსპერიმენტალური პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

ასრულებდა სადისერტაციო ნაშრომს თემაზე: „ვომიტოქსინის გავლენა სისხლზე მაიმუნებში-მაკაკა რეზუსი“. დისერტაციის ფრაგმენტები შესრულებული ჰქონდა მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუში და გემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტში. მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე.

შრომები გამოქვეყნებული აქვს საერთაშორისო ჟურნალებსა და კრებულებში, აქვს ფუნდამენტური ნაშრომები, მაგრამ დისერტაციის დაცვა აღარ დასცალდა 90-იანი წლების მოვლენების გამო.

აღნიშნული საკვლევი ინსტიტუტი საკავშირო დაქვემდებარებაში იყო. მისი დირექტორი იყო საქვეყნოდ ცნობილი აკადემიკოსი ლაპინი.

ამჟამად მუშაობს სოხუმის ი. ნ. ვეკუას სახელობის უნივერსიტეტში. საბუნებისმეტყველო კათედრის დოცენტად, ასევე ბიზნესისა და სამართლის სახელმწიფო ინსტიტუტის იმავე კათედრის დოცენტად ქ. ზუგდიდში.

შვილი თენგიზი აფხაზეთის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ამავე უნივერსიტეტის პრორექტორის მოადგილედ ადმინისტრაციულ სამეურნეო დარგში. აფხაზეთის მოვლენების პერიოდში იბრძოდა სოხუმში, გალის 1998 წ. მოვლენებში მონაწილეობდა, მაგრამ...

რძალი შორენა კვერნაძე ეკონომისტია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. შვილიშვილები– ილია და ნინო სწავლობენ დაწყებით კლასებში წარმატებით.

ვალერიან კაკირის ძე შარია

ვალერიან შარია დაიბადა 1896 წელს. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ 1914 წელს შევიდა ოჩამჩირის ორკლასიან სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1917 წელს.

1918-1921 წლებში სამურზაყანოს პარტიზანებთან ერთად ვალერიან შარია აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში.

1926 წელს შევიდა კომუნისტურ პარტიაში. 1930-1933 წლებში იყო ზემო-ბარღების სოფ. საბჭოს თავმჯდომარე. შემდგომ წლებში მუშაობდა სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებში ხელმძღვნელ თანამდებობებზე.

1941 -1945 წლების მეორე მსოფლიო ომის დროს იყო გამანადგურებელ ბატალიონში. აფხაზეთის უღელტეხილზე ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისათვის"

არსენა ათანასეს ძე შარია

არსენა ათანასეს ძე შარია დაიბადა 1912 წელს სოფელ თაგილონში, გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1935 წელს ბრუნდება რაიონში და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ მზიურის არასრულ,



ხოლო შემდეგ თაგილონის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად სადაც მისი აქტიური მონაწილეობით საფუძველი ჩაეყარა ახალი კაპიტალური სკოლის შენობის მშენებლობას და მის საშუალო სკოლად გადაკეთებას. შემდეგ იგი მუშაობს ქ. გალის №1 და №2 სკოლებში.

ერუდირებული, პროფესიაზე შეყვარებული პედაგოგი დიდ ავტორიტეტს იხვეჭს მოსწავლე ახალგაზრდობასა და მათს მშობლებში, კოლეგებში.

მალე მას აწინაურებენ პარტიულ სამუშაოზე, გადაჰყავთ პარტიის რაიონულ კომიტეტში ინსტრუქტორ - პროპაგანდისტად, საიდანაც აგზავნიან საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელსაც ამთავრებს 1946 წელს და ირჩევენ საქართველოს კ. პ. გალის რაიკომის მდივნად. აქ მან თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა და პრინციპულმა კომუნისტმა, უანგარო და ყურადღებიანმა, მაღალი ზნეობის ხელმძღვანელმა.

1953-1963 წლებში იგი სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოებზეა. ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ის მუშაობდა ჩხორთოლის საშუალო სკოლის დირექტორად, საიდანაც გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

რაიონის მშრომელები მას იცნობდნენ როგორც ღრმად განათლებულს, კარგ მოზროვნესა და შესანიშნავ მოქალაქეს, მასწავლებელსა და საუკეთესო მრჩეველს.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად შეაფასეს ა. შარიას ღვაწლი, ის დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და მთავრობის სხვა ჯილდოებით.

გარდაიცვალა 1989 წლის 10 ოქტომბერს.

ილარიონ მახაზის ძე შარია

ილარიონ მახაზის ძე შარია დაიბადა 1900 წელს. 25-30-იან წლებში იყო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე.



1935-1937 წ.წ. მუშაობდა ნაბაკევის ჩაის ფაბრიკაში.

1937 წელს რეპრესირებული იქნა და დაბრუნდა 1961 წელს, ჰყავდა ერთადერთი ვაჟიშვილი ვანო (ვანიჩკა) შარია, რომელიც გარდაიცვალა 1973 წელს.

მის ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ შვილიშვილები – მურთაზი, ელდარი და სვეტა შარიები,შვილთაშვილები – მალხაზი, თამაზი, დათო, ვანო, და ანა.

ყარამან კვატატიას ძე შარია

სოფლის ისტორია თუ დაიწერება ყარამან (ყარა) კვატატის ძე შარიას გამოტოვება ყოვლად დაუშვებელია. ეს ადამიანი, რომელსაც სკოლის კარი არასოდეს შეუღია, წიგნი და გაზეთი არასოდეს წაუკითხავს, ისეთი მეხსიერება ჰქონდა, რომ აკაკის „გამზრდელი“ თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა. იყო არაჩვეულებრივი მოსაუბრე, რამდენიმე საათი რომ ესაუბრა, ის საინტერესოდ გააკეთებდა ამას, რომ ეს დრო ერთი წუთად მოგეჩვენებოდათ. შეხედულებით საშუალო ტანის ჩოხა ახალუხს რომ ჩაიცვამდა, „კრავის“ ქუდს რომ დაიხურავდა მასზე თვალი შეგრჩებოდათ. იყო საუკეთესო ცხენოსანი, ფეხბურთის მოთამაშე. ასევე იყო საუკეთესო მოცურავე. თვითონ უყვარდა თქმა, ენგურის დასაწყისიდან შავ ზღვასთან შესართავამდე ნებისმიერი მცხოვრებისთვის რომ გეკითხათ, ვინ არის ყველაზე კარგი მოცურავეო, ყარაო, მოგიგებდათ უეჭველად.

და აი, ასეთი ლამაზი, ფიზიკურად ჯანმრთელი არაჩვეულებრივი აზროვნებისა და მეხსიერების ადამიანი ამქვეყნიდან ისე წავიდა, რომ ოჯახი არ შეუქმნია, მემკვიდრე არ დარჩენია. მის მშვენიერი ოთხოთახიანი ოდა-სახლი, ფართო ეზო, ბაღი, სადაც ყველა სახის ხილი ხარობდა, საუკეთესოდ იყო მოვლილი მიუხედავად იმისა, რომ ყარამან შარია მარტო ცხოვრობდა. ასევე ყოველთვის არაჩვეულებრივად სუფთად ეცვა.

ერთ-ერთმა მეზობელმა, რომელსაც მოსწონდა ყარას ჩოხა-ახალუხი, ჰკითხა: ვის შეაკერინეო. ყარამ დაუსახელა ქალაქიც (ზუგდიდი) და ხელოსანის სახელი და გვარიც. რამდენიმე დღის შემდეგ ეს კაცი

მიადგა ხელოსანს და სთხოვა, ისეთი ჩოხა-ახალუხი შემიკერე, როგორც ყარა შარიას შეუკერეო. ხელოსანმა გაუღიმა, უჭირდა სიმართლის თქმა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და მოახსენა კიდეც: ბატონო, ყარას კარგი ტანი აქვს და იმისთანას ზუსტად ვერ შევკერავო. ასე იყო თუ ისე ჩოხა-ახალუხი მაინც შეაკერინა.

ყარა მთელი დღე მუშაობდა, საღამოს მარტო დარჩენა და უსაქმურად ყოფნა არ უყვარდა, ამიტომაც წინაწარ ჰქონდა განსაზღვრული თუ ვის ესტუმრებოდა. ყარას სტუმრობა კი ყველასათვის სასიხარულო იყო და დიდი და პატარა ელოდებოდა ბაბა ყარას გამოჩენას. მან იცოდა ვისთან რა თემებზე ესაუბრა, ძველი საგმირო ისტორია მოეყოლა თუ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე. მან ხომ ბევრი ხალხური ლექსი და თქმულებები ზეპირად იცოდა.

იგი ხშირი სტუმარი იყო ბარნაბა შარიას, აკაკი არდაშელიას, დროოთე შარიას, ამბაკო ხარჩილავას, ვასილ ჯოლოგუას, დიანოზ და ილია ქილორავების, გრიგოლ ანჯაფარიას, დიმიტრი, ლუკა, იონა, ძეკველე, იროდ, რევაზ შარიების, იაკო კილასონიას და სხვათა ოჯახებისა. ყველგან მას დიდი სიყვარულით ხვდებოდნენ და შეძლებისდაგვარად უმასპინძლდებოდნენ.

ყარა კი ყოველთვის ბუდუსას ელარჯს აქებდა. ბუდუსა აკაკი არდაშელიას მეუღლე იყო. ყარამ ბუდუსას სახელი გაუთქვა და ზოგჯერ ვინმე სტუმარი ქალაქიდან სოფელს რომ ესტუმრებოდა, ბუდუსას ელარჯის საჭმელად მიჰყავდათ.

ღუდა სერგოს ძე შარია



ღუდა კიკოს ძე შარია დაიბადა 1932 წელს გალის რაიონ სოფ. თაგილონში. ბავშვობა და ყრმობა ამ სოფელში გაატარა. შემდგომ უფროსმა ძმამ წაიყვანა ქ. სოხუმში. ღუდამ თანდათანობით ფეხი მოიკიდა ამ ქალაქში, ბიზნესს მიჰყო ხელი, შექმნა ოჯახი. ამჟამად ცხოვრობს ქ. მოსკოვში.

ნოდარ იროდიონის ძე შარია



აი, რას წერდა გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“ მასზე: „გალის რაიონის სოფელ თაგილონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწინავეა ის ბრიგადა, რომელსაც ნოდარ შარია ხელმძღვანელობს. ბრიგადის ყველა წევრის თავდადებულ შრომასთან ერთად წარმატება განიპირობა თვითონ ბრიგადირის უნარიანმა და მოფიქრებულმა ხელმძღვანელობამ. ნოდარმა 1958 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და მშობლიურ კოლმეურნეობას მიაშურა. ენერგიული შრომით თანასოფლელთა ნდობა დაიმსახურა. რამდენიმე ხნის შემდეგ მას რგოლის ხელმძღვანელობას ავალებენ, ხოლო გასული წლის იანვრიდან ბრიგადირად მუშაობს. შარშან მისი ბრიგადის წევრებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 81 ტონა ჩაის ფოთოლი, გეგმა კი 65 ტონის მოკრეფას ითვალისწინებდა.

– ჩვენი საპატიო ამოცანაა, - აცხადებს ნ. შარია, - არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, ყველა რეზერვი და შესაძლებლობა გამოვიყენოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ბრიგადის წევრები აქედანვე ემზადებიან მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მისაღებად. მათ იკისრეს წელს მოკრიფონ 100 ტონა ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 70 ტონის ნაცვლად“

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1962 წ.

ნელი ამბაკოს ასული შარია

ნელი ამბაკოს ასული შარია დაიბადა 1936 წელს თაგილონში. საშუალო განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში, რის შემდგე დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. მუშაობდა თაგილონის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად, შემდეგ კი თავმჯდომარედ. ბოლო პერიოდში ზემო ბარღების მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილების მმართველი იყო.

ნელი შარია უაღრესად ერუდირებული სპეციალიტი იყო, ამასთან არაჩვეულებრივი ორგანიზატორული უნარით იყო დაჯილდოებული. მისი სახელმძღვანელო ბრიგადა. აგროგანყოფილება და კოლმეურნეობა ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებს.

მოკლულ იქნა დასთან ერთად ქალაქ სოხუმში 1993 წლის 8 ოქტომბერს. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება გულში იმათ ვინც მას იცნობდა.

გივი არჩილის ძე შარია



გივი არჩილის ძე შარია დაიბადა 1943 წელს სოფელ სიდაში.

მამა - არჩილ ისაიას ძე შარია იყო სოფლის მასწავლებელი, შემდეგ სასოფლო საბჭოს მდივანი, სადაც იმუშავა 30 წელზე მეტხანს.

დედა - ქარდავა მელანია ილიას ასული საშუალო განათლებით, მთელი ცხოვრება მუშაობდა კოლმეურნეობაში ფიზიკურად.

გივი შარიამ 1957 წელს დაამთავრა სიდის 7-წლიანი სკოლა და იმავე წელს გადავიდა თაგილონის საშუალო სკოლაში, სადაც მე-8 კლასიდან აირჩიეს კომკავშირის კომიტეტის მდივნად და სკოლის დამთავრებამდე, 1960 წლამდე მუშაობდა ამ საზოგადოებრივ თანამდებობაზე.

1960 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფ. სიდის კოლმეურნეობაში, სადაც ასევე აირჩიეს კომკავშირის კომიტეტის მდივნად, მუშაობდა ბრიგადირად.

1963 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც იმსახურა სამი წელი ლენინგრადის ოლქში. ჯარიდან დემობილიზაციის შემდეგ დარჩა ლენინგრადში და 1967 წლამდე მუშაობდა კიროვის სახელობის ქარხანაში მუშად. 1967 წელს ჩაირიცხა ლენინგრადის ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. ამ ფაკულტეტის ორი კურსის დამთავრების შემდეგ გადავიდა იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსზე, დღის განყოფილებაზე და ამ ფაკულტეტის სრული კურსი დაამთავრა 1974 წელს.

1974 წელს განაწილებით მოხვდა ქ. სოხუმის შს სამმართველოში სისხლის სამძებრო განყოფილების უფროს ინსპექტორად. ამავე წელს გადავიდა აფხაზეთის ტრანსპორტის პოლიციის საგამოძიებო განყოფილებაში გამომძიებლად.

1976 წელს დაქორწინდა ლიანა ვარლამის ასულ ლემონჯავაზე, იგი იყო სოხუმის უნივერსიტეტის ლექტორი. ჰყავთ ორი ვაჟიშვილი თემური და ირაკლი. 1986 წლიდან ბატონი გივი იყო საგამოძიებო განყ-

ოფილების უფროსი.

1992 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დაწყებულ ომში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას, იყო მძიმედ დაჭრილი. ომის შემდეგ ოჯახით ჩამოვიდა თბილისში. 1997 წელს მიანიჭეს პოლკოვნიკის წოდება. იმავე წელს ნოემბრის თვეში გადავიდა აფხაზეთის პროკურატურაში, სადაც დღემდე მუშაობს განყოფილების უფროსი პროკურორის თანამდებობაზე. არის იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

შვილი თემური პროფესიით იურისტია და მუშაობს აფხაზეთის ტრანსპორტის პოლიციაში სამძებროს ინსპექტორად, ირაკლი არის მე-5 კურსის სტუდენტი. სწავლობს იურიდიულ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

ომარ კლიმენტის ძე შარია



ომარ კლიმენტის ძე შარია დაიბადა 1955 წლის 18 ივნისს. 1972 წელს დაამთავრა თაგილონის საშუალო სკოლა, 1974 წელს – თბილისის 63-ე პროფტექნიკური სასწავლებელი. 1974-1977 წლებში მსახურობდა ბალტიის სამხედრო-საზღვაო ფლოტში. 1974-78 წლებში სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე. 1982 წელს დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1982-83 წლებში მუშაობდა თაგილონის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1984 წელს გადაიყვანეს საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის იდეოლოგიის განყოფილების ინსტრუქტორად. 1985-1987 წლებში სწავლობდა ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში. რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დაინიშნა გალის რაიონულ კომიტეტში პარტიული კაბინეტის გამგედ, ხოლო რაიონული კომიტეტის გაუქმებამდე მუშაობდა იდეოლოგიის განყოფილების გამგედ.

დამთავრებული აქვს ქ. კიევისა და კრონშტადტის უმაღლესი

სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსები.

1996 წლის მაისის თვიდან მუშაობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ. დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. არის პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი. ძირითად საქმიანობასთან ერთად ეწევა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვს წერილები შემდეგ გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა", „სვობოდნაია გრუზია", „დილის გაზეთი„, „შანსი", „თუთარჩელა", „ქალთა გაზეთი", „სათანჯო", „გალი", ახალგაზრდა ივერიელი". „მეოთხე", ასავალ-დასავალი", „ახალი საქართველო", „აფხაზეთის ხმა", „აფხაზეთი", „სახალხო განათლება", „ფაზისი", „ არეალი". „2000", „მესამე ნაპირი". გამოცემული აქვს წიგნები: „გადავრჩე თუ გადარჩეთ?!", „სიყვარულის მათხოვარი", „მშია!!!", რომლის რედაქტორია საქართველოს პარლამენტის წევრი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ბატონი რევაზ მიშველაძე. ამ უკანასკნელ ნამუშევარს ბატონი რევაზი ასეთ წინათქმას უკეთებს:

„ეს წიგნი საქართველოს გასაღვიძებლად დაწერილი წიგნია.

ავტორი დევნილი გახლავთ და, ბუნებრივია, ეს გარემოება მეტ სიმძაფრეს და დრამატულობას სძენს ომარ შარიას გულწრფელ სტრიქონებს.

დევნილთა ტრაგიკული ხვედრის, მათი მძიმე ყოველდღიურობის ასახვა როდია მთავარი ახალგაზრდა პუბლიცისტის ნააზრევში.

ომარ შარია შეძრწუნებულია იმით, რომ ქვეყანაში მეათე წელია ლტოლვილთა ცრუ დაპირებებით შეყოლების და დროის გაყვანის მეტი არაფერი კეთდება.

ომარ შარია განგაშის ზარებს არისხებს: გავიღვიძოთო, ქართველნო! წამოჩიტულ ლტოლვილებს აფხაზეთი უკვე აღარ ახსოვთ. კიდევ ცოტა ხანიც და დევნილთა უფროსი თაობიდან ცოცხალი აღარავინ დარჩება.

ნუთუ საქართველოს შეურიგდა აფხაზეთის დაკარგვას?!

ნუთუ?!

ყური მიუგდე ომარ შარიას მიერ შემოკრულ ზარს, მკითხველო!"

გამოსაცემად მზადა აქვს წიგნები: „ნოსტალგია" და 400-გვერდიანი კრებული „აფხაზეთი, დარღვეული მყუდროება და მიტოვებული საფლავები". 2005 წლისათვის დაგეგმილი აქვს წიგნის- „ჩემი კეთილი მწყემსის" დასრულება და გამოცემა.

ასევე მუშაობს საკუთარი გაზეთისა და ჟურნალის პროექტებზე.

აქტიურად თანამშრომლობს პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან.

ჰყავს მეუღლე, მედეა შალვას ასული ზუხბაია. სპეციალობით ფილოლოგი და ორი შვილი:თამთა და დათა ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქ. თბილისის 39-ე საბავშო ბაგა-ბაღის შენობაში. მისი უპირველესი მიზანია იურიდიული ცოდნის მიღება და ადვოკატურული საქმიანობის დაწყება; პირველ რიგში გაჭირვებულ ადამიანთა თანადგომა და დაცვა.

თავის წიგნში იგი ასე მიმართავს მკითხველს:

ჩემო მკითხველო:

განა არ ვიცი, რომ „ქვეყანაზე ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი", მაგრამ რადგანაც ერთხელ „გაგიჟების" უფლება ყველას გვაქვს, მეც ვსარგებლობ ამ „ლიმიტით" და გულახდილად გიზიარებ ჩემს დამოკიდებულებას ცხოვრებისა და ადამიანისადმი, სიყვარულისა და სიკეთისადმი, სილამაზისა და მშვენიერებისადმი, საკუთარი თავისა და ქვეყნის სატკივარისადმი.

... „ფული! ფული! ფული! მთელი ჩვენი ძალისხმევა, ინტელექტი და გონი მისკენაა მიმართული! დღეს იგი გახდა ადამიანთა შორის ურთიერთობის,პატივისცემის, თანაგრძნობის, მეგობრობის, სიყვარულის განმსაზღვრელი, თითო-ოროლას თუ ახსოვს სამაჩაბლო და აფხაზეთი, არავის ტკივა ქვეყნის სატკივარი, არავის აწუხებს გადაგვარებული ქართველი კაცი და ქალი, არავინ ამჩნევს ყელამდე რომ ამოვიდა სიბინძურე და ჭუჭყი, ამროზიამ შეგვიჭამა სული, ლამის გასკდეს გული... ენა- არა! **სარწმუნოება** - არა! მამული - არა! მაშ რა?- ფული! ამიტომაც შინყარს, აყროლდა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ცხოვრება, მკურნალი კი არა და არ სჩანს, რაც, სხვათაშორის, არცკი გვაწუხებს თავმომწონე, პატივმოყვარე, ბაქია ქართველებს!

თქვენი არ ვიცი, მე კი, ბოლო დროს, ასეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ თითქოს ჩემი ქვეყანა გარდამეცვალა, ჩემთვის იგი მოკვდა! ღმერთმა ქნას, მაგრამ არა მგონია, ეს სიკვდილი კლინიკური იყოს! სხვა რა შეიძლება უწოდო ქვეყანას, თუ იგი თავის კუთვნილ ტერიტორიებს წაღმა-უკუღმა კარგავს, სამხედრო ხარჯები კი მინიმუმამდე დაჰყავს, ქართულ მიწასა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებს უცხოელებზე ყიდის და ხაზინა მაინც ცარიელი აქვს, ხელფასების, პენსიების, დევნილთა სამოწყალო დახმარების გაცემასაც კი ვერა და ვერ ახერხებს...

ამას წინათ, ერთი გაზეთის ბოლო გვერდიდან ასეთი ფრაზა ამოვიკითხე: „ამქვეყნად გმართებს, არ გადასცდე სიფრთხილის კიდეს, მოსავალს შენსას ქვეყნად უნდა უჩუმრად მკიდე, სანამ გაქვს ენა, თვა-

ლები და ყურები გიჭრის, უნდა დამუნჯდე, დაყრუდე და დაბრმავდე კიდეც...“

მთელი ჩემი ცხოვრება ვეურთგულე, ერთი შეხედვით, ომარ ხაიამის ამ უნაკლო სიბრძნეს, მაგრამ შედეგად მხოლოდ ისღა მივიღე, რომ ამჟამად ლუკმა-პურისათვის მუცელზე ხოხვა მიწევს და დღეს თუ ხვალ ალბათ, მათხოვრობაც მომიწევს.

ფაქტია, ვინც დღეს საქართველოში ჩუმად, პატიოსნად ცხოვრობს, ყველას უკიდურესად უჭირს, მეტ-ნაკლებად ყველა მათხოვრობს, რაც არც უნდა გვიკვირდეს, რადგან თვით ის ქვეყანა, რომელშიც ვცხოვრობთ, დიდი ხანია მუხლმოდრეკით ხელებს სხვისკენ იშვერს და მათგან მონყალებას, „ხურდა ფულს“ ითხოვს!

ერთი ჩვენი უცხოელი მეგობრისა არ იყოს:„ მე მაშინებს, რომ ამ ლამაზ და ამაყ ერს, რომელიც განთქმული იყო მსოფლიოში თავისი ინდივიდუალური თვისებებით, გენეტიკურ კოდში არ ჩაუჯდეს ეს დამამცირებელი ჩვევები, მათხოვრობის, სილაჩრის სინდრომი, მაშინ ერის არსებობას საშიშროება დაემუქრება, თორემ გაჭირვება ყველა ქვეყნის ხვედრია“.

უზნეობაა, როცა ამ გაჭირვების ჟამს, ქვეყნის „მამები“ ნამათხოვარს, რომელშიც ჩვენი წილიც დევს, თვითონ ყვლეფენ, ხატოვნად რომ ვთქვათ, გაზისა და ნავთობის „ტრუბები“ მხოლოდ საკუთარ კუჭში გაჰყავთ, ჩვენ კი, ღარიბ-ღატაკნი ამაოდ ველოდებით, თუ როდის გააგდებს „ყვავი“ პირიდან კაკალს...

მართალია, საშინელია, როცა ვერაფრით ანუგეშებ ბავშვობაბანართმეულ შვილებს, ცხოვრებასთან ჭიდილში დაღლილ მეუღლეს, როცა ყოველ ნაბიჯზე გრძნობ პატიოსანი კაცის უადგილობასა და საცოდაობას, როცა ერთდროულად გკბენს სიღარიბე, დევნილობა და ბებერი ვირთხა, მაგრამ გაბოროტებული მაინც არა ვარ. ჩემი სამშობლო, ჩემი ქვეყანა მე განსაკუთრებული სიყვარულით მიყვარს, სხვა ქვეყანაში მაინც არ ვაპირებ ნასვლას, გულში არასოდეს ჩავიდებ სამშობლოს ღალატს. ისე კი, ძალიან მინდა, თანამედროვე ქართველი წინაპარ ქართველს, დღევანდელი საქართველო კი აღმაშენებლის საქართველოს ჰგავდეს და ადამიანთა ურთიერთობა - ერთმანეთისადმი სიყვარული, პატივისცემა მხოლოდ ფულით არ განისაზღვრებოდეს!!!

სწორედ ამიტომ ავიღე კალამი და ფართო მკითხველის სამსჯავროზე გამომაქვს ჩემი და ქვეყნის სატკივარი. იმედი მრჩება, მკითხველი არ იქნება ჩემს მიმართ მკაცრი, თუ გულუბრყვილო და მიამიტური მოეჩვენება ჩემი ნააზრევი...

ნოსტალგია

„ერთხელ პირუტყვიც კი დაიბღავლებს, როცა ბოსელს მოაშორებენ და გაყიდიან"...

ჩვენ კი, მშობლიურ აფხაზეთს, საკუთარ მიწა-წყალს, საკუთარ კერას მოგვაშორეს, გაგვყიდეს...

პირუტყვი ერთხელ მაინც თუ ბღავის, ნუთუ ჩვენ, ადამიანებს, ესეც არ ძალგვიძს?!!!

ნოსტალგია, მშობლიური მიწა-წყლის მონატრებას, შინ დაბრუნების შეუძლებლობის გამო გამოწვეულ სევდასა და უჩვეულო სულიერ ტკივილს ნიშნავს. იგი სნეულებათა შორის ყველაზე უფრო მტკივნეულია და მისგან განკურნება იმ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ, როცა, თუნდაც დიდი რისკისა და მსხვერპლის ფასად, წახვალ და ნახავ, ხელით შეეხები, მოეფერები იმას, ვინც და რაც გენატრება, რაც ცხადსა თუ სიზმარში მოსვენებას არ გაძლევს, ყოველ წუთს თავს გახსენებს და ყველგან გელანდება...

ვწუხვარ, რომ აფხაზეთიდან დევნილი ზოგიერთი ქართველი ამ სნეულებით არ არის ავად. ის კი, ვინც მშობლიური კუთხის სიყვარულით არ ავადმყოფობს, ავადმყოფია ნაღდად!!!

წელიწადზე მეტი ხნის დამთავრებული იყო აფხაზეთის ომი. მე და ჩემმა მეუღლემ, ორი მცირეწლოვანი შვილითურთ, თავი თბილისის ერთ-ერთ საბავშვო ბაღს შევაფარეთ. გამოქცევასაც ნიჭი უნდა, თურმე. აფხაზეთიდან, სხვა რომ არაფერი, საოჯახო ალბომის წამოღებაც კი ვერ მოვახერხეთ.

შიმშილობას, უმუშევრობას, ერთფეროვნებას, სიდუხჭირეს, როგორც დევნილთა უმეტესობა, ასე თუ ისე, მეც შევეჩვიე, მაგრამ ყელზე მოწოლილ ბოღმას, მშობლიური კუთხის მონატრებით გამოწვეულ სევდას, ვერაფრით შევეგუე...

... შუა დეკემბერი იდგა. საკმაოდ ციოდა. თავს ვატყობდი რომ მეტის მოთმენა არ შემეძლო. იმ დღესვე გადავწყვიტე აფხაზეთში, ჯერ მშობლიურ სოფელში, მერე კი პირველ გალში ჩავსულიყავი და ჩემი ბოლო საცხოვრებელი ადგილი, გადაბუგული ბინა, ომის შემდგომ დაბრუნებული მეზობლები მომენახულებინა.

ამ დროს კი აფხაზი ბოევიკები გალის რაიონში ჯერ კიდევ ხოცავდნენ და აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, წვავდნენ და ანადგურებდნენ საცხოვრებელ სახლებს, უსისტემოდ ნაღმავდნენ ყველა შემოსასვლელს. ღამღამობით სოფლებში დაძრწოდნენ სხვადასხვა ჯგუფის ნიღბიანი თუ უნიღბო, ადგილობრივი თუ შემოსული ყაჩაღური

ჯგუფები და უკანასკნელ ლუკმას ართმევდნენ დაშინებულ, დაბეჩავებულ და დამშეულ მოსახლეობას.

სახლში უსინდისოდ მოვიტყუე, საახალწლო ნობათის ჩამოსატანად ორი დღით ზუგდიდში ნათესავებთან მივდივარ - მეთქი.

მეორე დილით ენგურის აქეთა მხარეს, ჩემს სოფელში გადასავლელ ფონთან კოშმარული სიზმრის მაგვარი რამ ვიხილე: დეკემბრის თვის სუსხიან ამინდში, ყელამდე სიღრმის, განიერ, საკმაოდ ჩქარ და ყინულივით ცივ მდინარეში ნახევრად შიშველნი გადიოდნენ და გამოდიოდნენ, გადაჰქონდათ და გადმოჰქონდათ, ზოგს პურის ფქვილი, ზოგს სიმინდი, ზოგს საბანი, ზოგს აკვანი, მათ შორის ბევრი იყო ასაკოვანი ქალი. ყველა ვერ უძლებდა ამ ცოდვის ორომტრიალს და ერთს შუა წყალში უმტყუნებდა მუხლები, მეორეს- ნერვები, მესამეს - ჩქარი მდინარე წაართმევდა ლუკმას და იყო წყეევლა, წივილ - კივილი, მოთქმა, ცრემლები...

- და მთელი დღე ასე, აქედან იქით, იქიდან აქეთ, დასველებული კაბებით, გაწუწული შარვლებით, გათოშილი ფეხებით, აკანკალებული ხელებით, ზოგი ურმით, ზოგი ზურგზე მძიმე ტვირთით, მიდიოდნენ, ზოგი - ზუგდიდს, ზოგიც, ვინ იცის, სად და რისთვის.

მეორე მხარეს სამი ბოევიკი ფხიზლად იცავდა აფხაზეთის „სახელმწიფო საზღვრებს...“ ამაყად მიმოდიოდნენ ისინი სანაპიროს გასწვრივ, მადიანად მიირთმევდნენ საზღვრის „დამრღვევ“ ქართველთაგან აკრეფილ ხარკს. ისინი საღამოს 5 საათიდან დილის 7 საათამდე ტოვებდნენ საგუშაგოებს და ქალაქის ცენტრში იყრიდნენ თავს. დროის ამ მონაკვეთში უფრო მეტად ახალგაზრდა ქალები და კაცები გადადიოდნენ ფონზე. თუმცა, იმდენად შეშინებულნი, დაბეჩავებულნი და დაჩაჩანაკებულნი ჩანდნენ ისინი, რომ ძნელი იყო მათი სქესისა და ასაკის განსაზღვრა, გასაკვირი არც არის, მათ ხომ მშობლიური მიწა წაართვეს, წარსული დაუნგრიეს, აწმყო და მომავალი შეუგინეს, წინაპართა საფლავები შეუბილწეს, ადამიანური თავმოყვარეობა ფეხქვეშ გაუთელეს, კერა მოუშალეს და ოჯახური მყუდროება დაურღვიეს. მათ ხომ საკუთარ თავზე, საკუთარ ოჯახზე, ახლო ნათესავებზე გამოსცადეს ქართველთ მოძულე აფხაზური ფაშისტური სეპარატიზმის ვერაგული, ბარბაროსული, არაადამიანური ქმედება.

მიუხედავად იმისა, რომ მათ ყოველ ნაბიჯზე სიკვდილის, მძევლად აყვანის, დამცირების, ნაღმზე აფეთქების საფრთხე ემუქრებოდათ, ისინი მაინც გადადიოდნენ და ბევრი მათგანი სხვაგან მათხოვრობას საკუთარ მინაზე, საკუთარ სახლში დარჩენას ამჯობინებდა.

ღამის საათებში გადაადგილება ბევრად უფრო საშიში იყო, რადგან

აფხაზები გადმოსასვლელ გზებსა და საცალფეხო ბილიკებს ნაღმავდნენ, რათა მათი არყოფნის პერიოდში მოსახლეობას თხილი, მანდარინი და ლიმონი გასაყიდად არ გაეტანა აფხაზეთიდან.

ნაცნობებისაგან იქ ბევრი უსიამოვნო ამბავი შევიტყე: ცოტა ხნის წინათ აფხაზებს ჩემი ოთხი ახლო მეზობელი სადისტურად მოუკლავთ, ბევრი მძევლად აუყვანიათ, ბევრისათვის ნაღმს ხელ-ფეხი მოუგლეჯია. წინა დღით კი, გადასასვლელზე ჩადებული 8 ცალი ნაღმი ადგილობრივ მცხოვრებლებს ამოუღიათ, ზუგდიდის რაიონში გადაუტანიათ და იქ აუფეთქებიათ. ერთი კვირის წინ ახლო ნათესავების ოჯახს ნიღბიანები თავს დასხმიან, კარგად დამძლარან, ბოლომდის დამთვრალან და ოჯახში მუცლით წასაღების გარდა ვერაფერი რომ ვერ ნახეს, გაბრაზებულან, სახლი დაუწვავთ და გაქცეულან...

... ამასობაში 5 საათიც დადგა. ბოევიკებმა დატოვეს საგუშაგო. შემზარავი ფაქტების მოსმენის შემდეგ, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. წუთით საკუთარი ოჯახი, ფანჯარასთან მომლოდინე, სიცივისაგან გათოშილი, ნახევრად მშიერი შვილები წარმომიდგა თვალწინ. ხვალ საახალწლო ნობათით მელიან სახლში, მე კი შეიძლება ვერც დავბრუნდე უკან. ვის ვუტოვებ ოჯახს? ვინ ააყენებს ჩემს შვილებს ნესტიანი იატაკიდან? ვინ მოუვლის და უპატრონებს მათ, მაშინ როცა ყველას უჭირს, ყველა გადარჩენისა და არსებობისათვის იბრძვის?

... სამჯერ პირჯვარი გადავიწერე, ღმერთს მფარველობა, ოჯახს შორიდან პატიება ვთხოვე და გადამსვლელთა მცირე ჯგუფთან ერთად, ტანგახდილმა, მდინარეში შევტოპე.

ცოტა ხანში უცნაური გრძნობით, უჩვეულო განცდით, შიშნარევი სიხარულითა და ენით აუწერელი ბედნიერების შეგრძნებით ჩემს მშობლიურ აფხაზეთის მიწას ომის შემდეგ პირველად დავაბიჯე ფეხი. იქვე ჩავიმუხლე, მიწას ვემთხვიე და ჩუმად პატიება ვთხოვე, რომ თავის დროზე ვერ დავიცავით, ვერ ვუპატრონეთ, ვერ მოვეფერეთ და მტერს საჯიჯგნად ხელში ჩავუგდეთ!!!

ჩემს სახლამდე არც ისე დიდი მანძილი მქონდა გასავლელი. მთელი გზა ფეხშიშველმა ვიარე. ირგლივ ყველაფერს ომის ნაკვალევი აჩნდა. საშინელი სანახავი იყო გადამწვარი, სახურავახდილი, გაძარცვული სახლები, გაპარტახებული მეურნეობა, მოუვლელი ბაღ-ბოსტნები, ეკალბარდად ქცეული ველ-მინდვრები.

მზე ჩავიდა... მალე ჩემი სახლიც გამოჩნდა. სახლი, სადაც დავიბადე, ფეხი ავიდგი და რომელთაც მთელი ჩემი ბავშვობა, სიჭაბუკე, ბედნიერი წლებია დაკავშირებული. ხელის კანკალით შევაღე ეზოს კარი.

საშინელი სიჩუმე სუფევდა ირგვლივ. არსაიდან არ ისმოდა ერთ დროს ზომაზე მეტად მხიარული სოფლის, ჭირვეული მეზობლების, საქონლისა და ფრინველის ხმა. ისე გასუსულიყო ირგლივ ყველაფერი, თითქოსდა ცხოვრება გაჩერებულიყო, გაყინულიყო.

სახლი ცარიელი დამხვდა. ავეჯის გატანა არ გამკვირვებია, მაგრამ ნემსისა და ძაფის?! ნახმარი შარვლის და კაბის?!

... მთვარიანი ღამე იყო, ეზოში გამოვედი, ღრმად ჩავისუნთქე, ყველა ხე დავკოცნე, ვენახს მოვეფერე, ყველაფერს ხელით შევეხე, ვესაუბრე. რა დამავიწყებს იმ ღამეს, უზომო ბედნიერებას, სიხარულისა და ტკივილის ცრემლებს...

დილით ადრე ავდექი, მამაჩემის ძველმანები ჩავიცვი, თავზე გაცვეთილი ცილინდრი დავიხურე, ზურგჩანთაში ბოთლი არაყი, ცოტა ხილი ჩავაწყვე, ხელკეტი მოვიმარჯვე, ღმერთს ისევ მფარველობა, ოჯახს პატიება ვთხოვე და პირველი გალისკენ გეზი ავიღე.

იქ კი, ყველაზე და ყველაფერზე მეტად ჩემს მიერ ომის წინა დღეებში დარგული თვრამეტი ძირი ჭადრის ხე მენატრებოდა. ოციოდე კილომეტრი, შემოვლითი გზით, ტყე-ტყე, ეკალ-ბარდებში ვიარე და დილის 12 საათისათვის, ქალაქ გალში ვიყავი უკვე, მოხრილმა, ჩქარი ნაბიჯებით შემოვიარე ქალაქის ცენტრი, ბაზარშიც შევედი, აფხაზი ქალისაგან სიგარეტი ვიყიდე. ბოლოს ისე გავთავხედდი, რომ აფხაზური ადმინისტრაციის ადგილსამყოფელიც „დაეჩითე" (ყოფილი რაიკომის შენობა, ჩემი ბოლო სამუშაო ადგილი).

ქალაქი სავსე იყო ბოევიკებით, მილიციის თანამშრომლებით, ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსული აფხაზი, რუსი, სომეხი ეროვნების ვაჭრებით. გიჟური სიჩქარით დაჰქროდნენ ნასვამი მძღოლები, იყო ჩხუბი, გინება, აურზაური. ერთი სიტყვით, ნამდვილი ანშლაგი და ალბათ, ამიტომ შემოპარულ გალელ „მოხუცს" სამართლადამცავებმა „კუთვნილი" ყურადღება ვერ მომაქციეს.

კარგა ხნის ბოდიალის შემდეგ პირველი გალისკენ ვიბრუნე პირი. არხთან, გზის ასახვევში, აფხაზების შტაბი იყო განლაგებული. ერთი კი ვიფიქრე, მეყოფა, უკან გავბრუნდები, მაგრამ ნოსტალგიამ კვლავ გადამძლია.

შტაბთან მიახლოებისთანავე ოთხი შეიარაღებული ბოევიკი გადამიდგა წინ. შიგ შემიყვანეს, გამჩხრიკეს, და მკითხეს. გიჟი ხომ არა ხარ, სად მიდიხარო! პასპორტი რომ ნახეს, დაეჭვდნენ, 40 წლისაც არ ყოფილა, ბებერივით კი გამოიყურებაო. ზურგჩანთაში კარგი ხარისხის სიგარეტი რომ იპოვეს, შეიცხადეს, მაწანწალას გავს ეს შობელძაღლი, უცხოურ სიგარეტს კი ეწევაო. რა ვუყოთ ახლა ამას, სად არის არტურიო

(არტური, ალბათ მათ უფროსი იყო). ბევრი არაფერი მახსოვს რითი და როგორ ვიმართლე თავი, მაგრამ, მგონი, ჩემმა სიტყვებმა (რომლებიც ყოველი შემთხვევისათვის წინასწარ მქონდა დამუშავებული) ჩემდამი სიბრალულის გრძნობა აღძრა მათში. „ბიჭებო, თუ არ მომკლავთ სიკეთეს ვიზამთ, თუ მომკლავთ მაინც შვებაა ჩემთვის. მე ამ ქვეყანაზე არავინა მყავს, არც შვილები და არც ახლობლები, ხვალ-ზეგ შიმშილში და გაჭირვებაში ამომხდებოდა სული, ოღონდ მინდოდა სიკვდილის წინ ერთხელ მენახა ჩემი სოფელი და სხვა არაფერი..."

არ ვიცი, შევეცოდეთ, არ ვიცი, ტყვია დაენანათ ჩემთვის - გამიშვეს. ავუყევი გზას, ვფიქრობ, ალბათ ცოტას მაცლიან და ღორივით გამაგორებენ-მეთქი. ერთი სურვილი მქონდა, ტყვია თავში არ მომხვედროდა, თავის უკანა ნაწილი სულ მიხურდა. გავიარე 50-მდე მეტრი, არავინ მესერის. უკან მიხედვას ვერ ვბედავ. ნაბიჯს ავუჩქარე, ნელი სირბილიც „ვიკადრე" და ამ დროს მოულოდნელად თეთრი ფერის „ვოლგამ", ოთხი გრძელწვერიანი მთვრალი ბოევიკით ჩემს გვერდით დაამუხრუჭა. ესეც ჩემი დასასრული, გავიფიქრე გულში. „ეი, სტარიკ, კტო ზდეს მანდარინი პრადაიოტ?" აქ ახლო-მახლო არავინ ყიდის-მეთქი. „სადის, პადვეზიომ"... გმადლობთ, მე აგერ ამ სახლში ვცხოვრობ, - ვუპასუხე აკანკალებული ხმით. მგონი აფხაზურად შემაგინა და ადგილიდან გიჟური სიჩქარით დაძრა მანქანა. შვებით ამოვისუნთქე და ჩქარი ნაბიჯებით გზა განვაგრძე.

ფათერაკებით სავსე იყო ის ორი დღე, პირველ გალში, ჩემს საცხოვრებელი, გადაბუგულ ბინაში მალულად რომ გავატარე. შემზარავი სანახავი და ძნელად ასატანი იყო ყოველივე, რაც იქ ვიხილე, მაგრამ მაინც უზომოდ ბედნიერი ვიყავი, რომ დიდი ხნის ნანატრი ოცნება - მენახა, მოვფერებოდი აქაურობას, - ავისრულე.

მესამე დღეს კიდევ ერთხელ დავიარე იქაურობა, გამოვეთხოვე ყველას, დავკოცნე ჩემი დარგული ხეები (ყველა „ცოცხალი" დამხვდა), დავასუფთავე არე-მარე. სიურპრიზად კი მეუღლის მიერ მოდუღებული ნახევარლიტრიანი მურაბა, რომელიც სასწაულით გადარჩენოდა ომს, თან წამოვიღე.

შემოვლითი გზით ისევ ქალაქში შევიარე, „სამსახურს" გავუარე, ბაზარში ვივაჭრე, პროკურატურისა და მილიციის შენობას „ვეკეკლუცე".... კულტურის სახლს მშვიდობა დავუბარე და ისევ ტყეს „შევუბერე"... შუა გზაში შემომაღამდა, სოფლისკენ გზა ძლივს გავიკვლიე.

დილის 5 საათზე ჩემს მშობლიურ სოფელს, საკუთარ სახლს გამოვეთხოვე და იმ დღესვე თბილისში ჩამოვედი. მეუღლემ ზურგჩანთა რომ გახსნა, თვალები გაუშტერდა და არაადამიანური ხმით მიყვირა:

„ეს საიდან, როგორ გაბედე!“ თვალებიდან ცრემლები წასკდა და მურაბით ხელში ლოგინზე პირქვე დამხობილმა დიდხანს იტირა.

მას შემდეგ სამი წელინადი გავიდა. ისევ მომეძალა ნოსტალგია, ისევ ამტკივდა, ისევე მომენატრა იქაურობა...

„გამიშვებ, მამიკო, გალში?“ ვეკითხები ერთ საღამოს ჩემს პატარა ბიჭს, „მეც წამიყვანე!“ შენ ვერ წამოხვალ, პატარა ხარ-მეთქი. „მაშინ, ჩემი ველოსიპედი ჩამომიტანე!“ ვერ ვუთხარი, რომ მისი ველოსიპედი აფხაზმა „ძიამ“ თავის შვილს საჩუქრად მიართვა!!!

გულსატკენია, წლები გადიან, ჩვენი შვილების ველოსიპედებს სხვები აზიან, მათ საყვარელ თოჯინებს სხვის გვერდით სძინავთ, სხვები ეფერებიან!!!

აფერუმ, ჩვენს მარჯვენას, ჩვენს მამობას, ჩვენს ვაჟკაცობას!

უძველეს დროში, ერთ-ერთი აღმოსავლური ქალაქიდან მტერმა ჯარი და მოსახლეობა გაყარა. გავიდა ხანი და ხალხმა მთავარსარდალს ქალაქის დაბრუნება მოსთხოვა.

ის კი ორჭოფობდა, ვერ ბედავდა, ვერ რისკავდა... მაგრამ როცა მოისმინა პოეტის სიმღერა, თუ რა ლამაზად ჰყვაოდა ატმის ხეები, როგორ იშლებოდნენ ვარდის კოკრები დაკარგულ ქალაქში, ფეხშიშველა მოაფრინდა ცხენს და ხალხსა და ჯარს შესძახა: მოვიდა დრო ჩვენი ქალაქის დაბრუნებისო... და დაიბრუნეს კიდეც.

თანამემამულენო! ნუთუ არ მოგენატრათ საკუთარი ცა, საკუთარი მიწა, საკუთარი ზღვა. მწვანეში ჩაფლული თქვენი ქალაქი ან მშობლიური სოფლის კოხტა გზა?!

... და თუ მოგენატრათ, ხმა აღიმაღლეთ, სარდალს მიმართეთ!!!

პიანინო

ვუძღვნი ჩემს თანამემამულეებს,
რომლებიც ახალ წელს ფერმებში,
კარავში, ბოსელში, სოლის მერხებზე
შეხვდნენ და არა მარტო მათ

ბედნიერება ყველას თავისებურად ესმის.

ბევრი ჩვენგანი მას ყოვლისშემძლე ფულში, მაღალჭერიან სახლში, კეთილმოწყობილ ბინაში, ინდურ ნოხში, ჩეხურ ჭაღში, უცხოურ ავეჯში, ძვირადღირებულ ავტომობილში, საესე კუჭში... ერთი სიტყვით, უზრუნველყოფილ და უდარდელ ცხოვრებაში ხედავს.

ნაკლებად. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრებისა და სიცოცხლის სილამაზის აღქმით, ბუნებისა და გარესამყაროს მშვენიერების შეცნობით პოულობენ მას.

არიან ისეთნიც, ვინც თვლის, რომ ნამდვილი ბედნიერება მხოლოდ ის არის, როცა გარშემომყოფთ შენი ბოლომდის ესმით, ყველას თუ არა, თითო-ოროლა მაინც არის შენს გვერდით.

... მთელი ჩემი ცხოვრება ვიარე პატიოსანი გზით და ამიტომაც საზოგადოებისაგან უარყოფილი ვარ კეთროვანივით.

ქვეყნიერების დასაბამიდან ასე იყო, ასე არის ახლაც, უეჭველია, ასე იქნება ხვალაც: ფული არა გაქვს? - ვის რაში სჭირდები, ვინ გაგიკარებს ახლოს, მით უმეტეს მე, რომლის მთელ ამჟამინდელ ავლადიდებას აფხაზეთიდან წამოღებულ კედლის სურათი და უფლის ხატი შეადგენს. რაც შეეხება სხვა დანარჩენს, ჩამონერილი კარადებისაგან შეკოწიწებულ ლოგინს, დანჯღრეულ კიდობანს, ოთხ სამკუთხა სკამს, უფეხო მაგიდას, რამდენიმე კოვზს, ორ საინსა და ფინჯანს, ისინი ბაღის გამგის სიკეთის წყალობით გვაქვს.

ვის რას ვერჩი. რატომ ვწუწუნებ, მე ხომ ჩემი ცხოვრების წესით თვითონ გამოვუტანე საკუთარ თავსა და ოჯახს ასეთი მკაცრი განაჩენი და მუდმივი სასჯელი.

იქ, აფხაზეთშიც არ გვილხინდა, მაგრამ იმას კი ვახერხებდით, რომ ჩვენს ქალიშვილს მუსიკალურ სკოლაში ევლო და იქიდან დაბრუნებულს პიანინოზე დაკვრა ოჯახში განეგრძო. აქ ჩამოსვლის შემდეგ კი ეს ფუფუნებაც წაგვერთვა, მაგრამ კეთილ ადამიანებს რა გამოლევს, ბაღის კუთვნილმა პიანინომ დროებით ჩვენთან დაიდო ბინა.

იმ დღეს, ჩვენს ოჯახს, საყვარელი, თეთრკბილება, შავგრემანი წევრი შეემატა, მოვეფერეთ, მოვეალერსეთ, მოვესიყვარულეთ, კარგადაც „დავბანეთ", კიჭებიც „გავუწმინდეთ" და მანაც მაშინათვე ამოიღო ხმა.

ოჯახში შემოსვლისთანავე, კარებთან პირველი იგი გვხდებოდა, თითქოს ჩვენს მოსვლას დიდი ხანი ელოდა და დაგვიანებისათვის გვსაყვედურობდა, კლავიშების ახმიანებით ტკივილებს გვიქრობდა, ჭრილობებს გვიშუშებდა, დუხჭირ ცხოვრებასა და მომრავლებულ პრობლემებს დროებით გვავიწყებდა, დაღლილობას გვიხსნიდა, მშობლიურ აფხაზეთს, კეთილ სამურზაყანოს, გადამწვარ სოფელს, არაკაცთა მიერ ნახშირად ქცეულ ბავშვობის სახლს, ჩამქრალ კერას ხშირად გვახსენებდა.

როცა თამთა „წელიწადის დროთა" დაკვრას იწყებდა უნებლიეთ ფანჯარასთან ვდგებოდი, მუსიკის ჰანგებს მშობლიურ კუთხეში, ჩემს

მეხსიერებაში დარჩენილ მოგონებებს ახლო წარსულში გადავყავდი:

„... ჩემს სოფელში გაზაფხულია, მას თავისი მშვენიერი, ლამაზი, კოხტა კაბა ჩაუცვამს. ატამს, მსხალსა და ტყემალს, კომშსა და ვენახს, ნაზი ყლორტები ოდნავ გაუშლიათ, ირგვლივ ბუნება იღვიძებს, ღრმად ვყნოსავთ მის სურნელებას, ვიწყებთ ხვნასა და თესვას, ვესიყვარულებით მოხნული მიწის ოხშივარს, ვუვლით ბაღსა და ბოსტანს, ორღობეებში ვეფერებით მორცხვად ამოსულ იებს, გავრბივართ მდინარეზე, ვიჭერთ ტლანქ კიბორჩხალასა და მთვლემარე თევზს... "

„.... ახლა კი ზაფხულია, ვეხმარებით მოხუც მშობლებს, თან ვისვენებთ, მონაცვლეობით ვბანაობთ ენგურსა და შავ ზღვაზე, ფეხშიშველა დავრბივართ მინდვრის დილის ცვარზე, საღამოს კი სიცხის გამო გარეთ გვძინავს მუთაქიან ძველ ხის ტახტზე... "

„... აგერ შემოდგომაც კარს მოგვადგა, მოსავალს ვიღებთ, ყურძენს ვკრეფთ, ჩ ურჩხელებსა და ნაზუქებს თავს დავტრიალებთ, ხილს მივირთმევთ, ჭურის თავზე ადესის მაჭარს ჭყინტ სიმინდს და თხილს ვაყოლებთ. მამაჩემი ქუდმოგლეჯილ მეზობლებთან გარბის, ქალაქიდან სტუმრები მყავსო, გახარებული დადის, მოკლე ხანში დედაჩემი მეგრულ ღომს, შემწვარ წიწილას, ახალამოყვანილ სულგუნსა და პიტნიან ყველს გვთავაზობს. ვახშმად ბიცოლა და ბიძაჩემი ორფენიანი ხაჭაპურებით, კამეჩის ცივი მაწვნით, პიმპილიანი ცხარე სალათით გვაწონებენ თავს. არც მეზობლები ხუჭავენ თვალს, ზოგი ელარჯს, ზოგი საცივს, ზოგიც რძით მოხარშულ თიკანს გვთავაზობს, ბორის შარია კი ყველას „ჯოკრავს", დილით ადრე ნანადირევ, „ხოშიან" ბაჟეში ჩაწყობილ მწყერზე გვპატიჟობს... "

„... ზამთარიც მობრძანდა. ხეები იხუნძება ლამაზი, ფაფუკი თოვლით. ეზოში ვგუნდაობთ, ვგორაობთ, ვთამაშობთ, ვერთობით ყველანი ერთად. აქ არის ჩემი საყვარელი ფინია ძაღლიც. არ გვეშინია ყინვის, არ გვეშინია სიცივისა და არც გაციების, რადგან სადილად კუპატი, შაშხი, შებოლილი ყველი და მამაჩემის გამოხდილი ჭაჭის „ოტკა" გველის... "

პიანინოზე თამთა ამთავრებს დაკვრას და მეც ვეთხოვები ტკბილ მოგონებებს, ვუბრუნდები საკუთარ თავს, ჩვენს რეალობას.

ფანჯარას ვერ ვშორდები, რადგან არ მინდა ჩემმა შვილებმა, ჩემმა მეუღლემ ჩემ თვალებში ცრემლები ნახონ.

მეოთხე წელია ჩვენს ოჯახში პიანინო უკრავს, მეოთხე წელია დრო და დრო გვახსენებს მშობლიურ კუთხეს, მეოთხე წელია მოწმეა ჩვენი დუხჭირი ცხოვრების, მეოთხე წელია რაც იგი ახლობელ ადამიანებზე უფრო მეტ სამსახურს გვიწევს. ამიტომაც მე და მეუღლემ გადავწყვიტეთ საჭირო თანხისათვის თავი მოგვეყარა, რათა ჩვენი მეგობარი

შეგვესყიდა და უკან დაბრუნებისას თან „წაგვეყვანა“.

საკმაო ხანია ჩემი მეუღლე ბაზარში ზის და საკუთარი ჯანმრთელობის ფასად ლუკმა-პურისათვის, ოჯახისა და შვილებისათვის ქანცგაწყვეტილი იბრძვის. საღამოობით საშინლად დაღლილი ბრუნდება სახლში და მაშინათვე ლოგინისკენ მიაქვს თავი.

ერთხელ ისეთ დროს შეგვესწრო, როცა ოჯახის „ტრიო“, პატარა დათას პაწია თითების ჩათვლით, პიანინოზე ვუკრავდით და თან ვმღეროდით. დედიკო დაღლილი სულაც არ ჩანდა, თვალებში სიხარულის ნაპერწკლები უციმციმებდა, გამომიტყდა და მითხრა: „როცა სახლს მივუახლოვდი და პიანინოზე თქვენი სიმღერა მომესმა, დაღლილობამაც გამიარა“.

ეს საიდუმლო მეორე დღესვე თამთას გავანადე. პატარა ეშმაკობა ვიხმარეთ, ჩვენი „რეპეტიციები“ დედიკოს მოსვლას დავამთხვიეთ... მას შემდეგ დედიკო და ჩვენ ერთდროულად ვწვებით.

გუშინ ასეთი იდეაც კი მომივიდა თავში, ახალი წელი მოდის, იქნებ ოჯახის წევრებმა პატარა კონცერიტით დედიკოს მოულოდნელი სიურპრიზი მოვუწყოთ, ახლობლებიც დავპატიჟოთ, ბებია და ბაბუაც გვესტუმრება ალბათ, პიანინოს თანხლებით ხომ შეიძლება ახალი წელი მათ მოვულოცოთ.

... დილით სამსახურში ვარ და საახალწლო საღამოზე ვფიქრობ, თან საკონცერტო პროგრამას მონდომებით ვადგენ...

ამ დროს, თურმე, სამ უცნობ მამაკაცს ჩემი ოთახიდან პიანინო გააქვს...

საღამოს ვბრუნდები სახლში, კარებთან არ მხვდება ჩემი მეგობარი, ჩვენი ოჯახის მეხუთე წევრი.

მეუღლე ლოგინზე პირქვე წევს, თამთა შეშის ღუმელში ნაცარს აწვალებს, დათუნა კი კუთხეში თავდაწეული დგას და თვალცრემლიანი მიშტერებია პიანინოს ადგილზე დადებულ სამკუთხა სკამს.

გარეთ კი ლამაზად, მაგრამ ჩვენთვის ულამაზოდ თოვს. ჩვენი პიანინო ჩვენს ზემოთ, მეორე სართულზე ბნელ ოთახში უხმაუროდ, ჩუმად, მოწყენილი დგას და არ იღებს ხმას.

გარეთ კი თოვს. ახლა, ალბათ, ჩემს ფერფლად ქცეულ ბავშვობის სახლს, გაშიშვლებულ ბუხრის თავზე შავ მოღუშულ ყვავს, მოწყენილ ხეებს, გადამწვარ სოფელსაც ათოვს, ალბათ ათოვს სოხუმს, ოქუმს, გაგრას, გულრიფშს, ტყვარჩელს, ოჩამჩირეს და გალს...

ცივა, ყინავს, თოვს. ჩვენს ოთახში ტკივილნარევი სიჩუმე სუფევს. კედელზე სურათი ჰკიდია, მაგიდაზე უფლის ხატი დევს.

ყველანი მივჩერებივართ კუთხეში მბჟუტავ შეშის ღუმელს.

გარეთ კი ლამაზად, მაგრამ ჩვენთვის ულამაზოდ თოვს!!!

მშვიდად ძინავს თამთას და ლამაზ სიზმარს ხედავს, ვითომ თოვლის ბაბუას საახალწლო საჩუქრად პიანინო მოაქვს...

... პატარა დათას პატარა კუტუ ხელში უჭირავს და ბნელ ოთახში ღამის ქოთანს დაეძებს. საცაა გათენდება და ახალი წლის უშუქო და უხალისო ღამეც ამით დასრულდება.

P. S. მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. პიანინოზე დაკვრა თამთას თითქმის დაავიწყდა...

ვერ გამოჩნდა კეთილი „თოვლის ბაბუა“, ვინც მას პიანინოს, თუნდაც ძველსა და ნახმარს, საჩუქრად მოუტანდა...

პატარა დათას კი, პატარა კუტუ, მართალია, დიდი გაუხდა, მაგრამ იატაკიდან ლოგინში, საბავშვო ბაღიდან საკუთარ ბინაში მაინც ვერ გადაინაცვლა. ღარიბ ბავშვობას, რა ქნას, შეეგუა.

რაც შეეხება მის წითელს ველოსიპედს, რომელიც გალში დარჩა. ამჟამად არც კი ახსენდება და არც ადარდებს...

ასე ვკარგავთ ჩვენ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს აფხაზეთს!!!

კონსტანტინე ტერენტის ძე შარია



დავიბადე 1936 წ. 15 ნოემბერს გალის რაიონის სოფ. თაგილონში. 1954 წელს დავამთავრე ქვემო ბარღების საშუალო სკოლა ოქროს მედალზე და ჩავირიცხე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე. 1959 წელს დავამთავრე ინსტიტუტი წარმატებით და განაწილებით ვმუშაობდი ქ. ტყვარჩელის შახტებში და 1968 წელს დამნიშნეს ტყვარჩელის №6 შახტის მთ. ინჟინრად. პარალელურად ვსწავლობდი მოსკოვში სკაჩინსკის სახელობის სამთო ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1972 წელს დავიცავი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1973 წელს დამნიშნეს ტყვარჩელის №3 შახტის დირექტორად, ხოლო 1976 წელს – ტყვარჩელშახტმშენის სამმართველოს უფროსად.

1983 წელს გადამიყვანეს ქ. სოხუმის გაერთიანებული №1 სამშენებლო სამმართველოს უფროსად, სადაც ვმუშაობდი სოხუმის

დაცემამდე.

მყავს მეუღლე, ლიდა ივანეს ასული კოსტენკო, სამი ვაჟიშვილი და 6 შვილიშვილი.

ვარ საქართველოს და აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი, მაქვს მთავრობის ჯილდოები, ამჟამად ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი.

სოხუმში ჩემი ხელმძღვანელობით აშენდა მთავრობის სახლის მაღლივი კორპუსი, რადიოსა და ტელევიზიის სასახლე, აფხაზეთის უნივერსიტეტის შენობა, ბეჭდვითი კომბინატი, პოლიტგანათლების სასახლე, მრავალი საკურორტო და საცხოვრებელი სახლი.

მამაჩემი და მისი ძმები დაიღუპნენ დიდ სამამულო ომში და არავინ დარჩა ლოცვა-კურთხევის გამგრძელებელი. ამიტომ ბაბუამ, გვადი ტიმოთეს ძე შარიამ 1946 წელს ფეხით წამიყვანა სოფ. ლიხნში და იქ ეკლესიაში შეევედრა ღმერთს რომ მე გავენთავისუფლებინე ლოცვა კურთხევის წარმოებისაგან.

ელისო კლიმენტის ასული შარია



ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დაბადებული 1953 წელს. სიგიჟემდე უყვარს თავისი მშობლიური სოფელი თაგილონი.

წერს ლექსებს, მოთხრობებს, ესეებს, პუბლიცისტურ წერილებს, მაგრამ მწერლის ან პოეტის „სტატუსის“ არანაირი პრეტენზია ჯერჯერობით არა აქვს. მიუხედავად ამისა, გადავწყვიტეთ გავაცნოთ მკითხველს ზოგიერთი მისი ნაშრომი, თან ბოდიშს ვუხდით მას, რომ ამას მისი ნებართვის გარეშე ვაკეთებთ. ძალიან გვინდა პატარა სიურპრიზი გავუკეთოთ გულდაკოდილ დედას, გამწარებულ ქალს, მეუღლე გარდაცვლილ ქვრივს, რომელიც ბაღდათში რის ვაი-ვაგლახით უვლის ორ ობოლ შვილს, მამის ნუგეშს და მოფერებას მოკლებულ გიგასა და ინგას...

„რაც მტრობას დაუნგრევია“...

ახალი წელი ახლოვდებოდა. ენგური ისევ საზღვრად რჩებოდა მტრულად განწყობილ ორ ძმას შორის. მოხუც ბებიას მონატრებია გადახიზნული შთამომავლობა ენგურს გამოღმა. მხარზე ხურჯინით

შეუტოპია მდინარის ჩქერში ყოფილა თქეში და როცა იყო იგი ამ დღეში, ადიდებულა ენგურის წყალი და წაულია ტალღებს საწყალი.

იქვე, ნაპირზე მდგარა აფხაზი სახით მრისხანე და გულით ნაზი. დავიწყებია წუთით ყოველი: მტრობა, შური და თუნდაც რჯული (ალბათ ხედავდა შორეულ ლანდებს), მყისვე შებმია მრისხანე ტალღებს...

რომ მორევია... ჩვენი ბებია ჩვენ დაგვიბრუნდა ბავშვებს.
დღესაც ჩიფჩიფებს ბებია
აფხაზს რომ უშველებია,
„რაც მტრობას დაუნგრევია
სიყვარულს უშენებია“.

ჩემი ოცნება

რა უსაზღვროა ოცნების ხე! იმ მშვენიერ დილას ჩიტების ჭიკჭიკი იკლებდა არემარეს -რა ბედნიერია ჩიტი! გავივლე გულში და რაღაც მონატრება აფორიაქდა სულში.

„ნეტავი ჩიტად მაქცია“ – გავიმეორე წინაპრის ნათქვამი. მშურდა. შემშურდა ჩიტის-ჩიტმა არ იცის მტრობა, შური, ქვეყნის საზღვარი. დიახ, მიჰქრის, მიფრინავს სადაც სურს. ვინ დააკავებს საზღვარს გადასულს?! (რა იცის ჩიტმა, მიფრინავს ჩიტი) ოცნებაში მეც ავიღე საფრენი სიმაღლე. გეზი მივმართე დედულეთისკენ; რომ გადავლახე წყეული საზღვარი, იქ დავინახე მე მტრის ნაქნარი საქმე ამგვარი:

სამურზაყანო - ნუთუ არ ნანობს გონება კაცისა, ცეცხლს რომ მისცა საუკუნეების მონაპოვარი. ველარ ვიცანი ქალაქი გალი... ღმერთო, სად არის აქ სამართალი?! დამეწვა გული როცა ვიხილე გადაბუგული. ერთ დროს ლამაზი ქვეყნის ეს მხარე.

- ღმერთო, რატომ მოუვლინე ასეთი რისხვა მკვირცხლ სამურზაყანოელს, საკუთარ მინას, წინაპრის კუბოს ფიცარს დღეს რომ ვერ იცავს?!

გავაფართოვე მე ფრენის არე და მოვიარე ყველა ის მხარე სიზმარივით რომ მახსოვდა გუშინ.

დღეს კი ვიკრავდი გულში შავი ზღვის ტაღლებს. ის მიყვებოდა ამბებს, გასული წლების იმ სისხლის ღვრის, მოწმე რომ გახდა ორ მოძმე ხალხთა შორის ომის.

ფრენით მივყვები მე ზღვის ნაპირებს, თან შევპუებივარ მრისხანე ფიქრებს. აგერ გამოჩნდა მზით მოოქროვილი გაგრა. გულმა დამიწყო ფანცქალი - სწორედ აქ არის დაღვრილი ქართველთა სისხლი..

გავისწორე ფრთები, აქ მეგულება ჩემი ბები. რომ არ მოუხრია ქედი ცხოვრების სიმუხთლეს. დღესაც ქართველთა შინ დაბრუნების მოლოდინით ცოცხლობს. მარტოხელა... და მე დავუბრუნდი მას გალის თავზე. მყის ავყურტულდი მე მრავალ ხმაზე. ბებიას თავი სიზმარში ჰგონებია, მოიფშვნიტა თვალები უმალ... მეც მოვიწმინდე ცრემლი. იდუმალ გაქრა ფიქრები და მომეკვეცა ფრთები.

ჟიული შარტავას ხსოვნას

„მე დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზი და ქართველი, ქართველი და აფხაზი ისევ იცხოვრებენ; ვალდებული არიან იცხოვრონ ერთად“

აფხაზეთს შეწირულო,
უცოდველო ტარიგო,
იქნებ აღდგე მკვდრეთით და
იქნებ კვლავ დაგვარიგო.
აფხაზებს და ქართველებს
ქართველებს და აფხაზებს
ვინც არ უსმენს, უფალს და
ისევ მტრობას აგრძელებს.
ეინც რომ კალდებული ვართ
ვისაც რომ შეგვიძლია
ვისაც გამოვეცლია,
მტრობით რაც რომ გვიწვნია,
ვიცი წაგცვა ურყევი
რწმენა, ერთად ყოფნისა
ვიცი იქაც გაწუხებს
ბედი ჩვენი მოდგმისა.
აფხაზეთს შეწირულო,
უცოდველო ტარიგო,
მჯერა გტკივა იარა
გულში რომ გაგიარა.
მხურს დაგადო მალამო
სამკურნალო, საამო.
მჯერა მე მომავლისა,
დღის ნათელის, ხვალისა!

ორდენი აკაკის ძე შარია



ორდენი აკაკის ძე შარია დაიბადა 1923 წლის 27ივნისს გალის რაიონის სოფელ თავილონში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1942 წელს (სოფ. ოქტომბაიაში). 1943 წელს ჩაირიცხა ქ. სოხუმის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც 1948 წელს დაამთავრა. იმავე წელს განაწილებით დაიწყო მუშაობა გულრიფშის რაიონ სოფელ ადარა არმიანს კაიაში მასწავლებლად, სადაც ოთხი წელი დაჰყო. 1953 წელს დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და დაიწყო მუშაობა თავილონის უდაბნოების სახელობის კოლმეურნეობის საწყობის გამგედ, თან 7 წლის მანძილზე იყო კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნად. ორდენი შარიამ საწყობის გამგედ იმუშავა 1953 წლიდან 1993 წლამდე.

გარდაიცვალა 2003 წელს. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ თავილონში.

ბიქტორ ერასტოს ძე შონია



ბიქტორ ერასტოს ძე შონია აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების ჩამყარების ერთერთი აქტიური მონაწილეა. იგი დაიბადა სოფელ თავილონში, ღარიბი გლეხის ოჯახში, სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ზუგდიდის დაწყებით სასწავლებელში.

1916-1917 წლებში პ. ე. შონია იყო არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და შეუდგა ბოლშევიკურ პარტიაში პავლე ძიგუასთან, სხვა რევოლუციონერებთან ერთად.

1918 წელს რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის მენშევიკებმა დააპატიმრეს, მაგრამ შესძლო გაქცევა, იმყოფებოდა არალეგარულ მდგომარეობაში, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქ. ზუგდიდის პარტიულ მუშაკებთან და ირიცხებოდა რა მებრძოლ რაზმებში, აწარმოებდა ენერგიულ ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან ბიქტორ ერასტოს ძე შონია იყო ხელმძღვანელ ორგანოებში დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში.

1931 წელს იგი არჩეული იქნა ამიერკავკასიის ცაკის წევრად. მუშაობდა პარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად. რეპრესირებული იყო 1937 წელს.

ბიქტორ შონიას გარდაცვალების შემდეგ დარჩნენ მეუღლე ქალბატონი დონი ქარდავა და ორი ვაჟიშვილი, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ.

ამჟამად ბიქტორის ოჯახიდან ცოცხალი არიან რძალი და ერთადერთი შვილიშვილი მანანა შონია-სიხარულიძე. ეს უკანასკნელი გათხოვებასთან დაკავშირებით თბილისიდან საცხოვრებლად გადავიდა ქ. ბათუმში და იქ ცხოვრობს ქმარ-შვილთან ერთად.

თბილისში ერთადერთი რძალი ვენერა ქორჩილავა-შონიაა, რომელიც თავის მეხსიერებაში მყარად ინახავს თავისი ოჯახის დამფუძნებელთა დაუვიწყარ ხსოვნას.

მიხეილ ბაგრატის ძე შონია



მიხეილ ბაგრატის ძე შონია 1931 წლის 4 აპრილს დაიბადა გალის რაიონის სოფ. თაგილონში, გლეხის ოჯახში.

1945 წელს წარჩინებით დაამთავრა თაგილონის არასრული საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო გალის №1 საშუალო სკოლაში. სამამულო ომში მამის დაღუპვისა და დედის ავადმყოფობის გამო გადავიდა ნაბაკევის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1949 წელს.

1950 წელს ჩაირიცხა მ. გორკის სახელობის სოხუმის პედინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის რუსულ სექტორზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1954 წელს და მუშაობდა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად 19 წლის განმავლობაში. პარალელურად ხელმძღვანელობდა გალის რაიონის სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას 13 წლის განმავლობაში. იყო რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური გაზეთების შტატგარეშე

კორესპონდენტი, საზოგადოება „ცოდნის“ აქტიური წევრი. მის მიერ დაარსებულმა კლუბმა, დანერგილმა მეთოდებმა, გაკვეთილებზე და მის გარეთ

შემუშავებულმა მეთოდ-ხერხებმა 100-მდე თაგილონელს მისცა საშუალება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მიღებისა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. მისმა მუშაობამ მაღალი შეფასება მიიღო მაშინდელი სსრკ-ს მასშტაბით, რისთვისაც მ. ბ. შონია 1970 წელს ლენინგრადში დაჯილდოვდა პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, განათლების სამინისტროსა და საკაეშირო პროფსაბჭოს ფულადი პრემიით, დიპლომითა და სიგელით.

1970-1971 წელს იგი მიავლინეს მიზნობრივ ასპირანტურაში. 1973 წელს 15 მაისს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში, რის შემდეგ კითხულობდა ლექციებს ძირითადად ლინგვისტურ დისციპლინებში თელავის, ბათუმის პედინსტიტუტებში, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო მისი ეროვნული შეუთავსებლობის პრინციპით გახლეჩვის შემდეგ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში.

სოხუმის დაცემისა და მინაზე აფეთქების შედეგად დარჩა II ჯგუფის ინვალიდად. დევნილს მძიმე პირობებში მოუხდა ცხოვრება, მაგრამ მაინც წარმატებით აგრძელებს მუშაობას თ. ს. უ. ზუგდიდის ფილიალში დოცენტად, სექტორის გამგედ, პროფესორად, კათედრის გამგედ. 1997 წლის 27 ნოემბრიდან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია. არის 80-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის –7 მონოგრაფიისა.

დაჯილდოებულია ორი მედლით (წარდგენილია „ღირსების ორდენით“ დაჯილდოებაზე), მრავალჯერ აქვს მიღებული მადლობა, ფულადი ჯილდო უმაღლესი სკოლების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების ხელმძღვანელობისაგან.

მ. ბ. შონიას ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

მეუღლე – ტორო (ტატიანა) ანდრიას ასული კვიტია არის უმაღლესი განათლებით. იგი მუშაობდა თაგილონის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად 40 წლის განმავლობაში. იყო და არის შრომისმოყვარე, აქტიური საოჯახო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. შვილების მოსიყვარულე და კარგი ადამიანი. მეუღლეს ხელს უწყობდა სამეცნიერო მუშაობაში.

შვილები: მაყვალა მიხეილის ასული შონია–აფხაზეთის უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული. მუშაობს ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

ნინო მიხეილის ასული შონია– აფხაზეთის სახელმწიფო უნივე-

რსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული. ამჟამად ექიმ-ლაბორანტი. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

დევი მიხეილის ძე შონია–აფხაზეთის უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თ. ს. უ. სოხუმის ფილიალის დოცენტი, პრეზინენტის სტიპენდიანტი. ჰყავს მეუღლე –სოფიკო ნუგზარის ასული სართანია, სპეციალობით ექიმი.

ვალიკო შონია

ბიქტორ და ვალიკო შონიები, რომლებსაც ჰყავდათ 4 და (რომლებმაც შექმნეს პატიოსანი, მშრომელი ოჯახები, დარჩათ შესანიშნავი შთამომავლობა. ერთ-ერთს, ახალგაზრდას, 37 წელს მეუღლე გადაუსახლეს - მარტომ დაზარდა 5 ღირსეული შვილი), დაიბადნენ გალის რაიონის, სოფ. თაგილონში, საკმაოდ ძლიერი გლეხის ოჯახში, სადაც გაბატონებული იყო ქართული ტრადიციები - უფროს-უმცროსობა, ღრმა პატივისცემა, მოკრძალება ოჯახის უფროსისადმი, ქალისადმი. ოჯახში, სადაც სადილ-ვახშამი იყო რიტუალური (სანამ ოჯახის თავი არ დაბრძანდებოდა, დანარჩენები თავს უფლებას არ აძლევდნენ დაეწყოთ სადილი, ყველას მიჩნეული ჰქონდა მაგიდასთან თავისი ადგილი უფროს-უმცროსობის მიხედვით და სხვა...) ოჯახში, სადაც მშობლების ურთიერთდამოკიდებულება, ღრმა პატივისცემა (სასიყვარულო სახელებით მიმართავდნენ ერთმანეთს) იყო გაკვეთილი, მაგალითი ირგვლივ მყოფთათვის.

ჰყავდათ „მოჯამაგირეები“ (როგორც მაშინ უწოდებდნენ და მათთან საკმაოდ თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ), მაგრამ არც მამა თაკილობდა შრომას. შაბათ-კვირას კი გამოეწყობოდა თეთრ ჩოხა-ახალუხში და თუ წასასვლელი არ იყო სადმე, ან სტუმრებს არ მოელოდა თავისი მამულის წინ, ე. წ. „შუკაში“ სეირნობდა ხოლმე...

სახლის წინ ჰქონდათ ძალიან ფართე და გრძელი შესასვლელი ეზო, სადაც ხარობდა უცხო ხე-მცენარეები, გამორჩეული ყვავილები, ხეხილი (ზოგი მათგანის თესლებს საზღვარგარეთიდან იწერდა ხოლმე). ათასნაირი ყვავილით მოქარგული ცოცხალი ღობე უვლიდა გარს სახლს... იქაურობა წალკოტს ჰგავდა...

... მაგრამ მამა ადრე გარდაეცვალათ... ვალიკოს სიჭაბუკიდანვე ჰქონდა ოჯახისადმი პასუხიმგებლობის გრძნობა; სიყმაწვილიდანვე სწავლას და შრომას უთავსებდა ერთმანეთს. ჯერ კიდევ სრულიად ყმაწ-

ვილი მუშაობდა ზუგდიდის რედაქციაში, მეგრული გაზეთის ე. წ. „ყაზახიში გაზეთი“-ს გამომცემლობაში, შემდგომ - ხობში, რაი-ფინგანის საფინანსო-ადმინისტრაციული განყოფილების გამგედ, სოხუმის კელასურის სასოფლო-სამეურნეო ტენიკუმის ბუღალტრად და პედაგოგად, აფხაზეთის კინოფისკაციის სამმართველოს უფროს რევიზორ-ბუღალტრად, და ბოლოს, თბილისში ადგილობრივი მრეწველობის მთავარ რევიზორ-ბუღალტრად...

გადაურჩა 37 წლის რეპრესიებს (ბრალს დებდნენ ძმასთან მჭიდრო ურთიერთკავშირსა და თანამშრომლობაში, დაეხმარნენ სპირიდონ შარია და სხვები), მაგრამ კომუნისტების რეჟიმს მაინც ვერ გადაურჩა და უსამართლოდ იჯდა 7 წელი. 4 წელი შეიწყალეს (სულ 11 ჰქონდა მისჯილი). გამოსვლის შემდგომ იბრძოდა უდანაშაულობის დასამტკიცებლად და გაამართლეს, მოუხსნეს ნასამართლობა.

ჰყავდა საყვარელი მეუღლის (რომელთან ერთად 16 წლის გაიპარა და დაქორწინდა) ლენა მანია-სექანია, ყოფილი მდიდარი მემამულის, მაგრამ იმხანად ღარიბი ოჯახიდან(რადგან მას, ძალიან პატარას ქოლერით დაეხოცა მშობლები და მეურვეებმა, გარდა ტყე-მამულებისა, რომლებიც შემდგომ კომუნისტებმა წაართვეს, მთელ ქონება „შეუჭამეს“...)

ვალიკოს მეუღლე მხარში ედგა გაჭირვების ჟამს, თვითონ გადაიტანა უქმრობის სიმწარე და შვილებს, თითქმის არაფერს აკლებდა... ვალიკოსთვის ოჯახი იყო ერთადერთი ნავთსაყუდელი და მეუღლეს ღრმა პატივისცემით, სიყვარულით ექცეოდა. ბოლომდე იცხოვრეს ურთიერთგაგებით და სიყვარულით, რაც დღეს ასე იშვიათია...

... ვალიკო იყო უაღრესად კეთილშობილი, ინტელექტუალური, ვაჟკაცური, მიმტევებელი, საკმაოდ კოლორიტული პიროვნება. მეუღლეც სათნო, უკეთილშობილესი, მაგრამ თავისებური პიროვნება, რომელსაც არ უყვარდა ემოციებით, ღრმა გრძნობების აშკარად გამოხატვა ძალიან ფაქიზი გრძნობების მატარებელი, თავდადებული ოჯახისადმი, შვილებისა და შვილიშვილებისადმი, რომელთა დიდი სიყვარული გაჰყვა საფლავში...

... ვალიკოს არ შეეძლო არ გამოეხატა თავისი გრძნობები, სიყვარული, ახლობლებში, ნაცნობ-მეგობრებში, და განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც კი უმუშავნია, რისთვისაც მათგანაც უდიდეს სიყვარულსა და პატივიცემას იმსახურებდა. მისი დევიზი იყო -„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“, შეეძლო უკანასკნელი გაეცა...

... იყო ცოტა რომანტიკულიც, სენტიმენტალურიც, უყვარდა წიგნები, ბევრს კითხულობდა, ჰქონდა საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა.

თავისთვის წერდა ლექსებს (როგორც თითქმის ყველა ქართველი).

... სამწუხაროდ, დაიკარგა საქაღალდე თავის დოსიესა და ლექსებთან ერთად, აზნაურობის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც 90 წლის დედამ – კესა (კესარია) აბლოთიამ, სიკვდილის წინ დაუტოვა იმ იმედით, რომ მოვიდოდა მაგისი დროც, რაც მაშინ სასაცილოდ არ ყოფნიდათ ოჯახის წევრებს. 90 წლის დედა, რომელიც სიკვდილის ბოლო დღემდე წელგამართული დადიოდა მრავალრიცხოვან შვილებსა და შვილიშვილებში, და იმედი ჰქონდა ბიქტორი ცოცხალი დაბრუნდებოდა, როგორც კი გაიგო, ცოცხლებში არ იყო მისი ბიქტორი, სრულიად ჯანმრთელი ქალი, რომელსაც სერიოზული ავადმყოფობა არასოდეს განუცდია, იჯავრა და ერთ კვირაში გარდაიცვალა დარდით...

... ვალიკო და ლენა შონიები დაიბადნენ 1911 წელს და გარდაიცვალნენ ერთად 1973 წელს 62 წლის ასაკში. განისვენებენ ჩემს უმცროს ძმასთან, ბონდოსთან ერთად საბურთალოს სასაფლაოზე.

დარჩათ შვილები (რომელთაც ორი თვალის ჩინს ეძახდა ვალიკო) ნათელა და ბონდო შონიები, რომელთაც აქვთ ჩვეულებრივი ქართული ოჯახები. სიძე ბიჭიკო გაბუნია, რძალი ლამარა ქავთარაძე, რომელთაც ჰყავთ სამ-სამი შვილი, რუსუდანი, ნუგზარი, სოსო, ნანა, მაია ზურიკო და შვილთაშვილები (რომელთაც ვერ მოესწრნენ)...

... გაჰყვათ უდიდესი სიყვარული შვილიშვილებისა, რომელნიც დღემდე აღმერთებენ ბებიასა და ბაბუას, და მაგალითია ისინი მათთვის...

პატივისცემით,

ნათელა შონია-გაბუნია
11. 09. 2002 წ.

აკაკი კელუცას ძე შონია

„... ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ, შეიძლება, ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს...“

ძვირფასო მკითხველო!

გთხოვთ თქვენი ყურადღება და გონი განსაკუთრებით დაძაბოთ და ბოლომდე გაითავისოთ წინამდებარე წიგნის მომდევნო პერსონაჟის, ჭეშმარიტი გმირის, მისი ოჯახისა და შთამომავლობის ბედ-იღბალი, წარსული, აწმყო და მომავალი.

თქვენს წინაშეა უღალატო მამულიშვილი, 32 წლის ასაკში სა-



მამულო ომის ველზე მამაცურად დაღუპული, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი აკაკი კელუცას ძე შონია. დამეთანხმებით ალბათ, რომ არ არის ეს რიგითი მოვლენა, რიგითი გმირობა, რიგითი ნიჭიერება, რიგითი მონდომება და ვაჟკაცობა, ამ ასაკში მიაღწიო ასეთ მაღალ სამხედრო თანამდებობასა და წოდებას.

ვწუხვართ, რომ ვერ ვიჩენთი ჯეროვან ყურადღებას ვერც ასეთი გმირებისა და ვერც მათ მიერ დატოვებული ოჯახების შთამომავლობის მიმართ. იმედი გვრჩება, რომ მალე დავუბრუნდებით მშობლიურ აფხაზეთს, საკუთარ მიწა-წყალს და გვექნება იმისი შესაძლებლობა, რომ კუთვნილი პატივი მივაგოთ მათ, ვინც საკუთარი სიცოცხლის გაღებით ჩვენი სოფლის, ისტორიული თაგილონის სახელი შორს გაიტანა.

აკაკი კელუცას ძე შონია დაიბადა 1911 წელს თაგილონში. 1933 წელს მესამე კურსის სტუდენტს (პარტიის შევრს 1931 წლიდან) აგზნავნიან კომკავშირის გალის რაიკომის პირველ მდივნად. 1934 წელს იწვევენ ნითელი არმიის რიგებში. ამავე წელს ირჩევენ პოლკის პარტბიუროს მდივნად.

1936 წელს აგზავნიან სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვის ლენინის სახელობის პოლიტიკურ აკადემიაში. ამასთან დაუსწრებლად ამთავრებს პედაგოგიურ ინსტიტუტს ბაქოში. აკადემიის დამთავრების შემდეგ ტოვებენ მოსკოვში ჯერ ბატალიონის კრმისრად, მერე პოლკის კომისრად. 1942 წლიდან დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსია.

ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე იგი მოსკოვის სამხედრო ოლქში მსახურობდა. 1942 წლის ბოლო თვეებიდან ჯერ სმოლენსკის, მერე კი ვორონეჟის მიმართულებით იბრძოდა. მოგვყავს ნაწყვეტები აკაკის ფრონტული წერილებიდან:

„1941 წლის 5 ოქტომბერი. ვცხოვრობთ საბრძოლო მდგომარეობით. მუშაობა გვიხდება თითქმის უძილოდ, ვიღლები ძალიან, მაგრამ მტრის განადგურებისათვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ...“ 1941 წელი. არა მაქვს დრო მოგწერო ცოტათი მეტი. ყველა ჩვენგანში სუფევს მაღალი საბრძოლო განწყობილება – ვურტყამთ მტერს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. მრსკოვს არავის არ დავუთმობთ. ძვლებად დავწვებით ყველა მისთვის. ჩემზე ნუ იდარდებთ, მიხედეთ თავს და თინიკოს“.

1941 წლის 11 ნოემბერი. გუშინ ჩამოვედი ფრონტული

მოგზაურობიდან. ძალიან მოხარული ვარ, ჩვენი მებრძოლები იბრძვიან სიცოცხლის დაუზოგავად. მოსკოვს არავის დავუთმობთ. შეიტანე თუ არა განცხადება პარტიაში მიღების თაობაზე? ნუ გააჭიანურებ, გეთაყვა. თუ რეკომენდაციები არ გყოფნის, მე შემიძლია მოგცე, როგორც კომუნისტმა".

ვორონეჟის მისადგომებთან გამოჩენილი მამაცობისათვის აკაი შონია დაჯილდოვებული იქნა სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით.

1943 წლის 26 იანვარს, ზამთრის მრისხანე და სუსხიან დღეს, გააფთრებით ეკვეთნენ ჩვენები გერმანელ გარეწრებს. ყველაზე უძნელეს უბანზე – სოფელ ვისოკოეს მისადგომებთან ტრიალებდა პოლიტგანყოფილების უფროსი აკაი კელუცას ძე შონია.

აღნიშნული სოფლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში შეწირა სულ 32 წლის ქართველ ვაჟკაცს.

მან თავისი ლამაზი და შინაარსიანი სიცოცხლე გმირობისა და მამაცობის სიმბოლოდ დაუდგა ვორონეჟის მიწას.

უტარო ჩიბუხი
(შემოკლებით)

მიხეილ ნაჭყებია მოგვითხრობს:

დიდხანს არ მასვენებდა ფიქრი იმისა, რომ გამეგო ჩვენი თანამემამულის, პოდპოლკოვნიკ აკაკი კელუცას ძე შონიას ავ-კარგი. ძიების წყურვილმა ქალაქ თბილისში მიმყვანა, სადაც ამჟამად მისი მეუღლე ანტონინა ლავრენტის ასული ხონელიძე-შონია (საქართველოს განათლების სამინისტროს თანამშრომელი) და ერთადერთი ქალიშვილი თინა აკაკის ასული შონია (თბილისის ტელესტუდიის თანამშრომელი) ცხოვრობენ.

მესამე სართულზე ძლივს ავითრიე ფეხები. უჩვეულო მღელვარება დამეუფლა. გმირის მეუღლესა და ქალიშვილზე ჩემი სტუმრობით ისევ უნდა განმეახლებინა ის უდიდესი სულიერი ტრავმა, რაც ამ ოცდაათიოდე წლის წინათ განიცადეს.

კარი გაიღო, სევდიანი ღიმილით შემიპატიჟა თმაშევერცხლილმა ქალმა. თვალში მეცა წიგნები. წიგნის სამყაროში ძლივს მოჩანდა ბინის ავეჯი და მორთულობა. მასპინძელმა დასაჯდომი ადგილი შემომთავაზა. ქალბატონმა ანტონინამ ნაღვლიანი მზერა ჩემს სამხედრო მუნდირზე გადმოიტანა და მის თვალთაგან ორი კურცხალი მოწყვეტით ჩამოვარდა. ენის დაძვრას ვერ ვახერხებდი. ისევ მან გამომიყვანა

უხერხულობიდან. ჩემს წინ მაგიდაზე უსიტყვოდ დააწყო აკაკის ფრონტული სურათი, ნაწილიდან გამოგზავნილი დაჯილდოების ფურცლები, ტყვიის ქარ-ცეცხლში დაფლეთილი ოფიცრის შემნახველი სალაროს წიგნაკი, საკმაოდ შეყვითლებული და გახუნებული წერილების დასტა და მეუღლის ხელთნახები უტარო ჩიბუხი.

– 1941 წელს, – დაიწყო ქალბატონმა ანტონინამ, – მე და ჩემი ქალიშვილი მოსკოვის გარეუბანში ვისვენებდით. აკაკის სამი საათით თავისუფალი დრო უხელთებია და ჩვენს სანახავად მოვიდა. ის გატაცებით მიამბობდა ფრონტის ამბავს. ხელიდან არ იშორებდა ამ ჩიბუხს, რომელიც ჯარის უახლოესმა მეგობარმა 1940 წელს აჩუქა. ოცი წუთის მოსულიც არ იყო აკაკი, რომ ჩვენი ბინის წინ სამხედრო ვილისი გაჩერდა. ახალგაზრდა ოფიცერმა გადასცა, კორპუსის გტაბში გთხოვენო. აკაკიმ საჩქაროდ დაგვტოვა. ჩიბუხი მაგიდაზე დარჩენოდა. მოსკოვიდან ევაკუირების დროს, გარდა ამ ჩიბუხისა, აკაკის ყველა პრადი ნივთი დაიკარგა. ეს კი სამახსოვროდ დაგვრჩა დედა-შვილს.

შიშნარევი სიტყვით შევბედე ანტონინას, ეს ჩიბუხი სამურზაყანოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამხედრო განყოფილებას დაამშვენებს-მეთქი. ზარი აწკრიალდა. ბინაში ხალისიანად შემოიჭრა ოქროსფერთმინაი თვალებმაყვალა ქალიშვილი. ანტონინამ თავისი ქალიშვილი გამაცნო და ჩემი სათხოვარიც გაუმხილა. თინა ჯერ გაირინდა, მერე კი თვალი თვალში გამიყარა.

– დედა! ასრულდეს სტუმრის სურვილი. მამის ხელთნახები ჩიბუხი დარჩეს ჩემს საყვარელ მამულეთში, გალის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში...

თინათინ აკაკის ასული შონია



დაიბადა ქალაქ გაგრაში, მაგრამ ფეხშიშველას ბევრჯერ ურბენია თაგილონის დილის ცვრით დანამულ მინდორში. საშუალო სკოლა დაამთავრა მოსკოვში. ბავშვობიდან იცნებობდა გამხდარიყო თეატრის მსახიობი, მაგრამ სარეჟისორო ფაკულტეტზე აირჩია გამოცდების ჩაბარება თბილისში. მანამდე კი, სკოლის დამთავრების პირველივე წელს, ჩაირიცხა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტზე.

1960 წელს მან თავი მოუყარა შესაბამის დოკუმენტებს და წამოვიდა თბილისში, რათა

ჩაებარებინა გამოცდები რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. მისი ეს გადაწყვეტილება წარმატებით დაგვირგვინდა და მან 1966 წელს ბრწყინვალე შედეგით დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. მისი ხელმძღვანელი იყო ბუმბერაზი, მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილი რეჟისორი, დიმიტრი (დოდო) ალექსიძე.

დრამატული თეატრის რეჟისორის პროფესიის მიღების შემდეგ, პირველი სამი წელი იმუშავა რუსთაველის სახელობის თეატრში, მერე ,,ი იყო სატელევიზიო რეჟისორი სახელმწიფო არხზე, თან შეთასებით ,,უშაობდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

1978 წლიდან არის სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხის რეჟისორი, ამჟამად მოღვაწეობს აღიშნული არხის საპარლამენტო ჯგუფში. გაკეთებული აქვს რამოდენიმე სატელევიზიო სპექტაკლი და ტელეფილმი, უამრავი ნარკვევი და გადაცემები. მიმდინარე წელს მას შეუსრულდა 35 წელი ტელევიზიაში მუშაობისა.

1984 წელს მას გარდაეცვალა მეუღლე, ჭყონია რომანი, მსახიობი, რომლისგანაც ჰყავს ერთადერთი ვაჟიშვილი, უნიჭიერესი ტელერეჟისორი და პუბლიცისტი, გიორგი ჭყონია. ამჟამად ქალბატონი თინათინი ცხოვრობს თავისი შვილის ოჯახთან ერთად, მუშაობს და თან ზრდის, უვლის და ეფერება შვილიშვილს, პატარა თინათინს.

არ მოკლებოდეს ამ ოჯახს წმიდა მარიამ ღვთისშობლის მადლი და წყალობა.

გიორგი რომანის ძე ჭყონია

1982 წელს მან დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალრი ინსტიტუტის ტელერეჟისორის ფაკულტეტი. დღემდე მუშაობს თავისი სპეციალობით სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე.

აფხაზეთის ცნობილი მოვლენების დროს იბრძოდა წინა ხაზზე კამერით ხელში. 1993 წელს მან შექმნა პირველი ფილმი აფხაზეთის ომზე. „საკუთარი თვალებით“ – ასე ჰქვია ამ ფილმს, რომელმაც მიიღო პრემია საერთაშორისო ფესტივალზე მაკედონიაში.

ბატონი გიორგი აფხაზეთში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვებულია გორგასლის III ხარისხის ორდენით.

წერს შესანიშნავ ლექსებს, სცენარებს, თარგმნის. გამოცემული აქვს პოეტური კრებული „სიკვდილის რეპეტიცია“, რომლის შესახებაც თავის წინათქმაში ცნობილი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი ასე



ამბობს. „Георгий Чкония интересен не только тем, что ему удается четко, со вкусрм, интеллигентно изложить всего себя, сообщить свое отношение к миру, но и показать читателю, каким надо быть, чтобы выжить и победить.

Мыслящий человек, на определенной ступени своей жизни обязательно скажет себе - "Из сожалений соткан мой запоздалый крик" но у автора данного сборника, вопреки сказанному, очень мало сожалений и ничего "запоздалого" Поэт создан Богом, чтобы видеть "Сверканые жизни, огни причалов, огонь сердец" и, не вдаваясь в самовозвеличение, говорить - "Стихи похожи на меня, но вот что скверно, а может их пишу не я - не я наверно"

Не пройдушь тропами сомнений, не будет чтремления к совершенству, не напишешь - "Я дойду, я дойду, только б встать" ис тем более не скажешь себе - "Репетиция смерти - сон; там и встретимся"

творчество Георгия Чкония - жизненный путь, приведший человека к жизнелюбию, к стойкости в беде, путь зажигающий огонь борьбы, побед и сознания, что - "Нет, сударыня, предела совершенству!.."

Романс

Нет, сударыня, предела совершенству
Нет конца блужданию впотьмах...
И, от Ваших чар не зная средства,
Яглупею прямо на глазах.

Ах, не будьте столь обворожительны
Искушенье слабых духом - грех...
Как постигнуть для кого целителен
И кому на гибель этот смех?

Совершенству нет, сударыня, предела
Понял я и сам теперь не рад...
Что же мне пророчит этот смелый,
Странный и необъяснимый взгляд.

Ах, не будьте, право, столь изысканы.
Всё пред вами суета и прах...
Сколько счастья жаждано и искано
В этих изумительных глазах.

Нет, сударыня, предела совершенству...

კალისტრატე მალაქიას ძე შუბლაძე



კალისტრატე (კალე) მალაქიას ძე შუბლაძე დაიბადა 1912 წლის 23 მარტს გალის რაიონის სოფ. თაგილონში, გლეხის ოჯახში. დედა ესმა გარმელია დიასახლისი იყო.მამა მლაქია შუბლაძე გლეხი(მუშა). კალისტატე სწავლობდა ჯერ თაგილონის 4-წლიან სკოლაში, მეორე სწავლა განაგრძო ჭუბურხინჯის 7-წლიან სკოლაში სახელწოდებით „შრომა“ სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქ.ოჩამჩირის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სკოლაში მასწავლებლად.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ომში.ომიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობა განაგრძო თავის სკოლაში გამგედ.

1950 წლიდან სკოლიდან გადაიყვანეს თაგილონის სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ. იყო სკკპ წევრი.

1955 წლიდან მუშაობდა თაგილონის ლაკობას სახელობის კოლმეურნეობაში თავმჯდომარედ.

თაგილონის სამივე კოლმეურნეობა გაერთიანდა ერთ XXV პარტიული ყრილობის სახელობის კოლმეურნეობად და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ამ კოლმეურნეობაში განყოფილების უფროსად.

კალისტრატე მალაქიას ძე შუბლაძე გარდაიცვალა 1979 წლის 5 აპრილს, დაკრძალულია სოფ. თაგილონში.

თითქმის 25 წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურა საკუთარ ხალხს. მას ძნელბედობის ჟამს უხდებოდა მუშაობა. საშუალო სპეციალური განათლებით, სპეციალობით ზოოტექნიკოსი ისე საფუძვლიანად და ღრმად დაეუფლა სოფლის მეურნეობას, რომ შემდგომში მისი მოღვაწეობის პერიოდში კოლმეურნეობა, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ მოწინავე იყო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მართლაც, მის სახელთან, მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ისეთი პრობლემური საკითხების გადაწყვეტა, რომელიც ათეული წლების მანძილზე აწუხებდა სოფლის მოსახლეობას. ბატონ კალისტრატეს სახელთან, მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული სოფლის რკინიგზის ბაქანის მშენებლობა, სოფლის სასურსათო მაღაზიის კაპიტალური შენობის აშენება და საექსპლოატაციოდ გადაცემა. მისი მუშაობის პერიოდში სოფელმა არნახული წინსვლა განიცადა, მკვეთრად გაიზარდა მშრომელთა გამომუშავებული სამუშაო დღის ანაზღაურება, ეკონომკიურად სოფელი მომძლავრდა. კოლმეურნეობა აწარმოებდა როგორც ჩაის ნედლეულს, ასევე სხვა სახის სასოფლო სამეურნეო პროდუქტებს. მეცხოველეობის ფერმა რენტაბელური გახდა.

სიმინდისა და სხვა ერთწლიანი კულტურების წარმოებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, რამაც სოფლის მოსახლეობის სურსათით მომარაგების პრობლემა გადაწყვიტა. ადგილზე ხდებოდა მარცვლეულის თუ მეცხოველეობის პროდუქტების განაწილება გლეხებზე.

სოფ. თაგილონში არსებობდა სამი კოლმეურნეობა. რაიონული თუ რესპუბლიკური ხელმძღვანელების უმრავლეს შემთხვევაში მცდარი გადაწყეტილების საფუძველზე ხდებოდა კოლმეურნეობების გაერთიანება, გაერთიანების შემდეგ ისევ გამოყოფა, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა სოფლის მშრომელებზე, მათ მატერიალურ მდგომარეობაზე. ასეთი არა სამართლიანი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოდიოდა ბატ. კ. შუბლაძე და უმრავლეს შემთხვევაშიც წარმატებებს აღწევდა და სოფლის მოსახლეობის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. კოლმეურნეობა ერთერთი მოწინავე იყო აბრეშუმის პარკის წარმოების მხრივ. პირადი მაგალითი დიდი ენთუზიაზმი იყო გლეხებისათვის, რომ ეწარმოებინათ აბრეშუმი. ე. ი. თავმჯდომარის ოჯახი წელიწადში აწარმოებდა 300-400 კგ. აბრეშუმის პარკს.

მინიჭებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. სოფლის მეურნეობის სფეროში მიღწეული ესოდენ დიდი წარმატებისათვის.

პანტიკო დურუს ძე ჩაფრავა



დაიბადა 1939 წელს გალის რაიონის სოფელ თაგილონში,

მამა – დურუ ჩაფრავა 1941 წელს ფრონტზე გაიწვიეს, საიდანაც ველარ დაბრუნდა. მამით ობოლმა პანტიკომ ადრე მოჰკიდა ხელი შრომით საქმიანობას, მალევე გახდა ოსტატი. აშენებდა სახლებს არა მარტო მშობლიურ სოფელში, არამედ სხვაგანაც.

1992-93 წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ სოფლის მოსახლეობა თანდათანობით ბრუნდებოდა თავიანთ ეზოებში, მაგრამ ზამთარშიც უდა გადმოელახათ ბობოქარი და სუსხიანი ენგური, არ იყო ხიდი, ამიტომ პანტიკომ გადაწყვიტა აეშენებინა ხიდი მდინარეზე. სოფლის ახალგაზრდობაც გვერდით ამოუდგა და ხიდი გადებული იქნა, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, გაზაფხულსა და ზაფხულში მდინარე ენგური დიდდება და ერთ-ერთი ასეთი წყალდიდობის დროს ხიდი მდინარემ წალეკა.

პანტიკომ უფრო საიმედო ხიდის აგება გადაწყვიტა და ააგო კიდეც, ააგო ე. წ. ჩამოკიდებული ხიდი, მაგრამ სტიქიამ ამჯერადაც იმარჯვა.

პანტიკომ მესამედაც ააგო ხიდი, ამჯერად უფრო საიმედოდ. ეს ხიდი დღესაც მოქმდებს.

ბატონი პანტიკო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ეხმარება დევნილებს სახლების შეკეთებაში, სხვადასხვა სახის შრომით საქმიანობაში. იგი ნამდვილი სოფლის ოსტატია.

გვარდღი ძაძუა

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში თურქეთის დესანტის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად მონაწილე სამურზაყანოელი თავადი, აზნაური თუ ოფიცერი მამაცობისათვის მთავრობამ დააჯილდოვა სამხედრო ჩინის ამაღლებით, ორდენებითა და მედლებით. ოფიცრებთან ერთად დააჯილდოვა ერთადერთი გლეხი გვარდღი ძაძუა.

თაგილონში, ხალხში დღემდე შემოჩრენილია გვარდღი ძაძუას თავგადასავალი, გმირული მოქმედებები, ბრძოლა თავადებისა და აზნ-



გვარდღი ძაძუა (დგას მარცხნიდან პირველი)

აურების წინააღმდეგ. გვარდღი ძაძუას სახელის უკვდავსაყოფად ქვემოთ მოცემულია ფაქტები მისი ცხოვრებიდან, მოქმედებიდან.

საქართველოში იშვიათად მოიძებნება ისეთი კუთხე, როგორიც თაგილონია, სადაც ასე უხვად იყოს ხალხში შემორჩენილი ძველი ლეგენდები, გადმოცემები, მოსწრებული სიტყვები. მაგალითისათვის ჩვენ გვარდღი ძაძუას ვასახელებთ.

ჩვენ ვთხოვეთ თაგილონის საშუალო სკოლის პედაგოგს გვარდღი ძაძუას შვილიშვილს, დამსახურებულ მასწავლებელს ქალბატონ ეკატერინე შამილის ასულ ძაძუას მოეწოდებინა ცნობები პაპამისზე. აქვე ვათავსებთ ქალბატონ ეკატერინეს მიერ მოწოდებულ ცნობებს:

ეკატერინე ძაძუა: „გვარდღი იოსების ძე ძაძუა იყო იმ დროისათვის გამორჩეული ადამიანი სოფელში თუ რაიონში (სამურზაყანოში), პატიოსანი, უღალატო და პირდაპირი. ხანგრძლივად უმუშავნია მამასახლისად. იყო თურქეთთან ომის აქტიური მონაწილე, რისთვისაც დაუჯილდოვებიათ „გიორგიევსკის ჯვრით“.

გვარდღი 1883 წელს ალექსანდრე მესამის მეფედ კურთხევაზე იყო დელეგატად მონვეული აფხაზეთიდან. მეფე აკურთხეს და მეჩვიდმეტე დღეს მეფემ დარბაზობა ცალკე გაუმართა კავკასიის დე-

ლეგატებს. პირადად დაასაჩუქრა ოქროს საათებით ყველანი. ცხადია ყველამ აიღო საათი მოწიწებით, ხოლო გვრადღიმ ხელი არ ახლო. იმპერატორმა იწყინა, ბრძანა: რატომ არ მიიღო ძვირფასი საჩუქარიო. ბაბუას გვერდით ედგა თარჯიმანი მასი ლადარია. გვარდღიმ უპასუხა: „მე რაც ვნახე იქ, პეტერბურგში და რაც მოვისმინე, ლადარიას თვალით ვნახე და მისი ყურით მოვისმინე. მას პირველს ეკუთვნოდა ეს უცხო საჩუქარი და მეორედ მე". მეფემ ჩაიცინა და ბრძანა ლადარიასათვის მოეტანათ ისეთივე საათი. მაშინ ორთავემ აიღო ეს საჩუქარი და მოწიწებით თავი დახარეს მეფის წინაშე.

შემორჩენილია კავკასიის დელეგატებთან გადაღებული მისი სურათი მკერდზე ჯილდოებით.

საინტერესოა მისი დიალოგი თავადებთან ოქუმში თავყრილობაზე, მაგრამ უხერხულად მიმაჩნია მისი დაწერა:

შამილ გვარდღის ძე ძაძუას ხალხი და სიმართლე უყვარდა, საკმაო ხანს სოფლის მამასახლისი იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იყო საქართველოს და აფხაზეთის ცაკ-ის წევრი. ახლო იცნობდა ფილიპე მახარაძეს და ნესტორ ლაკობას.

გვარდღიც და შამილიც ფიქრობდნენ მხოლოდ ხალხზე, მის ბედნიერებაზე, იყვნენ სტუმართმოყვარენი, როგორც იტყვიან პურმარილიანები.

ხალხურ სიტყვიერებაში ბევრი რამ მოსწრებული გამოთქმაა შემონახული. თუ ამას ყურაღდება არ მიაქციეს, იგი შესაძლებელია დროთა ვითარებში დაიკარგოს კიდეც.

ზოგიერთი გამოთქმა, რომელიც ქვემოთ იქნება მოცემული, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოქვეყნდეს.

მაშინაც კი, როცა მხოლოდ გვარით ამაყობდა ადამიანი და ჰქონდა ყოველგვარი უფლება მინიჭებული, დაბალი კლასის წარმომადგენლებშიც ერია ისეთი მჭევრმეტყველი, არაფერს რომ უთმობდა თავადს. საინტერესოა გვარდღი ძაძუას შეხვედრა ოტობაიელ თავად პეტრე ანჩაბაძესთან.

პეტრე ანჩაბაძე, როგორც თავადი, დღის 12 საათამდე არ დგებოდა და მასთან მისვლას გარდა თავადისა ვინ გაბედავდა. ერთხელ დილით, ეახლა ბრგე, ტანადი გარეგნობის გლეხი გვარდღი ძაძუა.

დიასახლისს მოახსენა, რომ მას უნდოდა თავადის ნახვა. დიასახლისმა უარი ვერ უთხრა, სტუმარი მისაღებ ოთახში შეიპატიჟა და თვითონ თავადს მოახსენა, რომ ვიღაც უცნობ ადამიანს თქვენი ნახვა სურსო. ბატონი პეტრე აუჩქარებლად ადგა, ეწყინა ასე „დილაადრიანად" ვინ გაბედაო ჩემი შეწუხება. შევიდა ოთახში და ვის ხედავს – გლეხს,

ყაზახს. მაგრამ მასთან ცოტა ფრთხილად უნდა იყოს, მისი მწარე ენა არაერთხელ მოხვედრია. რაზე შეწუხებულხარ, ყაზახო! ასე უთენია. რაღაც საქმე მქონდა, უპასუხა გვარდღიმ და მოყვა... ამ დროს თავადმა პეტრემ ამოიღო თამბაქო და გრძელტარიანი ჩიბუხის გავსებას შეუდგა. ბუხარში ცეცხლი ენთო. ერთი ცეცხლი მომაწოდე, – ჩუმად უთხრა თავადმა, ვითომ არაფერიო. ეს სიტყვები აგდებად მიიღო გვარდღიმ, ამოიღო საკვესი და აბედი და დაუწყო ჩხაკუნი. განზრახ უნდოდა ცოტა ხანს არ ანთებულიყო აბედი. თავადი გაბრაზდა და უთხრა: რას წვალობ, კაცო, აიღე და ცეცხლი მომაწოდეო. გვრადღიმ უპასუხა: მე მეგონა აბედის სუნი გესიამოვნებოდა, თორემ ცეცხლთან ჩემზე უფრო ახლოს თქვენა ხართ, აიღე და მოუკიდეთო. თავადს ასეთი მწარე პასუხი ეწყინა, მაგრამ გლეხისთვის არაფერი უთქვამს.

ერთხელ, სოფელში გასვენებაზე ბევრ ხალხს მოეყარა თავი. თავადი პეტრე ანჩაბაძე თავისი ამალით იდგა და საუბრობდნენ. იქვე ახლოს იდგა გვარდღი ძაძუა. ანჩაბაძემ დაინახა თუ არა გვარდღი, ყველას გასაგონად თქვა: გვარდღი ისეთი კარგი გარეგნობისაა და ისეთი მჭევრმეტყველია, ნამდილად თავადის გაკეთებულიაო. ეს რომ გვარდღიმ გაიგონა, ბატონ პეტრეს მიუბრუნდა და უთხრა: მართალი ბრძანდებით, ბატონო თავადო, ვინც გლეხებში კარგი ურევია თავადის გაკეთებულია და ვინც თავადებში გლახაა – გლეხის გაკეთებულიაო.

გვარდღის ჰყავდა უმცროსი ძმა, რომელსაც სიფხიზლეში თუ სიმთვრალეში ჩხუბი უყვარდა. ერთ დღეს ძმას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია მამასახლისისათვის, რის გამოც დაუპატიმრებიათ. მეორე დილით გვარდღი თავის ეზოში სახლის წინ დგას. გაიარა მამასახლისმა და სალამი მისცა. გვარდღი არ მიესალმა, მაგრამ უთხრა: მე, ალბათ, მკვდარი ვარ მკვდრად მიგაჩნივარ, ცოცხლად რომ მიგაჩნდე, ჩემს ძმას არ დაიჭერდიო. იმ დღესვე გაუთავისუფლებიათ პატიმარი ძმა.

გვარდღის უთხრეს ამა და ამ კაცმა შენზე ცუდი თქვა: გვადღიმ უპასუხა: მისი ნათქვამი და თხმელას ნაკვერცხალი ერთიაო (ე.ი. მისი ნათქვამი ისე ქრება, როგორც თხმელის ნაკვერცხალიო).

ერთხელ გვრადღი ზუგდიდში იყო. სახლში დაბრუნებისას, რომ დაილალა გზის პირას ჩამოჯდა და ჩიბუხი გააბოლა. ამ დროს მასთან ახლოს ერთი ახალგაზრდა, გვარდღის რომ არ მისალმებია ისე ჩამოჯდა და გაზეთის კითხვა დაიწყო. გვარდღიმ აცალა გაზეთის კითხვა და ბოლოს შეეკითხა: შვილო, რა წერია გაზეთში ახალიო, ახალგაზრდამ უპასუხა: ვირების დაკოდვა შეუწყვეტიათო. გვარდღიმ მიუგო: მომილოცავს, შვილო, შენ რომ გადარჩენილხარო. ახალგაზრდა განითლდა და პასუხი ვერ გასცა.

გვარდღის სალამის მიცემას ვერავინ მოასწრებდა. ერთხელ ძმიშვილთან ერთად მიდიოდა გვარდღი. ყველა ნაცნობს ქუდის მოხდით თავაზიან სალამს აძლევდა. ერთმა მგზავრმა კი აქეთ მოასწრო სალამის მიცემა. ეს ძალიან გაუკვირდა ყმაწილს და გვარდღის შეეკითხა: ბიძია! ყველას იქით ეუბნები სალამს და ამ კაცმა კი შენ გითხრა, რატომ? – შვილო! ვისაც მე იქით მივესალმე მათ მე ვჯობივარ. ეს ამხანაგი, რომელმაც მომასწრო სალამის მიცემა, ნამდვილად მე მჯობიაო.

ერთხელ გვარდღი თავისი შვილიშვილით ტყეში წავიდა შეშის საჭრელად. როცა ხეს ჭრიდა, ყოველი ნაჯახის მოქნევაზე ოჰ, ოჰ, – გაისმოდა. ბავშვმა უსმინა და შეეკითხა: ჰოჰ-ს რატომ იძახიო. გვარდღიმ უპასუხა: იგი მეხმარება მუშაობაშიო. მაშინ ჰოჰ-ს მე დავიძახებ და ამით მეც მოგეხმარებიო.

აზნაური შაბათ აქირთავა ჭუბურხინჯში ცხოვრობდა. იგი საშინელი იყო თავისი ხასიათით, ხშირად გზაზე გამვლელს დაიჭერდა და მთელი დღის განმავლობაში ამუშავებდა, მადლობასაც კი არ ეტყოდა, თუ ვინმე ჯოგს მიერეკებოდა, აირჩევდა რამდენიმე სულს და ისე გაუშვებდა საფასურს არ იხდიდა.

ერთხელ შემოდგომაზე სიმინდი მოტეხა, ჩალა კონებად ერთ გლეხს შეაკვრევინა. ამ დროს გამოჩნდა ცხენოსანი თაგილონელი გლეხი გვარდღი ძაძუა. აქირთავამ გააჩერა და უბრძანა ასულიყო მაღალ ხეზე და ჩალა ჩამოეკიდა. გვარდღი მიუხვდა შაბათს: თხოვა სუსტი თვალები მაქვს, მაღალ ხეზე რომ ავიდე თავბრუ დამეხვევა და ჩამოვვარდებიო, თქვენც ვერაფერს გაგიკეთებთ და მეც დავიღუპები. თქვენ აბრძანდით ხეზე, ბატონო, და ჩალას მე მოგაწვდითო. მოატანინეს ხის დიდი კიბე და აზნაური აქირთავა ავიდა ხეზე, გვარდღიმ უმალვე კიბე ხეს მოაშორა და ასძახა: აქ იჯექი რამდენ ხანსაც გინდაო. თვითონ შეჯდა ცხენზე და გაეშურა თავის სახლისკენ. აქირთავა გულგამსკდარი იჯდა ხეზე. საღამოს კი მეზობლებმა ჩამოიყვანეს. ასეთი მოტყუება შაბათს სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა. ამგვარად, გვარდღი იყო ჭკვიანი, გონებამახვილი გლეხი. ამიტომ არ დაივიწყეს იგი თაგილონელებმა დღემდე.

ამ მოგონებების ავტორს, გვარდღი იოსების ძე ძაძუას შვილიშვილს ეკატერინე შამილის ასულ ძაძუას დიდი ამაგი მიუძღვის მშობლიური სოფლისადმი. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ჰქონდა ყოველგვარი მონაცემები დარჩენილიყო ქალაქში, გაეგრძელებინა მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ მან არჩია თავისი ცოდნა და უნარი მშობლიური სოფლის სამსახურში ჩაეყენებინა. მაგრამ ეკატერინე ძაძუამ სახელოვანი ბაბუისა და მამის

საქმე გააგრძელა, შექმნა ოჯახი და წლების მანძილზე მუხლმოუდრეკლად ემსახურებოდა სოფელს. იყო სოფსაბჭოს თავმჯდომარე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, თაგილონის საშუალო სკოლის დირექტორი, გალის რაიონული საბჭოს დეპუტატი. აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდო სოფლისათვის თავდადებულმა ეკატერინე ძაძუამ ამ უმძიმეს პერიოდში არ დატოვა თავისი მშობლიური სოფელი და ჭირსა და ლხინში გვერდით უდგას მოსახლეობას.

ეკატერინე შამილის ასული ძაძუა



დაიბადა 1914 წლის 27 აგვისტოს სოფელ თაგილონში (გალის რაიონი) გლეხის ოჯახში.

1930 წელს წარმატებით დაამთავრა გალის 9-წლიანი შრომის სკოლა, 1933 წელს – თბილისის საფინანსო-საბუღალტრო ერთწლიანი კურსები.

1941 წელს წარჩინებით დაამთავრე ქ. სოხუმის გორკის სახელობის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

1944-45 წლებში, მაშინდელი მდივნის (პარტიის რაიკომის) ა. ჭეჟიას მოთხოვნით, მუშაობა დაიწყო თაგილონის ს/საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. აქტიურ დახმარებას უწევდა კავკასიის დაცვის მებრძოლებს. დღე თავმჯდომარედ მუშაობდა, ღამე სოფელს დარაჯობდა ვერა შარიასა და ვერა სიგუასთან ერთად. სწორედ მაშინ დააჯილდოვეს მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

ომში გამარჯვების შემდეგ 11 წელი იმუშავა სკოლის დირექტორად. (ნაბაკევისა და ქვემო ბარღების საშუალო სკოლებში) საკოლმეურნეო სისტემაში კი 17 წელი დაყო. აქედან 12 წელი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. 1972-დან – 1975 წლამდე თაგილონის კალინინის, ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობების თავმჯდომარედ, ხოლო 1951-52 წლებში ნაბაკევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

თუ მანამდე ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა ითვლებოდა საშუალო სიმძლავრის კოლმეურნეობად. მისი მონდომებული შრომის შედეგად იგი ჩადგა მოწინავეთა რიგებში როგორც რაიონის, ისე

აფხაზეთის რესპუბლიკის მასშტაბით. რის შედეგად კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებთან ერთად ისიც დააჯილდოვეს „შრომის წითელი დროშის“ ორდენით, ხოლო კოლმეურნეობა – აფხაზეთის ასსრ საპატიო სიგელით.

მისი მუშობის პერიოდში ჩაეყარა სოფელში საფუძველი ერთი 8-წლიანი სკოლის გახსნას (ამაში დიდია მაშინდელი რაიკომის პირველი მდივნის ბაკურ დავითის ძე გულუას დამსახურება). აშენდა საშუალო სკოლის კაპიტალური შენობა, ადმინისტრაციული სახლი, სასოფლო საბჭოს შენობა, მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, აბანო, მოეწყო სპორტული მოედანი. გაშენდა ხეივნები. შინმოუსვლელთა პარკი და ობელისკი, აფხაზეთი ასსრ საექსკურსიო ბიუროს მიერ კოლმეურნეობა შეტანილ იქნა დათვალიერების ობიექტთა სიაში.

სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის ბევრჯერ იყო არჩეული პარტიის აფხაზეთისა და გალის რაიკომის წევრად, რაიონული და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად.

მშობლები მას უნერგავდნენ შრომისადმი სიყვარულს, სწავლის სიკეთეს, სიბეჯითეს, საზოგადოებრივი საქმიანობის პირადულზე მაღლა დაყენებას, ყოველი დავრდომილის დახმარებას, სწორედ ამან მიაღწევინა წარმატებებს.

არის მრავალი მედლის კავალერი, შრომის ვეტერანი. იყო სსრკ მიღწევათა გამოფენის არაერთგზის მონაწილე.

მამამისი შამილი გვარდღის ძე ძაძუა იყო სოფლის მამასახლისი, აფხაზეთისა და საქართველოს ცაკ-ის წევრი.

ბაბუა გვარდღი იოსების ძე ძაძუა – 1883 წელს ალექსანდრე მესამის კურთხევის დროს კავკასიის დელეგატი, ისიც მამასახლისი იყო.

ომარ ტრიფონის ძე ხუბულავა

დაიბადა 1951 წელს გალის რაიონის სოფ. თაგილონში. თაგილონის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, სწავლული აგრონომის სპეციალობით.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე 1975 წელს იწყებს მუშაობას მშობლიურ სოფელში აგრო-განყოფილების მმართველად, 1980-85 წლებში გაერთიანებული კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად. შემდეგ კი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1988 წლიდან ამავე სოფლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ.



ო. ხუბულავა, როგორც ახალგაზრდა ენერგიული მუშაკი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, არჩეული იყო, როგორც ადგილობრივი, ასევე რაიონული საბჭოს დეპუტატად. იყო საოლქო კონფერენციის დელეგატი. გავლილი აქვს 1987 წელს ხელმძღვანელის მოსამზადებელი 6 თვიანი კურსები, იმავე წელს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, მიღებული აქვს მთავრობისგან სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდება. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ 1994 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ზუგდიდის ადგილნაცვალ პირთა სამსახურის უფროსის მოადგილედ.

ო. ხუბულავას კოლმეურნეობაში თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდიდან იწყება სოფლის აღორძინების, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების, მოსახლეობის დასაქმებისა და მათი ოჯახების ეკონომიკური წინსვლის მნიშვნელოვანი ტენდენციები. 1989 წელს საფუძველი ჩაეყარა ტიპური, თანამედროვე სტილის, ყველა მოთხოვნების გათვალისწინებით 215 მოსწავლეზე საშუალო სკოლის მშენებლობას, რომელიც 1991-92 წლებში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ სკოლის მშენებლობის საკითხი შეაჩერა.

მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, სოფელში აშენდა 60 ბავშვზე გერმანული მოდიფიკაციის საბავშვო ბაღი. სოფლის ცენტრში აიგო სასურსათო-სავაჭრო მაღაზია-პავილიონი. ჩატარდა მეცხოველეობის ფერმის რეკონსტრუქცია, სოფლის შიდა სამეურნეო გზების აღდგენა, მოასფალტება. გაშენდა ჩაის მაღალპროდუქტული სელექციური ჯიშის „კლონის" პლანტაციები რამდენიმე ათეულ ჰექტარზე.

სოფლის ტერიტორიაზე ჩატარდა დაშრობითი სადრენაჟო სამუშაოები, რაზედაც რამდენიმე წელი, სოფლის მოსახლეობა თხოვნითა თუ პრეტენზიებით მიმართავდა რაიონული და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, საკითხი სოფლის თავკაცის ძალისხმევით დადებითად გადაწყდა. ასევე ღელე „ხაიაზე" აიგო სამ ადგილზე კაპიტალური ხიდი, რამდენიმე ათეული წლების ოცნება, რეალობად იქცა. კეთილმოეწყო სოფლის ცენტრი, რემონტი ჩაუტარდა კლუბ-კანტორას.

ეფრემ (ქუთარი) გიგოს ძე ხურცილავა

ეფრემ გიგოს ძე ხურცილავა დაიბადა 1879 წელს თაგილონში ღარიბი გლეხის ოჯახში. არავითარი განათლება არ მიუღია. არ ყოფილა სასწავლებელში. ეწეოდა მიწათმოქმედებას. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1905-1907 წლების რევოლუციაში, რისთვისაც იყო დაპატიმრებული.

1918 წელს ებრძოდა მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. შევიდა პ. ძიგუას პარტიზანულ რაზმში, იმავე წელს ეფრემ ხურცილავა შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქტიურად იბრძოდა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. 30-იან წლებში იყო თაგილონში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების ინიციატორი.

რევოლუციური დამსახურებისათვის ეფრემ ხურცილავა დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით და საქართველოს და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სიგელებით.

უკანასკნელ წლებში თავისი ცხოვრებისა ეფერმ ხურცილავა იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

შოთა ხოჭავა იგონებს:

სოხუმელმა პედაგოგმა შოთა ხოჭავამ საინტერესო მოგონება გადმოგვცა თაგილონელებზე. იგი წერს: „ამჯერად მინდა მოვიგონო თაგილონელთა ცხოვრების ზოგიერთი შტრიხი. კერძოდ მინდა მოვიგონო ამ სოფლის ერთერთ ოჯახში – გრიგოლ ქორქიას (თაგილონში ქორქიები გადმოსულნი არიან ფოთთან ახლოს მდებარე სოფელ საქორქიოდან. ავტორები) ოჯახში აღზრდილ აფხაზეთში ცნობილ ტარას ანჩაბაძეზე.

ტარას ანჩაბაძე სოფელ ოტობაიში დაიბადა, მაგრამ აღიზარდა თაგილონში ქორქიების ოჯახში. ტარას ანჩაბაძე იყო რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში. დიდხანს იყო ქალაქ სოხუმის თავი. „მას პირველი მეუღლიდან ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა: მისი უფროსი ვაჟიშვილი, ექიმი ვიანორ ანჩაბაძე 1921 წლიდან იყო აფხაზეთის ჯანმრთელობის კომისარი. 1937 წელს ვიანორ ანჩაბაძე მეუღლე ვერა შენგელაიასთან ერთად რეპრესირებულნი იყვნენ და დაიღუპნენ. მათი შვილია ცნობილი ისტორიკოსი, სოხუმის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონ-

დენტი, პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე. ზურაბის შვილი გიორგიც ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორია. ტარას ანჩაბაძის მეორე მეუღლე მაშო დადიანი, სოხუმში ცნობილი მოღვაწე ქალი, მრავალი ქართული საქმის ინიციატორი, მაშო დადიანი მწერალ შალვა დადიანის და იყო.

შოთა ხოჭავა აგრძელებს, რომ სოხუმში ტარას ანჩაბაძის სახლში აღიზარდა და დაამთავრა სოხუმის გიმნაზია თაგილონელმა მარიამ გრიგოლის ასულმა ქორქიამ, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება და დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით. დიდ ხანს გრძელდებოდა თაგილონელი ქორქიების და სოხუმელი ანჩაბაძეების ახლო ნათესაური ურთიერთობა.

შოთა ხოჭავა თავის მოგონებას ასე ამთავრებს: „შემდგომში ბატონ ტარასის შვილები: ვიანორი, ვლადიმერი, ნიკოლოზი, გიორგი და თათუშა სათუთად ინახავდნენ თაგილონელთა სიყვარულსა და პატივისცემას“.

თომა კონსტანტინეს ძე ჯობავა

თომა კონსტანტინეს ძე ჯობავა დაიბადა 1894 წელს სოფელ თაგილონში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაამთავრა გალის სამასწავლებლო სკოლის სამი კლასი. 1915-1917 წწ. იმყოფებოდა მეფის არმიაში თურქეთის ფრონტზე.

1918 წლის თებერვალში შევიდა პავლე ძიგუას პარტიზანულ რაზმში. იმავე წელს მიიღეს კომუნისტურ პარტიაში.

ქვედანაყოფის მეთაური თ. კ. ჯობავა მონაწილეობას ღებულობდა სოფელ რეფო-შეშელეთში, ანაკლიის განთავისუფლებაში, ზუგდიდის ციხეზე თავდასხმაში 1918 წელს და სხვა ბრძოლებში მენშევიკების წინააღმდეგ.

1918 წელს თომა ჯობავა იმალებოდა, აწარმოებდა არალეგალურ მუშაობას. 1921 წელს ბაქან სათანჯოსთან აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, იყო დაჭრილი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თ. ჯობავა მუშაობდა საბჭოთა ორგანოებში სამურზაყანოს და ზუგდიდის მაზრაში.

იყო პერსონალური პენსიონერი.

შალვა სტეფანეს ძე ჯოლოგუა

(ბატონი შალვას თხოვნით სტილი და თხრობა უცვლელად დავტოვეთ)



დავბადებულვარ 1919 წლის 10 ივნისს ღარიბი გლეხის, სტეფანე ბეჩუნას ძე ჯოლოგუას მრავალშვილიან ოჯახში. დედა მადეჟნა ქვაბლუხუს ასული ეზუგბაია, მაღალი კულტურისა და შრომის დიდი მოყვარული ქალი იყო, შვილების (3 ბიჭის და 4 გოგო) აღზრდასა და მაღალი შრომის ჩვევების მიცემაში დალია თავისი ხანმოკლე ცხოვრება. იგი გარდაიცვალა 1930 წელს, 51 წლის ასაკში. ხოლო მამა გარდაიცვალა 1932 წლის აპრილში (იმ დუხჭირ, უექიმო ხანაში ფილტვების ანთებით). დედ-მამის გარდაცვალებისას მე უმწეო ბავშვი ვიყავი, არავინ მყავდა ხელშემწყობი. 1927 წელს შემიყვანეს თაგილონის დაწყებითი სკოლის პირველ კლასში. მასწავლიდნენ საყვარელი მასწავლებლები ალექსანდრე ტიმოთეს ძე გეგიძე და ქსენია ოკუჯავა.

1931 წ. დავამთავრე თაგილონის დაწყებითი შრომითი სკოლა და შემიყვანეს ნაბაკევის შვიდწლიან სკოლის მე-5 კლასში, მაგრამ იქ მხოლოდ 3-4 თვე ვსაწვლობდი.

ა. ტ. გეგიძემ თავისი მონდომებით და მეცადინეობით თაგილონის დაწყებითი სკოლა გადააკეთა შვიდწლიან სკოლად. გახსნა მე-5 და მე-6 კლასები, დაინიშნა სკოლის პირველი დირექტორი მეგონა შელია. იგი მეტად მაღალი განათლების და ერუდიციის პიროვნება იყო, მათემატიკის მასწავლებლად მოავლინეს ბაგრატ გიორგის ძე ხარაშვილი, იგი თავის საქმისა და შემომქედების მოყვარული კაცი იყო. მან შემაყვარა საგანი მათემატიკა. ბაგრატმა ჩემი სტუდენტობის პერიოდში დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი ფარმაცევტული განხრით და გახდა რესპუბლიკაში ცნობილი, პიროვნება. შვიდწლიან სკოლაში, ჩემი მოწაფეობის დროს ბევრი დირექტორი გამოიცვალა.

დირექტორებად მუშაობდნენ: შალვა მასხულია, ვანია კვეკვესკირი, ვარლამ კუხალეიშვილი და ბაგრატ ხარაშვილი. არსენა შარია, კირილე წულაია, ვენედი გამისონია.

1934 წელს დავამთავრე თაგილონის შვიდწლიანი სკოლა და იმავე

წელს შევედი ქალაქ გალის პიოველი საშუალო სკოლის მე-8 კლასში. ჩემთან ერთად შევიდა ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული ვენედი გაბისონია, აბრამ ღურწკაია და ვერა სიგუა.

მე-8 კლასში მაშინ სწავლობდა 87 მოსწავლე, იყო 3 პარალელური კლასი, თანაკლასელები იყვნენ: ტერენტი აქუბარდია, მირიან ეზუგბაია, დამიანე გოგოხია, ლავრენტი წულაია, შალვა ფარულავა, ვალერიან ბუკია, ვენედი გამისონია, ზოია ჭანტურია, ნინა ზუხბაია, რაისა ბასარია, ოლგა გამისონია, პლატონ ემხვარი და სხვები. სკოლაში მუშაობდნენ გამოჩენილი და დამსახურებული პედაგოგები: შალვა ბასარია, ევგენი გამსახურდია, გერონტი კაკუბავა, სერაპიონ ცობეხია, ბაგრატ ხორავა, გრიგოლ ჯგერენაია, ლავრენტი სექანია და სხვები. რაიონში და რესპუბლიკაში გამოჩენილი დირექტორები: ლეონტი შენგელია, არტემ შამუგია.

1937 წელს დავამთავრე ქ. გალის პირველი საშუალო სკოლის სრული კურსი ფრიადი წარმატებით და იმავე წელს უგამოცდოდ ჩავერიცხე ქ. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე, თანაკურსელები იყვნენ: აპოლონ კალანდია, ტერენტი აქუბარდია, ამირან ტორონჯაძე, დავით ღონღაძე, ნინა ახვლედიანი, მიშა ჭიჭინაძე, გრიგოლ მანაგაძე, ალიოშა ლურსმანაშვილი, რომელთა უმრავლესობა შემდგომში გამოჩენილი მეცნიერ მუშაკები გახდა.

უნივერსიტეტში გვასწავლიდნენ გამოჩენილი მეცნიერები: ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე, ლევან გოკიელი, ადამ ჩახტაური, ვლადიერ ჭელიძე, ამბროსი რუხაძე, ნიკოლოზ ვეკუა, პოლიკარპე ზერაგია, დავით კვესელავა, თედორე ცხადაია.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ვიყავი სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი და ახლო ურთიერთობა მქონდა ილია ვეკუასთან, მაშინდელი ფაკულტეტის დეკანთან.

1941 წლის გაზაფხულზე დავამთავრე მე-4 კურსი ყველა საგანი ფრიადზე ჩავაბარე. ჩვენს ქვეყანას 1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა სსრ კავშირს, შედეგად მაშინათვე გამიწვიეს არმიის რიგებში, მოვხვდი თელავის ფეხოსანთა სამხედრო სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე 1942 წლის თებერვალში. ვინც გაიწვიეს ჩემი ამხანაგებიდან არმიის რიგით ნაწილებში უნივერსიტეტში დააბრუნეს და შემოკლებული კურსით უნივერსიტეტი დაამთავრებინეს. 1941 წლის სექტემბრის თვეში. სამხედრო კურსდამთარებულები მატარებლით გაგვამგზავრეს რუსეთში, სადგურ ტიხორეცკაიაში გაგვაჩერეს და გაგ-

ვყვეს ორ ჯგუფად, პირველი ჯგუფი წაიყვანეს ქერჩის მიმართულებით, ხოლო მეორე ჯგუფი, რომელშიც მეც შევდიოდი წაგვიყვანეს სტალინგრადის მიმართულებით. ხოლო იქიდან გაყინულ ვოლგაზე მგზავრობით წავედით სტალინგრადიდან დაშორებულ 150 კმ-ით მდებარე დასახლება ვერხნაია პრალეიკაში. ამ პერიოდში საქართველოში დავტოვეთ აყვავებული ბუნება აქ კი 25 გრადუსიტანი ყინვიან ტრამალებში ძალიან ძნელი იყო ჩვენი მგზავრობა, ადგილზე ჩასვლისას დამნიშნეს ტყვიამფრქვევთა ოცეულის მეთაურად 29-ე სათადარიგო ბრიგადაში, სადაც ვმუშაობდი იმავე წლის აპრილის ბოლომდე და ისევ სტალინგრადში დამაბრუნეს და დავამთავრე მსროლელთა უმაღლესი ტაქტიკური სასწავლებლის სტალინგრადის ფილიალი.

1942 წლის 17 ივლისს გერმანელთა ავიაციამ გაარღია სტალინგრადის უძლიერესი დაცვა და პირველი ავიაბომბი ქვემეხთა ქარხნის ეზოში ჩამოაგდო. დავამთავრე სტალინგრადის ფილიალი და მომანიჭეს უფროსი ლეიტენანტის წოდება.

სტალინგრადის ფილიალი გადავიტანეთ ასტრახანში და იქ დავაბინავეთ. დავბრუნდით სტალინგრადში და დამნიშნეს №204 დივიზიის №6230 პოლკის ტყვიამფრქვევთა ასეულის მეთაურად.

ვიბრძოდი 64-ე არმიაში, რომელსაც მეთაურობდა გენერალი შუპილოვი. ძალიან მძიმე იყო ბრძოლა სტალინგრადის ფრონტის ყველა უბანზე. ქალაქს განსაკუთრებული მდებარეობა გააჩნდა. იგი გადაჭიმული იყო მდინარე ვოლგის სანაპიროზე 75კმ- ის სიგრძეზე, მაშინ როცა მისი სიგანე 3-დან 5-კმ-ს ფარგლებში მერყეობდა. ქალაქის რამდენიმე ადგილას გერმანელები გავიდნენ ვოლგაზე. ჰაერიდან ჩვენს პოზიციებზე ყრიდნენ ათასობით პროვოკაციულ ფურცლებს, სადაც წერდნენ: „თქვენ, გარშემორტყმული ხართ. უკან ფართე ვოლგაა, წინ გერმანელთა ხიშტები დაგვნებდით, თავის ნებით გადმოსულს ჰიტლერი მეღავათს უკეთებს".

მაგრამ ამ პროვოკაციას ჩვენი მეომრების მტკიცე ნებისყოფა ედგა წინ.

ბრძოლა სტალინგრადში ძალიან მძიმე იყო, ვიბრძოდით ყოველი ქუჩისათვის, ყოველი სახლისათვის, ოთახისათვის ჩვენი არმიის თავდადება და სიმტკიცე უფრო ძლიერი იყო ვიდრე გერმანელთა მილიონიანი არმია, მისი ტანკები და თვითმავალი ქვემეხები.

1942 წლის 18 ნოემბერს პოლკის მეთაურთან ოფიცერთა თათბირზე პოლიტნაწილის უფროსმა საიდუმლო გაგვაცნო. თუ გერმანელები გადალახავენ მდინარე ვოლგას, მაშინ აღმოსავლეთიდან იაპონელები

გადმოვლენ, ხოლო სამხრეთ კავკასიაში თურქები შემოვლენ და გერმანელებს შეეჯიბრებიან ადგილების გადაბუგვაში, ბავშვებისა და მოხუცების აწიოკებას და ამოწყვეტაში. ამიტომ ჩვენ მტკიცედ ვიდექით ყველა უბანზე, რომ ზემოთ ხსენებული უბედურება არ მომხდარიყო. იმავე 18 ნოემბერს გაგვაცნეს უმაღლესი მთავარსარდლის სტალინის ბრძანება ჩვენი ჯარების სტალინგრადის უბანზე შეტევაზე გადასვლის თაობაზე.

ამ შეტევის სამზადისზე მეტყველებდა ნაწილებში ახალი ტექნიკის გამოჩენა. 12 ნოემბერს დაიწყო ძირითადი გარდატეხა სტალინგრადის ფრონტზე და სამი დღის ვადაში გარშემორტყმული იქნა ფელდმარშალი პაულიუსის 300-ათასიანი არმია.

ამ დღეებში ერთერთი ოპერაციის დროს დილის 9 საათზე დავიჭერი გულმკერდის არეში, ნამსხვრევმა გაიარა ფილტვები და ხერხემლის მე-3 და მე-4 მალებს შუა გამიჯდა, რომელსაც უკვე 59 წელიწადია ვატარებ. ყოველ საათში სუნთქვა მეკვრებოდა ამოვახველებდი სისხლს და მომეშვებოდა, ასე იყო მთელი თვის განმავლობაში. 15 დღის შემდეგ მოვმჯობინდი, გამომწერეს ჰოსპიტალიდან და დასავლეთის ფრონტზე გამამგზავრეს 44-ე მოტომექანიზებულ ბრიგადაში ტყვიმფრქვევთა ასეულის მეთაურად, ვიბრძოდით ვარშავის შოსეს მარცხნივ ბრიანსკის ტყეებში სმოლენსკის მიმართულებით, ძალინ ძნელი იყო ბრძოლის პირობები. დღისით ტყის ქვეშ გაუვალ ჭაობებში, ღამე კი ყველაფერი იყინებოდა, მაგრამ ჩვენი ბრიგადა შეუჩერებლად უტევდა, ანგრევდა მტრის გამაგრებულ პუნქტებს და წინ მიდიოდა, სწორედ ამ დროს ერთერთი შეტევის დროს ისევ დავიჭერი ბარძაყში, ტრანსპორტის უქონლობის გამო, რამდენიმე დღე დავრჩი მიწურში და ჭრილობა ძალიან გამირთულდა, თვითმფრინავით გადამიყვანეს ღამით კალუგაში. იქ სასწრაფო ოპერაცია გამიკეთეს. ამომიღეს ნამსხვრევი მყესების არეში, ბევრი მყესი გაწყვეტილი იყო. სამი დღის შემდეგ ჩამომიყვანეს მოსკოვის №53 ჰოსპიტალში. ეს იყო 1943 წლის აპრილ-მაისში. მზადდებოდა კურსკის ოპერაცია, რის გამო დაცალეს მოსკოვის გოსპიტალი და ქალაქ არზამასის გოსპიტალში დამაწვინეს.

ჭრილობა ძალიან გამირთულდა, რის გამო ორჯერ გამიკეთეს ოპერაცია და მხოლოდ აგვისტოს თვეში გამომწერეს გოსპიტალიდან და მიმავლინეს მოსკოვის ოფიცერთა სათადარიგო ბატალიონში.

გამატარეს მოსკოვის გარნიზონის სამხედრო კომისიაში და მომცეს ჯანმრთელობის მე-2 ხარისხის შეზღუდულობა, ზურგის ნაწილებზე სამსახურის შესრულებით.

1943 წლის ბოლოს გამაგზავნეს 26-ე ცალკეულ ადგილობრივ ბატალიონში ასეულის მეთაურად(ბატალიონის მეთაურის უფლებით). ეს ნაწილი იცავდა თავდაცვის სამხედრო კომისარიატის №53 სამხედრო არსენალს, რომელიც ამარაგებდა მთელ დასავლეთის ფრონტს, ბომბებით, ჭურვებით და ყველა საჭირო ტყვიაწამლებით. ჩვენი არსენალიდან ყოველდღიურად გადიოდა ფრონტისაკენ 5-6 სამხედრო ეშელონი.

ამ ნაწილიდან გავედი დემობილიზაციაში 1945 წლის დეკემბრის თვეში. დავბრუნდი სახლში და ვაპირებდი სწავლის დამთავრებას, ამ დროს გალის რაიკომის მდივნად მუშაობდა დამიანე ვლადმიერის ძე გოგოხია. იგი პირადად ჩამოვიდა სახლში და მთხოვა წლის ბოლომდე მემუშავა ქვემობარლების საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და მათემატიკის მასწავლებლად. ვერ ვუთხარი უარი და დავიწყე მუშაობა, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობის თხოვნამ და მათმა ადამიანურმა მოპყრობამ თავისი გაიტანა და მეორე წელიწადსაც იქ დავრჩი. მოვახდინეთ ამ სკოლის მოსწავლეთა პირველი გამოშვება. ჩემი სოფლი თაეკაცებმა და ხელმძღვანელობამ დააყენა საკითხი ჩემი 8-წლიანი სკოლის დირექტორად გადაყვანის შესახებ. ვერ ვუთხარი უარი და 1947 წლის 27 აგვიტოს მოვედი სკოლაში. მინდორში ეყარა გაურემონტებელი დგამ-ავეჯი, კარ-ფანჯრები დამტვრეული და მინებ ჩაუსმელი იყო. სკოლის ეზო არ იყო შემოკავებული, არ ჰქონდა ჭიშკარი, ხოლო სასკოლო ნაკვეთზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. გვერდში ამომიდგა პედაგოგიური კოლექტივი ჯოტო ბერაიას მეთაურობით და სოფლის მთელი მოსახლეობა. უმოკლეს ხანში სასკოლო შენობას, დგამ-ავეჯს, საკლასო ოთახებს და სკოლის ეზოს მივეცით ნორმალური სახე.

უპირველეს ამოცანად დავისახეთ მტკიცე და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგიური კოლექტივის შექმნა, სკოლის მატერიალური ბაზის განმტიცება, სასკოლო ოთახებისა და კაბინეტების თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოებით შევსება.

დავაბრუნეთ ჩვენი სოფლიდან სხვა ადგილებში მომუშავე უმაღლესი განათლების სპეციალისტები, უმაღლესი განათლების არმქონე მასწავლებლები მივავლინეთ პედაგოგიური დახელოვნების კურსებზე, პარტიის რაიკომთან ერთად ფართო მუშაობა გავშალეთ სკოლის მუშაკთა შორის მათი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისათვის, შედეგმაც არ დააყოვნა. ჩვენი სკოლის რვაკლასდამთავრებულნი გამოირჩეოდნენ მეზობელი საშუალო სკოლების მოსწავლეთა შორის. განათლების ზემდგომი ორგანოების ინსპექტირების და სკოლის დირექტორის წარმომადგენელთა, მასწავლებელთა გაკვეთილებზე

დასწრების მასალებში მასწავლებელთა მუშაობა დადებითად იყო შეფასებული.

1956 წლისთვის სკოლა თითქმის მთლიანად იყო დაკომპლექტებული უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებით.

მეც ჩავაბარე ყველა საგანი და სახელმწიფო გამოცდები უნივერსიტეტის მექანიკამათემატიკის ფაკულტეტი და დავამთარე წარჩინებით, რაზედაც სახელმწიფო გამოცდის კომისიის თავ-რემ აღნიშნა: ასეთი ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ სახელმწიფო გამოცების წარჩინებით ჩაბარება იშვიათი მოვლენაა.

ყველა ზემოთ აღნიშნულმა პირობებმა შექმნა საფუძველი თაგილონის რვაწლიანი სკოლის საშუალო სკოლად გადაკეთებისა, და ზემდგომი ორგანოების ბრძანებით ჩვენი სკოლა 1956 წლიდან გადაკეთდა საშუალო სკოლად.

ყველა სასწავლო დისციპლინაში გვყავდა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები:მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ნათელა ლაცუზბაია და ტორო კვიტია; რუსულ ენაში დოცენტი მიხეილ შონია; მათემატიკაში შალვა ჯოლოგუა, პავლე ბერია და ვაჟა შარია; ფიზიკაში ვანო ფაჟავა; ქიმია-ბიოლოგიაში თამარ ცხაკაია და ნელი შამუგია; გეოგრაფიაში: ნაპოლენ ეხვაია, ნანი არდაშელია; ისტორიაში შოთა სექანია; ფიზ. მომზადებაში რეზო შარია; გერმანულ ენაში ნიკო ძაძუა; სასწავლო ნაწილის გამგე იყო ილიკო შარია; მაღალი კლასის მოსწავლეები სწავლობდნენ ტრაქტორის მართვას, გვყავდა შესაბამისად მომზადებული სპეციალისტი.

სკოლის დირექციის პრინციპული მოთხოვნის შესაბამისად სკოლას გამოეყო ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი და 0,4 ჰა ჩაის პლანტაცია. თამარ ცხაკაიას და ნელი შამუგიას თავდადებული მუშაობით შეიქმნა მიწის ნაკვეთზე განყოფილებები: მარცვლოვან, ხეხილოვან, ჩაის, საბოსტნე და დეკორაციული. ბოლოს დაირგო 0,5 ჰა-ზე თხილის პლანტაცია და თითოეული განყოფილება დამუშავდა სანიმუშოდ და ასრულებდა, როგორც სასწავლო ისე მაღალი მოსავლის მიღების დანიშნულებას.

მთელს რაიონში ჩვენი სასწავლო მიწის ნაკვეთი სანიმუშო იყო. სკოლის სპეციალურ ანგარიშში ყოველწლიურად ჩაირიცხებოდა 15-20 000 მანეთი. ეს თანხა ხარჯთა აღრიცხვის მიხედვით ხმარდებოდა სკოლის მატერიალური ტექნიკურ ბაზის განმტკიცების საქმეს. აშენდა ორ განყოფილებიანი სახელოსნოს კაპიტალური შენობა, საჭირო დაზგებით და დანადგარებით, ვასწავლიდით მოსწავლეებს ხეზე და ლითონზე

მუშაობას, გვყავდა შესაფერისი კვალიფიციური სპეციალისტები.

1950 წელს დავქორწინდი მარგო ლუკას ასულ გოგიაზე, იგი სპეციალობით მათემატიკოსი იყო და ასწავლიდა მათემატიკას დაბალ კლასებში.

1951 წლის 24 ნოემბერს შეგვეძინა ვაჟი ანატოლი, ხოლო 1959 წლის 4 იანვარს დაიბადა მეორე ვაჟი-თემური. ისინი უაღრესად ნიჭიერი ბავშვები იყვნენ. ანატოლმა დაამთავრა უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, ხოლო თემურმა იმავე უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ამჟამად ორივე ცოლშვილიანია. ანატოლი მუშაობდა სხვადასხვა ადგილას მეურნეობის მთავარ ეკონომისტად. ხოლო თემური ჩემი პენსიაზე გასვლის შემდეგ საათვეში ჩაუდგა თაგილონის საშუალო სკოლას. ბოლო პერიოდში ანატოლი მუშაობს ჩვენი სოფლის გამგებლად.

60-იანი წლებისათვის დადგა საკითხი ორსართულიანი კაპიტალური შენობის აგების შესახებ. შედგა საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია. სასკოლო შენობის პროექტი და ხარჯთა არღიცხვა, რომლებიც დამტკიცებული იყო სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს მიერ.

სკოლის მშენებლობის საკითხი განხილული იყო კოლმეურნეობის საერთო კრებაზე, სადაც გამოიყო 85 ათასი მანეთის რაოდენობით. (კოლ. თავ-რე შალვა ნიკოლოზის ძე კორკელია).

სასკოლო შენობის მშენებლობა დაიწყო 1961 წელს რაიონის საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია, რომელმაც მშენებლობა ძალიან გააჭიანურა.

სკოლამ მშენებლობისათვის და დგამ-ავეჯის შეძენისათვის საკუთარი სახსრებიდან გადარიცხა 25-ათასი მანეთი. სასკოლო შენობის მშენებლობა დამთავრდა 1970 წელს. მაგრამ სკოლის დირექციამ იგი არ მიიღო გათბობის ცენტრალური სისტემის დაუმონტაჟებლობის გამო. ამ საკითხზე მივმართეთ საქართველოს და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოებს, მათი მშენებლობის სამინისტროებს, მაგრამ დადებითი პასუხი აღარ მივიღეთ. ბოლოს აფხაზეთის სან-ტექ-მონტაჟის სამმართველომ ამ სამუშაოს შესრულება დაავალა ინგურჰესის სამმართველოს (მმართველი მოგელ ჭაავა). მან კი მშენებლობა დაავალა სან. ტექ მონტაჟის 1 უბნის ხელმძღვანელ პავლე ღუღუნის ძე ჩიქავას. მან სამუშაო თავის მემონტაჟეთა ბრიგადის მეშვეობით პირნათლად შეასრულა. ამის შემდეგ 1975 წელს მოხდა სასკოლო შენობის მიღება. წინასწარ თბილისიდან მიღებული გვქონდა ახალი დანადგარები, იყო დიდი ზეიმი, ზეიმის ადგილი და საკლასო ოთახები მთლიანად რადიოფიცირებული იყო.

ზეიმს ესწრებოდა აფხაზეთის განათლების მინისტრი ალექსი ჯონუა, მინისტრთა საბჭოსა და საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები, პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაიაღმასკომის მთელი შემადგენლობა. სოფლის მოსახლეობა. ასე რომ მთელი სოფელი ზეიმობდა.

სკოლას დგამ-ავეჯთან ერთად მიღებული ჰქონდა კაბინეტ-ლაბორატორიების მდიდარი მოწყობილობა. ამის შემდეგ სკოლა მთლიანად გადავიდა კაბინეტური მუშაობის სისტემაზე.

რამდენიმე წლის შემდეგ დაზიანდა (დაიჟანგა) სითბოს მიმწოდებული ტრასა. ინგურჰესის მმართველმა მოგელ ჭაავამ თავის ორგანიზაციათა და სახრებით ტრასა ხელახლა დაამონტაჟა.

სამწუხაროა, რაც ცენტრალური გათბობა ჰქონდა მოსწავლეებს სოფლის ბარბაროსებმა ყველაფერი დაჭრეს, მოხსნეს და თურქეთში გაიტანეს კაპიკებში.

არ შეიძლება მოკლედ არ აღინიშნოს სკოლის კურსდამთავრებულთა სამეურნეო და სამეცნიერო მუშაობაზე.

ჩვენი სკოლის ბევრი კურსდამთავრებული გაჰყვა სოფლის სასახელო პიროვნების პეტრე ათანასეს ძე შარიას მიერ გაკვალულ გზას. კერძო უნივერსიტეტის რექტორი რამინ ილიას ძე აბლოთია აკადემიკოსია, მიხეილ ბაგრატის ძე შონიამ სკოლაში მუშაობის პერიოდში დაიცვა ხარისხი, ამჟამად რუსული ფილოლოგიის მენციერებათა დოქტორია. მისი შვილი დევი – მეცნიერებათა კანდიდატია. იაკობ კოლიას ძე გამისონია მეცნიერებათა კანდიდატია, გოგი ლაუს ძე ბენდელავა მეცნიერებათა კანდიდატია, ნუცა აკაკის ასული არდაშელია რაიონის პირველი მეცნიერ-მუშაკია. ან გარდაცვლილი სერგო იონას ძე შარია მეცნიერ მუშაკი იყო.

ჩემი თაოსნობითა და პედ-კოლექტივის ამოდგომით ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა. დადგინდა სამამულო ომიდან შინმოუსვლელთა სია, რაც შეადგენს 160 კაცს. ვაპირებდით ხელის მოწერით თანხის შეგროვებას და მათთვის ძეგლის აგებას, მაგრამ ამ პერიოდში კოლმეურნეობის თავ-რედ აირჩიეს შალვა ნიკოლოზის ძე კორკელია, რომელმაც კოლმეურნეობათა ხარჯებით შინმოუსვლელებს აუგო ძეგლი, რომელიც რაიონის მასშტაბით პირველი იყო. სამწუხაროდ, ეს ძეგლი იმსხვრპლა 90-იანი წლების არაფრის მთქმელმა ომმა.

სკოლას გააჩნდა მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა, მაგრამ იგი ე. წ. „სამშვიდობო ძალებმა"–მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირად საქმეებთან ერთად დაწვეს ან მინაში ჩამარხეს.

სკოლას გააჩნდა ცალკე ნაბლის ხის შენობაში აფხაზეთში „საბჭ-

ოთა ხელისუფლების დამყარებისთვის მერძოლთა მუზეუმი თავის მემორიალური დაფით. ესეც ე. წ. „სამშვიდობო ძალებმა“ შეშად დაწვეს ან ფიცრებად არაყზე გაყიდეს. როგორც აღვნიშნე, სკოლას გააჩნდა ორსართულიანი სასკოლო შენობა (36X20 მმ),ქვითკირის ერთსართულიანი შენობა, ორ განყოფილებიანი კაპიტალური სასკოლო სახელოსნო, სასადილო შენობა გათბობის სისტემით, საქვაბე, გარაჟი ტრაქტორისათვის. ყველა ეს შენობა ძირითადად სამშვიდობო ძალებმა მინასთან გაასწორეს. აქედან დარჩა მხოლოდ ორსართულიანი შენობის ჩოჩხი. ჩავატარეთ სახალხო მასწავლებელ ალექსანდრე გეგეიძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი რაიონული მასშტაბის საიუბილეო ღონისძიება, რამაც მის ყოფილ მოსწავლეებში და რაიონის პედაგოგებს შორის კმაყოფილება გამოიწვია. ასევე მოვაწყვეთ 70 წლის იუბილე ჯოტო თედოს ძე ბერაიასი. სკოლის პედკოლექტივისა და სოფლის მრჩეველს. სისტემატურად ტარდებოდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთიანი ძალებით შემოდგომისა და დედა ენის ზეიმები. ეწყობოდა სკოლის კურსდამთავრებულთა საიუბილეო ზეიმები. პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივები ყოველ საზეიმო დღეებში ღებულობდნენ ზემდგომი ორგანოებიდან მისალოც საპატიო სიგელებს. სკოლის მასწავლებლებს: ნელი შამუგიას, ნიკო ძაძუას, თამარ ცხაკაიას მიღებული ჰქონდათ უფროს მასწავლებელთა წოდება. პირადად მე სტალინგრადისა და ომის სხვა ფრონტებზე გამოჩენილი თავდადებული საბრძოლო მოქმედებისათვის დაჯილდოებული ვარ სამამულო ომის პირველი ხარისხის ორ–დენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლით მამაცობისათვის, მედლებით სტალინგრადის დაცვისათვის და ფაშისტურ გერმნაიაზე გამარჯვებისათვის. ასევე მრავალი საიუბილეო მედლით. მიღებული მაქვს სახალხო განათლების განყოფილების, სამინისტროს, საოლქო კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირის რაიონული და რესპუბლიკური კომიტეტების რამდენიმე საპატიო სიგელი, რაიონული, რესპუბლიკური და საკავშირო ომის ვეტერანთა სიგელები და სხვა.

ვარ სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი. ვარ განათლების წარჩინებული მუშაკი. დაჯილდოებული ვარ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

მიღებული მაქვს აფხაზეთისა და საქართველოს რესპუბლიკების სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ვალიკო ნიკოს ძე ჯოლოგუა



ვალიკო ნიკოს ძე ჯოლოგუა დაიბადა 1905 წელს ს. თაგილონში, ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო ოტობაიას შვიდწლიან სკოლაში. 1927 წელს დაამთავრა ზუგდიდის სამასწავლებლო სასწავლებელი.

1927-1928 წლებში ვ. ნ. ჯოლოგუა მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობაზე. 1930 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, მას სხვადასხვა დროს უხდებოდა მუშაობა გუდავის, ნაბაკევისა და თაგილონის სკოლებში. სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ვ. ნ. ჯოლოგუა მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად, 1945 წელს დემობილიზაციით ბრუნდება მშობლიურ სოფელში. ამ პერიოდიდან პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა თაგილონის დაწყებითი სკოლის გამგედ და რუსული ენის მასწავლებლად. რამდენიმე წელს იყო ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანი. მრავალჯერ იყო არჩეული სასოფლო საბჭოსა და რაიონული საბჭოს დეპუტატად.

ვ. ნ. ჯოლოგუა დაჯილდოებული იყო მედლით „კავკასიის დაცვისათვის", გერმანიაზე გამარჯვებისათვის" და სხვა მრავალი ჯილდოებით.

ყველგან, სადაც კი მუშაობდა, იჩენდა საქმის ცოდნას, პრინციპულობას, გულისხმიერებას, სარგებლობდა სიყვარულით და ავტორიტეტით.


ფიქციალშიში



პეტრე შარაია




პეტრე შარაია ოჯახთან ერთად, მოსკოვი, 1939 წ.



პეტრე შარაია ჩის სტალინის ზურგს უკან, მოსკოვი, 1938 წლის 20 იანვარი



პეტრე შარიას დედა ანუშიძა (ისიდა) ქობალიას-შარია ქრისტესადმიერად პაპანინოსთან ცქალტუბოში, 1938 წ.





მარცხნიდან მარჯვნივ: სპირიდონ ჩრასტოს ძე, შეიუანე პეხუს ძე და ბათლომე პავლეს ძე შარიები. თბილისი 1934 წ.



ტერენტი გვაზავის ძე შარია



არტემ გვაზავის ძე შარია



ვანო გვაზავის ძე შარია



შოთა ანჯაფარიძე



აკაკი კეცხოველი და შოთია მესხიშვილთან



ცოლ-ქმარი ანტონინა ცოცანაშვილი-შოთია და აკაკი შოთია



აკაკი შოთია დედასთან ნადიკო კვარაციხელია-შოთიასთან, მეუღლესთან ანტონინა ცოცანაშვილ შოთიასთან და ქალიშვილთან თინათინთან ერთად






ჯიპეტო და შუახევი შოხეში



ლუკა შარია შემოქმედთან




ვიოლა და მუხა შარიამი





ლუკა შარია





მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: იმანელ წულაია, ალზა ოძელაშვილი, ლუკა შარია, ზურაბ შარია, ნიკოლ წულაია, ქალიშვილ მარშანია
დგანან: კოწია ჟოლაშვილი, ჯოგიო ხანთარაია, სანდრო შაბურია, ნეჭტარ წულაია, პარდა არდაშელია, (ანსამბლის ერთ-ერთი წევრი ჯოტო მარშაყა ფოტოსურათზე არ არის გამოსახული)

ფოტოგრაფია ბავშვი
...ომის ფოტო
ომის ფოტოგრაფია
ფოტოგრაფიული ომი
ომის ფოტო



მრავია (ცავაშ) სორდია-შარია თაჟის გაზრდილ დაზეირ პეტრეს ძე შარიასთან ერთად



დოცი ჭარდაშა



პაპრატ სარაშჟილი



მარცხნიდან მარჯვნივ: ბერაშ, პეტრე და ერიბოლ შარიძი



შიოშოლა (დუნა)
შენაძლია-ჩაქარაია



შალვა ჩაქარაია



ბაბარაკ ხარაშვილი ოჯახთან ერთად



შოთა ორჟონიას ოჯახი



შუშა შარია და შანო შაიშვია შვილებთან ნუგზართან, იშრასთან და დალისთან ერთად



არისტოლ (ვრიშა) შარია




ნუშა პაჭკორია შვილებთან ერთად




მარცხნიდან მარჯვნივ: ბრიშა, პეტრის და შანიო შარიპაძე




შვარდღი ძაძუა (დგას, მარცხნიდან პირველი)



კოლმეურნეობის თავმჯდომარე შქატერინა ძაძუა და მექანიზატორი ნიკოლოზ ცუცულავა



ლეონის დიდი მსჯელი შარშონ ამელა და მისიონერების მსახური ოპარლა



იტალიელი მისიონერების მიერ 1654 წელს შედგენილი რუკა



ნაპოლეონ შარია



ქლიპჟენტი დიპიტრის ძე შარია, სოფლის „მეღვინეთუხუცესი“



ზინაიდა შარია



პისპეილ შონია, ტოროლა კიტია



ვანო (ვანჩქა) შარია



დუდა და ელდარ შარიპაი



ზურაბ შარია



ნუგზარ შარია (კადრი მხატვრული ფილმიდან „პალიასტომი", 1962 წელი)



ელენე
ლუკავა-ლემონჯავა



ილია შარია
ოჯახთან
ერთად



ნუცა ლაკერბაია-გეგეჭკორი საკლასო ოთახში თავის ახლობლებთან ერთად. 1981 წელი



კაკო გეგეჭკორი და ნუცა ლაკერბაია-გეგეჭკორი შვილთან და შვილიშვილებთან ერთად



ვანო ანდრიას ძე შარია პაპულიასთან პანგრა (პანია) პაპულის ასულ (ასაშრია-შარიასთან ერთად



ტატიანა იროდის ასული შარია-პაპლოთია პაპულიასთან მეორედ ნიდის ძე პაპლოთიასთან ერთად



ვარვარა იოსების ასული შარია
1946 წელი



შორენა გრიგოლის ასული შარია
ბიოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი,
ნათელა გრიგოლის ასული შარია-
გუნავა – ეძიეი ექიმატრი



ვანო შარია მეუღლესთან ჰალია ინალიშვილთან
და ოჯახთან ერთად



გრიგოლ შარია ოჯახთან ერთად



ა. ა. შარია



ნანა გრიგოლის ასული შარია

















დიდიე ჯოლობაშა (მარცხნიდან პირველი), ვარდაიცვალა 105 წლის ასაკში, ვენერა ჯოლობაშა (მარჯვნიდან პირველი) შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად



მშრომელ ოჯახთან ერთად











მარჯვნივ რამაზაია – სოფლის „სახსწრაფო დახმარება"



სათა ოყუჯავას სახლი ოქაიდე



სათა ოყუჯავას სახლი ოქის შეიდეგ



თაბილოვნის სახლი, გადაღებულია 2003 წელს

თამთა შარია
1993 წელი





1993 წლის სექტემბერი.

კიდევ რამდენიმე დღე გავა და... თავისი პაწია ფეხებით დევნილობის გზას დაადგება სამი წლის დათა შარია

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა 3
სოფელზე უთქვამთ . 5
ვლ. ალფენიძე – წიფურია (წარსულის ექო) . .7
სხვა წერილები წიფურიაზე წიგნის აცტორთა კომენტარებით . .15
კასტელ-ლამბერტის სამეგრელოს რუკა . .37
თაგილონი. ბრინჯაოს ხანიდან დღემდე .39
ბუნება 39
არქეოლოგიური ძეგლები .42
ინტალიო ბეჭედი – ხელოვნების უნიკალური ნიმუში . 44
მოსახლეობა 48
თაგილონში მცხოვრები გვარები .48
თაგილონელი შინმოუსვლელები . .51
სამამულო ომის მონაწილე თაგილონელი ქალბატონები. 55
თაგილონის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები . .55
თაგილონის სოფსაბჭოს თავმჯდომარეები .56
თაგილონელი ექიმები . .56
თაგილონელი დამსახურებული მასწავლებლები . .56
თაგილონის საშუალო სკოლის მასწავლებლები . .57
თაგილონის №1 არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლები . 58
თაგილონის №2 არსარული საშუალო სკოლის მასწავლებლები . 59
აფხაზეთის კონფლიქტს შეეწირნენ . .59
პირველი თაგილონელი „ბიზნესმენები“ .60
ეთნოგრაფიული ექსკურსი .61
ორიოდ სიტყვით „აფხაზთა სამეფოსა“ და სამურზაყანოზე . 64
ხალხური შემოქმედების ოსტატები . .70
„ჭაბუკ მოხუცთა“ ანსამბლი . .72
Мастера народного творчества .73
ინტელიგენცია, კოლორიტები, ინტელექტუალები ,
მშრომელი ადამიანები . 76
ადამიანები, რომლებსაც ვენდობოდით 78
ფოტოალბომი . 258

კომპიუტერული დამუშავება: *მაია გორგიაშვილი*
თეა ზაქარაია
მაია ფარულავა

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ზანში“

ტაშკენტის ქ. №25, ბ.1
38–03–11